ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თეიმურაზ პაპასქირი

მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943

თ ბ ი ლ ი ს ი

УДК 94-99(100-87)
ᲐᲐ182

მონოგრაფიაში განხილულია მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ კარდინალური პრობლემის — მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების საკვანძო საკითხები, ნაჩვენებია აშშ-ინგლისის მთავრობათა მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების მნიშვნელობა მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების საქმეში.

წიგნში დანართის სახით შესულია აგრეთვე ავტორის მიერ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები, რომლებშიც გაშუქებულია მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიური ისტორიის ცალკეული ასპექტები, აგრეთვე სპარსეთის ყურეში XXს.-ის 90-იანი წლებიდამდეგს განვითარებული მოვლენები და კოსოვოს გეგმის საქართველოში გამოყენების შესაძლებლობები.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **კოტე ანთაძე**

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი **ვახტანგ გურული**
ისტ. მეცნ. დოქტორი **ივანე მენთეშაშვილი**

© **თეიმურაზ პაპასქირი**

ISBN 99928-0-325-8

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

თეიმურაზ პაპასქირი 27 წლის ახალგაზრდა მეცნიერია. ის ეწევა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მან მომავალი სამეცნიერო მუშაობის სფეროდ აირჩია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემები. მისმა სადიპლომო ნაშრომმა, რომელიც ბევრად სცილდებოდა გათვალისწინებულ ნორმებს, სპეციალისტთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ის ცალკე მონოგრაფიად გამოიცა (**სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945.** დიპლომატიური ქრონიკა და საომარი მოქმედებები, თბ., 1996). აღნიშნული ნაშრომი საფუძვლად დაედო **თ. პაპასქირის** საკანდიდატო დისერტაციას – **„მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში“** (1941-1943წწ.), რომელიც მან ჯერ კიდევ ასპირანტურის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე, 23 წლის ასაკში (1998 წელს) წარმატებით დაიცვა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ყურადღებას იმსახურებს **თ. პაპასქირის** კრიტიკული წერილები ცნობილი ამერიკელი მკვლევარების: თომას დ. პერიშისა და ფრედერიკ უ. მარკს III-ის უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებზე, რომლებიც დაიბეჭდა ქართულ ენაზე გამომავალ სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალებში. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ **თ. პაპასქირი** აგრძელებს მუშაობას მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიური ისტორიის პრობლემებზე. ამ მიმართულებით მან ნაყოფიერად იმუშავა აშშ-ში კერძო ვიზიტით ყოფნისას (2000წ.). გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი 1944-1945წწ. დიპლომატიურ ფრონტზე განვითარებულ მოვლენებზე. პარალელურად, **თ. პაპასქირი**

მუშაობს ევროპა-ამერიკის ქვეყნების უახლესი პერიოდის ისტორიის სხვა პრობლემებზეც, რისი ნათელი დადასტურებაა მის მიერ მომზადებული პუბლიკაცია ამერიკელი ავტორების მ. გორდონისა და ბ. ტრეინორის ცნობილ გამოკვლევაზე სპარსეთის ყურის ომის შესახებ; აგრეთვე პუბლიკაცია კოსოვოს სამშვიდობო გეგმის საქართველოში (კერძოდ, აფხაზეთში) გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

კოტე ანთაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპა-ამერიკის
ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის
კათედრის გამგე

Editor's Foreword

Teimuraz Papaskiri is a 27 year-old young scholar. He is a very prolific researcher. While studying at the university he chose the problems of the modern history of the Europe and America as a sphere of his future scientific work. His diploma, which was far beyond the specified norms, provoked the great interest among the specialists. It was published under the title **"Stalin, Roosevelt and Churchill Against Hitler. 1941-1945.** *The Diplomatic Chronicle and Military Actions"*. This study became a basis for his dissertation for the degree of Candidate of Sciences – ***"The Problems of Preparing and Opening of the Second Front in the US-British Diplomacy" (1941-1943)***, which was successfully defended in Tbilisi State University by I. Javakhishvili at the age of 23 (in 1998). He has very interesting critical papers published in Georgian historical journals on the recent researches by American historians: **Thomas D. Parrish** (*Roosevelt and Marshall: Partners in Politics and War. The Personal Story, New York, 1989*) and **Frederick W. Marks III** (*Wind Over Sand. The Diplomacy of Franklin Roosevelt, Athens, Georgia, 1988*).

After defending his dissertation he has continued to research the aspects of diplomacy during the Second World War. He has done prolific work during the being in the United States of America on a private visit (November 1999 – August 2000). He has published some interesting papers about this problem. At the same time he deepens his knowledge of the Modern History of Europe and America. He has published a paper on the research of the American authors –

Michael R. Gordon and **Gen. Bernard E. Trainor** (*The Generals' War. The Inside Story of the Conflict in the Gulf, New York, Little, Brown and Company, 1995*). He has also a publication about the possibilities of using the "Kosovo Peace Plan" in Georgia (Abkhazia).

Constantine Antadze

Professor, Dr.
Head of the Chair of
The Modern History of
Europe and America
of Tbilisi State University
by Ivane Javakhishvili

წ ი ნ ა თ ქ მ ა

წინამდებარე წიგნში უცვლელი სახით იბეჭდება ჩვენს მიერ 1998წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცული სადისერტაციო ნაშრომი: „მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში (1941-1943წწ.)".

აღნიშნული პრობლემის შესწავლა-დამუშავებას ჩვენ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (1995-1996წწ.) შევუდექით. ამ მიმართულებით ჩატარებული პირველი შედეგები შეჯამდა სადიპლომო ნაშრომში, რომელიც ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1996წ. (იხ. **თ. პაპასქირი. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945. დიპლომატიური ქრონიკა და საომარი მოქმედებები.** გამ. „აღმაშენებელი", თბ., 1996.). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ასპირანტურაში სწავლისას კათედრის გამგის, პროფ. **კოტე ანთაძის** ხელმძღვანელობით ჩვენ გავაგრძელეთ მოცემული პრობლემის შემდგომი, გაღრმავებული კვლევა. პირველ რიგში, დაკონკრეტდა საკვლევი თემა: აქცენტი გადატანილი იქნა მეორე ფრონტის მომზადების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მიერ გაწეული კონკრეტული დიპლომატიური საქმიანობის ანალიზზე. ქრონოლოგიური ჩარჩოები განისაზღვრა 1941-1943 წლებით. შედეგად მივიღეთ თვისობრივად სრულიად განსხვავებული ნაშრომი (მასში გადამუშავებული სახით შევიდა ადრე გამოქვეყნებული მონოგრაფიის მხოლოდ პირველი ნაწილი – გვ. 5-72), რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით გაშუქდა დასავლეთის სახელმწიფოების როლი მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის საქმეში.

გარდა აღნიშნული ნაშრომისა, საჭიროდ ჩავთვალეთ, წიგნში შეგვეტანა ზოგიერთი ჩვენი ადრინდელი პუბლიკაცია-რეცენზია, რომლებშიც კრიტიკულადაა გაანალიზებული ცალკეულ ამერიკელ მკვლევართა მეორე ფრონტის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები და, აგრეთვე, მონოგრაფია სპარსეთის ყურეში XXს. 90-იანი წლების დამდეგს განვითარებული მოვლენების შესახებ. წიგნში ასევე იბეჭდება ჩვენს მიერ IREX-ის (*International Research & Exchanges Board*) მიერ მოწყობილ სემინარზე: „საქართველო კონფლიქტების გარეშე" – წაკითხული მოხსენების: „კოსოვოს გეგმის" საქართველოში გამოყენების შესაძლებლობები – ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

და ბოლოს, თავს მოვალედ ვთვლით, დიდი მადლობა მოვახსენოთ ჩვენს მეცნიერ-ხელმძღვანელს, ამ გამოცემის რედაქტორს, გამოჩენილ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. **კოტე ანთაძეს.** ასევე მადლობას ვუხდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ინგლისური ენის კათედრის გამგეს, დოც. **ემა კილანავას** ინგლისური ტექსტების რედაქტირებისას გაწეული დახმარებისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეორე მსოფლიო ომი, თავისი პოლიტიკური და სამხედრო მასშტაბებით უპრეცედენტო მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში. როგორც ცნობილია, მან მოიცვა ფაქტობრივად მთელი მსოფლიო. საომარი მოქმედებები ერთდროულად მიმდინარეობდა ევროპაში, აფრიკაში, აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში. რასაკვირველია, მეორე მსოფლიო ომის მთავარი მოვლენები განვითარდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, მაგრამ არცთუ ისე უმნიშვნელო წვლილი მესამე რაიხის დამარცხებაში შეიტანეს დასავლეთის სახელმწიფოებმა — აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებმაც 1942-1945 წლებში მოამზადეს და განახორციელეს საკმაოდ მასშტაბური სამხედრო ოპერაციები როგორც ჩრდილოეთ აფრიკაში, ისე დასავლეთ ევროპაში.

დასავლეთის სახელმწიფოების მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში ფართოდაა გაშუქებული ისტორიოგრაფიაში. საკმარისია ითქვას, რომ ოფიციალური ამერიკული გამოცემა „აშშ-ს არმია მეორე მსოფლიო ომში" 96 ტომს ითვლის, ხოლო მეორე მსოფლიო ომის ოფიციალური ბრიტანული ისტორიოგრაფია 80 ტომისაგან შედგება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლა სულაც არ არის დასრულებული. ჯერ კიდევ ვრცელია საკითხთა წრე, რომელიც მკვლევართა შორის დავას იწვევს და რომელთა შემდგომი დამუშავება-დაზუსტება მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ: მისი დიპლომატიური მომზადების ისტორია. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ აღნიშნული პრობლემის მონოგრაფიულ დამუშავებას ეძღვნება. მასში კონკრეტულად გაანალიზებულია აშშ-ინგლისის მთავრობათა დიპლომატიური საქმიანობა 1941-1943 წლებში დასავლეთ ევროპაში სრულფასოვანი მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელებისათვის.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1941-1943 წლები: 1941 წლის იენისიდან, როდესაც დაიწყო აქტიური დიპლომატი-

ური კონსულტაციები, ერთი მხრივ, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, ხოლო, მეორე მხრივ, სსრ კავშირს შორის – 1943 წლის ნოემბერ-დეკემბრის დიდი სამეულის თეირანის სამიტის ჩათვლით, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა დასავლეთ ევროპაში სრულფასოვანი მეორე ფრონტის გახსნის საკითხი და განსაზღვრა საომარი ოპერაციების დაწყების დრო და ადგილი.

საკვლევი პრობლემა, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ნებისმიერი სხვა საკითხი, ყოველთვის იყო მოქცეული ისტორიკოსთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში. ამასთან, მეორე ფრონტის გახსნის საკითხი უდავოდ უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურად, რომლის ირგვლივ აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა, არ წყდება მეცნიერული კამათი.

მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადებისა და განხორციელების პრობლემის მეცნიერული დამუშავება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც შეეხო მეორე მსოფლიო ომის ისტორიას ზოგადად, არ უვლიდა გვერდს აღნიშნულ პრობლემას. პირველები, ვინც გულდასმით გაანალიზეს მეორე ფრონტთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები და მოგვცეს თავიანთი შეფასებები, იყვნენ პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწენი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მეორე ფრონტის მომზადებასა და განხორციელებაში: უ. ჩერჩილი,[1] დ. ეიზენჰაუერი,[2] რ. შერვუდი,[3] ა. იდენი,[4] ჰ. სტიმსონი,[5] უ. ლეგი[6] და სხვ.

მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების საკითხს საგანგებო ყურადღება ექცეოდა მეორე მსოფლიო ომის ისტორიისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ გამოკვლევებში, რომელთაგან

---

[1] **W. S. Churchill.** The Second World War, in 6 vols, New York, 1961-1962; **У. Черчилль.** Вторая мировая война, в 3-х книгах, М., 1991.
[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, New York, 1948; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, М., 1980.
[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins. An Intimate History, New York, 1948; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс. Глазами очевидца, в 2-х книгах, М., 1958.
[4] **The Memoirs of Sir Anthony Eden,** vol. 3, The Reckoning, L., 1965.
[5] **H. Stimson, M. Bundy.** On Active Service in Peace and War, New York, 1971.
[6] **W. Leahy.** I Was There, New York, 1950.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მ. მეტლოფისა და ე. სნელის;[1] ჯ. ფულერის;[2] ბ. ლიდელ ჰარტის;[3] ჯ. გუაიერის,[4] ჯ. ბატლერის,[5] მ. ჰოუარდის,[6] ჯ. ერმანის;[7] ა. ტეილორის[8] და სხვ. ნაშრომები. პრობლემა განხილულია მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ ზოგადი ხასიათის საბჭოურ გამოცემებში.[9]

პარალელურად მიმდინარეობდა კონკრეტულად მეორე ფრონტის დიპლომატიური და სამხედრო მომზადების ისტორიის საგანგებო კვლევა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გ. ჰარისონის, უ. მაკნეილის, ჰ. ფეისის, რ. ბეიტცელის და სხვ. ნაშრომები.

ამერიკელი ისტორიკოსის გორდონ ჰარისონის წიგნი „შეტევა არხზე" (გამოიცა 1951წ.)[10] ფაქტობრივად იყო პირველი სრულფასოვანი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც მიეძღვნა უშუალოდ მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების საკითხს. მასში დაწვრილებით არის აღწერილი ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის დეტალები, მაგრამ ამ ნაშრომს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლი მაინც გააჩნია. გ. ჰარისონს ყურადღება არა აქვს გამახვილებული მეორე ფრონტის მომზადების დიპლომატიურ ასპექტებზე და მხოლოდ მოკლედ იხილავს მათ.

---

[1] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование в коалиционной войне, 1941-1942, М., 1955.

[2] **Дж. Фуллер.** Вторая мировая война. 1939-1945 гг. М., 1954.

[3] **B. H. Liddell Hart.** History of the Second World War, New York, 1971; **Б. Лиддел Гарт.** Вторая мировая война, М., 1975.

[4] **J. Gwyer.** Grand Strategy. June 1941 – August 1942, vol. 3, part 1, L., 1964.

[5] **J. Butler.** Grand Strategy. June 1941 – August 1942, vol. 3, part 2, L., 1964.

[6] **M. Howard.** Grand Strategy. August 1942 – September 1943, vol. 4, L., 1971; **М. Говард.** Большая стратегия. Август 1942–Сентябрь 1943, М., 1980.

[7] **J. Ehrman.** Grand Strategy. August 1943 – September 1944, vol. 5, L., 1956; **Дж. Эрман.** Большая стратегия. Август 1943–Сентябрь 1944, М., 1958; **J. Ehrman.** Grand Strategy. October 1944 – August 1945, vol. 6, L., 1956; **Дж. Эрман.** Большая стратегия. Октябрь 1944–Август 1945, М., 1958.

[8] A. Taylor. The Second World War, L., 1975.

[9] **История второй мировой войны,** в 12-х томах, М., 1973-1982; **История Великой Отечественной войны,** в 6-ти томах, М., 1960-1965; **Г. А. Деборин.** Вторая мировая война, М., 1958; **А. С. Самсонов.** Вторая мировая война, 1939-1945, М., 1985 და ა.შ.

[10] **G. Harrison.** Cross-Channel Attack, Wash., 1951.

რაც შეეხება უ. მაკნეილის,[1] ჰ. ფეისისა[2] და რ. ბეიტცელის[3] ნაშრომებს, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა სწორედ მეორე ფრონტის დიპლომატიურ მომზადებას, მათ ყველას გააჩნია ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი. მეორე ფრონტის პრობლემა აქ ძირითადად განხილულია, როგორც, ერთი მხრივ, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, ხოლო, მეორე მხრივ, სსრ კავშირს შორის ურთიერთობების ერთ-ერთი ასპექტი. გარდა ამისა, ამ მკვლევარებზე, განსაკუთრებით რ. ბეიტცელზე, თავისი გავლენა მოახდინა ცივი ომის კონიუნქტურამაც. თავის მხრივ, მეორე ფრონტის მომზადების პრობლემაზე მუშაობდნენ საბჭოთა მკვლევარებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი იმთავითვე მოქცეული იყვნენ მკაცრ იდეოლოგიურ მარწუხებში, რაც მათ, ბუნებრივია, ხელს უშლიდა საკითხის ობიექტურ გაშუქებაში. ამის ნათელი დადასტურებაა უკვე 1947წ. გამოსული მ. ტოლჩონოვის წიგნი: „მეორე ფრონტის მომზადების კულისებს მიღმა".[4] შემდგომში მეორე მსოფლიო ომში ინგლისისა და აშშ-ს მონაწილეობის საკითხებზე მუშაობდნენ ნ. იაკოვლევი,[5] ი. უნდასინოვი,[6] ლ. პოზდეევა,[7] ვ. კულიში,[8] ვ. ისრაელიანი,[9] ო. რჟეშევსკი,[10] ი. ზემსკოვი,[11] ვ. სეკისტოვი[12] და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს ნაშრომი რაიმე განსაკუთრებული ორიგინალურობით არ გამოირჩევა, რაც არც არის გასაკვირი, რადგანაც მკვლევარები

---

[1] **W. McNeill.** America, Britain and Russia. Their Cooperation and Conflict, New York, 1953.

[2] **H. Feis.** Churchill, Roosevelt and Stalin. The War They Waged and the Peace They Sought, Princeton, 1957.

[3] **R. Beitzell.** The Uneasy Alliance: America, Britain and Russia, 1941-1943, New York, 1972.

[4] **М. П. Толчёнов.** За кулисами подготовки второго фронта, М., 1947.

[5] **Н. Н. Яковлев.** США и Англия во второй мировой войне, М., 1961.

[6] **И. Н. Унданьянов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, М., 1965.

[7] **Л. В. Поздеева.** Англо-американские отношения в годы второй мировой войны. 1941-1945гг., М., 1969.

[8] **В. М. Кулиш.** История второго фронта, М., 1971.

[9] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны. 1941-1945, М., 1985.

[10] **О. А. Ржешевский.** История второго фронта, М., 1988.

[11] **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта в Европе, М., 1982.

[12] **В. А. Секистов.** Война и политика, М., 1989.

ოძულებულნი იყვნენ, დაყრდნობოდნენ საბჭოთა ინფორმბიუროს მიერ 1948წ. გამოცემულ ცნობარს: „ისტორიის ფალსიფიკატორები“,[1] რომელშიც, მართალია, დროთა განმავლობაში უამრავი ფაქტობრივი შეცდომა იქნა „აღმოჩენილი“, მაგრამ ამ პრობლემის დიპლომატიური მხარის გაშუქების თვალსაზრისით თითქმის უნაკლოდ იქნა მიჩნეული.[2] ამ ნაშრომებიდან საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ი. უნდასინოვის, ვ. კულიშისა და ი. ზემსკოვის მონოგრაფიებზე, რომლებიც სწორედ მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების ისტორიას ეძღვნება და უშუალოდ ეხმიანება ჩვენს მიერ არჩეულ საკვლევ პრობლემას.

ი. უნდასინოვის ნაშრომი „რუზველტი, ჩერჩილი და მეორე ფრონტი“ 1941-1943 წლებს მოიცავს. ძირითადი აქცენტი მასში გაკეთებულია 1942-1943 წლებში მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობაზე. ავტორი ყოველმხრივ ცდილობს, დაამტკიცოს, რომ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მეთაურები შეგნებულად აჭიანურებდნენ საფრანგეთში შეჭრას. ამისათვის ის არაფერს არ ერიდება, ზოგ შემთხვევაში კი უბრალოდ ყალბ ინფორმაციას იძლევა, მაგალითად: დ. ეიზენჰაუერის სიტყვები: „ეს არის ყველაზე შავი დღე ისტორიაში“[3] – 22 ივლისიდან 24 ივლისზე აქვს გადატანილი,[4] ხოლო ფ. რუზველტისა და მისი ვაჟის – ელიოტის დიალოგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1943წ. სექტემბერში[5], რატომღაც 1943წ. მაისში მიმდინარე მოვლენების კონტექსტშია მოყვანილი.[6] ყოველივე ეს, ბუნებრივია, მის ნაშრომს მნიშვნელოვნად აუფასურებს.

მსგავსი მიზნებითაა გამსჭვალული ვ. კულიშის „მეორე ფრონტის ისტორიაც“, რომელიც 1971წ. გამოიცა და რომელშიც გაერთიანებულია ავტორის ორი უფრო ადრინდელი ნაშრომი („მეორე ფრონტი. ოპერაციები დასავლეთ ევროპაში. 1944-1945“ და „გახსნილი საიდუმლო. ევროპაში მეორე ფრონტის წინაის-

---

[1] **Фальсификаторы истории** (Историческая справка), М., 1948.
[2] **В. М. Кулиш.** История второго фронта, გვ. 8.
[3] **H. C. Butcher.** My Three Years With Eisenhower, New York, 1946, გვ. 29.
[4] **И. И. Уидасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 69.
[5] **Э. Рузвельт.** Его глазами, М., 1947, გვ. 135.
[6] **И. И. Уидасынов.** Рузвельт, Черчилль.., გვ. 85.

ტორია").[1] ისევე როგორც ი. უნდასინოკი, ვ. კულიშიც ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ დაადანაშაულოს ფ. რუზველტი და უ. ჩერჩილი მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებაში. უფრო მეტიც, მან თავის წინამორბედებსაც კი გადააჭარბა და განაცხადა, რომ ინგლისს ლა-მანშის სრუტის ფორსირება ჯერ კიდევ 1941 წელს შეეძლო და ამ ოპერაციის უარყოფა მხოლოდ ბრიტანეთის პრემიერის სტრატეგიული მოსაზრებებით ახსნა.[2] თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ „ნოვაციით" ამოიწურება ვ. კულიშის „წვლილი" მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების შესწავლის საკითხში.

რაც შეეხება ი. ზემსკოვს, მან 1982წ. გამოსულ წიგნში: „ევროპაში მეორე ფრონტის დიპლომატიური ისტორია"[3] – პრაქტიკულად მთლიანად გაიზიარა ვ. კულიშის დასკვნები, თუმცა რაიმე ახალი არგუმენტები მათ განსამტკიცებლად არ მოუტანია.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ბრიტანულ-ამერიკულ, ისე საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდ არის შესწავლილი დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადებისა და განხორციელების პრობლემა, აღნიშნული თემის შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობები სულაც არ არის ამოწურული. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნულ პრობლემაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილებას და ცალკეული საკითხების გაშუქებაში მეტი სიცხადის შეტანას. მასში ჩვენ შეეეცადეთ მონოგრაფიულად შეგვესწავლა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში, კერძოდ: რამდენადმე სრულად გავაანალიზეთ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მიერ მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების მიზნით გაწეული კონკრეტული დიპლომატიური საქმიანობა 1941-1943 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ისტორიკოსები პრაქტიკულად გამოთიშული იყვნენ მეორე მსოფლიო ომის გლობალური პრობ-

---

[1] **В. М. Кулиш.** Второй фронт. Операции в Западной Европе в 1944-1945гг., М., 1960; მისივე Раскрытая тайна. Предистория второго фронта в Европе, М., 1965.

[2] **В. М. Кулиш.** История второго фронта, გვ. 67.

[3] **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта в Европе.

ლემების შესწავლა-დამუშავებას[1] და იძულებული იყვნენ, ძირითადად საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების დიდ სამამულო ომში მონაწილეობის საკითხებზე მუშაობას დასჯერებოდნენ.[2] ამდენად, ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ფაქტობრივად პირველ ცდას უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მეცნიერული შესწავლისა საქართველოში.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრებები საკვლევი პრობლემის ცალკეულ საკითხებზე, კერძოდ: „ატლანტიკურ" კონფერენციაზე იაპონიის საკითხზე ჩერჩილის მიერ დაკავებულ პროვოკაციულ პოზიციასთან დაკავშირებით; ნაშრომში გადასინჯულია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, რომ „ატლანტიკური ქარტიის" მე-3 მუხლი „ბუნდოვან" ხასიათს ატარებს და გამოთქმულია მოსაზრება, თუ რატომ იგებდნენ „ბუნდოვნად" ამ პუნქტს საბჭოთა მკვლევარები; გაკეთებულია აქცენტი აშშ-ს პრეზიდენტის პოზიციის ცვლაზე მეორე ფრონტის გახსნის ადგილის საკითხთან დაკავშირებით; ხაზგასმულია

---

[1] ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს **ვ. გურულის** ნაშრომები: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიოგრაფია მილიტარიზმისა და რევანშიზმის სამსახურში"; „ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში"; და „პარტიზანული მოძრაობის ისტორიის ფალსიფიკატორები", – მეორე მსოფლიო ომის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიტიკა, 3 ნაკვეთად, თბ., 1985.

[2] **ა. იოსელიანი.** საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-1945), თბ., 1958; **ი. ბაბალაშვილი.** საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში (1942 წელი), თბ., 1975; **მისივე,** Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны 1941-1945 гг., Тб., 1977; **К. В. Цкитишвили.** Закавказье в годы Великой Отечественной войны 1941-1945 гг., Тб., 1969 და სხვა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში მაინც შეიქმნა დასავლეთის სახელმწიფოების (განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის) პოლიტიკური ისტორიის მეცნიერული ძველების გარკვეული ტრადიცია, რომლის დადასტურებას წარმოადგენს ლ. სვანაძისა და ა. ნიკვაიძის გამოკვლევები: **ლ. სვანაძე.** უინსტონ ჩერჩილი და კონსერვატორები, თბ., 1989; **მისივე,** Великобритания: консерваторы и проблемы послевоенного развития. 1945-1955, М., 1984; **А. Чикваидзе.** Английский кабинет до второй мировой войны, Тб., 1976.

ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა მიერ 1942 წლის შემოდგომაზე ჩატარებული ოპერაციის განხორციელების სამხედრო მნიშვნელობა და გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ტორჩის" წარმატებით დასრულების შემდეგ ინგლისელებს და ამერიკელებს მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ ბრძოლის გასაგრძელებლად საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაშიც; შედარებით ვრცლად არის გაშუქებული კასაბლანკას კონფერენცია, რომელსაც საბჭოთა მკვლევარები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ; მოცემულია დასავლურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულების კრიტიკა იმის შესახებ, რომ თითქოს „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპის გამოცხადება რუზველტისა და ჩერჩილის მხრიდან იყო შეცდომა და ამან გამოიწვია ომის ვადების გაჭიანურება; ყურადღებაა გამახვილებული სტალინის დამოკიდებულებაზე თურქეთის ომში ჩაბმისადმი თეირანის კონფერენციაზე და გამოთქმულია მოსაზრება, თუ რით იყო გამოწვეული მისი ორჭოფული დამოკიდებულება ამ საკითხისადმი; მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურება ახსნილია აშშ-ინგლისის შეიარაღებულ ძალებში არსებული პრობლემებით, კერძოდ: მათი სამხედრო მომზადების დაბალი დონით.

ნაშრომი აგებულია პრობლემის ირგვლივ არსებულ დოკუმენტურ მასალაზე. პირველ რიგში, ესაა მიმოწერა სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ლიდერებს შორის,[1] მეორე მსოფლიო ომის პერიოდის კონფერენციების მასალები,[2] საბჭოთა კავშირ-აშშ-ს და სსრკ-ინგლისის ურთიერთობების ამსახველი სხვა დო-

---

[1] **Переписка** председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945 гг., в 2-х томах, М., 1957.

[2] **თეირანი, იალტა, პოტსდამი.** – დოკუმენტების კრებული, თბ., 1969; Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945 гг., в 6-ти томах, т. I. Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943 г.), М., 1978; т. II. Тегеранская конференция руководителей трёх союзных держав – СССР, США и Великобритании (28 ноября – 1 декабря 1943г.), М., 1978; **Foreign Relations of the United States** (შემდგომში FRUS), The Conferences at Washington, 1941-1943, and Casablanca, 1943, Wash., 1968; FRUS, The Conferences at Washington and Quebec, 1943, Wash., 1970.

კუმენტები და ა. შ.[1] საისტორიო წყაროს სახით, აგრეთვე, ფართოდ არის გამოყენებული მემუარული ლიტერატურა.[2]

---

[1] **Внешняя политика** Советского Союза в период Отечественной войны. Документы и материалы. В 3-х томах, т. I-II, М., 1946, т. III, М., 1947; **Советского-английские отношения** во время Великой Отечественной войны, 1941-1945. Документы и материалы, в 2-х томах, М., 1983; **Советско-американские отношения** во время Великой Отечественной войны, 1941-1945. Документы и материалы, в 2-х томах, М., 1984; **The Annals of America.** Vol. 16. 1940-1949. The Second World War and After, by Encyclopaedia Britannica, inc., 1976.

[2] **მ. ჯილასი.** საუბრები სტალინთან, თბ., 1991; **H. H. Arnold.** Global Mission, New York, 1948; **Ch. Bohlen.** Witness to History. 1929-1969, New York, 1973; **O. Bradley.** A Soldier's Story, New York, 1951; **О. Брэдли.** Записки солдата, М., 1957; **H. C. Butcher.** My Three Years With Eisenhower; **W. S. Churchill.** The Second World War; **У. Черчилль.** Вторая мировая война; **M. W. Clarc.** Calculated Risk, New York, 1950; **D. Eisenhower.** Crusade in Europe; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу; **The Memoirs of Sir Anthony Eden,** vol. 3. The Reckoning, L., 1965; **W. D. Leahy.** I Was There; **The Memoirs of Field-Marshal the Viscount Montgomery of Alamein,** L., 1958; **B. Montgomery.** 21-st Army Group. Normandy to the Baltic Germany, L., 1964; **R. Murphy.** Diplomat Among the Warriors, New York, 1963; **G. S. Patton.** War As I Knew It, Boston, 1946; **H. L. Stimson, M. Bundy.** On Active Service in Peace and War, New York, 1971; **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс; Вторая мировая война в воспоминания Уинстона Черчилля, Шарля де Голля, Кордэлла Хэлла, Уильяма Леги, Дуайта Эйзенхауэра, – сборник, сост. **Е. Я. Трояновская,** М., 1990; **В. М. Бережков.** Страницы дипломатической истории, М., 1987; **Ш. де Голль.** Военные мемуары, т. I, М., 1957, т. II, М., 1960; **Р. Ингерсолл.** Совершенно секретно, М., 1947; **И. М. Майский.** Воспоминания советского посла. Война 1939-1943, М., 1965; **Л. Мойзиш, Э. Базна.** Операция "Цицерон". Я был Цицероном, М., 1965; *Роковые решения* (воспоминания немецких генералов), – ред. **П. А. Жилин** М., 1958; **М. Риджуэй.** Солдат, М., 1958; **Э. Рузвельт.** Его глазами [illegible]

თავი I

გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და აშშ-ინგლისის პირველი დიპლომატიური ნაბიჯები მეორე ფრონტის მომზადების გზაზე

1941წ. 22 ივნისს გერმანია შეუდგა „ბარბაროსას" გეგმის განხორციელებას და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ყველაზე სისხლისმღვრელი ეტაპის დასაწყისი. საბჭოთა კავშირი მოუმზადებელი აღმოჩნდა და პირველსავე დღეებში ტერიტორიის დიდი ნაწილი დაჰკარგა. სამხედრო თვალსაზრისით გერმანელებს ძალიან დიდი უპირატესობა გააჩნდათ და ისინი რამდენიმე კვირაში აპირებდნენ ომის დამთავრებას.[1] და აი, ამ უმძიმეს, თითქმის უიმედო ვითარებაში საბჭოთა კავშირს დახმარების ხელი გაუწოდა და მოკავშირეობა შესთავაზა ინგლისმა. 22 ივნისს საღამოს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მან თავის ერთადერთ მიზნად გამოაცხადა ჰიტლერისა და ნაცისტური რეჟიმის მოსპობა და დაჰპირდა მთელ შესაძლო დახმარებას საბჭოთა კავშირს.[2] ერთი შეხედვით, ეს მოულოდნელი იყო: ჩერჩილს ხომ მთელი მსოფლიო იცნობდა, როგორც კომუნიზმის ყველაზე დაუძინებელ მტერს,[3] მაგრამ თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ 1941წ. ზაფხულისათვის ევროპაში შექმნილ სიტუაციას, ინგლისის პრემიერის მოქმედება უთუოდ კანონზომიერი იყო. ის მთლიანად ჯდებოდა XIX ს. შუახანების ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწის –

---

[1] **Ф. Гальдер.** Военный дневник: Ежедневные записи начальника генерального штаба сухопутных войск. 1939-1942гг. М., 1971, т. 3, кн. 1, გვ. 79-80

[2] **W. S. Churchill.** The Second World War, Vol. 3. The Grand Alliance, New York, 1962, გვ. 314-315; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 2, გვ. 170-171.

[3] ამ მხრივ, ნიშანდობლივია თავად ჩერჩილის მიერ 1941წ. 22 ივნისს წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტი: „უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არავინ იბრძოდა კომუნიზმის წინააღმდეგ ჩემზე უფრო შეუჯერად და მე უკან არ წავიღებ ამ თვალსაზრისს ჩემს მიერ ნათქვამ არც ერთ სიტყვას.., მაგრამ ახლა ჩემი ერთადერთი მიზანია მოვსპოთ ჰიტლერი და ნაცისტური რეჟიმის ყოველგვარი ნასახი" (**W. S. Churchill.** The Second World War, vol 3, გვ. 314.).

ლორდ პალმერსტონის ცნობილ ფორმულაში: „ჩვენ არ გვყავს მუდმივი მტრები და მუდმივი მოკავშირეები. ჩვენ გვაქვს მუდმივი ინტერესები“.[1] ჩერჩილიც სწორედ თავისი ქვეყნის ინტერესებით მოქმედებდა, როდესაც სტალინთან კავშირზე მიდიოდა. უფრო მეტიც, 22 ივნისის სიტყვა სულაც არ იყო პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით.

ჩერჩილმა ჯერ კიდევ 1940წ. 25 ივნისს მისწერა სტალინს წერილი და შესთავაზა სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარება,[2] მაგრამ მაშინ საბჭოთა ლიდერმა უპასუხოდ დატოვა ეს წინადადება. რუსი მკვლევარი ა. ორლოვი ამას სტალინის შეცდომად თვლის,[3] მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ასე არ უნდა იყოს. დიუნკერკის კატასტროფის შემდეგ ინგლისი ფაქტობრივად განიარაღებული აღმოჩნდა. ქვეყანას დარჩა მხოლოდ 500-მდე სხვადასხვა ტიპის ტანკი და ამდენივე საარტილერიო ერთეული.[4] ამას თან დაერთო საფრანგეთის კაპიტულაციაც. ამგვარ სიტუაციაში სტალინს, რომელმაც კარგად იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი სულაც არ იყო მზად გერმანიასთან ომისთვის, რასაც აუცილებლად გამოიწვევდა ინგლისთან კავშირის დადება, არ შეეძლო ასეთი სახიფათო ნაბიჯის გადადგმა. გარდა ამისა, მას შესაძლოა შეეშინდა, რომ ბრიტანეთის პრემიერი სსრკ-ს პროვოკაციულად ჩააბამდა გერმანიასთან ომში, თვითონ კი ჰიტლერს დაუზავდებოდა.

სტალინის ამგვარ სიფრთხილეს სხვა, უფრო საფუძვლიანი მიზეზიც ჰქონდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩერჩილი კომუნიზმის დაუძინებელი მტერი იყო. სტალინს არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და ასე ერთბაშად ერწმუნა ბრიტანეთის ლიდერის გულწრფელობა. სწორედ ამიტომ დატოვა მან უპასუხოდ ინგლისის პრემიერის წინადადება. ანალოგიური

---

[1] **Н. Н. Яковлев.** США и Англия во второй мировой войне, М., 1961, გვ. 7.

[2] **W. S. Churchill.** The Second World War. Vol. 2. Their Finest Hour, New York, 1962, გვ. 116-117; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 1, გვ. 366-367.

[3] **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 2, გვ. 157, – რედაქტორის შენიშვნა.

[4] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. 2, გვ. 124-125; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 1, გვ. 368.

სიტუაცია განმეორდა 1941წ. აპრილშიც, როდესაც ჩერჩილმა აცნობა სტალინს რუმინეთიდან პოლონეთში სამი სატანკო დივიზიის გადასროლისა და ბელგრადში რევოლუციის დაწყების შემდეგ მათი უკან დაბრუნების შესახებ.[1] სტალინმა არც ამ წერილზე მოახდინა რაიმე რეაგირება. ის დარწმუნებული იყო, ჰიტლერი ინგლისთან ომის დამთავრებამდე არ დაესხმოდა თავს საბჭოთა კავშირს და იმედოვნებდა, რომ ეს 1942 წლამდე მაინც არ მოხდებოდა, მაგრამ შეცდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა არც 1941წ. 22 ივნისის შემდეგ გადადგა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი და ჩერჩილი იძულებული გახდა, პირადად მიეწერა საბჭოთა ლიდერისათვის 7 ივლისს.[2] მხოლოდ ამის შემდეგ დარწმუნდა სტალინი ჩერჩილის გულწრფელობაში და საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩის სტაფორდ კრიპსის პირით შეუთვალა მას, რომ გაეკეთებინათ ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ორი პუნქტი უნდა ყოფილიყო: 1) ურთიერთდახმარება მისი ხასიათისა და სიდიდის განუსაზღვრელად; და 2) ორივე მხარეს უნდა განეცხადებინა, რომ არ დადებდა სეპარატულ ზავს.[3] ამით ორივე მხარე პრინციპში შეთანხმდა მომავალ თანამშრომლობაზე და სულ მალე გადაიდგა კიდეც კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. უკვე 1941წ. 12 ივლისს დაიდო ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმოების შესახებ.[4] საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი მიიჩნია მეორე ფრონტის გახსნის წინაპირობად. 18 ივლისს ჩერჩილისადმი გაგზავნილ წერილში სტალინი გამოთქვამდა თხოვნას, გახსნილიყო მეორე ფრონტი საფრანგეთში ან არქტიკაში. საინტერესოა, რომ, მისი თქმით, ჩრდილოეთში ოპერაციის ჩატარებისას ინგლისური დესანტი საჭირო არც იქნებოდა. მათგან სტალინი ითხოვდა მხოლოდ საზ-

---

[1] W. S. Churchill. The Second World War, vol. 3, გვ. 303; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 2, გვ. 160.

[2] **Переписка..,** т. 1, გვ. 9.

[3] W. S. Churchill. The Second World War, vol.3, გვ. 323; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 2, გვ. 177.

[4] **Советско-английские отношения..,** т. 1, გვ. 82.

ღვაო და საჰაერო ძალების მოშველებას.[1]

ინგლისელებმა მართლაც ჩაატარეს ერთი ამგვარი ოპერაცია. 30 ივლისს მათ დაბომბეს გერმანული ბაზები კირკენესსა და პეტსამოში. ეფექტი ამ ოპერაციისა უმნიშვნელო იყო, დანაკარგები კი – დიდი, რაც გერმანელთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სიძლიერემ გამოიწვია.[2] საბჭოთა მთავრობამ კი სექტემბერში უკვე მოითხოვა მეორე ფრონტის გახსნა ბალკანეთში ან საფრანგეთში აღმოსავლეთის ფრონტიდან 30-40 გერმანული დივიზიის მოსახსნელად. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი ითხოვდა დახმარებას: 30 ათ. ტონა ალუმინს ოქტომბრისათვის და ყოველთვიურად 40 თვითმფრინავსა და 500 ტანკს.[3] ინგლისისა და აშშ-ს ხელმძღვანელობას არ გამოუჩენიათ დიდი ინიციატივა ამ მოთხოვნების შესასრულებლად და ეს არც იყო გასაკვირი. ვაშინგტონში და ლონდონში არ სჯეროდათ, რომ საბჭოთა კავშირი დიდხანს გაძლებდა ომში და არ სურდათ გაეგზავნათ იარაღი, რომელიც შეიძლებოდა გერმანელთა ხელში მოხვედრილიყო. რაც შეეხება საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნას, ინგლისელებს 1941წ. ამის გაკეთება არც უფიქრიათ, რადგანაც ეს მათი აზრით ავანტიურა იქნებოდა.[4] ჩერჩილმა თავისი პოზიცია მორალური არგუმენტებითაც გაამაგრა. სექტემბრის დასაწყისში ინგლისში საბჭოთა კავშირის ელჩმა ი. მაისკიმ გამოთქვა წყენა გაერთიანებული სამეფოს უმოქმედობის გამო და შეახსენა პრემიერს, რომ სსრ კავშირი უკვე 11 კვირის განმავლობაში მარტოდმარტო ებრძოდა საერთო მტერს. ამის პასუხად ჩერჩილმა ელჩს ყოველგვარი მობოდიშების გარეშე განუცხადა, რომ საბჭოთა მხარეს არ ჰქონდა მორალური უფლება რაიმე საყვედურისა, ვინაიდან სულ ოთხი თვის წინ, როდესაც ინგლისელები დასაშვებად მიიჩნევდნენ საბჭოთა კავშირის ჩაბმას ომში გერმანიის

---

[1] **Переписка..**, т. I, გვ. 11.

[2] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, М., 1985, გვ. 23; **История второй мировой войны**, т. IV, М., 1975, გვ. 115, 124

[3] **Переписка..**, т. I, გვ. 19.

[4] **J. Gwyer.** Grand Strategy. June 1941 – August 1942, vol. 3, part I, L., 1964, გვ. 94-95; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия. Июнь 1941 – август 1942, М., 1967, გვ. 89.

მხარეზე, მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და მაინც დარწმუნებულნი იყვნენ საბოლოო გამარჯვებაში.[1]

გააქტიურდა აშშ-ს დიპლომატიაც. 1941 წლის ივლისის ბოლოს მოსკოვში ჩამოვიდა რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰარი ჰოპკინსი. ოფიციალურად მას ევალებოდა იმის გარკვევა, თუ რისი მიწოდება სჭირდებოდა საბჭოთა კავშირს ომის წარმატებით საწარმოებლად, თუმცა სინამდვილეში ჰოპკინსის მისიის მთავარი მიზანი იყო, დარწმუნებულიყო სსრკ-ს შემდგომ ბრძოლისუნარიანობაში.[2] 30 და 31 ივლისს მას ორი ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა სტალინთან, რომელიც დაჰპირდა ამერიკელ დიპლომატს, რომ ფრონტის სტაბილიზირება მოხდებოდა არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა და რომ ფრონტის ხაზი იმ დროისათვის გადმოიწევდა აღმოსავლეთისაკენ არა უმეტეს 100 კმ-ით.[3] ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გულწრფელი იყო ამ შემთხვევაში სტალინი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: მან სავსებით დაარწმუნა ჰოპკინსი, რომ საბჭოთა კავშირი გაუძლებდა გერმანელთა შეტევებს. ამერიკელ ემისარზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინა საბჭოთა ლიდერის მიერ აშშ-ს მხარისათვის წარდგენილმა ნუსხამ, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ყოველივე ის, რაც სჭირდებოდა სსრკ-ს გერმანელთა შეტევის შესაჩერებლად. ეს ჩამონათვალი სრულიად აშკარას ხდიდა, რომ სტალინს სულაც არ ჰქონდა დამარცხების შიში.[4] საბოლოო ჯამში ჰოპკინსმა სავსე-

---

[1] **W. S. Churchill.** The Second World War, vol.3, გვ. 386. ი. მაისკის მტკიცებით, ბრიტანეთის პრემიერის ამ განცხადების საპასუხოდ მან შენიშნა, რომ ყოველივე ეს ნ. ჩემბერლენის ბრალი იყო (**И. М. Майский.** Воспоминания советского посла. გვ. 171-172.).

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 327; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 511.

[3] **Советско-американские отношения..,** т. I, გვ. 82; **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 339.

[4] მაინც რას ითხოვდა სტალინი აშშ-საგან: 1) სახელიფო დანადგარებს; 2) თვითმფრინავების დასაშვებად საჭირო ალუმინს; 3) ტვიბმფრქვევებს; 4) შაშხანებს (**Советско-американские отношения..,** т. I, გვ. 81; **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 339). ჰოპკინსისგან განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა ლიდერი ითხოვდა არა მხოლოდ თვითმფრინავებს, არამედ ალუმინს მათ

ბით კმაყოფილმა დასტოვა მოსკოვი და დაბრუნდა ინგლისში, სადაც შეუერთდა რუზველტთან შესახვედრად მიმავალ ჩერჩილს.

1941წ. 9 აგვისტოს არჯენტიაში დაიწყო აშშ-ს პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის პირველი შეხვედრა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან.[1] აღნიშნული შეხვედრა, რომელიც ისტორიაში „ატლანტიკური კონფერენციის" სახელით შევიდა, საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. მისი ერთადერთი ფასეული შედეგი იყო „ატლანტიკური ქარტიის" მიღება. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ იქნა ზოგიერთი პრინციპი, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო მსოფლიოს მოწყობა ომის შემდეგ, როდესაც „მოსპობილი იქნებოდა ნაცისტური ტირანია". ამის მისაღწევად საჭირო კონკრეტული ნაბიჯები ქარტიაში არ იყო დეკლარირებული და ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც აშშ არ წარმოადგენდა მეომარ მხარეს და ფორმალურად ნეიტრალიტეტს იცავდა. სხვათა შორის, ჩერჩილი მაინც იმედოვნებდა, რომ ეს შეხვედრა რაიმე პრაქტიკულ შედეგებს გამოიღებდა და აშშ ომში უფრო აქტიურად ჩაებმებოდა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა ფუჭი გამოდგა. რუზველტი საფუძვლიანად შიშობდა, რომ ყოვე-

---

დასამზადებლად, რამაც კიდევ უფრო დაარწმუნა ამერიკელი ემისარი სსრკ-ს ბრძოლისუნარიანობაში (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 344; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 549).

[1] ჩერჩილმა და რუზველტმა ერთმანეთი გაიცნეს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც მაშინდელი საზღვაო მინისტრის მოადგილე ფრანკლინ რუზველტი ლონდონში ჩავიდა და ბანკეტზე შეხვდა უინსტონ ჩერჩილს (**Н. И. Яковлев.** Франклин Рузвельт – Человек и политик, М., 1969, გვ. 79). როგორც ჩანს, ჩერჩილმა, რომელსაც იმ დროსაც მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა ინგლისის მთავრობაში და ცნობილ სახელმწიფო მოღვაწედაც ითვლებოდა, არც მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა ამერიკელ ჩინოვნიკს და სწრაფად დაივიწყა ეს შეხვედრა. ყოველ შემთხვევაში, „ატლანტიკური კონფერენციის" წინ მან ბრიტანეთის დომინიონების პრემიერ-მინისტრებს აცნობა, რომ არასოდეს შეხვედრია რუზველტს პირადად. აშშ-ს პრეზიდენტისათვის ეს საკმაოდ გულსატკივი აღმოჩნდა, რადგანაც მას აღნიშნული შეხვედრა ძარღვად ახსოვდა (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 350-351; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 556).

ლი ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნებოდა აშშ-ს ომში ჩაბმისაკენ, წააწყდებოდა გაფთრებულ წინააღმდეგობას კონგრესის მხრიდან, სადაც (ისევე, როგორც ქვეყნის მოსახლეობაში) ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო იზოლაციონისტური ტენდენციები.[1] ამასთან, შესაძლოა, მას იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ საჭირო არ გახდებოდა ომში აშშ-ს სამხედრო ჩარევა და გერმანია დამარცხებული იქნებოდა უშუალოდ დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ. გარდა ამისა, რუზველტს უნდა გაეთვალისწინებინა კიდევ ერთი გარემოება — აშშ-ს არმიის კატასტროფული მდგომარეობა. წარმოუდგენელიც კია, მაგრამ ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისათვის აშშ-ს არმია (იგულისხმება სახმელეთო ძალები) მხოლოდ 174 ათას კაცს ითვლიდა და სპეციალისტების თვალსაზრისით, მსოფლიოში მე-17 იყო.[2] განსაკუთრებით მძიმედ იდგა შეიარაღების საკითხი. 1940წ. ჩატარებული სამხედრო მანევრების დროს ჯარისკაცებს აღჭურვილობის მაგივრობას ლუდის ქილები უწევდნენ, ტყვიამფრქვევებისას — ცოცხები, ნაღმტყორცნებისას — მორები, ტანკების ნაცვლად კი გამოყენებულ იქნა სატვირთო მანქანები წარწერით „ტანკი".[3] მართალია, 1941 წლისათვის მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა და კანონი შერჩევითი სამხედრო ბეგარის შესახებ უფლებას იძლეოდა არმიაში გაწვეულიყო ყოველწლიურად 900 ათასამდე კაცი, მაგრამ ის კრძალავდა სამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელებას, თუ კონგრესი არ გამოაცხადებდა, რომ შეიქმნა ეროვნული უშიშროების ხელყოფის საფრთხე.[4] წარმომადგენელთა პალატაში აღნიშნული საკითხის განხილვა დაემთხვა სწორედ ატლანტიკურ კონფერენციას და პრეზიდენტის წინადადება სამ-

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 367-368; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 569. ამის შესახებ დაწერილებით ის.: **R. Divine.** The Reluctant Belligerent. American Entry into World War II, New York, 1979.

[2] **Th. Parrish.** Roosevelt and Marshall: Partners in Politics and War. The Personal Story, New York, 1989, გვ. 114.

[3] **W. Leuchtenberg.** Franklin Roosevelt and the New Deal. 1932-1940, New York, 1963, გვ. 306-307.

[4] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 366; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 577.

ხედრო სამსახურის კადის გაგრძელების შესახებ გავიდა მხოლოდ ერთი ხმით. ასე რომ, რუზველტმა, რომელმაც კარგად იცოდა კონგრესის წევრების დამოკიდებულება აშშ-ს ომში ჩაბმის საკითხისადმი, ვერ გარისკა არჯენტინაში ბრიტანელებთან რაიმე ხელშეკრულების დადება, რომლის ძალაში შესასვლელად სავალდებულო იქნებოდა საკანონმდებლო ორგანოს რატიფიკაცია და შემოიფარგლა ქარტიით, რომელიც დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და არანაირი დამოწმება კონგრესის მხრიდან არ სჭირდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც რუზველტი არ ჩქარობდა რაიმე პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებას: მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ შესძლებდა ღერძის ქვეყნების გათიშვას და მათთვის იაპონიის ჩამოცილებას. აშშ-ს სამთავრობო წრეებში სავსებით შესაძლებლად მიაჩნდათ მოვლენების ასეთი განვითარება,[1] თუმცა, ჩვენი აზრით, ამგვარი პერსპექტივა პრაქტიკულად გამორიცხული იყო. მართალია, ჯერ კიდევ 1940წ. დასაწყისიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები აშშ-ს სახელმწიფო მდივან კორდელ ჰალსა და აშშ-ში იაპონიის ელჩ კიჩისაბურო ნომურას შორის,[2] მაგრამ, ჩვენი აზრით, იაპონელებს უბრალოდ დრო გაჰყავდათ და ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ თავისი ექსპანსიონისტური ზრახვების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი, თუ სად და ვის წინააღმდეგ განახორციელებდა პირველ დარტყმას, წინასწარი შეთანხმებით (1941 წლის გაზაფხულზე) ასეთ სამიზნედ აშშ იქნა არჩეული.[3] იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშიკე მაცუოკამ ჰიტლერს ბერლინში შეხვედრისას ოფიციალურად დაუდასტურა, რომ ომი აშშ-სთან გარდაუვალი იყო.[4] ორი კვირის შემდეგ კი მან მოსკოვში სტალინ-

---

[1] **H. Stimson, M. Bundy.** On Active Service in Peace and War, New York, 1971, გვ. 386.

[2] **Fr. Marks III.** Wind Over Sand: The Diplomacy of Franklin Roosevelt, Athens, Georgia, 1988, გვ. 96.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. 3, გვ. 153.

[4] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 357; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 565.

ოან დადო პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ.[1] ამ უკანასკნელ ფაქტს უნდა დაეფიქრებინა თეთრი სახლი, მაგრამ, როგორც ჩანს, აშშ-ს დიპლომატიამ სრულიად საპირისპიროდ შეაფასა ეს მოვლენა და გამოიტანა არასწორი დასკვნა, რომ აშშ-ს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. პრაქტიკულად არავინ არ ფიქრობდა, რომ იაპონია თავს დაესხმოდა ამერიკის ბაზებს წყნარ ოკეანეში.[2] შეიძლება ითქვას, რომ 1941 წლის 7 დეკემბრამდე ვაშინგტონი ფუჭი ილუზიებით იყო შეპყრობილი, რამაც განაპირობა კიდეც იაპონელთა წარმატებები წყნარ ოკეანეში ომის პირველ ეტაპზე.

„ატლანტიკური ქარტიის" საბოლოო ვარიანტი 8 პუნქტისაგან შედგებოდა. მასში პრაქტიკულად ჩამოყალიბებული იყო აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიზნები მეორე მსოფლიო ომში. ქარტია ცხადყოფდა, რომ ეს ქვეყნები იზრუნებდნენ თავისუფალი, თანასწორუფლებიანი მსოფლიოსათვის. რუზველტი და ჩერჩილი დოკუმენტის პირველსავე პუნქტში საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ აგრესიული ზრახვები, არ ესწრაფვოდნენ ტერიტორიულ თუ სხვა სახის მონაპოვრებს.[3] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მესამე მუხლი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, აღმდგარიყო ყველა იმ ერის სუვერენული უფლებები და თვითმმართველობა, რომლებსაც ძალით წაართვეს ყოველივე ეს.[4] გარდა ამისა, მხარეები სცნობდნენ ყველა ხალხის უფლებას, თვითონ აერჩია საკუთარი ქვეყნის მმართველობის ფორმა.[5] დანარჩენი პუნქტებიდან, ჩვენი აზრით, აღსანიშნავია მეოთხე — ვაჭრობისა და მსოფლიო ნედლეულის მოხმარების თანაბარი პირობების შექმნა ყველა ქვეყნისათვის (განურჩევლად გამარჯვებულ-დამარცხებულისა);[6] მეექვსე — ნაცისტური ტირანიის

---

[1] **История Дипломатии**, т. IV, М., 1975, გვ. 174-175.

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 414; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 640-641.

[3] **The Annals of America.** Vol. 16. 1940-1949. The Second World War and After, by Encyclopaedia Britannica, inc., 1976, გვ. 89; **Внешняя политика..**, т. I, გვ. 168.

[4] **The Annals of America.** Vol. 16. გვ. 89; **Внешняя политика..**, т. I, გვ. 168.

[5] **The Annals of America.** Vol. 16. გვ. 89; **Внешняя политика..**, т. I, გვ. 168.

[6] **The Annals of America.** Vol. 16. გვ. 89-90; **Внешняя политика..**, т. I, გვ. 168.

მოსპობის შემდეგ ყველა ერისათვის თავის მიწა-წყალზე უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფა;[1] და მერვე – უარის თქმა ძალის გამოყენებაზე და განიარაღება იმ ქვეყნებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ან შეუქმნიდნენ მომავალში სხვა ერებს.[2] .

და მაინც, რამდენად დიდი იყო „ატლანტიკური ქარტიის" მნიშვნელობა? დასავლურ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ეს იყო უბრალოდ დეკლარაცია, რომელიც არაფერს ახალს და განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა.[3] ჩვენი აზრით, ეს არ შეეფერება სინამდვილეს. უპირველეს ყოვლისა, ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმით, რომ აშშ-მ – ფორმალურად ნეიტრალურმა სახელმწიფომ – მეომარ ქვეყანასთან ერთად ჩამოაყალიბა თავისი მიზნები მეორე მსოფლიო ომში. ამასთან, დოკუმენტის მეექვსე პუნქტში ჩაწერილი ფრაზა „ნაცისტური ტირანიის საბოლოო მოსპობის" შესახებ ნათელს ხდიდა, რომ საჭიროების შემთხვევაში აშშ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა გერმანიის წინააღმდეგ ომში. ეს იყო იმის მაჩვენებელი, რომ შეერთებული შტატები არ გადგებოდა განზე ევროპაში მიმდინარე მოვლენებისაგან და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და ტერიტორიის დაცვით. ეს კი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო ანტიჰიტლერული კოალიციის ჩამოყალიბების გზაზე. და ბოლოს, 1942 წლის 1 იანვარს გამოქვეყნებულმა „გაერთიანებული ერების" დეკლარაციამ „ატლანტიკური ქარტია" ფაქტობრივად საერთაშორისო სამართლის დოკუმენტად სცნო.

„ატლანტიკური ქარტია", თავის მხრივ, აღიარა საბჭოთა მხარემაც და შეუერთდა მის ძირითად პრინციპებს 1941წ. 24 სექტემბრის დეკლარაციით.[4] სხვათა შორის, საბჭოური ისტორიოგრაფია ამ ორი დოკუმენტის შედარებისას ყოველმხრივ ცდილობდა, უპირატესობა საბჭოთა განცხადებისათვის მიენიჭებინა. ასე, მაგალითად: ცნობილი მკვლევარი ვ. ისრაელიანი „ატ-

---

[1] **The Annals of America.** Vol. 16. გვ. 90; **Внешняя политика..,** т. I, გვ. 168.
[2] **The Annals of America.** Vol. 16. გვ. 90; **Внешняя политика..,** т. I, გვ. 168.
[3] **J. M. A. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 124; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 108.
[4] **Внешняя политика..,** т. I, გვ. 163-167.

ლანტიკური ქარტიის“ ნაკლად თვლის, რომ მასში არ იყო და სახული კონკრეტული გზები ქარტიაში მოცემული პრინციპების რეალიზაციისათვის, რაც, თავის მხრივ, დეკლარირებული იყო საბჭოთა დოკუმენტში.[1] მაგრამ არ შეიძლება იმ გარემოების უგულებელყოფა, რომ სსრკ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული გერმანიასთან და სტალინისთვის ბევრად უფრო იოლი იყო ასეთი განცხადების გაკეთება, ვიდრე აშშ-ს პრეზიდენტისათვის.

ჩვენ ასევე ვერ დავეთანხმებით ვ. ისრაელიანის დასკვნას, რომ საბჭოთა დეკლარაციაში მსოფლიოს ომის შემდგომი მოწყობის უმთავრესი პრინციპები უფრო სრული სახით არის მოცემული, ვიდრე „ატლანტიკური ქარტიის“ შესაბამის მუხლებში.[2] მისი თქმით, საბჭოთა განცხადებაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ სსრკ თავის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის ცნობდა ხალხთა სუვერენულ უფლებებს, ხელმძღვანელობდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპით და აქედან გამომდინარე იცავდა ყველა ხალხის უფლებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისი ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ.[3] გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი ცნობდა ყველა ერის უფლებას, თავის სახელმწიფოში დაემყარებინა ისეთი საზოგადოებრივი წყობილება და აერჩია ისეთი მმართველობის ფორმა, როგორსაც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ. და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც, ვ. ისრაელიანის აზრით, ატლანტიკური ქარტიის მესამე პუნქტი ატარებს „ბუნდოვან ხასიათს“.[4]

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი არ ხსნის, თუ რა არის ამ მუხლში ბუნდოვანი. შესაძლოა, ის უბრალოდ იზიარებს პოლონელი მკვლევარის ს. ბორატინსკის აზრს, რომ ეს პუნქტი ეხებოდა მხოლოდ გერმანიის ექსპანსიის შედეგად დაზარალებულ ქვეყნებს და არ ვრცელდებოდა ბრიტანეთის იმპერიაზე.[5] მართლაც, ინგლისის მმართველი წრეები და,

---

[1] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 36.
[2] იქვე. გვ. 37.
[3] იქვე.
[4] იქვე. გვ. 36.
[5] **С. Боратынский.** Дипломатия периода второй мировой войны. Международные конференции 1941-1945 годов. М., 1953, გვ. 99.

პირველ რიგში, ჩერჩილი სწორედ ასე უდგებოდნენ ამ მუხლს,[1] მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-ს ხელმძღვანელობა სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა და ამ პრინციპს მთელ მსოფლიოზე ავრცელებდა.[2] რასაკვირველია, ამ მუხლის ორნაირ გააზრებაში დიდ როლს თამაშობდა ის, რომ დიდი ბრიტანეთი კოლონიალური სახელმწიფო იყო, აშშ კი — არა. ამიტომ ამერიკელები არაფერს კარგავდნენ ამ პრინციპის გამოცხადებით, რომელიც დაასამარებდა ბრიტანეთის იმპერიას. ჩვენი აზრით, ქარტიის მესამე პუნქტის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა იმას, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი სხვადასხვანაირად იგებდნენ მასში ჩაქსოვილ აზრს, არამედ იმ ფაქტს, რომ მთელმა მსოფლიომ ეს პუნქტი აღიქვა ისე, როგორც ის ესმოდათ ამერიკელებს. ე. ი. აღნიშნული დებულება სულაც არ იყო ბუნდოვნად ჩამოყალიბებული, უბრალოდ ინგლისელები იკავებდნენ „სირაქლემას პოზას". ჩვენი აზრით, ქარტიის მესამე მუხლი უფრო იმიტომ იყო „ბუნდოვანი" საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის საერთოდ და ვ. ისრაელიანისათვის კერძოდ, რომ მასში ჩამოყალიბებული პრინციპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამრღვევი იყო საბჭოთა კავშირი. უფრო მეტიც, ჩერჩილისა და რუზველტის მიმოწერა ცხადყოფს, რომ ისინი ამ მუხლს სსრკ-ზეც ავრცელებდნენ. მაგალითისთვის კმარა თუნდაც ბრიტანეთის პრემიერის წერილი (1942წ. 7 მარტი) აშშ-ს პრეზიდენტისადმი, რომელშიც მან წამოაყენა წინადადება, საიდუმლოდ ეცნოთ საბჭოთა კავშირის ომამდელი (იგულისხმება 1941წ.) საზღვრები, რათა შეენარჩუნებინათ მოკავშირე.[3] საგულისხმოა, რომ რუზველტმა ჩერჩილს უარი შეუთვალა სწორედ იმ მოტივით, რომ ეს მოახდენდა ატლანტიკური ქარტიის მესამე მუხლის ანულირებას.[4]

---

[1] **С. Боратынский.** Дипломатия.., გვ. 99; **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 363; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 573.

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 363; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 573.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV. The Hinge of Fate, New York, 1962, გვ. 285.

[4] **Ed Grey.** General of the Army. George C. Marshall: Soldier and Statesman, New York, 1990, გვ. 316.

როგორც ჩანს, სტალინიც გრძნობდა ამ მუხლში ჩადებულ ნაღმს და ამიტომაც აღმოჩნდა საბჭოთა დეკლარაციაში ფრაზა, რომ ატლანტიკური ქარტიის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება უნდა მომხდარიყო ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული თავისებურებების, გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.[1] ამით საბჭოთა მხარეს მინიმუმამდე დაჰყავდა ქარტიის პრინციპების სსრკ-ს წინააღმდეგ გამოყენების საფრთხე.

„ატლანტიკური ქარტიის" გარდა არჯენტინაში ინგლისაშშ-ს დიპლომატიის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა იაპონიის საკითხიც, რომლის გარშემოც საკმაოდ ხანგრძლივი კამათი გაიმართა. ჩერჩილი დაბეჯითებით უმტკიცებდა რუზველტს, რომ საჭირო იყო იაპონიის გაფრთხილება, რათა ამ უკანასკნელს შეეწყვიტა აგრესიული პოლიტიკის გატარება. ბრიტანეთის პრემიერი მოითხოვდა აშშ-ს პრეზიდენტისაგან განცხადების გაკეთებას, რომელშიც ნათლად იქნებოდა ნათქვამი, რომ იაპონიის მხრიდან წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში ნებისმიერ წინსვლას მოჰყვებოდა კონტრზომები იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გამოიწვევდა ომს იაპონიასა და აშშ-ს შორის. ჩერჩილმა აღუთქვა რუზველტს, რომ ასეთივე განცხადება გაკეთდებოდა დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების მთავრობების სახელითაც.[2] აშშ-ს პრეზიდენტმა თავდაპირველად უარყო ეს წინადადება, რადგანაც ამგვარი განცხადებით ის იძლეოდა პირობას, რომ საჭირო მომენტში კონგრესისაგან მიიღებდა ომის გამოცხადების უფლებას, ეს კი ძალზე ძნელი მისაღწევი იქნებოდა. გარდა ამისა, მას სულაც არ სურდა ომი იაპონიასთან.[3] და მაინც ჩერჩილმა შესძლო რუზველტის დარწმუნება, რომ სამი ქვეყნის ერთობლივი პოზიცია აიძულებდა იაპონიას, უკან დაეხია და არ დაერღვია სტატუს-ქვო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ ამ შემთხვევაში იქმნებოდა საშიშროება, რომ იაპონია

---

[1] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 166.

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 135; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 115-116.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 356; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 563.

თავის ექსპანსიონისტურ ზრახვებს მიმართავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთი პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა, განცხადებაში შეეტანათ პუნქტი, რომლითაც აშშ-ს მთავრობა აგრძნობინებდა იაპონიას, რომ სსრკ იყო ამერიკის შეერთებული შტატების მეგობარი ქვეყანა და აშშ-ს ხელმძღვანელობა გულგრილი არ დარჩებოდა, თუ რაიმე მსგავს კონფლიქტს (იგულისხმებოდა იაპონიის ექსპანსია — თ. პ.) ადგილი ექნებოდა წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.[1]

უნდა ითქვას, რომ ჩერჩილის პოზიცია იაპონიის საკითხთან დაკავშირებით ატლანტიკურ კონფერენციაზე სულაც არ იყო ცალსახა. ერთი მხრივ, ის უმტკიცებდა რუზველტს, რომ მკვეთრი განცხადება აიძულებდა იაპონიის მთავრობას, საერთოდ შეეწყვიტა ყოველგვარი აგრესიული მოქმედებანი,[2] მაგრამ, მეორე მხრივ, არჯენტიიდან საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გაგზავნილ ბარათში მას ჩამოყალიბებული აქვს იაპონელთა სავარაუდო რეაქციის 2 ვარიანტი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამდა ის განცხადების შესაძლო ეფექტს. ბრიტანეთის პრემიერის აზრით, იაპონელები ან საერთოდ უარყოფდნენ აშშ-ს პრეზიდენტის მიერ წამოყენებულ პირობებს, ან მაინც განაგრძობდნენ თავიანთ სამხედრო აქციებს და ერთდროულად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებსაც.[3] ჩერჩილი თვლიდა, რომ ორივე შემთხვევაში ამოქმედდებოდა პარალელურ დეკლარაციებში ჩადებული შინაარსი და გაერთიანებული ძალებით მოხერხდებოდა იაპონელთა აგრესიის აღკვეთა.[4] როგორც ამ წერილიდან ჩანს, ბრიტანეთის პრემიერი არც კი უშვებდა იმ აზრს, რომ იაპონია უარს იტყოდა თავის ექსპანსიონისტურ ზრახვებზე. ყოველივე ეს ჩვენში გარკვეულ ეჭვებს ბადებს: ხომ არ სურდა ჩერჩილს იაპონიასა და აშშ-ს შორის სამხედრო კონფლიქტის პროვოცირება, რაც აიძულებდა, ბოლოსდაბოლოს, ამერიკის შეერთებულ

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 356; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 563.

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 135-136; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 116.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. 3, გვ. 372.

[4] იქვე.

შტატებს, აქტიურად ჩაბმულიყო მეორე მსოფლიო ომში. მა-კარგად იცოდა, და ამას არც მალავდა კიდეც, რომ ეს პრაქტი-კულად ომის მოგებას ნიშნავდა.[1] ასე რომ, სულაც არ არის გა-მორიცხული, რომ ჩერჩილის ორჭოფულ პოზიციას არჯენტიაში სწორედ ეს მოსაზრება ედო საფუძვლად, თუმცა ისიც უნდ. აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში მას კოვზი ნაცარში ჩაუვარ-და, რადგანაც ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე რუზველტმა, ჰ ჰალის რჩევით, შეცვალა განცხადების ტექსტი და ამოიღო ყო-ველგვარი ხსენება ომის შესახებ.[2] ახალი და საბოლოო ვარიან-ტი ითვალისწინებდა მხოლოდ იმას, რომ აშშ-ს მთავრობა, ია-პონიის მხრიდან რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს მიმართ აგ-რესიის შემთხვევაში, დაიცავდა თავისი ქვეყნისა და მოქალაქე-ების ინტერესებს და უზრუნველყოფდა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას.[3]

ჩერჩილისა და რუზველტის დიპლომატიური მოლაპარაკე-ბების პარალელურად არჯენტიაში მიმდინარეობდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შტაბების უფროსების კონსულტაციები. უნდა აღინიშნოს, რომ მხარეები ძირითადად ერთმანეთს აცნობდნენ თავიანთ მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ომი ევროპაში. ამერიკელები საერთოდ თავს იკავებდნენ ამ თემაზე ზედმეტი ლაპარაკისაგან და მხოლოდ იმის კონსტატაციას სჯერდებოდნენ, რომ მათი მოვალეობა იყო დასავლეთ ნახევარ-სფეროს დაცვა. ამავდროულად ისინი სკეპტიკურად უყურებდნენ ინგლისელთა სტრატეგიას, მოეგოთ ომი ძირითადად საჰაერო დაბომბვებითა და საზღვაო ბლოკადით, ხოლო კონტინენტზე შეჭრილიყვნენ (და ისიც მცირე ძალებით) მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მიაღწევდნენ მოწინააღმდეგის ამ გზით წელში გატეხ-ვას.[4] ამასთან, ამერიკელი სამხედროები საკვანძო სერიოზულად

---

[1] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. 3, გვ. 511.

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 137; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 118.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 356-357; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 1, გვ. 564.

[4] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование в коалиционной войне. 1941-1942, М., 1955, გვ. 75.

სთავაზობდნენ ბრიტანელებს, უარი ეთქვათ შუა აღმოსავლეთის დაცვაზე და ძირითადი ყურადღება გადაეტანათ ატლანტიკაში გერმანული წყალქვეშა ნავებისა და ცალკეული რეიდერების წინააღმდეგ ბრძოლის მოგებაზე.[1] მათი აზრით, სწორედ ატლანტიკისათვის ბრძოლა გადაწყვეტდა ომის საბოლოო შედეგს.[2] რასაკვირველია, შუა აღმოსავლეთის დაცვის საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ ინგლისელების წინააღმდეგობა გამოიწვია, რასაც მოჰყვა სერიოზული კამათი. საბოლოო ჯამში, ბრიტანელებმა დაამტკიცეს აღნიშნულ რეგიონში თავისი პოლიტიკის მართებულობა, მაგრამ, ამავე დროს, ისინი დარწმუნდნენ, რომ ამერიკის არმიას საკუთარი პრობლემები კიდევ დიდხანს არ მისცემდა რაიმე რეალურ ოპერაციაში მონაწილეობის მიღების საშუალებას.[3] ასე რომ, ერთადერთი საკითხი, რომელზეც არჯენტიაში სამხედროებმა მიაღწიეს შეთანხმებას, იყო აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ ატლანტიკაში პატრულირების ზონის გაფართოების გეგმა.[4]

12 აგვისტოს, ატლანტიკური კონფერენციის ბოლო დღეს, ჩერჩილმა და რუზველტმა განიხილეს საბჭოთა კავშირისადმი დახმარების საკითხი. მათ მოისმინეს ჰოპკინსის მოხსენება მოსკოვში ვიზიტის შესახებ და გაუგზავნეს სტალინს ერთობლივი დეპეშა. ჩერჩილმა და რუზველტმა შესთავაზეს საბჭოთა ლიდერს, მოსკოვში მოეწყოთ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ მაღალი ჩინის ბრიტანელი და ამერიკელი მოხელეები. მათ უშუალოდ სტალინთან ერთად უნდა განეხილათ საბჭოთა კავშირისათვის საჭირო ნედლეულისა და საბრძოლო მასალების რაოდენობისა და მიწოდების ვადების საკითხი.[5] საბჭოთა მხარემ, რასაკვირველია, მიიღო ეს წინადადება. დასაზუსტებელი იყო მხოლოდ კონფერენციის მოწვევის თარიღი. სტა-

---

[1] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 125-126; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 109.

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 126; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 109.

[3] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 128.

[4] იქვე, გვ. 125; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 108-109.

[5] **Переписка..,** т. I, გვ. 16; т. II, გვ. 9-10.

ლინს სურდა, ამგვარი შეხვედრა შემდგარიყო რაც შეიძლება მალე, მაგრამ ბრიტანელები და ამერიკელები ამჯობინებდნენ დაცდას ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, როდესაც მოსალოდნელი იყო აღმოსავლეთის ფრონტის სტაბილიზაცია. საბოლოო ჯამში, გადაწყდა რომ ინგლის-აშშ-ს მისიები, რომელთაც შესაბამისად სათაურში ჩაუდგებოდნენ ლორდი ბივერბრუკი და ავერელ ჰარიმანი, მოსკოვში ჩავიდოდნენ სექტემბრის ბოლოს. ამით ატლანტიკურმა კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.

1941წ. 29 სექტემბერს, არჯენტიის კონფერენციის დამთავრებიდან თვენახევრის შემდეგ, მუშაობა დაიწყო მოსკოვის კონფერენციამ.[1] სამი დღის განმავლობაში ჰარიმანი და ბივერბრუკი სტალინთან ერთად იხილავდნენ საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხზე მაინცდამაინც საუბარი არ ყოფილა. სამაგიეროდ, სტალინმა შესაძლებლად ჩათვალა, ეთხოვა ბრიტანელებისათვის დამხმარე ნაწილები, რომლებიც საბჭოთა ჯარებს შეუერთდებოდნენ უკრაინაში.[2] ბივერბრუკმა პასუხად განაცხადა, რომ ინგლისის დივიზიები ირანში იყრიდნენ თავს[3] და სავსებით მისაღებად მიიჩნია მათი გადასროლა საბჭოთა კავშირში, ოღონდ კავკასიაში და არა უკრაინაზე.[4]

---

[1] **История Дипломатии**, т. IV, გვ. 212.

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 387; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 607. სხვათა შორის, ეს საკითხი სტალინმა მანამდეც წამოჭრა მოკავშირეებთან მიმოწერაში და 13 სექტემბერს შესთავაზა ჩერჩილს არხანგელსკის ან ირანის გაკლით გადმოესროლა 25-30 ინგლისური დივიზია სსრკ-ს სამხრეთ რაიონებში, თუმცა აქ არ იყო კონკრეტულად მითითებული მათი შესაძლო გამოყენების ადგილი (**Переписка.**, т. I, გვ. 22).

[3] 1941წ. აგვისტო-სექტემბერში საბჭოთა და ბრიტანეთის ჯარებმა მოახდინეს ირანის ოკუპაცია, რასაც მოჰყვა პროგერმანულად განწყობილი რეზა შაჰის გადადგომა. ირანის ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა – მუჰამედ რეზა ფეჰლევიმ, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა ეთანამშრომლა მოკავშირეებთან. მიუხედავად ამისა, საბჭოთა და ბრიტანული ნაწილები დარჩნენ ირანის ტერიტორიაზე მათთვის გამოყოფილ საოკუპაციო ზონებში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე (**J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 187-191.).

[4] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 387-388; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. I, გვ. 607.

სტალინს, როგორც ჩანს, არ მოეწონა ასეთი ვარიანტი და მოკლედ მოუჭრა ბრიტანელ დიპლომატს, რომ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა უკრაინაში და არა კავკასიაში[1] და ამის შემდეგ უკვე არ დაბრუნებია ამ საკითხს. რაც შეეხება საკუთრივ ეკონომიკურ საკითხებს, თავდაპირველად მათი განხილვაც მძიმედ მიმდინარეობდა, რადგანაც სტალინი აშკარად არ დააკმაყოფილა შემოთავაზებულმა წინადადებებმა. ბრიტანელებს და ამერიკელებს იმისიც კი შეეშინდათ, რომ კონფერენცია ჩაიშლებოდა, მაგრამ 30 სექტემბერს, ბივერბრუკისა და ჰარიმანის საბჭოთა ლიდერთან მესამე შეხვედრისას ვითარება ერთბაშად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა და ბრიტანელებმა პრაქტიკულად გაანახევრეს საბჭოთა მოთხოვნები მზა პროდუქციაზე — თვითმფრინავებზე, ტანკებზე, საზენიტო დანადგარებზე, სატვირთო ავტომანქანებზე და ა. შ., სტალინი მაინცდამაინც არ გაღიზიანებულა და სავსებით დაკმაყოფილდა მოკავშირეთა დაპირებით, რომ ნედლეული მას მიეწოდებოდა სრულად და ზოგიერთ შემთხვევაში გადაჭარბებითაც კი.[2] გადაწყდა, რომ აღნიშნული მასალების მიწოდება მოხდებოდა 1942წ. 1 ივლისამდე. ყოველივე ეს 1941წ. 1 ოქტომბერს გაფორმდა ოქმით, რომელიც იქცა ომის პერიოდში ხელმოწერილ პირველ სამმხრივ ხელშეკრულებად აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და სსრკ-ს შორის.[3] 30 ოქტომბერს რუზველტმა მოახდინა ამ ოქმის ვიზირება და გასცა განკარგულება, რომ 1 მლრდ დოლარამდე საქონლის მიწოდება საბჭოთა კავშირისადმი მომხდარიყო ლენდ-ლიზის საფუძველზე, რის შესახებ აცნობა კიდეც სტალინს.[4] 7 ნოემბერს კი აშშ-ს პრეზიდენტმა ოფიციალურად შეიტანა სსრკ ლენდ-ლიზის მიმღებთა სიაში.[5]

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 388; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 1, გვ. 607.

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 389; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 1, გვ. 609.

[3] **Советско-английские отношения..**, т. 1, გვ. 140-146; **Советско-американские отношения..**, т. 1, გვ. 121-126.

[4] **Переписка..**, т. II, გვ. 12.

[5] **История Дипломатии**, т. IV, გვ. 213.

1941წ. 7 დეკემბერს იაპონური ავიაცია თავს დაესხა აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტს პერლ-ჰარბორში და გაანადგურა ის. დაიწყო ახალი ეტაპი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ამიერიდან ფორმალურად ნეიტრალური აშშ იქცა ერთ-ერთ მეომარ მხარედ, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა. მართალია, წყნარი ოკეანის ფლოტის განადგურებით იაპონელებმა დიდი ხნით იგდეს ხელთ ინიციატივა ამ რეგიონში, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტი წარმატების მიღწევა, ე. ი. აშშ-ს დამარცხება მათ ძალებს აღემატებოდა. უფრო მეტიც, როგორც აცხადებენ ინგლისელი ისტორიკოსები ს. კირბი და ჯ. გუაიერი, ეს არც წარმოადგენდა მათ მიზანს.[1] აღნიშნულ მკვლევართა აზრით, იაპონელებს უბრალოდ სურდათ სწრაფი დარტყმებით დაეკავებინათ ფილიპინები, ჰოლანდიის ინდოეთი (დღ. ინდონეზია), სიამი (დღ. ტაილანდი), მალაიზია და მთელი რიგი კ-ბისა წყნარი ოკეანის აუზში, რითაც ისინი შექმნიდნენ დაცვით რკალს, რომელშიც შეღწევა ამერიკელებისათვის და ბრიტანელებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.[2] გარდა ამისა, ეს მოუხსნიდა იაპონიას ნედლეულთან დაკავშირებულ პრობლემებს, რასაც ის განიცდიდა 1941წ. ივლისში აშშ-ს მიერ ეკონომიკური ემბარგოს შემოღების შემდეგ.[3] მთელი ამ პროგრამის განხორციელება მოხერხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონური ფლოტი გაბატონდებოდა წყნარი ოკეანის აუზში. ამის მიღწევის ერთადერთი საშუალება კი აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტის განადგურება იყო,[4] რაც იაპონელებმა წარმა-

---

[1] S. W. Kirby. The War Against Japan, vol. I, L., 1958, chap. 5; J. Gwyer. Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 293; Дж. Батлер, Дж. Гуайер. Большая стратегия, გვ. 226.

[2] S. W. Kirby. The War Against Japan, vol. I, chap. 5; J. Gwyer. Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 294; Дж. Батлер, Дж. Гуайер. Большая стратегия, გვ. 226-227.

[3] S. W. Kirby. The War Against Japan, vol. I, chap. 5; J. Gwyer. Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 294; Дж. Батлер, Дж. Гуайер. Большая стратегия, გვ. 226-227.

[4] S. W. Kirby. The War Against Japan, vol. I, chap. 5; J. Gwyer. Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 296; Дж. Батлер, Дж. Гуайер. Большая стратегия, გვ. 228-229.

ტებით განახორციელეს კიდეც 1941წ. 7 დეკემბერს.

ბრიტანელ ისტორიკოსთა ეს მსჯელობა ძნელი გასაზიარებელია. კერძოდ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ს. კირბის და ჯ. გუაიერს იმაში, რომ იაპონიის მიზანი არ იყო სრული გამარჯვების მიღწევა ამ ომში. რა თქმა უნდა, იაპონიის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით აშშ-ს ვერ დაამარცხებდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია მოიგებდა ომს ევროპაში, უეჭველია, ამერიკელები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, მით უმეტეს, რომ 1941წ. 11 დეკემბერს გერმანიამ და იტალიამ ომი გამოუცხადეს აშშ-ს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა და უმნიშვნელო ფაქტად იყო ჩათვლილი. მაგალითად, ვ. ისრაელიანის აზრით, ჰიტლერს რომც არ გამოეცხადებინა ომი აშშ-სთვის, სამხედრო დაპირისპირება ამ ორ ქვეყანას შორის მაინც გარდაუვალი იყო.[1] ჩვენი აზრით, ეს პრობლემის ერთგვარი გამარტივებაა. სავსებით სწორია ამერიკელი მკვლევარი ჯ. გრიგი, როდესაც აცხადებს, რომ იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე სულაც არ განაპირობებდა აშშ-ს ჩაბმას გერმანიის წინააღმდეგ ომში.[2] მართალია, როგორც პრეზიდენტი რუზველტი, ისე აშშ-ს უმაღლესი სამხედრო სარდლობა არმიის შტაბის უფროსის გენერალ ჯორჯ მარშალის მეთაურობით, თვლიდნენ, რომ ომის ბედი გადაწყდებოდა ევროპაში და შესაძლებლად მიიჩნევდა ამერიკელთა სამხედრო ჩარევას იქ მიმდინარე ბრძოლებში,[3] გერმანიისთვის ომის გამოცხადების შესახებ რეზოლუციის კონგრესში გატანა არ იქნებოდა იოლი საქმე.[4] აქ

---

[1] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 61-62.

[2] **J. Grigg.** 1943. The Victory That Never Was, New York, 1980, გვ. 19.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 411; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 1, გვ. 635.

[4] სხვათა შორის, რუზველტს ურჩევდნენ კიდეც პერლ-ჰარბორზე თავდასხმის დღეს, რომ ეთხოვა კონგრესისათვის ომის გამოცხადება არა მარტო იაპონიისათვის, არამედ გერმანია-იტალიისთვისაც, მაგრამ აშშ-ს პრეზიდენტმა უარი თქვა ამაზე. მან ამჯობინა მოცდა, სანამ ჰიტლერი და მუსოლინი თვითონ გამოუცხადებდნენ ომს აშშ-ს (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 441; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 10).

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ აშშ-ს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნომერ პირველ მტრად თვლიდა სწორედ იაპონიას და არა გერმანიას.[1] ასე რომ, ჰიტლერის მხრიდან აშშ-სთვის ომის გამოცხადებამ ხელ-ფეხი გაუხსნა რუზველტს და მის გუნდს იმ სტრატეგიის განხორციელებაში, რომელიც, მათი აზრით, იყო გადამწყვეტი პირობა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მისაღწევად.

აშშ-ს ოფიციალურად ჩართვამ მეორე მსოფლიო ომში ახალი იმპულსი მისცა ვაშინგტონისა და ლონდონის კოორდინირებულ დიპლომატიურ საქმიანობას. 1941წ. 22 დეკემბერს ვაშინგტონში დაიწყო კონფერენცია უმაღლეს დონეზე (კოდური სახელწოდება „არკადია"). აღნიშნული სამიტის მუშაობაში ფრ. რუზველტსა და უ. ჩერჩილთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ: აშშ-ს მხრიდან პრეზიდენტის მრჩეველი ჰ. ჰოპკინსი, თავდაცვის მინისტრი ჰ. სტიმსონი, არმიის შტაბის უფროსი ჯ. მარშალი და ფლოტის შტაბის უფროსი ადმირალი ჰაროლდ სტარკი, ბრიტანეთის მხრიდან იმპერიული შტაბის უფროსი ა. ბრუკი, მისი მოადგილე ჯ. დილი, ლორდი ბივერბრუკი. კონფერენციას უნდა განესაზღვრა მოკავშირეთა სტრატეგია მეორე მსოფლიო ომში. მართალია, ჯერ კიდევ 1941წ. თებერვალში ამერიკელებისა და ინგლისელების საშტაბო მოლაპარაკებებზე გადაწყვეტილი იქნა, ძირითად საბრძოლო თეატრად მიეჩნიათ ატლანტიკა და ევროპა,[2] ბრიტანელები შიშობდნენ, რომ იაპონიის თავდასხმას შეეძლო შეეცვალა ამერიკელთა სტრატეგიული გეგმები და ამ უკანასკნელთ მთელი ყურადღება მიეპყროთ წყნარი ოკეანისთვის. მაგრამ ინგლისელთა შიში შტაბების უფროსთა პირველსავე სხდომაზე გაიფანტა, როდესაც ჯ. მარშალმა და ადმირალმა სტარკმა განაცხადეს, რომ იაპონიის ომში ჩაბმის მიუხედავად, გერმანია რჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ მოწინააღმდეგედ, რომლის დამარცხებაც გადაწყვეტდა ომის ბედს.[3]

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 536; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 145.

[2] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование..., გვ. 58-59.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 445; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 15-16.

ამერიკელთა ეს დასკვნა ეყრდნობოდა წმინდა სამხედრო მოსაზრებებს, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ გერმანიის პოტენციალი ბევრად სჭარბობდა იაპონიისას და იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები წლების განმავლობაში უმოქმედოდ იქნებოდნენ ევროპაში, მაშინ გერმანიის დამარცხება ბევრად უფრო ძნელი, ან საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა.[1] რასაკვირველია, ინგლისელები დაამშვიდა ამერიკელთა ამგვარმა პოზიციამ.

მთავარი სტრატეგიული მიზნის განსაზღვრის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა დაიწყეს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ დებატებს ამ საკითხის გარშემო ადგილი არ ჰქონია, რადგანაც ამერიკელებს რაიმე ჩამოყალიბებული გეგმა არ გააჩნდათ. პრაქტიკულად მათ ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე დაამტკიცეს ინგლისელთა მიერ წარმოდგენილი ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებდა 1942წ. გერმანიისა და მისი ევროპელი სატელიტების სრულ ბლოკირებას. ბრიტანელების აზრით, საჭირო იყო მოწინააღმდეგის მომწყვდევა შემდეგ რკალში: არხანგელსკი, შავი ზღვა, ანატოლია, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო, ევროპის დასავლეთის სანაპირო, — რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენით, თურქეთის მხარდაჭერით, შუა აღმოსავლეთში ძალების გაზრდითა და მთელი ჩრდილოეთ აფრიკის დაკავებით.[2] საკუთრივ ევროპაში რაიმე აქტიური შეტევითი ოპერაციის ჩატარებას ინგლისელები არ გეგმავდნენ, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ შეიქმნებოდა საბჭოთა კავშირის დამარცხების საფრთხე, არ გამოირიცხებოდა ლა-მანშის მცირე ძალებით ფორსირება, რასაც „მსხვერპლშეწირვა" ეწოდა.[3] ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა გათვალისწინებული იყო

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 446; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 16-17.

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 347; **J. R. M. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, L., 1964, გვ. 671; **Дж. Баглер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 263, 508.

[3] **Foreign Relations of the United States** (შემდგომში FRUS), The Conferences at Washington, 1941-1943, and Casablanca, 1943, Wash., 1968, გვ. 62

მხოლოდ გერმანიის დაბომბვა და ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული ანტიგერმანული განწყობილებების მხარდაჭერა.[1] უშუალოდ ევროპაში შეჭრა 1943 წლამდე არარეალურად იქნა მიჩნეული. სამაგიეროდ, ბრიტანელები 1943წ. კონტინენტზე დაბრუნების რამდენიმე ვარიანტს თვლიდნენ შესაძლებლად: 1) ხმელთაშუა ზღვით; 2) თურქეთის გავლით ბალკანეთში შეჭრა; 3) ჩრდილო დასავლეთი ევროპის რამდენიმე ოკუპირებულ ქვეყანაში ერთ დროული გადასხმა.[2]

საერთო სტრატეგიული გეგმის მიღების შემდეგ მოკავშირეებმა დაიწყეს 1942 წლისთვის დაგეგმილი სამხედრო მოქმედებების განხილვა. აქ წამოჭრილი საკითხებიდან უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ჩერჩილის მიერ წარმოდგენილი გეგმა უკვე 1942წ. მარტში ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრის შესახებ. ამ ოპერაციამ (კოდური სახელწოდება „გიმნასტი") უმალ მიიპყრო რუზველტის ყურადღება,[3] თუმცა ამერიკელ სამხედროებს ის მაინცდამაინც არ მოეწონათ. ჯ. მარშალის მთავარმა მრჩეველმა სტრატეგიის საკითხებში გენ.-მაიორმა სტენლი ემბიკმა განაცხადა, რომ ამ გეგმას სტრატეგიულ მიზნებზე მეტად პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად.[4] მისი აზრით, ასეთი ოპერაციის დამტკიცება იმ დროს დიდი შეცდომა იქნებოდა.[5] რაც შეეხება

---

[1] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 347; **J. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 671; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 264, 508

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 348; **J. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 671; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 264, 508-509.

[3] უნდა აღინიშნოს, რომ მოკავშირეთა მოქმედების ასეთ ვარიანტს ვაშინგტონშიც სწავლობდნენ. კონფერენციამდე რამოდენიმე დღით ადრე ინფორმაციის სამსახურის უფროსმა დონოვანმა რუზველტს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც შესწავლილი იყო ჩრდილოეთ აფრიკის დაკავების საკითხი. კვლევითი ჯგუფის დასკვნით, ამ რეგიონის ოკუპაციის შედეგად მიღებული სამხედრო თუ პოლიტიკური დივიდენდები გერმანიისთვის ამ ტერიტორიის უბრალოდ წართმევაზე ბევრად მეტი იქნებოდა და მოტანილი იყო სათანადო დასაბუთებაც (FRUS, The Conferences at Washington, 1941-1943..., გვ. 54-55).

[4] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование..., გვ. 123.

[5] იქვე, გვ. 124.

მარშალს, მან ფრთხილი პოზიცია დაიკავა, რადგანაც შეამჩნია პრეზიდენტის დაინტერესება ამ გეგმით და თავი შეიკავა ამ საკითხზე თავისი აზრის გამოთქმისაგან.[1] კამათი გამოიწვია „გიმნასტის" განხორციელებისათვის საჭირო ძალების რაოდენობამაც. ინგლისელები თვლიდნენ, რომ ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის საკმარისი იქნებოდა 100 ათ. მეომარი, ამერიკელების აზრით კი, მთელი ფრანგული ჩრდილოეთ აფრიკის ოკუპირება მოითხოვდა, როგორც მინიმუმ, 300 ათ. კაცს.[2] საბოლოოდ მხარეებმა მიაღწიეს კომპრომისს, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში ერთდროულად განეხორციელებინათ 3 ბრიტანული დივიზიის (ალჟირში) და 3 ამერიკული დივიზიის (კასაბლანკაში) გადასხმა,[3] თუმცა ისინი უმალ წააწყდნენ პრობლემებს ტრანსპორტირების საკითხში, რამაც საეჭვო გახადა „გიმნასტის" დადგენილ ვადებში ჩატარება.

12 იანვარს ჩრდილოეთ აფრიკის დაკავების გეგმამ კიდევ ერთი დარტყმა მიიღო. ცნობილი გახდა, რომ ფაქტობრივად ჩაიშალა ინგლისელთა შეტევა ლიბიაში.[4] არადა „გიმნასტის" განხორციელება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ამ ოპერაციის წარმატებაზე, რადგანაც დაგეგმილი იყო, რომ ფრანგულ აფრიკაში შეჭრა მოხდებოდა მას შემდეგ, რაც გენ. კ. ოკინლეკის (ინგლისელთა მთავარსარდალი აფრიკისა და შუა აღმოსავლეთში) ძალები გავიდოდნენ ლიბია-ტუნისის საზღვარზე.[5] ახლა კი ნათელი გახდა, რომ „გიმნასტის" ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა 1942წ. ზაფხულამდე, რამაც აზრი დაუკარგა ვაშინგტონში ამ საკითხის განხილვას. უფრო მეტიც, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის საერთოდ ამოვარდებოდა მოკავშირეთა სამოქმედო

---

[1] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 124.

[2] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 362; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 276.

[3] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 362; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 276.

[4] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 364; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 277-278.

[5] **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 364; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 278.

პროგრამიდან, თუმცა ჩერჩილი მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი „გიმნასტის“ პერსპექტივებისადმი.[1] და მას ჰქონდა კიდეც ამის საფუძველი, რადგანაც რუზველტი არ ფარავდა თავის სიმპათიას აღნიშნული ოპერაციის მიმართ და 1942წ. თებერვალში აშშ-ში სსრკ-ს ელჩ მ. ლიტვინოვთან საუბრისას აღნიშნა, რომ პირადად ის მეორე ფრონტად სწორედ ჩრდილოაფრიკულ ფრონტს მიიჩნევდა.[2]

ვაშინგტონში განხილულ იქნა მოკავშირეთა ერთიანი შტაბის შექმნის საკითხიც. გადაწყდა, ჩამოეყალიბებინათ ინგლისამერიკის გაერთიანებული შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჯ. მარშალი. ამ ორგანოს ადგილსამყოფელად დამტკიცებულ იქნა ვაშინგტონი. აღსანიშნავია, რომ ჩერჩილმა ვაშინტონის კონფერენციაზე სამხედრო საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის უმნიშვნელოვანესად სწორედ გაერთიანებული შტაბის შექმნა მიიჩნია.[3] ჩვენი აზრით, ბრიტანეთის პრემიერი სულაც არ აძლევდა ამ მოვლენას გადაჭარბებულ შეფასებას. თუ არ ჩავთვლით გერმანიის უმთავრეს მოწინააღმდეგედ მიჩნევის პრინციპის აღიარებას, კონფერენციაზე დაიგეგმა მხოლოდ მეორეხარისხოვანი ოპერაციები, ხოლო წყნარი ოკეანის აუზში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ირგვლივ მიღებული პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილება უბრალოდ ფარატინა ქაღალდი გამოდგა.

სამხედრო საკითხების გარდა ვაშინგტონის კონფერენციაზე რუზველტმა და ჩერჩილმა განიხილეს პოლიტიკური პრობლემებიც. უპირველეს ამოცანად, ამ თვალსაზრისით, მიჩნეულ იქნა მოკავშირეთა კოალიციის საბოლოო გაფორმება. აშშ-ს პრეზიდენტმა და ბრიტანეთის პრემიერმა დაიწყეს მუშაობა ერთობლივი დეკლარაციის პროექტზე. მოგვიანებით ამ დოკუმენტის მომზადებაში ჩაერთო სსრკ-ს ელჩი აშშ-ში მ. ლიტვინოვი. ერთკვირიანი დამუშავებისა და დახვეწის შედეგად 1942წ. 1 იანვარს

---

[1] J. Gwyer. Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 365; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 278.

[2] **Советско-американские отношения..**, т. I, გვ. 152; **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта в Европе, М., 1982, გვ. 48.

[1] W. S. Churchill. The Second World War, vol. III, გვ. 577-578.

გამოქვეყნებულ იქნა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდა 26 სახელმწიფო და რომელიც ისტორიაში ცნობილია „გაერთიანებული ერების დეკლარაციის“ სახელით.[1] დეკლარაციის ხელისმომწერ სახელმწიფოთა სიას სათავეში ედგნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, სსრკ და ჩინეთი, რის შემდეგაც ანბანის მიხედვით მოდიოდნენ ოკუპირებული ქვეყნები, ბრიტანეთის დომინიონები და ლათინური ამერიკის სახელმწიფოები. ეს უკანასკნელნი ნომინალურ მონაწილეობას იღებდნენ მეორე მსოფლიო ომში და მათი შეყვანა ხელისმომწერთა სიაში განაპირობა ამერიკელთა სურვილმა, გაეზარდათ მოკავშირეთა მხარდამჭერი მცირე ქვეყნების რიცხვი, რაც, მათი აზრით, სასარგებლო იქნებოდა.[2] სამაგიეროდ, ამ სიიდან, ასევე ამერიკელთა მოთხოვნით, ამოღებულ იქნა საფრანგეთი, კერძოდ, საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი შარლ დე გოლი. ეს განპირობებული იყო იმით, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა ვიშის მარიონეტულ მთავრობასთან. გარდა ამისა, სწორედ ვაშინგტონის კონფერენციის წინ გოლისტებმა თავისი კონტროლი დაამყარეს კანადის მახლობლად მდებარე პატარა ფრანგულ კ-ბზე: სენ-პიერსა და მიქელონზე. ამან პირდაპირ გააცოფა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კ. ჰალი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა ამ კ-ბის ვიშისტ გუბერნატორ ჟორჟ რობერთან. სწორედ ჰალმა მოახდინა ზემოქმედება პრეზიდენტ რუზველტზე[3] და ათქმევინა მას უარი ხელისმომწერთა სიაში საფრანგეთის შეყვანაზე. გარდა ამისა, როგორც ჩანს, სწორედ აქედან დაედო სათავე საკუთრივ რუზველტის უარყოფით დამოკიდებულებას შარლ დე გოლის პიროვნებისადმი.

გაერთიანებული ერების დეკლარაციაში ჩამოყალიბებული

---

[1] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 194; **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 400.

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 448; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 20.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 484-485; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 68-69.

იყო მოკავშირე სახელმწიფოთა მიზნები ომში და ვალდებულებები, რომელსაც ისინი იღებდნენ თავის თავზე ამ მიზნების მისაღწევად. დეკლარაციის ტექსტი შედგებოდა შესავალი ნაწილისა და 2 პუნქტისაგან. პრეამბულაში ხელისმომწერი ქვეყნები უერთდებოდნენ „ატლანტიკურ ქარტიას".[1] აქვე ისინი გამოთქვამდნენ რწმენას, რომ სიცოცხლის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა თუ რელიგიური შემწყნარებლობის[2] დასაცავად და ყველა სახელმწიფოში პიროვნების უფლებებისა თუ სამართლიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მტერზე სრული გამარჯვების მოპოვება.[3] დეკლარაციის პირველი პუნქტით ყოველი ქვეყნის მთავრობა იძლეოდა გარანტიას, რომ გამოიყენებდა მთელ თავის რესურსებს სამმხრივი პაქტის იმ წევრების წინააღმდეგ, რომელთანაც ის აწარმოებდა საომარ მოქმედებებს.[4] მეორე მუხლით ხელისმომწერი სახელმწიფოები იღებდნენ ვალდებულებას ერთმანეთს შორის თანამშრომლობის შესახებ და აცხადებდნენ უარს მტერთან სეპარატული მოლაპარაკებების წარმოებაზე.[5] და ბოლოს, დეკლარაციის დასკვნით ნაწილში ნათქვამი იყო, რომ მას-

---

[1] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 194; **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 400.

[2] სიტყვები რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ დეკლარაციაში შეტანილი იქნა საკმაოდ ხანგრძლივი დებატების შემდეგ, რადგანაც საბჭოთა მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამას. უკიდურეს შემთხვევაში, მ. ლიტვინოვი თანხმდებოდა მხოლოდ „სინდისის თავისუფლებაზე". საბოლოო ჯამში, რუზველტმა საბჭოთა ელჩს აუხსნა, რომ ტრადიციული, თ. ჯეფერსონისეული გაგება რელიგიური შემწყნარებლობისა შეიცავდა უფლებას, საერთოდ არ გეწამა ღმერთი. როგორც ჩანს, ლიტვინოვმა მოახერხა ამ ინფორმაციის გადაცემა მოსკოვში, რადგანაც სწორედ ამის შემდეგ მისცა სტალინმა თავის ელჩს უფლება, შეეტანა ეს სიტყვები დეკლარაციის ტექსტში (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 448-449; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 21).

[3] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 194; **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 400.

[4] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 194; **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 400.

[5] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 194; **J. Gwyer.** Grand Strategy, vol. III, part I, გვ. 400.

თან შეერთება შეეძლო ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც შეიტანდა თავის წვლილს ჰიტლერიზმზე გამარჯვებაში.[1] მთლიანობაში აღნიშნული დეკლარაცია უაღრესად მნიშვნელოვანი გამოდგა. მან ხელი შეუწყო მოკავშირეთა შორის ურთიერთობების განმტკიცებას და მისი მიღებით პრაქტიკულად დასრულდა ანტიჰიტლერული კოალიციის ფორმირება. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე (1945წ. აპრილი) სან-ფრანცისკოში მოიწვიეს სწორედ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას, ან შემდგომში (1945წ. 1 მარტამდე) შეუერთდნენ მას.[2]

ვაშინგტონის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა 1942 წლის 14 იანვარს. რა შეიძლება ითქვას მისი შედეგების შესახებ? პირველ რიგში, და ამას ხაზს უსვამს პრაქტიკულად ყველა მკვლევარი, კონფერენციამ ხელი შეუწყო ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცებას. მიღებულ იქნა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — გერმანია გამოცხადდა მთავარ მოწინააღმდეგედ. ამან უდავოდ დიდი გავლენა იქონია ომის მსვლელობაზე და, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს სამხედრო თუ პოლიტიკური წრეების გარკვეულ ნაწილს პერიოდულად გამოუჩნდებოდა ხოლმე მისი გადასინჯვის სურვილი, მოკავშირეებს არასოდეს შეუცვლიათ ის. რაც შეეხება კონკრეტულ სამხედრო საკითხებს, შეიძლება ითქვას, რომ მათ განხილვას რაიმე პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შტაბის შექმნას. მართალია, კონფერენციაზე დამტკიცებულ იქნა გერმანიის წინა-

---

[1] პირვანდელ ვარიანტში აქ ნახსენები იყო „სამი სახელმწიფოს პაქტის წევრების ან მომხრეების განადგურება", მაგრამ საბჭოთა მხარის მოთხოვნით ეს სიტყვები შეიცვალა „ჰიტლერიზმით", რადგანაც სტალინს ამ ეტაპზე არ სურდა იაპონიასთან ომში ჩაბმა. თავის მხრივ, მ. ლიტვინოვმა აუხსნა ამერიკელებს და ინგლისელებს, რომ საბჭოთა კავშირში ტერმინ „ჰიტლერიზმის" ქვეშ იგულისხმებოდა „ნაციზმი, ფაშიზმი და იაპონიზმი". რუზველტი და ჩერჩილი დააკმაყოფილა ასეთმა განმარტებამ, რის შემდეგაც დეკლარაციის ტექსტში შეტანილ იქნა სათანადო შესწორება (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 451; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 22).

[2] **История Дипломатии**, т. IV, გვ. 657.

აღმდეგ ომის წარმოების ბრიტანული სტრატეგია,[1] მაგრამ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავი შეიკავეს. საკუთრივ ინგლისური გეგმა კი იმდენად ზოგადი იყო ევროპაში შეჭრის საკითხთან დაკავშირებით, რომ მასში მოცემული იყო ერთმანეთის გამომრიცხავი რამდენიმე ვარიანტი. ასე რომ, ამ პრობლემის გადაწყვეტა მომავლისთვის იქნა გადადებული.

ვაშინგტონის კონფერენციის დამთავრების შემდეგ ამერიკელებმა დაიწყეს ევროპაში ომის წარმოების შესახებ საკუთარი სტრატეგიის შემუშავება. ამ სამუშაოს სათავეში ჩაუდგა აშშ-ს არმიის შტაბის სამხედრო დაგეგმვის სამმართველო, რომლის ხელმძღვანელადაც 1942 წლის 16 თებერვალს დაინიშნა გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი.[2] უკვე 28 თებერვალს მან წარუდგინა ჯ. მარშალს მოხსენება, რომელშიც მიზანშეწონილად იყო ჩათვლილი წყნარი ოკეანის აუზში სტრატეგიულ თავდაცვაზე გადასვლა და მთელი ძალების მოკრება ევროპაში შეტევითი ოპერაციების საწარმოებლად.[3] მარტის დასაწყისში სტრატეგიული დაგეგმვის გაერთიანებულმა კომისიამ დაადგინა, რომ ვერმახტზე მძლავრი შეტევის მიტანა შეიძლებოდა მხოლოდ ბრიტანეთის კ-ბიდან.[4] თავის მხრივ, რუზველტიც დაინტერესდა ევროპაში საკუთრივ 1942 წელს შეჭრის იდეით, თუმცა ის დასაშვებად თვლიდა მხოლოდ საჰაერო ოპერაციებსა და რეიდებს.[5] 25 მარტს ეიზენჰაუერმა მარშალს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ხაზგასმული იყო ლა-მანშის ფორსირების აუცილებლობა.[6] ამავე დღეს პრეზიდენტთან მოწვეულ თათბირზე ეს იდეა მოწონებულ იქნა და გენერალ მარშალს დაევალა კვირის ბოლოსათვის გეგმის შედგენა. ასეთი გეგმა, რომელსაც „მარშალის

---

[1] ამერიკელმა მკვლევარმა ტ. ჰიგინსმა ამას ჩერჩილის ხანმოკლე ტრიუმფი უწოდა. იხ.: **T. Higgins.** Winston Churchill and the Second Front, New York, 1957, გვ. 91.

[2] **D. D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 31; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 60-61.

[3] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 183.

[4] იქვე, გვ. 206-207.

[5] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 172.

[6] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 211.

მემორანდუმი" ეწოდა, შემუშავებულ იქნა აშშ-ს არმიის შტაბის ოპერატიულ განყოფილებაში და დ. ეიზენჰაუერის, პოლკოვნიკ ჰენდისა და პოლკოვნიკ ჰალის მიერ და 1 აპრილს წარედგინა რუზველტს. ამერიკელი სამხედროები ევროპაში შეჭრის სავარაუდო ვადად მიიჩნევდნენ 1943 წლის აპრილს (კოდური სახელწოდება „რაუნდაპი").[1] მათი გამოთვლებით, ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღო 30 ამერიკულ და 18 ბრიტანულ დივიზიას. გარდა ამისა, გეგმაში გათვალისწინებული იყო ლა-მანშის ფორსირება უკვე 1942 წლის შემოდგომაზე (კოდური სახელწოდება „სლეჯჰამერი"), თუ შეიქმნებოდა საბჭოთა კავშირის დამარცხების რეალური საფრთხე.[2] ამ შემთხვევაში ოპერაცია ძირითადად ინგლისელების ძალებით უნდა განხორციელებულიყო და მას პრაქტიკულად მსხვერპლშეწირვის სახე უნდა მიეღო.[3] რუზველტმა მოიწონა ეს გეგმა და 8 აპრილს მარშალმა და ჰოპკინსმა ჩაიტანეს ის ლონდონში ინგლისელებთან შესათანხმებლად. თითქმის ამავდროულად, 12 აპრილს აშშ-ს პრეზიდენტმა აცნობა სტალინს, რომ მას ჰქონდა მნიშვნელოვანი სამხედრო წინადადება, რომლის განხორციელების შემთხვევაში გაუმჯობესდებოდა საბჭოთა ჯარების მდგომარეობა ფრონტზე.[4] რუზველტმა შესთავაზა საბჭოთა ლიდერს, ვაშინგტონში გამოეგზავნა ვ. მოლოტოვი და ნდობით აღჭურვილი გენერალი აღნიშნული საკითხის

---

[1] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 215.

[2] მეორე ვარიანტით, ეს უნდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მდგომარეობა დასაყლეთ ევროპაში გახდებოდა კრიტიკული (**М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 216). ჩვენთვის გაუგებარია, თუ რის საფუძველზე გამოთქვამდნენ ამერიკელი სამხედროები ასეთ ვარაუდს, რადგანაც, ერთი მხრივ, მათ ეჭვებოდათ, რომ საბჭოთა კავშირი გაუძლებდა გერმანიის დაწოლას (**М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 210), ხოლო, მეორე მხრივ, არსებობდა დასკვნა, რომ საფრანგეთში ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება მოსალოდნელი იყო მხოლოდ მოკავშირეების მიერ ლა-მანშის წარმატებული ფორსირების შემთხვევაში (**J. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 569; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 434).

[3] **J. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 569; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 435.

[4] **Переписка..**, т. II, გვ. 21.

განსახილველად.[1]

მოლაპარაკებები ლონდონში 8-დან 14 აპრილამდე გაგრძელდა. სიტუაცია აღნიშნულ შეხვედრაზე საკმაოდ დაძაბული იყო, პირველ რიგში, წყნარი ოკეანის აუზში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სხდომების მსვლელობა კომიკურ ელფერსაც კი იძენდა. მაგალითად, საკმარისი იყო ამერიკელებს საუბარი დაეწყოთ ლა-მანშის ფორსირებაზე, რომ ინგლისელები უმალვე უსვამდნენ ხაზს იაპონიასთან ომში გამარჯვების მიღწევის მნიშვნელობას.[2] საბოლოო ჯამში, ჰოპკინსმა და მარშალმა მიაღწიეს ბრიტანელების თანხმობას 1943 წელს ევროპაში ფართომასშტაბიანი შეჭრის თაობაზე, რის შესახებ აცნობეს კიდეც ვაშინგტონს.[3] ჩერჩილი დათანხმდა იმასაც, რომ დაწყებულიყო მზადება ოპერაცია „სლეჯჰამერის" განხორციელებისათვის, მაგრამ რაიმე გარკვეული ვალდებულება მის ჩატარებაზე არ აუღია, რაც აღნიშნა კიდეც 1942 წლის 29 აპრილს სამხედრო კაბინეტის მიერ დამტკიცებულ მოხსენებაში.

უფრო მეტიც, ბრიტანეთის პრემიერმა მემუარებში ხაზი გაუსვა, რომ ის ამ გეგმას განიხილავდა, როგორც მოკავშირეთა მოქმედების ერთ-ერთ (თანაც ყველაზე უარეს) შესაძლო ვარიანტს.[4] ამასთან, ჩერჩილმა განაცხადა, რომ თავად ის ჩრდილოეთ აფრიკაში და ნორვეგიაში ერთდროულ ოპერაციას ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ იძულებული იყო, დიპლომატიურად ემოქმედა, რათა არ გაენაწყენებინა თავისი მოკავშირე (იგულისხმება აშშ — თ.ჯ.), რომლის დახმარების გარეშეც ვერაფერს გახდებოდა.[5] როგორც ჩანს, ის ინფორმირებული იყო, რომ „სლეჯჰამერზე" ბრიტანელების უარის შემთხვევაში ამერიკელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მთელი თავისი ყურადღების წყნარი

---

[1] **Переписка..**, т. II, გვ. 21.

[2] **J. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 578; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.** Большая стратегия, გვ. 443.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 538; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 145-146.

[4] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 282.

[5] იქვე.

ოკეანის აუზში გადატანა.[1] რაც შეეხება ინგლისელ სამხედროებს, მათ საერთოდ არასოდეს უფიქრიათ სერიოზულად საფრანგეთში 1942 წელს შეჭრაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 12 აპრილს რუზველტმა სტალინს აცნობა მნიშვნელოვანი სამხედრო წინადადების შესახებ. საბჭოთა ლიდერმა დაავალა მ. ლიტვინოვს დაეზუსტებინა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა აშშ-ს პრეზიდენტი ამ ფრაზის ქვეშ.[2] რუზველტმაც განუმარტა საბჭოთა ელჩს, რომ მან აუცილებლად ჩათვალა მეორე ფრონტის საფრანგეთში გახსნა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ჯერ არ იყო დამტკიცებული ინგლისელების მიერ. ამიტომ აშშ-ს პრეზიდენტს სურდა საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერის მიღება ამ საკითხში.[3] რასაკვირველია, სტალინი დათანხმდა რუზველტის წინადადებას და აღუთქვა მას, რომ მოლოტოვი ვაშინგტონში ჩავიდოდა არა უგვიანეს 10-15 მაისისა.[4] საბჭოთა ლიდერს, როგორც ჩანს, აფიქრებდა ბრიტანელთა ორჭოფული პოზიცია მეორე ფრონტის გახსნის საკითხში, რის შესახებაც მას გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა როგორც საკუთრივ რუზველტისაგან, ისე ლორდ ბივერბრუკისაგან.[5] ამიტომ სტალინმა გადაწყვიტა, გაეგზავნა მოლოტოვი ჯერ ლონდონში, ხოლო შემდგომ ვაშინგტონში, რადგანაც საფრანგეთში შეჭრა უნდა მომხდარიყო ინგლისიდან ძირითადად ბრიტანული ძალებით და აუცილებელი იყო სწორედ ჩერჩილის აზრის გაგება ამ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საბჭოთა ლიდერს სურდა, დაესრულებინა გაჭიანურებული მოლაპარაკებები სსრკ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების გარშემო.[6]

---

[1] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 312.

[2] **Советско-американские отношения..,** т. I, გვ. 160.

[3] იქვე, გვ. 162-163.

[4] **Переписка..,** т. II, გვ. 21.

[5] **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 68.

[6] იქვე. აღნიშნული ხელშეკრულების დადება ნაკარაუდევი იყო ჯერ კიდევ 1941წ. დეკემბერში, მაგრამ მაშინ ინგლისელები არ დათანხმდნენ საბჭოთა კავშირის ომამდელი (ე. ი. 1941წ. 22 ივნისამდე) საზღვრების დე-იურე აღიარებაზე (**W. S. Churchill.** The Second World War, vol. III, გვ. 531-532), რამაც გამოიწვია მოლაპარაკებების გაჭიანურება.

მოლოტოვის ინგლისურ-ამერიკული ტურნე დაიწყო 1942 წლის 26 მაისს, როდესაც ის ჩავიდა ლონდონში სამხედრო წარმომადგენელ გენერალ-მაიორ ისაევთან ერთად.[1] მოლაპარაკებების დროს ჩერჩილმა ხაზი გაუსვა სირთულეებს, რომლებსაც აწყდებოდნენ მოკავშირეები მეორე ფრონტის გახსნის მომზადებისას. მან აღნიშნა, რომ 1943 წელს შესაძლებელი იქნებოდა ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება საფრანგეთში, მაგრამ 1942 წლის შემოდგომაზე ლა-მანშის ფორსირება, ბრიტანეთის პრემიერის თქმით, შესწავლის სტადიაში იმყოფებოდა.[2] მოლოტოვმა, ალბათ სტალინის მითითებით, თავი შეიკავა აღნიშნული პრობლემის განხილვისაგან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებას ამ თემაზე განაგრძობდნენ საბჭოთა დიპლომატის ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ.[3] სამაგიეროდ, 1942 წლის 26 მაისს ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის.[4] აღნიშნუ-

---

[1] **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 69.

[2] **Советско-английские отношения..,** т. I, გვ. 225-226; **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 290.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 292; **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 72.

[4] **Внешняя политика..,** т. I, გვ. 270-273; უნდა აღინიშნოს, რომ არც ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა უპრობლემოდ. წინა მოლაპარაკებების მსგავსად, მხარეები ვერც ამჯერად მორიგდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრების ცნობის საკითხში. ბოლოს და ბოლოს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომელშიც საზღვრების შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ნახსენები (**И. М. Майский.** Воспоминания советского посла, გვ. 247; **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 82). საბჭოთა დელეგაციის პირველი რეაქცია ინგლისელთა ვარიანტზე უარეოყოთი გამოდგა, მაგრამ შემდეგ მოსკოვიდან მოვიდა მოულოდნელი მითითება, რომ მოეწონებინათ აღნიშნული პროექტი (**И. М. Майский.** Воспоминания советского посла, გვ. 247). როგორც ჩანს, სტალინის თანხმობა გამოწვეული იყო ამერიკელთა პოზიციით. 24 მაისს აშშ-ს ელჩმა დიდ ბრიტანეთში ვაინანტმა აცნობა მოლოტოვს, რომ რუზველტი მხარს უჭერდა ინგლისელთა ვარიანტს, რადგანაც საბჭოთა საზღვრების ცნობა (თუნდაც მხოლოდ ბრიტანელების მხრიდან) სირთულეებს შეუქმნიდა მას საბჭოთა კავშირის დახმარების საქმეში (**И. Земсков.** Дипломатическая ис-

ლი დოკუმენტი 2 ნაწილისაგან შედგებოდა. ხელშეკრულების პირველი ნაწილის თანახმად მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ომის განმავლობაში ერთმანეთისთვის დახმარების აღმოჩენასა და მოწინააღმდეგესთან მხოლოდ ერთობლივი მოლაპარაკებების წარმოებაზე. მეორე ნაწილი ეხებოდა სსრკ-სა და დიდი ბრიტანეთის ომისშემდგომ თანამშრომლობას. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 20 წლით განისაზღვრა.[1]

ლონდონიდან მოლოტოვი გაემგზავრა ვაშინგტონს, სადაც რამდენიმეჯერ ესაუბრა რუზველტს. აშშ-ს პრეზიდენტმა აღუთქვა საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელს, რომ ყოველნაირად ეცდებოდა 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას.[2] მართალია, რუზველტმა იქვე აღნიშნა, რომ მხოლოდ მას არ შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა. აშშ-ს პრეზიდენტმა თქვა, რომ რამდენადაც ეს დამოკიდებული იქნებოდა ამერიკელებზე, მეორე ფრონტი გაიხსნებოდა 1942 წელს, მაგრამ ის ვერ მისცემდა ამგვარი სახის დაპირებას ინგლისელების მაგივრად. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ეს სულაც არ იყო იოლი ოპერაცია და არ გამორიცხა ახალი დიუნკერკის შესაძლებლობა.[3] და მაინც, მიუხედავად ამისა, რუზველტი დათანხმდა, შე-

---

тория второго фронта.., გვ. 73). გარდა ამისა, ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი იყო საფრანგეთში შეჭრის თავგამოდებული მომხრე და რომ არ იყო სასურველი მისი მდგომარეობის გართულება, რადგანაც მეორე ფრონტი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სსრკ-ს ომამდელი საზღვრების საკითხი (**И. Земсков. Дипломатическая история второго фронта..**, გვ. 73). ეტყობა, სტალინმა ეს მინიშნება აღიქვა მეორე ფრონტის გახსნის პირდაპირ დაპირებად და დათანხმდა ხელშეკრულების ინგლისურ ვარიანტს.

[1] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 273.

[2] აქ, ჩვენი აზრით, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: რუზველტი მეორე ფრონტის ქვეშ გულისხმობდა შეზღუდული სახის (6-10 დივიზიის ძალებით) ოპერაციას (**Советско-американские отношения..**, т. I, გვ. 179). ასე რომ, საფრანგეთში ფართომასშტაბიან შეჭრაზე, რომელიც აიძულებდა გერმანელებს 40-მდე დივიზიის გადასროლას აღმოსავლეთიდან დასავლეთში, როგორც ამას მოითხოვდა საბჭოთა მხარე, მას მოლოტოვისთვის დაპირება არ მიუცია.

[3] **Советско-американские отношения..**, т. I, გვ. 179. აღსანიშნავია რომ მოლოტოვმა ეს სიტყვები გადასცა ჩერჩილს და მისგან პასუხად

ეტანა ერთობლივი საბჭოთა-ამერიკული კომუნიკეს ტექსტში მოლოტოვის მიერ შეთავაზებული ფრაზა, „რომ მოლაპარაკებების დროს მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ".[1] ამით აშშ-ს პრეზიდენტმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჩერჩილი, რადგანაც ლონდონსა და ვაშინგტონში ერთსა და იმავე დღეს უნდა გამოქვეყნებულიყო ერთნაირი შინაარსის მქონე ორი კომუნიკე: საბჭოთა კავშირ-ინგლისისა და საბჭოთა კავშირ-აშშ-ს.[2] რასაკვირველია, მოლოტოვმა, რომელიც ვაშინგტონიდან ლონდონში დაბრუნდა, გამოიყენა რუზველტთან შეთანხმებული ტექსტი და აიძულა ინგლისელები, შეეტანათ ანალოგიური ხასიათის შესწორება თავის დოკუმენტში. მოგვიანებით ანტონი იდენმა თავის მემუარებში განაცხადა, რომ მათ უკვე სხვა გზა არც დარჩენოდა, რადგანაც საწინააღმდეგო შინაარსის დოკუმენტის გამოქვეყნებით ისინი მხოლოდ გერმანელების წისქვილზე დაასხამდნენ წყალს.[3] მიუხედავად ამისა, ჩერჩილმა მაინც მოახერხა აღნიშნული სიტუაციიდან თავის დაძვრენა. 1942 წლის 10 ივნისს მან მოლოტოვს გადასცა სამახსოვრო ბარათი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მოკავშირეები ყოველნაირად ეც-

---

მიიღო, რომ ის არავითარ შემოხვევაში არ წაიღებდა ახალ დიუნკერკს, ვისაც არ უნდა გაეწია რეკომენდაცია ამ ასრისათვის (**Советско-английские отношения..**, т. I, გვ. 244; **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 86).

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 577; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 201.

[2] კომუნიკეს ტექსტის გარდა ვაშინგტონში შეთანხმებულ იქნა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ლენდ-ლიზის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი დებულებები. საბოლოოდ კი ამ ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი მოაწერეს 1942წ. 11 ივნისს (ტექსტი იხ.: **Советско-американские отношения..**, т. I, გვ. 198-202; **E. R. Stettinius.** Lend-Lease: Weapon for Victory, New York, 1944, გვ. 275-277).

[3] **The Memoirs of Sir Anthony Eden.** 3 vols. Vol. 3. The Reckoning, 1965, გვ. 382-383. ორივე კომუნიკე გამოქვეყნებულ იქნა 1942წ. 11 ივნისს (საბჭოთა კავშირში მათი გამოქვეყნება ერთი დღით გვიან, მოლოტოვის დაბრუნების შემდეგ მოხდა). კომუნიკეთა ტექსტი იხ.: **Внешняя политика..**, т. I, გვ. 283-285.

დებოდნენ 1942 წლის აგვისტო-სექტემბერში ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ იქვე ბრიტანეთის პრემიერი აფრთხილებდა საბჭოთა მხარეს, რომ წინასწარ შეუძლებელი იყო იმის თქმა, იქნებოდა თუ არა იმ დროს შესაფერისი მდგომარეობა ამ ოპერაციის ჩასატარებლად. ამიტომ ჩერჩილი რაიმე გარკვეული დაპირებების მიცემისაგან თავს იკავებდა.[1] ამ მემორანდუმიდან ერთმნიშვნელოვნად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ბრიტანეთის პრემიერი არაეითარ შემთხვევაში არ წავიდოდა 1942 წელს ლა-მანშის ფორსირებაზე. ამას ასაბუთებს ისიც, რომ უკვე 17 ივნისს ჩერჩილი გაფრინდა ვაშინგტონს, რათა დაერწმუნებინა რუზველტი, რომ ევროპაში 1942წ. შეტევითი ოპერაციის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.[2] სწორედ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მეთაურების ამ შეხვედრაზე შედგა ძირითადი ბრძოლა მეორე ფრონტის გახსნის საკითხის გარშემო.

ვაშინგტონის მეორე კონფერენცია მიმდინარეობდა 1942 წლის 19-დან 25 ივნისამდე. ჩერჩილმა პირველივე სხდომებიდან შეუტია 1942 წელს ლა-მანშის ფორსირების სტრატეგიას და ხაზი გაუსვა, რომ ინგლისელმა სპეციალისტებმა ვერ შეიმუშავეს ისეთი გეგმა, რომელიც ამ ოპერაციას წარმატების რაიმე შანსს მისცემდა, თუ გერმანელები სრულიად დემორალიზებული არ იქნებოდნენ.[3] თავის მხრივ, ვერც ამერიკის მხარემ წარუდგინა დიდ ბრიტანეთს დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის 1942 წელს განხორციელების კონკრეტული გეგმა. ამით გათამამებულმა ჩერჩილმა პირდაპირ განაცხადა, რომ რაკი დასავლეთ ევროპაში ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იყო, მთელი ყურადღება უნდა გადაეტანათ ჩრდილოეთ აფრიკაზე.[4] უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის პრემიერის ამ წინადადებას ამერიკელი სამხედროების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რადგანაც, მათი აზრით, ეს ეჭვს ქვეშ დააყენებდა 1943 წელს ევროპაში ფართომასშტაბიან

---

[1] **Советско-английские отношения..**, т. I, გვ. 247-248; **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 297-298.

[2] **The Diaries of Sir Alexander Cadogan.** 1938-1945. Ed. By **Dilks**, New York, 1971, გვ. 466.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 331.

[4] იქვე. გვ. 331-332.

შეჭრას.[1] შედეგად, შტაბების უფროსთა გაერთიანებულმა კომიტეტმა 20 ივნისს დაადგინა, რომ „გიმნასტის" ჩატარება მიზანშეწონილი არ იყო. თვით „სლეჯჰამერიც" კი უკეთეს ვარიანტად იქნა მიჩნეული.[2] გარდა ამისა, გადაწყდა, შეესწავლათ 1942 წელს ევროპაში შეტევითი ოპერაციების ჩატარების საკითხი, თუმცა ხაზგასმული იყო, რომ მათი განხორციელება უნდა მომხდარიყო მხოლოდ აუცილებლობის ან ძალზედ ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში.[3]

ერთი სიტყვით, ჩერჩილის ჩრდილოაფრიკული პროექტი დაწუნებულ იქნა. ამერიკელ სამხედროებს 1942 წელს საერთოდ უმოქმედოდ ყოფნა ერჩივნათ, ოღონდ შესაძლებელი გამხდარიყო 1943 წელს ევროპაში ფართომასშტაბიანი შეჭრა, მაგრამ გაერთიანებული კომიტეტის გადაწყვეტილებები გადასინჯულ იქნა მეორე დღეს რუზველტისა და ჩერჩილის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის პრემიერს ძალიან დაეხმარა ამაში ინგლისური ჯარების მიერ ლიბიაში განცდილი კატასტროფა.[4] ცნობა ციხე-სიმაგრე ტობრუკის დაცემის შესახებ მოვიდა სწორედ მთავრობათა მეთაურების სხდომის დროს და მნიშვნელოვნად შეცვალა ამერიკელთა დამოკიდებულება ჩრდილოეთ აფრიკის საკითხის მიმართ, რადგანაც შეიქმნა საშიშროება, რომ გერმანელები დაიკავებდნენ ეგვიპტესაც. კონფერენციის მონაწილენი უმალ გადაერთვნენ აფრიკულ პრობლემებზე და ამის შემდეგ ჩერჩილს უკვე არ გასჭირვებია ცვლილებების შეტანა გაერთიანებული შტაბის დადგენილებაში, რომელსაც დაემატა პუნქტი, რომ საჭირო იყო „გიმნასტის" დეტალური გეგმის უმოკლეს

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 590; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 217.

[2] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 284.

[3] **FRUS**, The Conferences at Washington, 1941-1943.., გვ. 467.

[4] 1942წ. 26 მაისს ე. რომელმა წამოიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა ლიბიაში და ერთთვიანი ბრძოლების შემდეგ სასტიკი მარცხი აგებმა ინგლისელებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას მან მიაღწია 20 ივნისს, როდესაც პრაქტიკულად უბრძოლველად აიღო ტობრუკი (იხ.: **B. H. Liddell Hart.** History of the Second World War, New York, 1971, გვ. 269-273).

დროში შემუშავება.[1] გარდა ამისა, გადაწყდა რომ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოქმედებები საფრანგეთსა და ნიდერლანდებში 1942 წელს განწირული იქნებოდა მარცხისათვის, ისინი უნდა შეცვლილიყო სხვა ოპერაციებით.[2] ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონის კონფერენცია პრინციპში ჩერჩილის დიპლომატიური გამარჯვებით დასრულდა. მართალია, აქ არ იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მეორე ფრონტის აფრიკაში გახსნის თაობაზე, მაგრამ ბრიტანეთის პრემიერმა შეძლო სათანადო წინაპირობების შექმნა ასეთი ოპერაციის ჩატარებისათვის. გარდა ამისა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ ჩერჩილს არ გაუჭირდებოდა „სლეჯჰამერის" ჩაშლა, რადგანაც მისი განხორციელება, სათანადო ამერიკული ნაწილების უქონლობის გამო, ძირითადად ინგლისელთა ძალებით იყო გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი: თვით საბჭოთა მკვლევარი ი. უნდასინოვი იძულებულია აღიაროს, რომ ბრიტანელებს მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით არ შეეძლოთ ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს დაპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ იქ მხოლოდ 4 გერმანული და 11 იტალიური დივიზია იყო განლაგებული.[3] ასეთ შემთხვევაში დაისმის კითხვა, თუ წარმატების რა შანსი შეიძლებოდა ჰქონოდა ფაქტობრივად ინგლისელთა ძალებით ჩასატარებელ ოპერაციას საფრანგეთში, როდესაც ჰიტლერს დასავლეთ ევროპაში ჰყავდა 52 ქვეითი და სატანკო დივიზია?!

საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ სად გაეხსნათ მოკავშირეებს მეორე ფრონტი 1942 წელს, მიღებულ იქნა ლონდონში ივლისის ბოლოს, როდესაც ამ საკითხის განსახილველად რუზველტმა იქ გააგზავნა მისია ჰ. ჰოპკინსის, ჯ. მარშალისა და ე. კინგის შემადგენლობით. ინგლისელები კარგად მოემზადნენ ამ შეხვედრისათვის. ჯერ კიდევ 7 ივლისს, სამხედრო კაბინეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე არ იყო სავარაუდო „სლეჯჰამერის" განხორციელები-

---

[1] FRUS, The Conferences at Washington, 1941-1943.., გვ. 479.

[2] იქვე.

[3] **И. И. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, М., 1965, გვ. 63-64.

სათვის შესაფერისი პირობების შექმნა. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა დადგენილება, რომ საჭირო იყო ამერიკელთა დარწმუნება „გიმნასტის" ჩატარების აუცილებლობაში. სასურველად იქნა ჩათვლილი აგრეთვე ჩრდილოეთ ნორვეგიაში შეჭრა (ოპერაცია „იუპიტერი"), თუ მოხერხდებოდა მისაღები გეგმის შემუშავება.[1] ყოველივე ეს ჩერჩილმა მეორე დღეს აცნობა რუზველტს და განუცხადა აშშ-ს პრეზიდენტს, რომ თვითონ ის საბჭოთა ფრონტისათვის დახმარების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებად თვლიდა „გიმნასტის" განხორციელებას.[2] 14 ივლისს ბრიტანეთის პრემიერმა კიდევ ერთხელ მისწერა რუზველტს მასზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით. ამჯერად ჩერჩილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთში 1942წ. შეჭრას ყველა შეუძლებლად თვლიდა და სთხოვდა პრეზიდენტს, რაც შეიძლება მალე ჩაეტარებინა „გიმნასტი".[3]

და მაინც, მიუხედავად ასეთი მომზადებისა, ბრიტანეთის პრემიერი არ იყო ბოლომდე დარწმუნებული, რომ შესძლებდა თავისი სტრატეგიის გატანას ლონდონის შეხვედრაზე. 12 ივლისს მან აცნობა ფელდმარშალ ჯ. დილს, ბრიტანელთა წარმომადგენელს მოკავშირეთა გაერთიანებულ შტაბში, რომ თუ რუზველტი უარყოფდა „გიმნასტს", ის (ე. ი. ჩერჩილი — თ. ჰ.) იძულებული იქნებოდა, დასთანხმებოდა ამერიკულ გეგმას.[4] ასე რომ, მოკავშირეები საერთოდ უმოქმედოდ იქნებოდნენ 1942წ., მაგრამ, სამაგიეროდ, 1943 წლის გაზაფხულ-ზაფხულში განახორციელებდნენ საომარ ოპერაციებს საფრანგეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილის შიში სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამერიკელი სამხედროებიც სწავლობდნენ აღნიშნულ საკითხს. 10 ივლისს ჯ. მარშალმა შტაბების უფროსთა კომიტეტის წევრებს გააცნო ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის 8 ივლისის დადგენილება და წარმოადგინა მთელი ძალების იაპონიის წინააღმდეგ კონცენტრირების გეგმა.[5]

---

[1] **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 102-103.
[2] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 377-378.
[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 381.
[4] იქვე.
[5] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 312.

მოქმედების ასეთმა ვარიანტმა ამერიკელი სამხედროების უდიდესი ნაწილის მოწონება ჰპოვა და მათ პრეზიდენტს წარუდგინეს კიდეც მემორანდუმი, რომელსაც მარშალთან ერთად ხელი მოაწერა ე. კინგმაც. ამ დოკუმენტში აღინიშნა, რომ „გიმნასტის" განხორციელება ხელს შეუშლიდა „რაუნდაპს".[1] აქვე მემორანდუმის ავტორები აცხადებდნენ, რომ თუ აშშ საფრანგეთის ნაცვლად რომელიმე სხვა საბრძოლო თეატრზე მოქმედებებს მიანიჭებდა უპირატესობას, მაშინ საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მთელი ძალისხმევის გადატანა წყნარი ოკეანის აუზზე.[2] რუზველტმა განიხილა აღნიშნული გეგმა და დაიწუნა ის. გარდა ამისა, მან აუკრძალა აშშ-ს დელეგაციის წევრებს „სლეჯჰამერის" ჩატარების ულტიმატუმის ფორმით მოთხოვნა ლონდონის შეხვედრის დროს. ამასთან, რუზველტმა 15 ივლისს ჰოპკინსთან საუბარში აღნიშნა, რომ თუ ინგლისელები უარს იტყოდნენ 1942 წლის ლა-მანშის ფორსირებაზე, მაშინ საჭირო იქნებოდა სხვა ადგილის მოძებნა, სადაც ამერიკელები შესძლებდნენ გერმანელების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების წარმოებას. ასეთ შემთხვევაში მას საუკეთესო ვარიანტად სწორედ „გიმნასტი" მიაჩნდა.[3] ანალოგიური ხასიათის დირექტივა მიეცა მარშალსაც.[4] ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ლონდონის შეხვედრისას შედეგი წინასწარ იყო გარკვეული.

აშშ-ს დელეგაცია ლონდონში 18 ივლისს ჩავიდა. თავდაპირველად მისი წევრები ცდილობდნენ, როგორმე მიეღოთ ინგლისელებისაგან თანხმობა „სლეჯჰამერის" განხორციელებაზე, მაგრამ ამაოდ. ბრიტანელთა პოზიცია ურყევი იყო. 22 ივლისს მოლაპარაკებები დროებით შეწყდა, რათა ამერიკელებს შეეტყობინებინათ რუზველტისათვის, რომ ინგლისის სამხედრო კაბინეტმა საბოლოოდ მიიჩნია შეუძლებლად „სლეჯჰამერის" განხორციელება და რეკომენდაცია გაუწია „გიმნასტს".[5] აშშ-ს პრე-

---

[1] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 314.
[2] იქვე.
[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 602-603; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 232.
[4] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование.., გვ. 319.
[5] **J. Butler.** Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 634; **Дж. Батлер, Дж. Гуайер.**

ზიდენტისათვის სულაც არ ყოფილა მოულოდნელი მოვლენების ამგვარი განვითარება და უბრძანა ჰოპკინსს, მარშალს და კინგს, ემოქმედათ შეხვედრის წინ მიღებული ინსტრუქციების თანახმად.[1] ამასთან, მათ სასწრაფოდ უნდა მიეღწიათ ინგლისელებთან შეთანხმებისათვის.[2] რუზველტის ბრძანება შესრულებულ იქნა. უკვე 24 ივლისს ამერიკის დელეგაციამ ბრიტანელებს შესთავაზა მოკავშირეთა მოქმედების ახალი ვარიანტი. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული იყო ოპერაცია „რაუნდაპის" მზადების გაგრძელება, სანამ იქნებოდა მისი განხორციელების იმედი, ხოლო თუ საბჭოთა კავშირის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდებოდა, უნდა მომხდარიყო დესანტის გადასხმა ჩრდილოეთ აფრიკაში არა უგვიანეს 1942 წლის 1 დეკემბრისა.[3] რასაკვირველია, ყოველივე ეს მისაღები იყო ჩერჩილისათვის, თუმცა ერთი პუნქტი მაინც მოითხოვდა დაზუსტებას. კერძოდ, ეს ეხებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში ოპერაციის ჩატარების საბოლოო ვადებს. რუზველტი დაინტერესებული იყო, რომ ოპერაცია „ტორჩი" (ასეთი სახელწოდება მიიღო „გიმნასტმა") განხორციელებულიყო 1942 წლის 30 ოქტომბრამდე, რადგანაც ნოემბერში აშშ-ში ტარდებოდა არჩევნები კონგრესში და მას სურდა დემოკრატთა პოზიციების განმტკიცება საკანონმდებლო ორგანოში. ამის შესახებ მან ჰოპკინსის მეშვეობით აცნობა კიდეც ჩერჩილს, რომელმაც მოიწონა აშშ-ს პრეზიდენტის წინადადება.[4] რუზველტი ამითაც არ დაკმაყოფილდა და 30 ივლისს უბრძანა აშშ-ს არმიის შტაბს „ტორჩის" მომზადება და განხორციელება იმის მიუხედავად, თუ რა მდგომარეობა იქნებოდა აღმოსავლეთის ფრონტზე.[5]

საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ აღნიშნულ სამიტამდე იყო რამდენადმე პესიმისტურად განწყობილი მოსალოდნელი შედეგე-

---

Большая стратегия, გვ. 485.

[1] R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 610. Р. Шервуд. Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 241.

[2] R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 610; Р. Шервуд. Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 242.

[3] J. Butler. Grand Strategy, vol. III, part II, გვ. 635.

[4] W. S. Churchill. The Second World War, vol. IV, გვ. 389-390.

[5] T. Higgins. Winston Churchill and the Second Front, გვ. 157.

ბისადმი, რადგან კრემლისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო ინგლისის პოზიცია ლონდონის შეხვედრის დაწყების წინ. სსრკ-ს ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. მაისკიმ 16 ივლისს აცნობა სტალინს ჩერჩილთან, იდენთან და ბევერბრუკთან მისი საუბრების შესახებ და გამოიტანა დასკვნა, რომ 1942 წელს ლა-მანშის ფორსირება არ მოხდებოდა.[1] სტალინი მაინც შეეცადა, მოეხდინა ერთგვარი დიპლომატიური ზეწოლა ლონდონის მოლაპარაკებებზე. მან, როგორც ჩანს, სწორედ ი. მაისკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით,[2] 1942 წლის 23 ივლისს გაგზავნილ წერილში ყოველგვარი მობოდიშების გარეშე განუცხადა ბრიტანეთის პრემიერს, რომ 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის ორგანიზების საკითხი არასერიოზულ ხასიათს იღებდა და პირდაპირ გაილაშქრა საფრანგეთში შეჭრის 1943 წელზე გადატანის წინააღმდეგ.[3] შესაძლოა, სტალინს მართლაც სჯეროდა, რომ მისი დემარში რაიმე გავლენას მოახდენდა ლონდონში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობაზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სამაგიეროდ, სავარაუდოა, რომ საბჭოთა ლიდერის წერილმა მაინც დააფიქრა ჩერჩილი და აიძულა ის, სასწრაფოდ ჩასულიყო მოსკოვში, რათა რამდენადმე დაემშვიდებინა თავისი კოლეგა და პირისპირ შეხვედრის დროს დაემტკიცებინა სტალინისათვის მეორე ფრონტის 1942 წელს გახსნის შეუძლებლობა. არ არის გამორიცხული, ბრიტანეთის პრემიერი შიშობდა, რომ მსგავსი ინფორმაციის წერილობითი მიწოდება გამოიწვევდა საბჭოთა ლიდერის აღშფოთებას, რასაც, შესაძლოა, მისი მხრიდან მოჰყოლოდა გერმანიასთან სეპარატული ზავის დადება.[4] გარდა ამისა,

---

[1] **И. М. Майский.** Воспоминания советского посла, გვ. 261.

[2] საბჭოური ისტორიოგრაფია რატომღაც აცხადებდა, რომ სტალინის ეს დემარში გამოიწვია ჩერჩილის 1942წ. 18 ივლისის წერილმა (**Переписка..**, т. I, გვ. 50-53), რომელიც ნათელს ხდიდა, რომ 1942წ. მეორე ფრონტი არ იქნებოდა გახსნილი (**История Дипломатии**, т. IV, გვ. 269). მაგრამ ბრიტანეთის პრემიერის ამ წერილში საფრანგეთში 1942წ. შეჭრაზე უარის თქმა საერთოდ არ არის ნახსენები, ასე რომ, ჩვენი აზრით, საბჭოთა ლიდერი ეერდნობოდა სწორედ თავისი ელჩის მონაცემებს.

[3] **Переписка..**, т. I, გვ. 54.

[4] როგორც ჩანს, ასეთი აზრი საკმაოდ გავრცელებული იყო ინგ-

მას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა საბჭოთა არმია კავკასიის შენარჩუნებას.[1] ივლისის ბოლოს ჩერჩილმა სთხოვა სტალინს საბჭოთა კავშირში მიწვევა კრემლის ხელმძღვანელობისთვის 1942 წელს დაგეგმილი მოკავშირეთა შეტევითი ოპერაციების განდობის მიზნით.[2] რასაკვირველია, ბრიტანეთის პრემიერის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და გადაწყდა, რომ ამგვარი შეხვედრა შედგებოდა მოსკოვში აგვისტოს შუა რიცხვებში. თავის მხრივ, ჩერჩილმა საჭიროდ ჩათვალა ამერიკელი წარმომადგენლის დასწრება სამიტზე და შესთავაზა რუზველტს ა. ჰარიმანის მოსკოვში გაგზავნა. ბრიტანეთის პრემიერს სურდა, ეჩვენებინა სტალინისათვის, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი ერთ პოზიციაზე იდგნენ მეორე ფრონტის საკითხში.[3] აშშ-ს პრეზიდენტმა მოიწონა ეს წინადადება და ამერიკელი დიპლომატიც შეუერთდა კაიროში მყოფ ჩერჩილს.

ბრიტანეთის პრემიერი მოსკოვში 12 აგვისტოს ჩამოვიდა და იმავე საღამოს შეხვდა სტალინს. ჩერჩილის მოლოდინი გამართლდა. საბჭოთა ხელმძღვანელობა მართლაც უარყოფითად შეხვდა ცნობას ევროპაში შეჭრის 1943 წლისთვის გადადების შესახებ, თუმცა პირველი შეხვედრისას სტალინმა აშკარა დაინტერესება გამოამჟღავნა „ტორჩისადმი". უფრო მეტიც, მან სამხედრო თვალსაზრისით მართებულად შეაფასა ეს ოპერაცია 4 სავარაუდო შედეგის გამო: 1) დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა ფელდმარშალ ერვინ ფონ რომელის (გერმანელთა მთავარსარდალი ლიბიაში) ზურგი; 2) ეს დააშინებდა ესპანეთს; 3) გამოიწვევდა გერმანელებისა და ფრანგების დაპირისპირებას საკუთრივ საფრანგეთში; და 4) იტალია აღმოჩნდებოდა უშუალო დარტყ-

---

ლის-აშშ-ს დიპლომატიურ წრეებში, რადგანაც ჩერჩილი სამხედრო კაბინეტისადმი 14 აგვისტოს გაკეთებულ მოხსენებაში აცხადებდა, რომ მოსკოვის შეხვედრის დროს მისთვის არანაირად არ უგრძნობინებიათ ბრძოლის შესაძლო შეწყვეტის შესახებ (**W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 427). ეტყობა, ეს წარმოადგენდა პასუხს მათთვის, ვინც ფიქრობდა, რომ სსრკ ვერ შეძლებდა ომის გაგრძელებას.

[1] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 425.

[2] **Переписка..**, т. I, გვ. 55.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 411.

მის ქვეშ.[1] ჩერჩილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ სტალინი რამდენიმე წუთში ჩაწვდა პრობლემას, რომელიც მისთვის უცნობი იყო და ელვისებურად ჩამოაყალიბა მოსაზრებები, რომლებზეც მოკავშირეები თვეების განმავლობაში მუშაობდნენ.[2] სამაგიეროდ, საბჭოთა ლიდერმა პროტესტი განუცხადა ბრიტანეთის პრემიერს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გადავადების გამო. მან უთხრა ჩერჩილს, რომ თავისუფლად შეიძლებოდა შერბურთან 6-8 დივიზიის ძალებით დესანტის გადასხმა და ინგლისელებს ბრალი დასდო სილაჩრეში.[3] ჩერჩილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ სტალინის წინადადება არ ითვალისწინებდა მხოლოდ ერთ გარემოებას — ლა-მანშის სრუტის არსებობას.[4] მსგავსი ეპიზოდები კიდევ რამდენიმეჯერ განმეორდა მოსკოვის შეხვედრის დროს, მაგრამ საბოლოოდ საბჭოთა ლიდერი შეურიგდა მოკავშირეთა გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ ამ საკითხის შემდგომ განხილვას აზრი არ ჰქონდა.[5] ის იძულებული გახდა, დასჯერებოდა ჩერჩილის დაპირებას მეორე ფრონ-

---

[1] **Советско-английские отношения..**, т. I, გვ. 270; **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 420. მოგვიანებით სტალინმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ამ პრობლემის პოლიტიკური მხარე მეტ დაფიქრებას მოითხოვდა (**Советско-английские отношения..**, т. I, გვ. 272; **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 425).

[2] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 420. ჩვენი აზრით, ეს სულაც არ იყო შემთხვევითი. საფიქრებელია, რომ სტალინისათვის ჩრდილოაფრიკული პროექტი უცნობი არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1942წ. დასაწყისში რუზველტმა მ. ლიტვინოვთან საუბარში განაცხადა, რომ მეორე ფრონტის გახსნის საეარაუდო ადგილად მას სწორედ ჩრდილოეთ აფრიკა მიაჩნდა.

[3] **Советско-английские отношения..**, т. I, გვ. 267-268; **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 417.

[4] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 417-418.

[5] საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა სტალინს, ჩერჩილს რომ ეთქვა მისთვის, თუ რა გადაწყვეტილებები მიიღეს ინგლისელმა და ამერიკელმა სამხედროებმა 1942წ. ივნისში ვაშინგტონის მეორე კონფერენციაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაშინ მათ დაასკვნეს, რომ ოპერაცია აფრიკაში პრაქტიკულად შეუძლებელს გახდიდა 1943წ. „რაუნდაპის“ წარმატებით განხორციელებას, მაგრამ ბრიტანეთის პრემიერმა დაუმალა ეს საბჭოთა ლიდერს.

ტის 1943 წელს გახსნის შესახებ. ბრიტანეთის პრემიერის ვიზიტი მოსკოვში დასრულდა სტალინის მიერ სტუმრის პატივსაცემად მოწყობილი ვახშმით, რომელიც 6 საათს გაგრძელდა[1] და რომელზეც მხარეებმა საბოლოოდ შეათანხმეს მათი შეხვედრის ამსახველი კომუნიკეს ტექსტი.[2] აღნიშნული დოკუმენტი ზოგად ხასიათს ატარებდა და, როგორც ჩანს, მისი მთავარი დანიშნულება იყო მთელი მსოფლიოს, და, პირველ რიგში, მოწინააღმდეგის დარწმუნება, რომ მოკავშირეთა ერთიანობა ურყევი იყო.

ამრიგად, 1942 წლის ზაფხულში საბოლოოდ გადაწყდა, რომ დასავლეთელი მოკავშირეები თავის პირველ ერთობლივ ოპერაციას გერმანიის წინააღმდეგ ჩაატარებდნენ არა ევროპაში, არამედ ჩრდილოეთ აფრიკაში. ეს, პირველ რიგში, განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით, მაგრამ, ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება უდავოდ წარმოადგენდა ჩერჩილის დიპლომატიურ გამარჯვებას. ეს იყო პირველი ნაბიჯი მისი „ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიის“ განხორციელების გზაზე. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების მიღება გერმანიის წინააღმდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში საომარი მოქმედებების გაშლის შესახებ ზოგადად უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ეს იყო პირველი რეალური შედეგი აშშ-ინგლისის კოორდინირებული დიპლომატიური მოქმედებებისა ევროპაში სრულფასოვანი მეორე ფრონტის მომზადების გზაზე.

---

[1] როგორც ჩანს, საპატიო სტუმრებისათვის მსგავსი წვეულებების მოწყობა სტალინისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. იხ.: **მ. ჯილასი.** საუბრები სტალინთან, თბ., 1991, გვ. 78.

[2] **Внешняя политика..**, т. I, გვ. 309-310; **W. S. Churchill.** The Second World War, vol. III, გვ. 436.

თავი II
წინააღმდეგობანი აშშ-ინგლისის დიპლომატიაში მეორე ფრონტის გახსნის დროისა და ადგილის შესახებ. კასაბლანკის კონფერენცია

ჩერჩილის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ ოპერაცია „ტორჩის" მომზადება სწრაფი ტემპით წავიდა და სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში დასრულდა კიდეც. ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა შეიარაღებული ნაწილების გადასხმის საბოლოო ვადად დადგენილ იქნა 1942წ. 7 ნოემბერი. ოპერაციას წინ უძღოდა ინგლისელთა გადასვლა შეტევაზე ეგვიპტეში. 1942წ. 23 ოქტომბერს გენ. ბერნარდ მონტგომერის მე-8 არმიამ დაიწყო გერმანული პოზიციების იერიში ელ-ალამეინთან და ორკვირიანი ბრძოლების შემდეგ გაარღვია ფრონტი. გერმანულმა ნაწილებმა ფელდმარშალ ერვინ ფონ რომელის სარდლობით დაიწყეს უკანდახევა დასავლეთისაკენ.[1] ეს იყო მოკავშირეთა პირველი დიდი გამარჯვება გერმანელებზე. 1942წ. 7-8 ნოემბრის ღამეს კი კასაბლანკის, ალჟირისა და ორანის მახლობლად გადასხმულ იქნა ინგლის-ამერიკის დესანტი და ოპერაცია „ტორჩიც" დაიწყო.[2] იყო თუ არა ჩრდილოეთ აფრიკაში საბრძოლო მოქმედებების დაწყება სრულფასოვანი მეორე ფრონტის გახსნა? შეიძლება ითქვას, რომ არა, რადგანაც აქ ორივე მხრიდან ჩაბმული იყო მეორე მსოფლიო ომის მასშტაბებისათვის შედარებით უმნიშვნელო ძალები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან დიდი გავლენა იქონია ომის მთელ მსვლელობაზე. ოპერაცია „ტორჩის" მნიშვნელობის შესაფასებლად საჭიროა, გაანალიზებულ იქნას მისი განხორციელების დროისათვის შექმნილი სამხედრო და პოლიტიკური ვითარება.

1942წ. პირველი ნახევრის განმავლობაში გერმანელებმა და იტალიელებმა სასტიკი მარცხი აგემეს ინგლისელებს ლიბიაში და დაემუქრნენ ალექსანდრიას. ინგლისელები დადგნენ ეგვიპტის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე, ეს კი საშიშროებას

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **B. H. Liddell Hart.** History of the Second World War, გვ. 301-308.

[2] **R. De Belot.** The Struggle for Mediterranean. 1939-1945, Princeton, 1951, გვ. 183.

შეუქმნიდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. ამასთან იაპონიაც განაგრძობდა წინსვლას წყნარ ოკეანეში. ამ დროისათვის იაპონიის ხელში გადავიდა ფილიპინები, ინდონეზია, სინგაპური და ბირმა. იაპონელები გავიდნენ ინდოეთის საზღვარზე, მაგრამ შემდგომი განმტკიცება თავისი წარმატებებისა უკვე ვეღარ შეძლეს. ასეთ სიტუაციაში საჭირო იყო ინგლის-ამერიკის გაერთიანებული ძალებით გერმანიისათვის მასირებული დარტყმის მიყენება. რასაკვირველია, წარმატების შემთხვევაში ყველაზე ეფექტური იქნებოდა დიდი ძალებით შეჭრა ჩრდილოეთ საფრანგეთში, მაგრამ 1942წ. ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ერთადერთი, რაც მოხერხდებოდა, ეს იყო შეზღუდული სახით ოპერაციის ჩატარება („სლეჯჰამერი") პლაცდარმის სახით რომელიმე ფრანგული პორტის დასაკავებლად, შემდგომ კი ამ პლაცდარმის თანდათანობით გაფართოება. მაგრამ 1942წ. 19 აგვისტოს დიეპის რეიდის მარცხმა[1] აჩვენა ასეთი იდეის უპერსპექტივობა. აღსანიშნავია, რომ თვით დ. ეიზენჰაუერიც, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხრე იყო ჩრდილოეთ საფრანგეთში ოპერაციის განხორციელებისა და რომელმაც 1942წ. 22 ივლისს, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროპაში ოპერაციის გადავადების შესახებ, „ისტორიის ყველაზე შავი დღე" უწოდა,[2] იძუ-

---

[1] 1942წ. 19 აგვისტოს ქ. დიეპის მახლობლად გადასხმულ იქნა მოკავშირეთა დესანტი, რომელიც შედგებოდა დაახლოებით 6 ათ. ინგლისელი და კანადელი ჯარისკაცისაგან. მედესანტეებმა დაიკავეს ქალაქი და 24 საათის განმავლობაში შეძლეს მისი შენარჩუნება, რის შემდეგაც ისინი ისევ ინგლისში დააბრუნეს. ოპერაციის შედეგად დაიღუპა მასში მონაწილე პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

[2] **H. C. Butcher.** My Three Years With Eisenhower, New York, 1946, გვ. 29. საბჭოთა მკვლევარმა ი. უნდასინოვმა რატომღაც განაცხადა, რომ ეიზენჰაუერის ეს სიტყვები ეხებოდა 24 ივლისს, აფრიკაში შეჭრაზე გადაწყვეტილების მიღების დღეს (**И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 69.), რითაც მნიშვნელოვნად შეცვალა ამერიკელი გენერლის სიტყვების კონტექსტი. არადა, დ. ეიზენჰაუერი უბრალოდ წინააღმდეგი იყო ლა-მანშის ფორსირების გადადების, რადგანაც ეს გამოიწვევდა, მისი აზრით, ომის გაჭიანურებას. რაც შეეხება „ტორჩს", ეიზენჰაუერს არასოდეს არ მიუჩნევია ის უსარგებლო ოპერაციად. პირიქით, აღნიშნა კიდეც მისი ულაყო პლუსები, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ლებული იქნა ელიარებინა მისი ოპონენტების სიმართლე ამ საკითხის შეფასებაში.[1] უფრო მეტიც, მისი ცნობით, ამერიკელთა შტაბში თანდათან გამოიკვეთა აზრი, რომ საკუთრივ დიდ ოპერაციასაც (დასავლეთ ევროპაში) წარმატების შანსი არ ექნებოდა 1943წ. ბოლომდე და რადგანაც წლის ბოლოს ლა-მანშის ფორსირება ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მისი ჩატარება უნდა გადადებულიყო 1944წ. გაზაფხულისათვის.[2] ამავე დროს უმოქმედობაც არ შეიძლება. არსებულ სიტუაციაში შეიძლებოდა განხილულიყო მოკავშირეთა შესაძლო მოქმედების 5 ვარიანტი: 1) მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების გადასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში; 2) მხოლოდ ამერიკული ძალებით შეჭრა მაროკოში; 3) ინგლისურ-ამერიკული სადესანტო ოპერაციის ჩატარება ნორვეგიაში; 4) ეგვიპტის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება; 5) ირანის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.[3] ამ ვარიანტებიდან ყველაზე მიმზიდველი, რა თქმა უნდა, პირველი იყო.

სამხედრო თვალსაზრისით, „ტორჩის" ჩატარება გამართლებული იყო, რადგანაც ჩრდილოეთ აფრიკაში ღერძის ქვეყნებს შედარებით მცირერიცხოვანი ძალები ჰყავდათ, რომლებიც მე-8 ბრიტანული არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჩრდილოეთ აფრიკის აღების შემთხვევაში მოკავშირეები ფაქტობრივად შექმნიდნენ პლაცდარმს სამხრეთ ევროპაში შესაჭრელად, რის შედეგადაც იტალია უშუალო დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა. ამასთან, ეს ყველანაირ საფრთხეს მოუხსნიდა მახლობელ აღმოსავლეთს. ხმელთაშუა ზღვაში მოკავშირეთა ერთადერთი დასაყრდენის — კ. მალტის მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა. ამასთან, შესაძლებელი გახდებოდა ხმელთაშუა ზღვის, როგორც სატრანსპორტო არტერიის გამოყენება, რაც მოკავშირეებს შეუმცირებდა ტონაჟთან დაკავშირებულ პრობლემებს.[4] გარდა ამისა,

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 71; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход..., გვ. 106.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 68; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход..., გვ. 104.

[3] **М. Мэтлофф, Э. Снелл.** Стратегическое планирование..., გვ. 323.

[4] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 72.

„ტორჩის“ განხორციელების სასარგებლოდ არსებობდა კიდევ ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომლის შესახებაც ინგლის-აშშ-ს დიპლომატია დუმილს ამჯობინებდა. ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ მოკავშირეები შესძლებდნენ ბრძოლის გაგრძელებას და საბოლოო გამარჯვებაზე ფიქრს გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის განადგურების შემთხვევაშიც. ჩვენი აზრით, სწორედ ეს მომენტი იყო ჩერჩილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ მას არსად ღიად არ განუცხადებია ამის შესახებ, ის, უეჭველია, ითვალისწინებდა მოვლენების ასეთი განვითარების შესაძლებლობას. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩერჩილის ესოდენ დიდი დაინტერესება ჩრდილოაფრიკული ოპერაციით.

„ტორჩის“ დაგეგმვისას, გარდა საკუთრივ სამხედრო მომენტებისა, გასათვალისწინებელი იყო პოლიტიკური ასპექტებიც: პირველ რიგში, როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ მოკავშირეთა მიმართ ფრანგებს, რომელთა პოზიციას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან გადასხმა უნდა მომხდარიყო ფრანგული კოლონიების ტერიტორიაზე. კერძოდ, გაურკვეველი იყო, თუ როგორ მოიქცეოდნენ იქ განლაგებული ფრანგული ნაწილები, რომლებიც ვიშის მთავრობას ემორჩილებოდნენ. მათ საკმაოდ სერიოზული პრობლემების შექმნა შეეძლოთ მოკავშირეებისათვის, მით უმეტეს, რომ ფრანგებში საკმაოდ ძლიერი იყო ანტიინგლისური განწყობილებები, რაც მარს-ელ-ქებირსა და დაქარში ფრანგული ფლოტის წინააღმდეგ 1940წ. ივლისსა და სექტემბერში ინგლისური ესკადრების მიერ განხორციელებული აქციებით იყო გამოწვეული.[1] ამიტომ გადაწყდა, რომ

[1] 1940წ. 3 ივლისს ინგლისური ფლოტი თავს დაესხა მარს-ელ-ქებირთან რეიდ'სე მდგარ ფრანგულ ხომალდებს და გაანადგურა მათი დიდი ნაწილი, 9 ივლისს იგივე განმეორდა დაქარში. ამ აქციების მიზანი იყო, თავიდან აეცილებინათ ფრანგული ფლოტის გერმანელთა ხელში მოხვედრა. არადა, ვიშის მთავრობის თავდაცვის მინისტრმა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ადმირალმა ჟ. დარლანმა აღუთქვა ბრიტანელებს, რომ არ დაუშვებდა თავისი ხომალდების გადასვლას გერმანელების ხელში. ბუნებრივია, ამ

ოპერაცია ჩატარებულიყო ამერიკული დროშის ქვეშ და სარდლობაც პირველ ეტაპზე ამერიკელებისაგან ყოფილიყო დაკომპლექტებული.

მოკავშირეებს იმედი ჰქონდათ, რომ ასეთ შემთხვევაში ფრანგები მათ მხოლოდ მოჩვენებით წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეებისათვის, რადგანაც აფრიკაში განლაგებულ ფრანგულ ძალებს შეეძლოთ, შეეფერხებინათ ოპერაციის მსვლელობა. ადგილობრივი ფრანგი მეთაურების უმრავლესობა მარშალ პეტენს ემორჩილებოდა და მხოლოდ მცირე ნაწილი გადავიდა მოკავშირეთა მხარეს ოპერაციის დაწყებისთანავე. უარყოფითი იყო მათი დამოკიდებულება გენ. შარლ დე გოლის მიმართაც. ამერიკელებმა გადაწყვიტეს, მოეძებნათ ისეთი პიროვნება, რომელიც შეძლებდა ფრანგული ნაწილების მოკავშირეთა ბანაკში გადმოყვანას. ასეთად მიჩნეულ იქნა გენერალი ანრი ჟირო, მაგრამ მათი პროგნოზები მცდარი აღმოჩნდა. 8 ნოემბერს, ოპერაციის დაწყების დღეს, ფრანგებმა მხოლოდ ალჟირის მახლობლად არ გაუწიეს წინააღმდეგობა მოკავშირეებს, სხვაგან კი გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა.[1] გენ. ჟირომ 9 ნოემბერს რადიოთი უბრძანა ფრანგულ ნაწილებს შეწყვიტათ ცეცხლი, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.[2] ყოველივე ამას თან დაერთო ისიც, რომ ვიშის მთავრობის ეროვნული თავდაცვის და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, პეტენის მემკვიდრედ აღიარებული ჟ. დარლანი ოპერაციის დაწყების მომენტში ალჟირში აღმოჩნდა.[3] გენ. მ. კლარკმა, რომელიც

აქციის შემდეგ ვიშისტებში გაძლიერდა ანტიინგლისური განწყობილებები. გარდა ამისა, 23-25 სექტემბერს გენერალმა შარლ დე გოლმა – მოძრაობა „თავისუფალი საფრანგეთის" ლიდერმა ინგლისური ესკადრის დახმარებით სცადა დაქარის აღება, მაგრამ უშედეგოდ (**Ш. де Голль.** Военные мемуары, т. I, М., 1957, გვ. 118, 149-154).

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 103; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 143-144.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 104; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 145.

[3] დარლანის ალჟირში აღმოჩენის მიზეზი იყო მისი შვილის მძიმე ავადმყოფობა (Отрывки из воспоминаний Уильяма Леги, – წგნ.: Вторая

აწარმოებდა მოლაპარაკებებს ფრანგ სამხედროებთან, დაადგინა, რომ ისინი წინააღმდეგობას შეწყვეტდნენ და მოკავშირეთა მხარეს გადავიდოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებდნენ დარლანის ბრძანებას. ამ გარემოებამ და კიდევ მოკავშირეთა სურვილმა, ხელთ ეგდოთ ფრანგული ფლოტის დარჩენილი ნაწილი, რომელიც განლაგებული იყო ტულონსა და დაქარში, აიძულა ეიზენჰაუერი, დაეწყო მოლაპარაკებები დარლანთან.[1]

10 ნოემბერს მოკავშირეებმა აიღეს ორანი და ამავე დღეს

мировая война в воспоминаниях Уинстона Черчилля, Шарля Де Голля, Корделла Хэлла, Уильяма Леги, Дуайта Эйзенхауэра, – сост. Е. Трояновская, М., 1990, გვ. 408), მაგრამ არის ერთი ასპექტი, რომელიც იპყრობს ყურადღებას: 1940-1942 წლების განმავლობაში დარლანი იყო ვიშის მთავრობის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელთანაც ჯერ ინგლისელები, ხოლო მარს-ელ-ქაბირისა და დაქარის მოვლენების შემდეგ ამერიკელები, აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს და რომელიც აქტიურად მიდიოდა მათთან კონტაქტზე (დარლანის ერთ-ერთი მეკავშირე იყო სწორედ მისი ვაჟი ალენი. იხ: **M. Howard.** Grand strategy. August 1942 – September 1943, L., 1971, გვ. 152-153; **М. Говард.** Большая стратегия. Август 1942 – сентябрь 1943, М., 1980, გვ. 120). უფრო მეტიც, 1942წ. ოქტომბერში მან განუცხადა ამერიკელებს, რომ გერმანელებისაგან მოსალოდნელი იყო ფრანგული ჩრდილოეთ აფრიკის ოკუპირება და დაპირდა მათ, სათანადო დახმარების შემთხვევაში, ფლოტის გადარჩენას. 17 ოქტომბერს კი რ. მერფიმ მიიღო ნებართვა, მოლაპარაკებოდა დარლანს და შეეთავაზებინა მისთვის ჟიროსთან თანამშრომლობა (**R. Murphy.** Diplomat Among the Warriors, New York, 1964, გვ. 118). მართალია, არ არსებობს დამადასტურებელი საბუთები, რომ აღნიშნული შეხვედრა მართლაც შედგა, მაგრამ ყოველივე ეს იძლევა სერიოზული დაეჭვების საფუძველს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: დარლანმა იცოდა მოკავშირეთა ოპერაციის განხორციელების ვადების მოახლოების შესახებ და, შესაძლოა, შეუთანხმდა კიდეც ამერიკელებს მათ მხარეზე გადასვლის შესახებ ფრანგული ადმინისტრაციის მეთაურის პოსტის სანაცვლოდ.

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 104-105; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 145-146. ნერჩილის დაინტერესება ფრანგული ფლოტით იმდენად დიდი იყო, რომ მან შესაძლებლად ჩათვალა დარლანთან მორიგება და განაცხადა: „გააკეთეთ ყველაფერი.., ოღონდ ხელთ იგდეთ ფრანგული ფლოტი" (**P. Tomkins.** The Murder of Admiral Darlan, New York, 1965, გვ. 59; **Ч. Макдональд.** Тяжёлое испытание, М., 1979, გვ. 86).

დარლანმა უბრძანა ფრანგ მეთაურებს, შეეწყვიტათ ცეცხლი. პეტენმა ეს ბრძანება ძალადაკარგულად გამოაცხადა და გადააყენა დარლანი.[1] ამასობაში მოვიდა ცნობა, რომ გერმანელები შევიდნენ სამხრეთ საფრანგეთში. მაშინ დარლანმა განაცხადა, რომ რაკი გერმანელებმა დაარღვიეს 1940წ. დაზავების პირობები, ის მზად იყო ეთანამშრომლა ამერიკელებთან. 13 ნოემბერს დარლანსა და მოკავშირეებს შორის დაიდო შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.[2] დარლანი დათანხმდა, რომ ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში განლაგებული ფრანგული ძალების მთავარსარდლად დანიშნულიყო გენ. ა. ჟირო, ხოლო საკუთრივ ეს ნაწილები ინგლისელთა და ამერიკელთა მხარეზე გადასულიყვნენ. მიღწეული შეთანხმებით, მოკავშირეებმა მიიღეს ფრანგული ტერიტორიების გამოყენებისა და თავისუფალი გადაადგილების უფლება. ამის სანაცვლოდ დარლანი ხდებოდა ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში ფრანგული ადმინისტრაციის მეთაური.[3] ვიშის მთავრობის წარმომადგენელთან მოლაპარაკებების წარმოებამ გამოიწვია უკმაყოფილება როგორც ინგლისში, ისე აშშ-ში და გენ. ეიზენჰაუერი იძულებული გახდა, ახსნა-განმარტებითი ბარათი გაეგზავნა ლონდონსა და ვაშინგტონში.[4] ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობამ ყურად იღო დ. ეიზენჰაუერის არგუმენტები და განაცხადა, რომ დაიცავდნენ ამ შეთანხმებებს, სანამ ფრანგები შეასრულებდნენ იქ მოცემულ პირობებს და არ დასრულდებოდა საომარი მოქმედებები აფრიკაში.[5]

ამრიგად, 13 ნოემბრის შეთანხმებით დასრულდა ოპერაცია „ტორჩის" პირველი ეტაპი. მოკავშირეები გამაგრდნენ თითქმის

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 107; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 149.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 107-109; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 149-151.

[3] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 108; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 150.

[4] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 109-110; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 151-153.

[5] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 111; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 154.

მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში, გარდა ტუნისისა. ამით მათ მინიმალური ამოცანა შეასრულეს: დაიკავეს პორტები კასაბლანკასა და ალჟირის შორის და მოახერხეს ფრანგული ნაწილების მომხრობა.[1] ამიერიდან მოკავშირეებს უშუალოდ გერმანელთა და იტალიელთა მთლიანად აფრიკის კონტინენტიდან განდევნისათვის უნდა ეზრუნათ. ამისათვის ეიზენჰაუერის ჯარებს უნდა ემოქმედათ შეთანხმებულად გენ. ჰაროლდ ალექსანდერის ნაწილებთან ერთად. გენ. დ. ეიზენჰაუერმა გადაწყვიტა, მიემართა მთელი ძალები ჩრდილოეთ ტუნისის დასაკავებლად. ამ მიზნით მან გააძლიერა გენ. ანდერსონის 1-ლი ინგლისური არმია, რომელსაც ევალებოდა ქალაქების ტუნისისა და ბიზერტას აღება. ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში რომელის არმია ლიბიაში აღმოჩნდებოდა მომწყვდეული და ძალიან სწრაფად განადგურდებოდა. მოკავშირეებმა აიღეს კიდეც რამდენიმე ქალაქი და მიადგნენ ქ. ტუნისის გარეუბანს, მაგრამ ამასობაში გერმანელებმა მოიკრიბეს ძალები და შეაჩერეს ისინი. მოკავშირეები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ რამდენიმე პუნქტი.[2] ეიზენჰაუერს იმედი ჰქონდა, რომ დეკემბრის ბოლოს განაახლებდა შეტევას ჩრდილო-აღმოსავლეთ ტუნისის დასაკავებლად, მაგრამ უამინდობამ შეუძლებელი გახადა შემდგომი წინსვლა და მან ოპერაციების ჩატარება გადადო გაზაფხულამდე.[3]

ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა წარმატებული გადასხმის შემდეგ ვაშინგტონისა და ლონდონის დიპლომატიური საქმიანობა მთლიანად სამხედრო ოპერაციების ძირითადი მიმართულების განსაზღვრისაკენ იყო მიპყრობილი. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ჩერჩილისა და რუზველტის მორიგი შეხვედრა, რომელიც 1943წ. 14 იანვარს დაიწყო კასაბლანკაში. ამ სამიტის მოწვევის იდეა ჯერ კიდევ 1942წ. ნოემბერში გაჩნდა, თუმცა თავდაპირველად რუზველტს სურდა სამი მოკავშირე ქვეყნის — აშშ, დიდი

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 115; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 158.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 122-123; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 166.

[3] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 123; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 167.

ბრიტანეთი და სსრკ — სამხედრო დელეგაციების შეხვედრის მოწყობა და ამისათვის სასურველ ადგილად მას კაირო ან მოსკოვი მიაჩნდა. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ჩერჩილს 26 ნოემბერს დეპეშით აცნობა.[1] ინგლისის პრემიერს საკუთრივ შეხვედრის მოწყობის იდეა მოეწონა, მაგრამ ის არ დააკმაყოფილა დელეგაციების სავარაუდო შემადგენლობის დონემ. მას მიაჩნდა, რომ შეხვედრაზე საბჭოთა მხარე აუცილებლად დააყენებდა ისეთ საკითხებს (1943წ. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა; რაც შეიძლება მეტი გერმანული დივიზიის დაკავება დასავლეთში და ა.შ.), რომლებზეც ამომწურავი პასუხის გაცემა შტაბების უფროსებს გაუჭირდებოდათ.[2] გარდა ამისა, ჩერჩილმა აცნობა რუზველტს, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხს საბჭოთა კავშირში წყვეტდა პირადად სტალინი (ამაში ის დარწმუნდა მოსკოვში ვიზიტის დროს — 1942წ. აგვისტოში), რომელიც მაშინ თითქოს თანახმა იყო ისლანდიაში „დიდი სამეულის" ლიდერების შეხვედრის მოწყობაზე.[3] თავის საპასუხო წერილში რუზველტმა მოიწონა ჩერჩილის წინადადება და დაასახელა კონფერენციის მოწვევის სავარაუდო ვადა — იანვრის შუა რიცხვები, ოღონდ მისი ჩატარების სასურველ ადგილად მან მიიჩნია ალჟირი ან სუდანი.[4] აშშ-ს პრეზიდენტმა საბჭოთა ლიდერსაც გაუგზავნა დაახლოებით ამავე შინაარსის წერილი,[5] მაგრამ სტალინმა უარი განაცხადა შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე იმ მოტივით, რომ ბრძოლა სტალინგრადთან გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და ამდენად სამხედრო მდგომარეობა არ აძლევდა მას ქვეყნის დატოვების საშუალებას.[6] სტალინის უარმა ერთგვარად გაუადვილა რუზველტს და ჩერჩილს კონფერენციისათვის ადგილის შერჩევა. ისინი შეთანხმდნენ, რომ შეხვედრა მოეწყოთ მაროკოში, ქ. კასაბლანკის შემოგარენ ანფაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონფერენციის მთავარი მიზა-

---

[1] W. S. Churchill. The Second World War, vol. IV, გვ. 576.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე. გვ. 577.
[5] Переписка.., т. II, გვ. 40-41.
[6] იქვე. გვ. 41-42.

ნი იყო დასავლეთელ მოკავშირეთა შემდგომი საბრძოლო მოქმედებების მიმართულების განსაზღვრა. სწორედ ამ საკითხს დაეთმო კონფერენციის უდიდესი ნაწილი. მისი განხილვა მოკავშირეთა შტაბების უფროსებმა ჯერ კიდევ 11 იანვარს დაიწყეს,[1] თუმცა გაერთიანებული ინგლისურ-ამერიკული შტაბის პირველი ოფიციალური სხდომა მხოლოდ 14 იანვარს შედგა.[2] სხდომა გახსნა გაერთიანებული შტაბის უფროსმა გენ. ჯორჯ მარშალმა, რომელმაც განსახილველად დააყენა ადმირალ ერნესტ კინგის წინადადება, საბოლოოდ განსაზღვრულიყო, თუ მოკავშირეთა რა რესურსები იქნებოდა გამოყოფილი წყნარი ოკეანისა და ევროპის საბრძოლო თეატრებისათვის. კინგს სურდა, რომ რესურსების 70% მოხმარებოდა ევროპას, ხოლო დანარჩენი 30% — წყნარი ოკეანის აუზში მოქმედ ძალებს, რომლებიც მანამდე მხოლოდ 15%-ს იღებდნენ. ეს წინადადება პრაქტიკულად განხილვის გარეშე იქნა მიღებული და ინგლისელებს მასში ფაქტობრივად არავითარი კორექტივი არ შეუტანიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავიაციის მარშალ ჩარლზ პორტალის თხოვნას კინგისადმი, განსაზღვრული ყოფილიყო იაპონელების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში (1943წ.) საჭირო ძალების რაოდენობა, რაც მოკავშირეებს საშუალებას მისცემდა, დაეზუსტებინათ, თუ რა ძალების გამოყენების შესაძლებლობა ექნებოდათ მათ სხვა ფრონტებზე.[3]

ამის შემდეგ დილის სხდომა ძირითადად დაეთმო გერმანიის წინააღმდეგ განსახორციელებელი საომარი მოქმედებების მიმართულებათა შესახებ მოკავშირეთა თვალსაზრისის განხილვას. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელები ამ საკითხთან დაკავშირებით დებატებისთვის ბევრად უკეთესად აღმოჩნდნენ მომზადებული, ვიდრე ამერიკელები. ბრიტანული შტაბი მთელი შემოდგო-

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 674; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс. Глазами очевидца, т. II, გვ. 326.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 244; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 176. საკუთრივ ჩერჩილი და რუზველტი შტაბის სხდომებს არ ესწრებოდნენ, მაგრამ იღებდნენ სრულ ინფორმაციას მათი მიმდინარეობის შესახებ (**W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 589.).

[3] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 244; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 176.

მის მანძილზე მუშაობდა ამ პრობლემის გარშემო და საბოლოდ ჩამოაყალიბა კიდეც ე.წ. „ხმელთაშუაზღვისპირეთის სტრატეგია.“ ინგლისელი სამხედროები თვლიდნენ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ მოკავშირეები, ჩრდილოეთ აფრიკაში საბოლოო გამარჯვების მიღწევის შემდეგ, ძირითად საომარ ოპერაციებს წარმართავდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ხოლო ლა-მანშის ფორსირებას მოახდენდნენ მხოლოდ 1944წ., ისიც იმ შემთხვევაში, თუ გერმანელთა სამხედრო ძლიერება მნიშვნელოვნად იქნებოდა შერყეული.[1] ბრიტანელებს ბოლომდე შეთანხმებული არ ჰქონდათ მხოლოდ ერთი საკითხი: კონკრეტულად რომელ პუნქტზე მიეტანათ პირველი დარტყმა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში — კ. სარდინიაზე თუ კ. სიცილიაზე.[2] უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ კონცეფციას სამხედროზე მეტად პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად. „ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგია“ ითვალისწინებდა მეორე ფრონტის ბალკანეთში გახსნას. ჩერჩილს მიაჩნდა, რომ მოკავშირეებს საკმაო დრო ჰქონდათ სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის დასაკავებლად, შემდეგ კი, როდესაც გერმანია უკვე განადგურების პირას იქნებოდა მისული, ისინი განახორციელებდნენ შეტევას საფრანგეთში და ტრიუმფით აიღებდნენ დასავლეთ ევროპას. ამავდროულად ბალკანეთში განლაგებული ძალები წაიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ და არ მისცემდნენ საბჭოთა არმიებს ცენტრალური ევროპის დაკავების შესაძლებლობას. ყოველივე ამის შედეგად მთელი ევროპა ინგლისისა და აშშ-ს სრული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებოდა. როგორც ვხედავთ, ჩერჩილი საკმაოდ კარგად ხვდებოდა, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ დაიწყებოდა ბრძოლა საბჭოთა კავშირთან გავლენის სფეროებისათვის, მაგრამ მისი სტრატეგიის სამხედრო უზრუნველყოფა ბევრად უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ლა-მანშის ფორსირება, ეს უკანასკნელი ოპერაცია კი გაცილებით უფრო მეტ სირთულეს შეუქმნიდა გერმანიას სამხედრო თვალსაზრისით, ვიდრე ბალკანეთის ოკუპაცია.

---

[1] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 233.

[2] იქვე. ამ ორი ობიექტის გარდა დასახელებული იყო კ. კრეტა, დიდი ანტილების კ-ბი (კერძოდ, როდოსი) და კონტინენტური საბერძნეთიც კი, მაგრამ უპირატესობა სწორედ სიცილიას ან სარდინიას ენიჭებოდა.

ინგლისელებისაგან განსხვავებით, ამერიკელები პრაქტიკულად მოუმზადებელნი ჩამოვიდნენ კონფერენციაზე. უფრო მეტიც, დაგეგმვის კომიტეტს ერთიანი აზრიც კი არ გააჩნდა მოკავშირეთა შემდგომ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რაც აღიარა კიდეც ჯ. მარშალმა 7 იანვარს თეთრ სახლში მოწყობილ თათბირზე.[1] მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჯ. მარშალი, საზღვაო ძალების სარდალი ე. კინგი და საჰაერო ძალების სარდალი ჰ. არნოლდი ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის ვარიანტს მიიჩნევდნენ საუკეთესოდ, უკანასკნელ ორს მაინც ხიბლავდა „ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგია". ე. კინგს განსაკუთრებით მოსწონდა, რომ ეს გეგმა მოკავშირეებს გამოუთავისუფლებდა დიდი რაოდენობით საზღვაო ტრანსპორტს, რომლის ნაკლებობა განსაკუთრებით იგრძნობოდა ამ პერიოდისათვის,[2] ხოლო ჰ. არნოლდისათვის უაღრესად მომხიბვლელი იყო პერსპექტივა, რომ მოკავშირეთა ხელში აღმოჩნდებოდა ფოჯას (იტალია) სამხედრო-საჰაერო ბაზა.[3] ყოველივე ამის შედეგად ჯ. მარშალი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ომის უსწრაფესად დასრულების საუკეთესო გეგმას წარმოადგენდა ლა-მანშის ფორსირება. მისი აზრით, შეტევითი ოპერაციების წარმოებისას საჭირო იყო ისეთი პუნქტების შერჩევა, სადაც თვითონ მოკავშირეები შესძლებდნენ მაქსიმალურად დიდი რაოდენობის სამხედრო

---

[1] G. Harrison. Cross-Channel Attack, L., 1951, გვ. 38.

[2] 1942 წელს მოკავშირეებმა საერთო ჯამში 7790697 ტ. მოცულობის მქონე გემები დაკარგეს, მაშინ როდესაც მათ მხოლოდ 7 მლნ ტ. მოცულობის მქონე ხომალდების აგება მოახერხეს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა წინა წლების დეფიციტი. გარდა ამისა, 1942 წლის განმავლობაში მოქმედი გერმანული წყალქვეშა ნავების რიცხვი 91-დან 212-მდე გაიზარდა და მათი აგების ტემპები ბევრად სჭარბობდა ნაძირული ნავების რაოდენობას (S. W. Roskill. The War at Sea, vol. II, L., 1954, გვ. 218.). 1943წ. მარტში მათი რიცხვი უკვე 250-მდე ავიდა (იხ.: J. Ehrman. Grand Strategy. August 1943-September 1944, L., 1956, გვ. 3; Дж. Эрман. Большая стратегия. Август 1943-сентябрь 1944, М., 1958, გვ. 36.). ყოველივე ეს მართლაც სერიოზული პრობლემას წარმოადგენდა მოკავშირეთათვის და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ისინი 1944წ. მეორე ნახევრამდე გაინაწილეს ხალესანტო ხომალდების ნაკლებობას.

[3] R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 674-675; Р. Шервуд. Рузвельт и Гопкинс, т.II, გვ. 327.

ნაწილების განლაგებას. არადა, ინგლისელები სრულიად საწინააღმდეგო პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. მათი აზრით, შეტევის განხორციელება ჯობდა იქ, სადაც გერმანელებს გაუჭირდებოდათ დიდი ძალების თავმოყრა.[1] სწორედ ამ პათოსით იყო გამსჭვალული ბრიტანეთის იმპერიული შტაბის უფროსის, გენ. ალან ბრუკის მოხსენება, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ ოპერაციები ხმელთაშუაზღვისპირეთში უფრო ეფექტურად შეასუსტებდა გერმანელთა ზეწოლას აღმოსავლეთის ფრონტზე, ვიდრე კონკრეტული შეტევა ჩრდილოეთ საფრანგეთში. მისი აზრით, ამგვარი ოპერაციების შედეგად ღერძის ქვეყნები მუდმივი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. ბრუკს მიაჩნდა, რომ მათი ჩატარება აიძულებდა იტალიას, გამოსულიყო ომიდან, ხოლო თურქეთს მოკავშირეთა მხარეს დადგომისაკენ უბიძგებდა. გარდა ამისა, აშშ და დიდი ბრიტანეთი მაქსიმალურად უნდა დახმარებოდნენ საბჭოთა კავშირს.[2] ყოველივე ამის განხორციელების შემთხვევაში, ბრუკი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ გერმანია უკვე 1943წ. შემოდგომაზე აღმოჩნდებოდა სამხედრო კრახის წინაშე, რის შემდეგაც უკვე მოკავშირეები დიდი წინააღმდეგობის გარეშე გადალახავდნენ ლა-მანშს და შეიჭრებოდნენ საფრანგეთში. უფრო მეტიც, მისი თქმით, სულაც არ იყო შეუძლებელი ევროპაში სრული გამარჯვების უკვე 1943 წელს მიღწევა.[3]

უნდა ითქვას, რომ ალან ბრუკს თავადაც კარგად ესმოდა ამ შესაძლებლობის არარეალურობა. თავის დღიურებში ის წერდა, რომ აღნიშნული განცხადება იყო მხოლოდ ფორმალური დათმობა ჯ. მარშალისადმი, რადგანაც ლონდონში დარწმუნებული იყვნენ, რომ გერმანიის სამხედრო კრახი 1944წ-მდე არ მოხდებოდა.[4] ჩვენი აზრით, ბრუკის ამ განცხადებას კონფერენციის ამერიკელ მონაწილეებზე რაიმე გავლენა არ მოუხდენია, რადგანაც ყველა

---

[1] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 245; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 177.

[2] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 244-245; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 177.

[3] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 245; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 177.

[4] A. Bryant. The Turn of the Tide. 1939-1943, L., 1957, გვ. 559-560.

კარგად გრძნობდა, რომ გერმანიისთვის უკვე 1943წ. ბოლოს მოღება უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. ჯ. მარშალს მშვენივრად ესმოდა ისიც, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში ოპერაციების წარმოება შეუძლებელს გახდიდა 1943 წელს „რაუნდაპის" (ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის კოდური სახელწოდება) განხორციელებას. უფრო მეტიც, საეჭვო ხდებოდა ლა-მანშის ფორსირება 1944წ. გაზაფხულზეც კი. მარშალის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ მოკავშირეები უმოქმედოდ ყოფილიყვნენ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში (აქ ის მხოლოდ ერთ დათმობაზე მიდიოდა, კერძოდ: დასაშვებად თვლიდა სიცილიის აღებას, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მოკავშირეთა მდგომარეობას საზღვაო ტრანსპორტის მხრივ.), რის სანაცვლოდაც დაეჩქარებინათ მოკავშირეთა ძალების თავმოყრა ბრიტანეთის კ-ბზე, რათა უკვე 1943წ. შემოდგომაზე შეჭრილიყვნენ ჩრდილოეთ საფრანგეთში. ის სულაც არ აპირებდა პოზიციების უბრძოლველად დათმობას. თავისი მოსაზრების დასაცავად მან აგრძნობინა ინგლისელებს, რომ თუ 1943წ. არ მოხდებოდა ლა-მანშის ფორსირება, მაშინ ამერიკელები მთელ ყურადღებას გადაიტანდნენ წყნარი ოკეანის აუზში ჩასატარებელ ოპერაციებზე.[1] ადმირალ კინგის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში პირდაპირ იყო გაკეთებული აქცენტი ამაზე და აღნიშნული იყო იაპონელებზე მუდმივი ზეწოლის აუცილებლობა, რათა მათ არ მისცემოდათ ინიციატივის კვლავ ხელში ჩაგდების შესაძლებლობა. ამისათვის კი საჭირო იყო მნიშვნელოვანი დამატებითი ძალების გაგზავნა წყნარი ოკეანის აუზში.[2] თავის მხრივ, მარშალმა, ამავე მიზნით, მოითხოვა ბირმაში ოპერაციის ჩატარება (კოდური სახელწოდება „ანაკიმი"). ყოველივე ეს, ინგლისელთა აზრით, ნიშნავდა ტოტალურ ომს წყნარი ოკეანის აუზში, რის შესახებაც ბრუკმა და პორტალმა უმალ განაცხადეს კიდეც.[3] მაშინ კინგმა პირდაპირ ჰკითხა მათ, აპირებდნენ თუ არა ინგლისელები ევროპაში ომის

---

[1] **М. Мэтлофф.** От Касабланки до "Оверлорда", М., 1964, გვ. 66.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 246; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 178.

[3] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 246; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 178.

დამთავრების შემდეგ მთელი თავისი რესურსების იაპონიის წინააღმდეგ გამოყენებას. ბრუკმა და პორტალმა დადებითად უპასუხეს ამ კითხვას,[1] მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ დაარწმუნეს ამერიკელები, რის გამოც, მოგვიანებით, უკვე თვითონ ჩერჩილს მოუწია ანალოგიური განცხადების გაკეთება.[2] სამაგიეროდ, ამერიკელებს, სულაც არ ჩაუთვლიათ საჭიროდ, შეემცირებინათ წყნარი ოკეანის აუზში საწარმოებელი ოპერაციების არეალი. ამ საკითხის ირგვლივ გაიმართა მწვავე დისკუსია, რომელიც მთელი ოთხი დღე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, მხარეებმა ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება მაინც ვერ მოახერხეს.

შექმნილი სიტუაციიდან თავის დასაღწევად ორივე მოკავშირის დაგეგმვის კომიტეტებმა წარმოადგინეს თავიანთი დოკუმენტები, რომლებიც ერთმანეთისაგან, რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. ხოლო როდესაც 18 იანვარს მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბი კიდევ ერთხელ შეიკრიბა, ამერიკელებმა საერთოდ განაცხადეს, რომ ბირმის განთავისუფლების ოპერაციას ისინი მთლიანად თავის თავზე აიღებდნენ.[3] ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, დათანხმებოდნენ ამ ოპერაციის ჩატარებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს, მათი აზრით, იყო უგულებელყოფა თავად ამერიკელების მიერ წამოყენებული პრინციპისა, რომელიც გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის განადგურებას.[4] ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: თუ ყოველივე ეს მართლაც ასე იყო, მაშინ რატომ უჭერდა მხარს ამ ოპერაციას ჯორჯ მარშალი, ზემოაღნიშნული პრინციპის მთავარი სულისჩამდგმელი?! როგორც უკვე ზემოთ ითქვა, გენ. მარშალის ამგვარი პოზიცია განპირობებული იყო მისი სურვილი, ზეწოლა მოეხდინა ინგლისელებზე და იძულებული გაეხადა ისინი, განეხორციელებინათ ლა-

---

[1] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 246-247; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 178.

[2] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 247.

[3] იქვე, გვ. 249. თავდაპირველად იგულისხმებოდა, რომ ამ ოპერაციის უსრუნველყოფა პირადი შემადგენლობითა და საბრძოლო ხელმალდებით უნდა მომხდარიყო ინგლისელების მხრიდან.

[4] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 247; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 180.

მანშის ფორსირება უკვე 1943 წელს. თავდაპირველად ყოველივე ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ კონფერენციის მსვლელობისას გაირკვა, რომ ინგლისელთა სტრატეგიამ ამერიკელთა ბანაკშიც შეიძინა ერთი უაღრესად გავლენიანი, თუ ყველაზე გავლენიანი არა, მომხრე. ეს გახლდათ პრეზიდენტი რუზველტი, რომელიც მოხიბლა ხმელთაშუაზღვისპირეთში იოლი და სწრაფი გამარჯვებისა და იტალიის ომიდან შესაძლო გამოსვლის პერსპექტივებმა.[1] მარშალისათვის ნათელი გახდა, რომ ის ვერ გაუძლებდა ამგვარ დაწოლას. გარდა ამისა, მან მიიღო დ. ეიზენჰაუერის ცნობა, რომ ლა-მანშის ფორსირებისათვის საჭირო იქნებოდა, როგორც მინიმუმ, 12 დივიზია, რაც დაგეგმილზე 2-ჯერ მეტი იყო.[2] გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში საბრძოლო მოქმედებების დასრულება მხოლოდ მაისისათვის იყო ნავარაუდები.[3] მარშალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთში ფართომასშტაბიანი შეჭრა 1943 წელს გამორიცხული იყო. იქმნებოდა საშიშროება, რომ ინგლისელები შეძლებდნენ თავიანთი მიზნის მიღწევას და მეორე ფრონტი საფრანგეთის ნაცვლად ბალკანეთში გაიხსნებოდა. ამიტომ, როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა, მართლაც ჩაეტარებინა ოპერაციები წყნარ ოკეანეში, რაც იქნებოდა იმის გარანტია, რომ მოკავშირეები უბრალოდ ვერ მოახერხებდნენ დიდი ძალებისა და განსაკუთრებით სადესანტო საშუალებების თავმოყრას ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებების გასაფართოებლად. ასე რომ, ჩვენი აზრით, საბოლოო ჯამში, მარშალს ამოძრავებდა არა იმდენად ის, რომ დაეთანხმებინა ინგლისელები 1943 წლის განმავლობაში ლა-მანშის ფორსირებაზე, არამედ ამით ის ცდილობდა, როგორმე მიეღწია, რომ ოპერაციის ჩატარება ჩრდილოეთ საფრანგეთში

---

[1] **М. Мэтлофф.** От Касабланки до "Оверлорда", გვ. 49.

[2] იქვე.

[3] კითხვაზე, თუ როდის დასრულდებოდა ოპერაციები აფრიკაში, მიეკავშირეთა მთავარსარდალმა დ. ეიზენჰაუერმა საკარაულო თარიღად 15 მაისი დაასახელა, მისმა მოადგილემ – გენ. ჰ. ალექსანდერმა კი სრული გამარჯვების მიღწევა მხოლოდ მაისის ბოლოსთვის ნათვალა შესაძლებლად (**D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 137; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 179.).

1944წ. პირველ ნახევარში მაინც ყოფილიყო შესაძლებელი.

19 იანვარს, გაერთიანებულმა შტაბმა, როგორც იქნა, შეათანხმა პოზიციები და რუზველტს და ჩერჩილს წარუდგინა სამახსოვრო ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო რეკომენდაციები, თუ როგორ წარმართულიყო ოპერაციები 1943 წელს.[1] ამ დოკუმენტით, რომელიც საფუძვლად დაედო გაერთიანებული შტაბის 23 იანვრის მოხსენებას, საჭიროდ იქნა ჩათვლილი სიცილიის დაკავება და ბირმის განთავისუფლების დაწყება. ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა აქ ერთი სიტყვითაც კი არ იყო ნახსენები. როგორც ვხედავთ, მარშალი წავიდა დათმობაზე 1943წ. ლა-მანშის ფორსირების საკითხში, მაგრამ, სამაგიეროდ, მიაღწია წყნარ ოკეანეში საბრძოლო მოქმედებების არეალის გაფართოებას. ყოველივე ეს კი განაპირობებდა იმას, რომ მოკავშირეებს სიცილიის დაკავების შემდეგ კიდევ ერთხელ მოუწევდათ შემდგომი ოპერაციების მიმართულების განსაზღვრა. ეტყობა, მარშალი იმედოვნებდა, რომ მომავალში შესძლებდა ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიაზე სრული გამარჯვების მოპოვებას.

19 იანვარს კონფერენციის მუშაობაში ახალი ეტაპი დაიწყო. თუ აქამდე ძირითადად მიმდინარეობდა მოკავშირეთა სტრატეგიის ზოგადი კონტურების განსაზღვრა, ახლა უკვე დაიწყო საკითხების დეტალური განხილვა. სერიოზული კამათი აქ გამოიწვია მხოლოდ პუნქტმა, რომელიც სიცილიის დაკავებას ითვალისწინებდა. ინგლისელი სამხედროების დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა არა სიცილიაზე შეტევის მიტანა, არამედ კ. სარდინიის დაპყრობა, რადგანაც ამის გასაკეთებლად ბევრად უფრო ნაკლები ძალები იქნებოდა საჭირო, ხოლო სტრატეგიული ეფექტი, მათი აზრით, თითქმის იგივე ექნებოდა, რაც სიცილიის დაკავებას.[2] ჩვენი აზრით, საფიქრებელია, რომ ამ დასკვნის გაკეთებისას ისინი უფრო ხელმძღვანელობდნენ ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიით, რომლითაც ნავარაუდები იყო საბრ-

---

[1] ამ დოკუმენტის სრული ტექსტი იხ.: **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 621-622; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 421.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 265; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 192.

ძოლო ოპერაციების გადატანა აპენინის ნ-კ-ზე, იტალიის კონტინენტურ ნაწილში. ამ შემთხვევაში მოკავშირეებისათვის მართლაც უმჯობესი იქნებოდა სარდინიის და არა სიცილიის დაკავება, რადგანაც ეს მათ ცენტრალურ იტალიაზე პირდაპირი დარტყმის მიყენების საშუალებას მისცემდა, მაგრამ, აღნიშნულ სიტუაციაში, როდესაც მოკავშირეთა (ყოველ შემთხვევაში, ამერიკელთა მაინც) მთავარ მიზანს წარმოადგენდა არა აპენინის ნ-კ-ზე შეჭრა, არამედ უბრალოდ ხმელთაშუა ზღვის გახსნა, ბევრად უფრო ლოგიკური და მისაღები სწორედ სიცილიის ვარიანტი იყო. საბოლოოდ, ეს კამათი მაინც სიცილიის სასარგებლოდ გადაწყდა, რაც, ერთი მხრივ, განაპირობა მარშალის განცხადებამ, რომ ამერიკელები მზად იქნებოდნენ ამ ოპერაციის 1943წ. ივლისში განხორციელებისათვის,[1] ხოლო, მეორე მხრივ — ჩერჩილის ჩარევამ. ბრიტანეთის პრემიერმა მხარი დაუჭირა სიცილიის ვარიანტს და გაამაგრა თავისი პოზიცია იმ არგუმენტით, რომ ის დაპირდა სტალინს 1943წ. მეორე ფრონტის გახსნას და რომ ძნელი იქნებოდა ვინმეს დარწმუნება იმაში, თითქოს სარდინიის დაკავება იყო საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეეძლოთ მოკავშირეებს ერთი წლის განმავლობაში.[2] უნდა აღინიშნოს, რომ ეს არგუმენტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგანაც გაუგებარია, თუ რა პრინციპული განსხვავება იყო ამ თვალსაზრისით სიცილიასა და სარდინიას შორის. ჩვენი აზრით, ჩერჩილის მიერ სიცილიური ვარიანტის მხარდაჭერა უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ეს, მისი აზრით, უფრო საიმედო გზა იყო ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიის განსახორციელებლად, რადგანაც სარდინიის დაკავების შემთხვევაში ჩნდებოდა არანაკლები ცდუნება სამხრეთ საფრანგეთში შესაჭრელადაც.

საბოლოოდ, 10-დღიანი დებატების შემდგომ გაერთიანებული შტაბის წევრებმა მიაღწიეს შეთანხმებას ყველა სადავო საკითხზე და 23 იანვარს რუზველტს და ჩერჩილს წარუდგინეს 8 პუნქტისაგან შედგენილი მოხსენება,[3] რომელშიც შეტანილი იყო

---

[1] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 267.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 266.

[3] მოხსენების სრული ტექსტი იხ.: **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 625-631; **M. Говард.** Большая стратегия, გვ. 422-425

ყველა ის ღონისძიება, რომელთა განხორციელებაც, სამხედროთა აზრით, მიზანშეწონილი იყო 1943 წელს. აღსანიშნავია, რომ პირველ პუნქტს (ე. ი. უმთავრეს ამოცანას) ამ მოხსენებაში წარმოადგენდა ატლანტიკის ოკეანეში გერმანული წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ეფექტური საბრძოლო მოქმედებების ჩატარება. მე-2 პუნქტი იყო საბჭოთა კავშირისათვის 1943 წელს ომის საწარმოებლად საჭირო რესურსების მიწოდებაზე მიცემული ვალდებულების შესრულება[1] და მხოლოდ მე-3 პუნქტი იყო დათმობილი ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირეთა მიერ ჩასატარებელი ოპერაციებისათვის. აქ საუბარი იყო ოპერაცია „ჰასკის" (სიცილიის დაკავების კოდური სახელწოდება) განხორციელების ვადებზე – 1943წ. ივლისი; ხელმძღვანელობაზე – მთავარსარდლად დაინიშნა დ. ეიზენჰაუერი, ხოლო მის მოადგილედ – ჰ. ალექსანდერი; და ამისთვის საჭირო ძალებზე.

მოხსენების მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი იყო ოპერაციები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო უშუალოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიიდან. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე ეს საკითხი მაინცდამაინც დეტალურად არ დამუშავებულა. ძირითადად მიმდინარეობდა მისი ზოგადი განხილვა. საბოლოო ჯამში, გადაწყდა, რომ ბრიტანეთის ტერიტორიიდან შესაძლებელი იყო 3 ტიპის ოპერაციის ჩატარება: 1) რეიდები, რომელთა მთავარი დანიშნულება იქნებოდა მოწინააღმდეგესთან საჰაერო ორთაბრძოლების გამართვა და მისთვის ზიანის მიყენება; 2) საფრანგეთის ტერიტორიაზე (კერძოდ, იგულისხმებოდა კოტანტენის ნ-კი) პლაცდარმების დაკავება, მათი შენარჩუნება და მოწინააღმდეგეზე მძლავრი შეტევის მიტანა, თუ მისი მორალური სულისკვეთება დაეცემოდა და ის სათანადო რესურსების გარეშე აღმოჩნდებოდა; და 3) კონტინენტზე გადასხმა გერმანელთა სრული კრახის შემთხვევაში. საინტერესოა, რომ რაიმე კონკრეტული გეგმა ამ ოპერაციების განხორციელებისა მოკავშირეებს არ ჰქონ-

---

[1] აღსანიშნავია, რომ ეს დახმარება უნდა შეწყვეტილიყო იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეთა გემების დანაკარგი გადააჭარბებდა 2,4% ოდენობას (M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 625; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 422.).

დათ. პრაქტიკულად კასაბლანკაში მიღებულ იქნა ზოგადი ხასიათის გადაწყვეტილებები, რომ გაგრძელებულიყო დაგეგმვა აღნიშნული მიმართულებით. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებულმა შტაბმა დაადგინა კოტანტენის ნ-კ-ზე გადასხმის სავარაუდო ვადა – 1943წ. 1 აგვისტო, მარშალმა და ბრუკმა თავი შეიკავეს მთავარსარდლის დანიშვნისაგან. არადა, დაგეგმვის გაერთიანებული კომიტეტი ამას სასწრაფო საქმედ თვლიდა.[1]

არ იქნა დადგენილი, აგრეთვე, თუ რა ძალები იქნებოდა საჭირო ოპერაციის ჩასატარებლად. გადაწყდა მხოლოდ, რომ დაეწესებინათ მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსის პოსტი. აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი მორგანი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა ოპერაციის დაგეგმვისა და მომზადებისათვის.[2] ჩვენი აზრით, ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ კასაბლანკაში ამ საკითხის გარშემო მიღებული გადაწყვეტილებები ფორმალურ ხასიათს ატარებდა. შესაძლოა, მოკავშირეებს სურდათ, აეცილებინათ საბჭოთა მხარის მწვავე რეაქცია, რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი, თუ ისინი ოფიციალურად იტყოდნენ უარს 1943წ. საფრანგეთში შეჭრაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი ამგვარმა გადაწყვეტილებამაც არ დააკმაყოფილა და მან პროტესტით მიმართა ჩერჩილსა და რუზველტს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გაერთიანებული შტაბის მოხსენების მე-5 პუნქტი დაეთმო იაპონიის წინააღმდეგ განსახორციელებელი ოპერაციების ნუსხას, კერძოდ გადაწყდა: წყნარი ოკეანის აუზში მთელი რიგი კუნძულების დაკავება, ბირმის განთავისუფლება, ჩინეთისათვის დახმარების გაზრდა და იაპონიაზე საჰაერო შეტევის მიტანა.[3]

მოხსენების დარჩენილ 3 პუნქტში ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე იყო გამახვილებული ყურადღება: მე-6 მუხლი ეხებოდა რუმინეთის ნავთობსამრეწველო რაიონების დაბომბვას, რათა

---

[1] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 275; М. Говард. Большая стратегия, გვ. 198.

[2] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 275; М. Говард. Большая стратегия, გვ. 198-199.

[3] ამ პროგრამის სრულად შესრულება მოკავშირეებმა ვერ შეძლეს – თ.ჯ.

ღერძის ქვეყნების ისედაც გაუარესებული მომარაგება ნავთობის მხრივ კიდევ უფრო შემცირებულიყო; მე-7 პუნქტში ჩამოყალიბებული იყო დასავლეთ აფრიკაში განლაგებულ მოკავშირეთა საზღვაო და საჰაერო ძალების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, ხოლო მე-8 მუხლით კი განსაზღვრული იყო, რომ თურქეთთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა გადაეწყვიტა ინგლისის ხელმძღვანელობას.

აი, ასეთი სახის მოხსენება წარუდგინეს სამხედროებმა რუზველტს და ჩერჩილს, რომლებმაც ყოველგარი ცვლილებების გარეშე დაამტკიცეს ის. ამავე დროს მათ კასაბლანკაში მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი გააცნეს სტალინსაც,[1] თუმცა ინგლის-აშშ-ს ხელმძღვანელთა მიერ კრემლისათვის მიწოდებული მასალა იმდენად ზოგადი იყო, რომ მან სტალინის ერთგვარი გაღიზიანებაც კი გამოიწვია და საბჭოთა ლიდერმა მოსთხოვა მოკავშირეებს, შეეტყობინებინათ მისთვის, თუ კონკრეტულად რა იყო დასახული 1943წ. ევროპაში მეორე ფრონტის გასახსნელად.[2] სტალინის აღნიშნულ მიმართვაზე პასუხის გაცემა ჩერჩილმა ითავა. მან 9 თებერვალს აცნობა კრემლს, რომ ლა-მანშის ფორსირება დაგეგმილი იყო აგვისტოში, უკიდურეს შემთხვევაში, სექტემბერში.[3] მოცემული ბარათის შედგენისას ბრიტანეთის პრემიერი, რასაკვირველია, დაეყრდნო კასაბლანკაში მიღებული დოკუმენტის მე-4 პუნქტს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ყოველივე ეს ჩერჩილმაც შესანიშნავად იცოდა, მაგრამ მან დაუმალა სრული სიმართლე სტალინს იმის შესახებ, რომ საფრანგეთში შეჭრა პრაქტიკულად 1944 წ-მდე გადაიდო.

საბჭოთა ლიდერის რეაქცია მიღებულ ცნობაზე უარყოფითი გამოდგა. მან მაშინვე პროტესტებით მიმართა რუზველტს და ჩერჩილს იმის გამო, რომ ლა-მანშის ფორსირება მოხდებოდა მხოლოდ 1943 წლის აგვისტო-სექტემბერში[4] და არა გაზაფხულზე,

---

[1] **Переписка..**, т. I, გვ. 84-86; т. II, გვ. 50-51.
[2] **Переписка..**, т. I, გვ. 87; т. II, გვ. 52.
[3] **Переписка..**, т. I, გვ. 92.
[4] იქვე, გვ. 93; т. II, გვ. 55.

რასაც მას 1942წ. აგვისტოდან ჰპირდებოდნენ.[1] რა თქმა უნდა სტალინის რეაქცია ბევრად უფრო მკაცრი იქნებოდა, მას რომ სრული სიმართლე სცოდნოდა, თუმცა საბჭოთა ლიდერს რაღაც წინათგრძნობა მაინც აწუხებდა. ის ეჭვობდა, რომ მოკავშირეები მას ატყუებდნენ. შესაძლოა, სტალინს ჰქონდა კიდეც რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რეალურად რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული კასაბლანკაში. ყოველ შემთხვევაში, ის არ დაკმაყოფილდა რუზველტისა და ჩერჩილის პასუხებით, რომ მეორე ფრონტის გახსნის აგვისტო-სექტემბრამდე გადავადება გამოწვეული იყო ობიექტური მიზეზებით, კერძოდ: ჩრდილოეთ აფრიკაში საბრძოლო მოქმედებების გაჭიანურებითა და საესკორტო გემების ნაკლებობით.[2] სტალინმა მოკავშირეებს ხელმეორედ გაუგზავნა პროტესტები,[3] თუმცა ამას გარკვეული შედეგი არ მოჰყოლია და ამ თემის განხილვა მათ მიმოწერაში დროებით შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციას მხოლოდ სამხედრო საკითხები უნდა განეხილა, რუზველტს და ჩერჩილს დიდი ყურადღების დათმობა მოუხდათ პოლიტიკური პრობლემებისათვის, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ე.წ. „ფრანგების საკითხი", რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1942წ. 24 დეკემბერს ალჟირში თავის ოფიციალურ რეზიდენციაში მოკლეს ადმირალი დარლანი.[4] ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში ფრანგული ადმინისტრაციის მეთაურის პოსტი სასწრაფოდ დაიკავა ამერიკელთა კრეატურამ გენ. ა. ჟირომ, თუმცა ინგლისელები შ. დე გოლს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამას ზედ დაერთო სკანდალი, რომელიც გამოიწვია ალჟირის გენერალ-გუბერნატორად მარსელ პეირუტონის (ვიშის მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის) დანიშვნამ.[5] კასაბლანკაში რუზველ-

---

[1] **W.S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 418.

[2] **Переписка..**, т. I, გვ. 98-100; т. II, გვ. 56.

[3] **Переписка..**, т. I, გვ. 104-105; т. II, გვ. 58-59.

[4] დარლანის მკვლელი ფერნან ბონიე დე ლა შაპელი მეორე დღესვე დახვრიტეს. 1945წ. აღმოჩენილ იქნა ამ საქმესთან დაკავშირებული ახალი საბუთები, რომელთა საფუძველზეც ის სიკვდილის შემდგომ გაამართლეს (**У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 3, გვ. 91-92 – რუსული გამოცემის რედაქტორის შენიშვნა.).

[5] აღნიშნული საკითხი დაისვა უკვე დარლანის მკვლელობამ

ტმა და ჩერჩილმა სცადეს, შეეთანხმებინათ ფრანგული ადმინისტრაციის რეორგანიზების საკითხი. ამ მიზნით მაროკოში მიწვეულ იქნენ ჟირო და დე გოლი. ჟირომ უმალ მიიღო მოწვევა და 17 იანვარს უკვე კასაბლანკაში იყო. დე გოლმა კი თავდაპირველად სასტიკი უარი განაცხადა შეხვედროდა ჟიროს მოკავშირეთა ფორუმზე, რადგანაც ეს, მისი აზრით, ყველასათვის ნათელს გახდიდა, რომ ორივე ფრანგი ლიდერი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა.[1]

ამასობაში ჟირო უკვე შეხვდა რუზველტს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ფრანგული ადმინისტრაციის სათავეში სწორედ ჟიროს ჩაყენება, ხოლო დე გოლი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მეორე თანათავმჯდომარე. მაგრამ ჟიროსთან შეხვედრით აშშ-ს პრეზიდენტი აშკარად უკმაყოფილო დარჩა. მისი ვაჟის ელიოტის ცნობით, რუზველტმა ძალზე უარყოფითად შეაფასა ჟიროს უნარი, გამხდარიყო ფრანგი ხალხის ბელადი.[2] მიუხედავად ამისა, აშშ-ს პრეზიდენტს არ სურდა უკან დაეხია და დე გოლის კანდიდატურისათვის მიენიჭებინა უპირატესობა. მას აშკარად აღიზიანებდა დე გოლის სიჯიუტე და მისი უარი კასაბლანკაში ჩამოსვლაზე. არანაკლებ აწუხებდა ეს საკითხი ჩერჩილსაც, რომელსაც ეშინოდა, რომ თუ დე გოლი და ჟირო არ შეთანხმდებოდნენ, ფრანგული ადმინისტრაცია მთლიანად ამერიკელთა გავლენის ქვეშ მყოფი პირებისაგან იქნებოდა დაკომპლექტებული. ამიტომ მან კიდევ ერთხელ მოიწვია „თავისუფალი საფრანგეთის“ ლიდერი მაროკოში და, ამასთან, აცნობა მას, რომ

დე, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა მხოლოდ 1943 წლის 19 იანვარს (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 675-679; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 328-333.). 1943 წლის ბოლოს დე გოლის ბრძანებით პეირუტონი დააპატიმრეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, მაგრამ 1948წ. ის გაამართლეს (**У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 3, გვ. 318, – რედ. შენ.).

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 679-680; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 334. აღსანიშნავია, რომ დე გოლმა მანამდე არაერთხელ შესთავაზა ჟიროს "ერთი ერთზე" შეხვედრის მოწყობა, მაგრამ შეანასკნელმა ყოველთვის უარი "თავისუფალი საფრანგეთის" ლიდერის წინადადებები (**Ш. де Голль.** Военные мемуары, т. II, М., 1960, გვ. 85-91.).

[2] **Э. Рузвельт.** Его глазами, М., 1947, გვ. 103.

უარის შემთხვევაში ის შეწყვეტდა ამ მოძრაობის მხარდაჭერას. სანამ დე გოლი იქნებოდა ორგანიზაციის მეთაური.[1] გენ. დე გოლი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მაროკოში გამგზავრებას და 22 იანვარს ის ჩავიდა კასაბლანკაში. იმავე დღეს ის შეხვდა ჟიროს, მაგრამ არავითარი შედეგი მათ პირველ შეხვედრას არ მოჰყოლია. ჟირო ყოველნაირად ცდილობდა, თავი აერიდებინა პოლიტიკურ პრობლემებზე მსჯელობისათვის და აცხადებდა, რომ მას მხოლოდ სამხედრო საკითხები აინტერესებდა.[2] ამის შემდეგ დე გოლი შეხვდა ჩერჩილს, რომელმაც წარმოადგინა რუზველტის გეგმის მოდერნიზებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ორივე ფრანგი ლიდერი უნდა გამხდარიყო ახალი ადმინისტრაციის თანათავმჯდომარე, რომელთაც თანაბარი უფლებები ექნებოდათ, მაგრამ უმაღლესი სამხედრო სარდალი უნდა ყოფილიყო ჟირო.[3] ჩერჩილის თქმით, ამის მიზეზი იყო ის, რომ ფრანგული ნაწილების შეიარაღება ამერიკელთა მოვალეობას წარმოადგენდა, მათ კი სამხედრო საკითხებზე მხოლოდ ჟიროსთან სურდათ მოლაპარაკება. ამ გეგმის მიხედვით კომიტეტს უნდა ჰყოლოდა კიდევ ერთი თანათავმჯდომარე — გენ. ჟორჟი, ხოლო მის წევრებს შორის აუცილებლად იქნებოდნენ პეირუტონი, გ. ნოგესი (მაროკოს გენერალ-გუბერნატორი), პ. ბუასონი (დასავლეთ აფრიკის გენერალ-გუბერნატორი) და ბერჟერე.[4] დე გოლს არ მოეწონა ასეთი პერსპექტივა და უარი განაცხადა მასზე.

იმავე დღეს, ჩერჩილთან შეხვედრის შემდეგ, დე გოლი მიიღო რუზველტმაც, მაგრამ არც ამას მოჰყოლია რაიმე კონკრეტული შედეგი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, კერძოდ ის, თუ რა ვითარებაში შედგა აღნიშნული შეხვედრა. მიღების ადგილი გარშემორტყმული იყო აშშ-ს საიდუმლო

---

[1] W. S. Churchill. The Second World War, vol. IV, გვ. 592; Ш. де Голль. Военные мемуары, т. II, გვ. 90.

[2] უნდა ითქვას, რომ ჟირო ამ შემთხვევაში სულაც არ თვალთმაქცობდა. ის მართლაც ყოველთვის უარს ამბობდა პოლიტიკური საკითხების განხილვისას არათუ თავისი ასრის გამოთქმასაც, არამედ მათ მოსმენასაც კი (Ш. де Голль. Военные мемуары, т. II, გვ. 92.).

[3] Ш. де Голль. Военные мемуары, т. II, გვ. 93.

[4] იქვე

სამსახურის შეიარაღებული აგენტებით.[1] ჰოპკინსის თქმით, ყოველივე ეს მოხდა საკუთრივ საიდუმლო სამსახურის ინიციატივით და გამოწვეული იყო აშშ-ს პრეზიდენტისათვის ყოველგვარი ხიფათის აცილების სურვილით.[2] არადა, რუზველტისა და ჟიროს შეხვედრისას ამერიკელებს ამგვარი სიფრთხილე სულაც არ გამოუჩენიათ.[3] ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ აშშ-ს პრეზიდენტს და მის ადმინისტრაციას დე გოლის მიმართ და რამდენად ენდობოდა ამ უკანასკნელს თეთრი სახლი.

საბოლოო ჯამში, დე გოლის მტკიცე პოზიციამ აიძულა რუზველტი და ჩერჩილი უკან დაეხიათ და უარი ეთქვათ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე. მიღწეულ იქნა მხოლოდ ზოგადი შეთანხმება მომავალში ერთობლივი ფრანგული კომიტეტის შექმნაზე, მაგრამ მისი ხელმძღვანელობისა და შემადგენლობის საკითხი ღიად დარჩა. ერთადერთი დათმობა, რომელზეც დე გოლი წავიდა, იყო ის, რომ დათანხმდა ფოტორეპორტიორების წინაშე ჟიროსთვის ხელის ჩამორთმევაზე. ეს მოხდა 24 იანვარს მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე, რომელზეც ჩერჩილმა და რუზველტმა გააცნეს კორესპონდენტებს კასაბლანკის კონფერენციის შედეგები.

აღნიშნული პრეს-კონფერენცია, თამამად შეიძლება კასაბლანკის სამიტის ერთგვარ კულმინაციად მივიჩნიოთ, ვინაიდან სწორედ მასზე რუზველტის მიერ პირველად იქნა დეკლარირებული ღერძის ქვეყნების „უპირობო კაპიტულაციის" ფორმულა. აშშ-ს პრეზიდენტს ალბათ არც წარმოედგინა, რომ მისი ეს სიტყვები გახდებოდა დიდი პოლიტიკური და ისტორიოგრაფიული დებატების საგანი. ამასთან, რუზველტს თვითონაც კარგად ესმოდა მის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ ურჩია მას კორესპონდენტებს კასაბლანკის კონფე-

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 675; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 342-343.

[2] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 675; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 343.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 675; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 343.

რენციის „უპირობო კაპიტულაციის კონფერენციად“ მოხსენიება.[1] მართლაც, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, უპირობო კაპიტულაციის პრინციპის მიღება იყო კასაბლანკის კონფერენციის ყველაზე დიდი მიღწევა.

აქ საჭიროდ ვთვლით, გავამახვილოთ ყურადღება იმ საკითხზე, თუ როგორ გაჩნდა საერთოდ ტერმინი „უპირობო კაპიტულაცია“ მოკავშირეთა სტრატეგიაში და ვინ უნდა მივიჩნიოთ მის ავტორად. უნდა ითქვას, რომ ერთგვარი გაურკვევლობა ამ საკითხში გამოწვეულია თვით რუზველტისა და ჩერჩილის არცთუ თანმიმდევრული განმარტებებით. კერძოდ, აშშ-ს პრეზიდენტმა რატომღაც განაცხადა, რომ მას სრულიად შემთხვევით წამოსცდა ეს ფრაზა პრეს-კონფერენციაზე. რუზველტის თქმით, მას, ჟიროსა და დე გოლის შეხვედრის გავლენით, გაახსენდა გენერალი გრანტი, რომლის მეტსახელიც იყო „უპირობო კაპიტულაცია“[2] და მექანიკურად წარმოთქვა ეს სიტყვები.[3] თავის მხრივ, ჩერჩილმაც ჯანაცხადა, რომ მან პირველად ტერმინი „უპირობო კაპიტულაცია“ გაიგონა მხოლოდ პრეს-კონფერენციის დროს.[4] არადა, დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ აღნიშნული პრინციპი აშშ-ს შტაბების უფროსების კომიტეტს რუზველტმა ჯერ კიდევ 7 იანვარს გააცნო,[5] კასაბლანკის კონფერენციამდე ერთი კვირით ადრე. უფრო მეტიც, სახელმწიფო დეპარტამენტის უშიშროების ქვეკომიტეტმა 1942 წლის ბოლოს განიხილა კიდეც ეს საკითხი და მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ფორმულის გამოყენება მხოლოდ გერმანიისა და იაპონიის მიმართ, ხოლო იტალიასთან სასურველად ჩათვალა მოლაპარაკებების წარმოება. ეს გადაწყვეტი-

---

[1] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 282; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 203.

[2] გენერალი ულის გრანტი იყო ჩრდილოეთის ჯარების მთავარსარდალი აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს და მისი ინიციალები **U. S. – Ulysses Simpson** – ხშირად იშიფრებოდა, როგორც უპირობო კაპიტულაცია – **Unconditional Surrender.**

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 696; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 357.

[4] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 696; W.S. Churchill. The Second World War, vol. IV, გვ. 598.

[5] **М. Мэтлофф.** От Касабланки до "Оверлорда", გვ. 71.

ლება ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ნორმან დეევისმა არაოფიციალური რეკომენდაციის სახით ამცნო კიდეც აშშ-ს პრეზიდენტს.[1]

თავის მხრივ, რუზველტმა და ჩერჩილმა ეს საკითხი კასაბლანკაში განიხილეს, რასაც ადასტურებს ბრიტანეთის პრემიერის 1943წ. 20 იანვრის მოხსენებითი ბარათი სამხედრო კაბინეტისადმი. აღნიშნულ წერილში ჩერჩილი სთხოვს სამხედრო კაბინეტის წევრებს, გამოთქვან თავისი აზრი აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივ დეკლარაციაზე, რომ ეს ქვეყნები იომებენ მანამ, სანამ გერმანია და იაპონია არ გამოაცხადებენ „უპირობო კაპიტულაციას".[2] სამხედრო კაბინეტმა მოიწონა ეს იდეა და საპასუხო ბარათში (1943წ. 21 იანვარი) მოითხოვა ამ პრინციპის გავრცელება იტალიაზეც.[3] და ბოლოს, არსებობს კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ რუზველტის მოქმედება არ იყო სპონტანური. მისი უახლოესი მრჩეველი — ჰარი ჰოპკინსი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ პრეს-კონფერენციის დროს პრეზიდენტს ხელში ეჭირა წინასწარ მომზადებული ტექსტი, რომელშიც ნათლად იყო ჩამოყალიბებული მოკავშირეთა მიზანი მეორე მსოფლიო ომში: გერმანიის, იაპონიისა და იტალიის უპირობო კაპიტულაცია და აქვე განმარტებული იყო, რომ ეს ნიშნავდა არა ამ ქვეყნების მოსახლეობის განადგურებას, არამედ სხვა ხალხების დამონების ფილოსოფიური კონცეფციის მოსპობას.[4] ასე რომ, სავსებით ნათელია, რომ „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპი შეთანხმებული იყო მოკავშირეთა შორის და ის არ წარმოადგენდა შემთხვევით და მოულოდნელად წამოსროლილ ფრაზას, როგორც ამას ამტკიცებდნენ რუზველტი და ჩერჩილი[5].

---

[1] **М. Мэтлофф.** От Касабланки до "Оверлорда", გვ. 71.

[2] **W.S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 595.

[3] იქვე.

[4] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 696; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 358.

[5] თავის მემუარებში ჩერჩილმა აღიარა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ის უბრალოდ მეხსიერებამ დაადალატა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ასეთი რამ სხვასაც შეემთხვა. კერძოდ, მას მოჰყავს ფაქტი, რომ 1949 წლის 21 იელისს თემთა პალატის სხდომაზე, ბრიტანეთის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბე-

და მაინც, რით იყო ესოდენ მნიშვნელოვანი „უპირობო კაპიტულაციის“ ფორმულა? მკვლევართა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ამ პრინციპის გამოცხადებამ დიდი გავლენა მოახდინა ომის შემდგომ მსვლელობაზე. რუზველტმა და ჩერჩილმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რომ მოწინააღმდეგეს არ უნდა ჰქონოდა არანაირი შეთანხმების, არავითარი კომპრომისების იმედი. რასაკვირველია, მათი მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება უდავოდ სწორი და მიზანშეწონილი იყო — ჰიტლერთან და მის დამქაშებთან ნებისმიერი სახის მოლაპარაკების წარმოება უბრალოდ მკრეხელობა იქნებოდა, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პრინციპს გამოცხადების დღიდანვე გამოუჩნდა მრავალი ოპონენტი, რომელთა აზრით, აღნიშნული ფორმულის გამოცხადება მხოლოდ გააძლიერებდა გერმანელების, იტალიელებისა და იაპონელების წინააღმდეგობას და გამოიწვევდა ომის გაჭიანურებას. მართალია, კრიტიკოსების დიდ უმრავლესობა შეცდომად თვლიდა არა თვითონ ამ პრინციპს, არამედ მხოლოდ მის საქვეყნოდ გამომზეურებას. ამიტომ ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ სწორედ ამ კრიტიკულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია რუზველტის მხრიდან აღნიშნული ფრაზის შემთხვევით წარმოთქმის ვერსიის გავრცელება. არადა, რუზველტს და ჩერჩილს საკმაოდ ბევრი საფუძველი ჰქონდათ „უპირობო კაპიტულაციის“ შესახებ განცხადების გასაკეთებლად: პირველ რიგში, საჭირო იყო სტალინის დარწმუნება იმაში, რომ მოკავშირეები არ დადებდნენ სეპარატულ ზავს ჰიტლერთან და მარტო არ დასტო-

---

ვინმა (მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის წევრი) გააკეთა ერცელი ჩამონათვალი პრობლემებისა, რომელიც მას შეექმნა "უპირობო კაპიტულაციის" პოლიტიკის გამო ომის შემდგომ გერმანიის აღდგენის საქმეში და იქვე განაცხადა, რომ, თავის დროზე, ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი კონსულტაცია არც მასთან და არც სამხედრო კაბინეტთან არ მომხდარა. ჩერჩილი იხსენებს, რომ მაშინ, საკუთარი დარწმუნებულმა თავის სისწორეში, უპასუხა ბევინს, რომ თვითონაც მხოლოდ პრეს-კონფერენციაზე გაიგო აღნიშნული სიტყვები, მაგრამ სახლში მისვლის შემდეგ მან თავის არქივში აღმოაჩინა კასაბლანკის კონფერენციის დროინდელი მიმოწერა და დარწმუნდა როგორც საკუთარ, ისე ბევინის შეცდომაში (W.S. Churchill. The Second World War, vol. IV, გვ. 597-598.).

ვებდნენ საბჭოთა კავშირს გერმანიის წინააღმდეგ.[1] გარდა ამისა, მოკავშირეებს უნდა დაემტკიცებინათ თავისი ოპონენტებისათვის, რომ „დარლანის საქმის" მსგავსი კაზუსები არ განმეორდებოდა და ისინი არ წავიდოდნენ შეთანხმებაზე გერინგთან, ჰიმლერთან, თუ რომელიმე სხვა ნაცისტ ლიდერთან.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი იყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, შესაძლოა, რომ რუზველტს და ჩერჩილს ამოძრავებდა კიდევ ერთი გარემოება. არ არის გამორიცხული, რომ მათ, თავის მხრივ, ეშინოდათ, რომ მოკავშირეების უმოქმედობით იმედგაცრუებული სტალინი თვითონ დადებდა სეპარატულ ზავს გერმანიასთან. რასაკვირველია, ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ლიდერი მართლაც გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ მან პოლიტიკური თვალსაზრისით გამართლებულად ჩათვალა, რათა ეგრძნობინებინა მოკავშირეებისათვის ასეთი პერსპექტივის შესაძლებლობა. იმას, რომ სტალინს მართლაც შეეძლო ამგვარი „შანტაჟის პოლიტიკის" წარმოება, ადასტურებს ჩერჩილისა და სტალინის საუბარი თეირანში, 1943 წლის ნოემბერში. მაშინ საბჭოთა ლიდერმა განუცხადა ბრიტანეთის პრემიერს, რომ თუ 1944 წლის განმავლობაში არ მოხდებოდა ძირეული ცვლილებები ევროპაში, მაშინ რუსებს ძალიან გაუჭირდებოდათ ომის გაგრძელება. აქვე მან დაუმატა, რომ წითელი არმია გერმანელებს შეუტევდა მხოლოდ მოკავშირეებისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში.[2] შესაძლოა, რაიმე ამგვარ მინიშნებას ადგილი ჰქონდა უფრო ადრეც, კერძოდ: კასაბლანკის კონფერენციამდე რამდენიმე ხნით ადრე. ასე რომ, ნამდვილად არ არის გამორიცხული რუზველტისა და

---

[1] საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისით "უპირობო კაპიტულაციის" შესახებ განცხადების გაკეთების მიზანი სწორედ მოსკოვის დამშვიდება იყო. იხ.: **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта в Европе, М., 1982, გვ. 161; **Н. С. Лебедева.** Проблема безоговорочной капитуляции агрессоров в новейшей буржуазной историографии, – კრებულში: *Буржуазная историография второй мировой войны*, М., 1985, გვ. 265 და სხვ.

[2] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V. Closing the Ring, New York, 1962, გვ. 325; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 3, გვ. 216.

ჩერჩილის მხრიდან ამგვარი გარემოების გათვალისწინება ესოდენ მნიშვნელოვანი განცხადების მომზადების პერიოდში.

ახლა რაც შეეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არ იყო მიზანშეწონილი „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპის გამოცხადება, რაც ასე პოპულარულია დასავლურ ისტორიოგრაფიაში. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამ ფორმულის მიღებამ არა მარტო გააჭიანურა ომის მსვლელობა, არამედ დიდი პრობლემები შეუქმნა ინგლისსა და აშშ-ს ომის შემდგომ.[1] მათი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის — მ. ჰოუარდის თქმით, დასანანი იყო, რომ კასაბლანკაში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ურჩევდა რუზველტს და ჩერჩილს მოწინააღმდეგისათვის უკან დასახევი გზის დატოვებას. მისი აზრით, ამ შემთხვევაში მოკავშირეთა ლიდერები უკეთ დაფიქრდებოდნენ, შექმნიდა და თუ არა ტოტალური გამარჯვება მყარ საფუძველს ხანგრძლივი მშვიდობისათვის.[2] ჩვენ ამჯერად არ შევუდგებით „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპსა და „ცივ ომს" შორის კავშირის ძიებას და მიგვაჩნია, რომ „ცივ ომს" ბევრად უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა, ვიდრე „უპირობო კაპიტულაციის" ზემოხსენებული პრინციპი.

დასავლურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებულია, აგრეთვე, შეხედულება რომ „უპირობო კაპიტულაციის" ფორმულის მიღებამ გააჭიანურა ომის მსვლელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს თვალსაზრისი ზემოხსენებული პრინციპის გამოცხადების დღიდანვე გაჩნდა. სხვათა შორის, თავის დროზე ეს საკითხი აწუხებდა საბჭოთა ხელმძღვანელობასაც, რომელსაც, რო-

---

[1] იხ.: **H. W. Baldwin.** The Great Mistakes of War, New York, 1949, გვ. 13-15; ***Perpetual War for Perpetual Peace*** / Ed. **H. Barnes**, Caldwell, 1953, გვ. 510-511; **Ch. Beard.** President Roosevelt and Coming of the War 1941, Yale, 1948, გვ. 573-580; **Ch. Tansill.** Back Door to War: Roosevelt Foreign Policy. 1933-1941, Chi., 1952, გვ. 18-20; **W. H. Chamberlin.** America's Second Crusade, Chi., 1950, გვ. 224; **B. H. Liddell Hart.** Defense of the West, L., 1950, გვ. 45-52; **M. Hankey.** Politics, Trials and Errors, Oxford, 1954, გვ. 126-127; **F. O. Mikshe.** Unconditional Surrender: The Roots of World War III, L., 1952, გვ. 254; **Ch. Wilmot.** The Struggle for Europe, L., 1974, გვ. 121-123, 570; **К. Типпельскирх. История второй мировой войны,** М., 1956, გვ. 571 და ა.შ.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 284-285; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 206.

გორც ჩანს, ერთიანი აზრი არ გააჩნდა ამის შესახებ.[1] ასე, მაგალითად: მოკავშირეთა საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელების მოსკოვის კონფერენციაზე (1943წ. 19-30 ოქტომბერი) ვ. მოლოტოვმა მოითხოვა „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპის გავრცელება გერმანიის სატელიტებზეც (კერძოდ, მან დაასახელა რუმინეთი, ფინეთი და უნგრეთი)[2], მაგრამ მოგვიანებით სტალინმა (თეირანის კონფერენციაზე) სულ სხვა რამ განაცხადა. რუზველტთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპი ხელს უწყობდა გერმანელების შეკავშირებას, მაშინ როდესაც კონკრეტული, თუნდაც უმკაცრესი პირობების შემუშავება დაჩქარებდა გერმანიის კაპიტულაციას.[3] და მაინც, ჩვენი აზრით, „უპირობო კაპიტულაციის" პრინციპს პრაქტიკულად არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის დასრულების ვადებზე, რადგან, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჰიტლერი წასულიყო რაიმე კაპიტულაციაზე საერთოდ. პირიქით, ის უდავოდ გააგრძელებდა ბრძოლას უკანასკნელ ჯარისკაცამდე. იტალია და იაპონია კი დათანხმდნენ უპირობო კაპიტულაციას, თუმცა მათი რესურსები, განსაკუთრებით იაპონიის, სულაც არ იყო ამოწურული. მართალია, ამ ქვეყნებს ძლიერი დარტყმები ჰქონდათ მიღებული, მაგრამ მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ მოკავშირეებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ასე რომ, აღნიშნული პრინციპის არსებობას სულაც არ მიუცია იმპულსი მათი მხრიდან ბრძოლის გაგრძელებისათვის.

კასაბლანკის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა 1943წ. 24 იანვარს, თებერვალში კი მოკავშირეებს მძიმე ბრძოლების წარმოება მოუწიათ ტუნისში. გერმანელებმა ძლიერი კონტრშეტევა

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ოფიციალური საბჭოთა დოკუმენტი, რომელშიც გაჩნდა სიტყვები "უპირობო კაპიტულაცია", დათარიღებულია 1943წ. 1 მაისით, ამ პრინციპის გამოცხადებიდან 4 თვის შემდეგ. იხ.: **Н. Лебедева, А. Филитов.** Формула прекращения войны в политике "Большой Тройки", - ***"Международная Жизнь"***, №4, 1996, გვ. 84.

[2] Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. I. Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943г.), М., 1978, გვ. 173-174.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 782-783; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, т. II, გვ. 476-477.

წამოიწყეს და დროებით წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ ინგლისელებისა და ამერიკელების ძლიერი წინააღმდეგობის შედეგად მათ თვის ბოლოსათვის ძველ პოზიციებზე მოუწიათ უკანდახევა. 20 მარტს კი გენ. ბერნარდ მონტგომერის მე-8 არმია გადავიდა იერიშზე, გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა მარეტის ხაზზე და შეუერთდა გენ. ჯორჯ პატონის მე-2 კორპუსს. ამიერიდან მოკავშირეთა ყველა ძალები ერთიან ფრონტად იყო შეკრული. 23 აპრილს ისინი მთელი ფრონტით გადავიდნენ შეტევაზე და 7 მაისისათვის აიღეს ტუნისი და ბიზერტა.[1] 12 მაისს გერმანელებმა (გენ. ფონ არნიმის მეთაურობით) და 13 მაისს იტალიელებმა (მთავარსარდალი – ფელდმარშალი მესე) ხელი მოაწერეს კაპიტულაციას და დანებდნენ მოკავშირეებს.[2] 20 მაისს ტუნისში შედგა აღლუმი, რომლითაც საზეიმოდ აღინიშნა აფრიკიდან ღერძის ქვეყნების ჯარების განდევნა.[3]

ამრიგად, ტუნისის აღებით დასრულდა მოკავშირეთა პირველი ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია გერმანელების წინააღმდეგ ძეორე მსოფლიო ომში. ამ გამარჯვებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. თუ ადრე გერმანელებს მხოლოდ საბჭოთა კავშირთან უხდებოდათ ფართო მასშტაბის სახმელეთო ბრძოლების წარმოება და საკუთარი ზურგის შიში აღარ ჰქონდათ, ახლა მათ უკვე სერიოზულად უნდა ეფიქრათ დასავლეთ და სამხრეთ ევროპის დაცვის გაძლიერებაზე, რადგანაც აშკარა იყო, რომ მიღწეული წარმატებით მოკავშირეები არ დაკმაყოფილდებოდნენ და ინიციატივას ხელიდან არ გაუშვებდნენ. სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ გერმანელებს ახლა დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნებაზე უნდა ეზრუნათ და არა მათ გაფართოებაზე.[4] გარდა ამი-

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 155; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход.., გვ. 199.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 156; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход.., გვ. 199-200.

[3] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 157; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход.., გვ. 201; **G. S. Patton.** War As I Knew It, Boston, 1947, გვ. 41-45.

[4] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 157-158; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход.., გვ. 201.

სა, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ევროპაში გერმანიის მთავარი მოკავშირე — იტალია. განცდილი მარცხის შედეგად იტალიამ დაჰკარგა ყველა თავისი სამფლობელო აფრიკაში. იტალიის არმიის საუკეთესი ნაწილები განადგურდნენ ან მოკავშირეებს დანებდნენ. დარჩენილი შენაერთების მორალური დონე ძალზე დაბალი იყო. გართულდა მდგომარეობა ქვეყნის შიგნითაც. გაჩნდა საფრთხე, რომ იტალია საერთოდ შეწყვეტდა ბრძოლას. ბერლინში უკვე დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ რა ზომები მიეღოთ იტალიის ომიდან გამოსვლის შემთხვევაში. გარდა ამისა, ვერმახტის ხელმძღვანელობაში საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა იმ აზრმა, რომ მოკავშირეები აპირებდნენ სადესანტო ოპერაციის განხორციელებას ბალკანეთში.[1] ამასთან, ჯერ კიდევ რჩებოდა იმის საშიშროება, რომ ინგლისელები და ამერიკელები გადალახავდნენ ლა-მანშს 1943წ. ყოველივე ეს აიძულებდა გერმანიის სარდლობას, ეფიქრა დამატებითი ძალების გადასროლაზე ევროპის სამხრეთსა და დასავლეთში.

[1] F. W. Deakin. The Brutal Friendship, L., 1962, გვ. 353.

თავი III
ვაშინგტონიდან თეირანამდე. ერთიანი სტრატეგიული კურსის შემუშავების ცდები აშშ-ინგლისის დიპლომატიაში

აფრიკული კამპანიის წარმატებით დასრულებისა და ამ რეგიონზე მოკავშირეთა სრული კონტროლის დამყარების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საომარი მოქმედებების ევროპის კონტინენტზე გადატანის საკითხი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, აშშ-ინგლისის დიპლომატიური საქმიანობა ძირითადად ამ მიმართულებით წარიმართა. 1943წ. 12 მაისს ვაშინგტონში დაიწყო რუზველტისა და ჩერჩილის მორიგი შეხვედრა, რომელზეც უნდა განხილულიყო მოკავშირეთა მოქმედების სტრატეგია სიცილიის აღების შემდეგ. ამ კონფერენციისთვის (კოდური სახელწოდება „ტრაიდენტი") ორივე მხარე საგულდაგულოდ მოემზადა. განსხვავებით წინა შეხვედრებისაგან, ამერიკელებს ვაშინგტონში გააჩნდათ მოქმედების კარგად ჩამოყალიბებული გეგმა. ისინი მტკიცედ იყვნენ განწყობილი, რათა გამოეგლიჯათ ინგლისელებისათვის თანხმობა 1944წ. გაზაფხულზე ლა-მანშის ფორსირების თაობაზე.[1] აღსანიშნავია, რომ რუზველტი პირდაპირ დაჰპირდა თავის სამხედროებს 1944წ. გაზაფხულზე საფრანგეთში შეჭრის პროექტის მტკიცე დაცვას.[2] თავის მხრივ, არც ინგლისელები აპირებდნენ დათმობაზე წასვლას. მათ სურდათ ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გაფართოება. კონფერენციის წინ ბრიტანელმა სამხედროებმა ჩამოაყალიბეს ამ რეგიონში მოკავშირეთა შესაძლო ოპერაციების სამი ვარიანტი: 1) იტალიაში შეჭრა; 2) სარდინიისა და კორსიკის დაკავება; და 3) ოპერაციების ჩატარება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.[3]

უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილს განსაკუთრებით იზიდავდა

---

[1] W. Leahy. I Was There, New York, 1950, გვ. 157-158.

[2] M. Мэтлофф. От Касабланки до «Оверлорда», გვ. 172.

[3] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 411; М. Говард. Большая стратегия, გვ. 289.

პირველი და მესამე ვარიანტები. ამასთან, ის არ გამორიცხავდა მათ ერთდროულ განხორციელებასაც. სარდინიას კი ბრიტანეთის პრემიერი თვლიდა მხოლოდ კიდევ ერთ საჭირო კუნძულად, რომლის დაკავებაც, სხვა მხრივ, არანაირ პერსპექტივებთან არ იყო დაკავშირებული.[1] რაც შეეხება ამერიკელებს, მათ სხვა ვარიანტებზე მეტად სწორედ სარდინია-კორსიკის ხელში ჩაგდება იზიდავდა. გენერალ ჯორჯ მარშალს ეშინოდა, რომ ოპერაციები ხმელთაშუაზღვისპირეთში მოითხოვდა სულ უფრო მეტ რესურსებს და საბოლოო ჯამში შეუძლებელს გახდიდა ლა-მანშის ფორსირებას.[2] ამიტომ ის პრიორიტეტს ანიჭებდა სარ-დინია-კორსიკის ვარიანტს, რადგანაც ამ კუნძულების დაკავება არ მოითხოვდა დიდი ძალების მობილიზებას. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში მოკავშირეები ხელთ იგდებდნენ საჭირო აეროდ-რომებს და არ იყო გამორიცხული, რომ მოხერხდებოდა იტალი-ის ნეიტრალიზება აპენინის ნ-კ-ზე შეჭრის გარეშეც.[3] აქვე ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: სარდინიისა და კორსიკის დაკავების შემთხვევაში შეიქმნებოდა უაღრესად ხელსაყრელი სი-ტუაცია სამხრეთ საფრანგეთში შესაჭრელად. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ არ მოსწონდა ეს ვარიანტი ჩერჩილს, რომე-ლიც უკვე არ მალავდა, რომ სურდა ბალკანეთის ნ-კ-ის დაკავება.

მაგრამ ბრიტანეთის პრემიერს ვაშინგტონში გარკვეული იმედ-გაცრუება ელოდა. რუზველტმა, რომელმაც პირველსავე სხდომა-ზე მოიწონა ჩერჩილის წინადადება ლა-მანშის ფორსირების 1944 წლამდე გადადების შესახებ, წინააღმდეგობა გაუწია ბალკანურ სტრატეგიას. უფრო მეტიც, ის შიშობდა, რომ საკუთრივ აპენი-ნის ნ-კ-ზე შეჭრაც ხელს შეუწყობდა გერმანული დივიზიების გამოთავისუფლებას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონფე-რენციის წინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუზველტი დაჰპირდა სამხედროებს 1944წ. საფრანგეთში შეჭრის პროექტის მტკიცედ

---

[1] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 434; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 309.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 419; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 297.

[3] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 411.

დაცვას,[1] როგორც ჩანს, აშშ-ს პრეზიდენტმა გადასინჯა ოავისი დამოკიდებულება ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიისადმი და უარყო ის. უნდა ითქვას, რომ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა რუზველტის პოზიციის ასეთი მკვეთრი შეცვლა. მაგალითად, საბჭოთა მკვლევარი ი. უნდასინოვი თვლის, რომ ეს ძირითადად განპირობებული იყო აღმოსავლეთის ფრონტზე ზამთრის კამპანიაში გერმანელების მიერ განცდილი სერიოზული მარცხით. კერძოდ, მას მოჰყავს რუზველტის ვაჟის – ელიოტის ცნობა, რომლის თანახმადაც თურმე მამამისი (ე. ი. – ფრ. რუზველტი) საბჭოთა ჯარების წარმატებების ფონზე მისულა იმ დასკვნამდე, რომ ომი ევროპაში შეიძლებოდა დასრულებულიყო უკვე 1944წ. ამიტომ რუზველტი აუცილებლად თვლიდა საომარი ოპერაციების დაწყებას დასავლეთ ევროპაში 1944წ. გაზაფხულზე, რათა ინგლის-ამერიკის შეიარაღებულ ძალებს მოესწროთ აქ საკვანძო პოზიციების დაკავება.[2] მეორე მიზეზად მკვლევარი ასახელებს თურქეთის უარს მოკავშირეთა წინადადებაზე, ჩაბმულიყო ომში გერმანიის წინააღმდეგ.[3]

ჩვენ არ მიგვაჩნია დამაჯერებლად ი. უნდასინოვის არგუმენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რუზველტმა ეს სიტყვები თავის ვაჟს უფრო გვიან, 1943წ. სექტემბერში უთხრა,[4] როდესაც კურსკის ბრძოლის მოგების შემდეგ საბჭოთა მხარემ უკვე საბოლოოდ ხელთ

---

[1] როგორც ვხედავთ, ლა-მან'შის ყორსირებაზე უარის თქმა მოკავშირეებს ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამასთან, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი: „ტრაიდენტის" წინ გამართულ თათბირზე რუზველტმა რატომღაც ახსენა „სლეჯჰამერი", როგორც 1944წ. შესაძლოდ განსახორციელებელი ოპერაცია („განისახლვრის „სლეჯ-ჰამერი" ან „რაუნდაპი", როგორც 1944წ. გაზაფხულზე ჩასატარებელი ოპერაცია", – იხ.: FRUS. The Conferences at Washington and Quebec, 1943, Wash., 1970, გვ. 30). რითაც გააოგნა მარშალი, რომელიც ეთანხმებოდა „რაუნდაპს" (Th. Parrish. Roosevelt and Marshall, გვ. 348).

[2] И. Н. Удасынов. Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 85.

[3] იქვე, გვ. 85.

[4] Э. Рузвельт. Его глазами, გვ. 135.

იგდო ინიციატივა ფრონტზე. ამასთან, ის მოვლენების ამგვარ განვითარებას (ე. ი. 1944წ. ევროპაში ომის დასრულებას) შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთელი მოკავშირეები განახორციელებდნენ მძლავრ დარტყმას საფრანგეთში (რუზველტი არ გამორიცხავდა ჰოლანდიის, ნორვეგიის და საკუთრივ გერმანიის ვარიანტებსაც).[1] ასე რომ, ი. უნდასინოვის მიერ აშშ-ს პრეზიდენტის ამ გამონათქვამის, თანაც არასრული სახით გადატანა 1943წ. მაისზე უბრალოდ ფაქტების გაყალბებას წარმოადგენს. ამასთან, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტიც: ე. რუზველტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალიან ხშირ შემთხვევაში არ არის სწორი, რის გამოც ის არ ითვლება სანდო წყაროდ დასავლურ ისტორიოგრაფიაში.[2] ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა არმიის წარმატებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. რაც შეეხება თურქეთის არმიის ომში ჩაბმას, ეს უდავოდ გააძლიერებდა მოკავშირეთა პოზიციებს ბალკანეთის ფრონტზე, მაგრამ ამის აუცილებლობა მხოლოდ მაშინ დგებოდა, თუ ინგლის-ამერიკელთა სარდლობა დაგეგმავდა საომარ ოპერაციებს ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპაში ერთდროულად. ამ შემთხვევაში თურქეთის არმია მართლაც იქცეოდა მოკავშირეთა მთავარ დამრტყმელ ძალად ბალკანეთში. პრეზიდენტ რუზველტსა და აშშ-ს არმიის შტაბს კი ეს ვარიანტი საერთოდ არ განუხილავთ, ვინაიდან ასეთი ერთდროული ოპერაცია ევროპაში გამოიწვევდა წყნარ ოკეანეში იაპონიასთან მეომარი ამერიკული ძალების შესუსტებას.

ჩვენი აზრით, რუზველტი, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა ამ ფაქტორებს, მაგრამ მისი პოზიციის შეცვლა ძირითადად განპირობებული უნდა ყოფილიყო ინგლისისა და აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების შეჯახებით. ამ დროისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ გერმანიის მარცხი გარდაუვალი იყო. მოკავშირეებმა უკვე ომისშემდგომი მსოფლიოს გადანაწილებაზე დაიწყეს ფიქრი. სწორედ ეს ედო საფუძვლად ჩერჩილის ბალკანურ სტრატე-

---

[1] Э. Рузвельт. Его глазами, გვ. 135.

[2] M. Howard. Grand Strategy, vol. IV, გვ. 282.

გიას. როგორც საესებით სწორად შენიშნავს აკად. ვ. ტრუხანოვსკი, ბალკანეთი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის ინტერესების სფეროს და ახლა აშკარა იყო, რომ ჩერჩილის გეგმების განხორციელებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე ინგლისური გავლენის დამყარება მოჰყვებოდა. ეს კი ნამდვილად ვერ იქნებოდა მოსაწონი თეთრი სახლისათვის. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტიც – 1943წ. II ნახევრისათვის მოკავშირეთა შორის ძალთა თანაფარდობა უკვე შეიცვალა. თუ ადრინდელი გეგმით სადესანტო ოპერაცია ევროპაში ძირითადად ინგლისური შენაერთებით უნდა ჩატარებულიყო (იგულისხმება „სლეჯჰამერი" და „რაუნდაპი", რომლებიც არ განხორციელდა), ახლა უკვე მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალებში ამერიკელები სჭარბობდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, რუზველტი სულაც არ აპირებდა ინგლისელთა სასარგებლოდ მოქმედებას.[1] მით უმეტეს, რომ აშშ-ს თავისი ინტერესები ჰქონდა სწორედ დასავლეთ ევროპაში და არა ბალკანეთში.

ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩერჩილმა ვერც იმას მიაღწია, რომ დაეთანხმებინა ამერიკელები სამხრეთ იტალიაში ოპერაციის ჩატარებაზე. რუზველტზე არ იქონია გავლენა ბრიტანეთის პრემიერის განცხადებამაც, რომ არ შეიძლებოდა სიცილიის აღების შემდეგ მოკავშირეთა ჯარების 7-8 თვით უმოქმედოდ დატოვება.[2] აშშ-ს პრეზიდენტი კატეგორიულად შეეწინააღმდეგა იტალიაში მოკავშირეთა მნიშვნელოვანი ძალების გაგზავნას და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ყველაზე ეფექტური საშუალება იყო ლა-მანშის ფორსირება.[3]

უაღრესად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა გაერთიანებული შტაბის სხდომებიც. ინგლისელთა მიერ წარმოდგენილი გეგმა ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებების გაფართოების შესახებ ამერიკელებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. მარშალის აზრით, ყოველივე ეს პრაქტიკულად ნიშ-

---

[1] **В. Г. Трухановский.** Уинстон Черчилль. – Политическая биография, М., 1968, გვ. 367.

[2] **FRUS.** The Conferences at Washington and Quebec, 1943, გვ. 25.

[3] იქვე, გვ. 30-32.

ნაედა, რომ 1943 და, შესაძლოა, 1944 წელსაც მოკავშირეები იძულებული იქნებოდნენ, გაეტარებინათ ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგია, რაც, მისი თქმით, მნიშვნელოვნად გააუარესებდა აშშ-ს მდგომარეობას წყნარი ოკეანის ფრონტზე.[1] კამათი სამხედროებს შორის 10 დღეს გაგრძელდა და საბოლოო ჯამში, დასრულდა კომპრომისით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოკავშირეთა მთავარ შეტევით ოპერაციად ჩაეთვალათ ლა-მანშის ფორსირება, რომელიც უნდა განეხორციელებინათ არა უგვიანეს 1944წ. 1 მაისისა.[2] მოკავშირეთა ნებისმიერი სხვა სამხედრო აქციის ჩატარება შესაძლებლად იქნა ჩათვლილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს არ შეუშლიდა საფრანგეთში შეჭრას.[3] გადაწყდა, რომ ლა-მანშის ფორსირება უნდა მომხდარიყო 29 დივიზიის ძალებით, ასე რომ, ეს იქნებოდა „სლეჯჰამერზე" უფრო დიდი, მაგრამ „რაუნდაპზე" უფრო მცირე მასშტაბის ოპერაცია და ამიტომ მას პირობითად უწოდეს „რაუნდჰამერი".[4]

ყოველივე ამის სანაცვლოდ ინგლისელებმა ამერიკელებისაგან მიიღეს დაპირება იტალიის ომიდან გამოთიშვის შესახებ, თუმცა ამისათვის საჭირო ღონისძიებები კონფერენციაზე არ იქნა დაკონკრეტებული.[5] დეტალები უნდა განესაზღვრა ეიზენჰაუერს, რომელსაც მიეცა კიდეც შესაბამისი მითითება.[6] ამასთან, მარშალის მოთხოვნით, კონფერენციის მონაწილეებმა საჭიროდ ჩათვალეს სიცილიის დაკავების შემდეგ მოკავშირეთა 7 დივიზიის ხმელთაშუაზღვისპირეთიდან ბრიტანეთის კ-ბზე გადასროლა.[7] ყოველივე ეს, აშშ-ს არმიის შტაბის უფროსის აზრით, საგრძნობლად შეამცი-

---

[1] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 426; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 302.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 432, 662; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 307, 430.

[3] **М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 181.

[4] ხელ მალე ამ ოპერაციამ მიიღო კოდური სახელწოდება „ოვერლორდი" (**М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 182).

[5] **М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 183.

[6] იქვე.

[7] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 663; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 430.

რებდა იტალიის წინააღმდეგ შესაძლო ოპერაციის მასშტაბებს.[1] მიუხედავად ამისა, ამგვარი გადაწყვეტილება ინგლისელებისათვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ შემდგომში დაიყოლიებდნენ ამერიკელებს აპენინის ნ-კ-ზე ფართომასშტაბიანი სადესანტო ოპერაციის ჩატარებაზე, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონში ბევრად მეტი ბრიტანული ნაწილი იყო განლაგებული.[2] მათი აზრით, ყოველივე ამას მოჰყვებოდა იტალიის კაპიტულაცია და თურქეთის ომში ჩაბმა, რის შემდეგაც ინგლისელებს უკვე არ გაუჭირდებოდათ ბალკანური ვარიანტის გატანა.[3]

სწორედ ამ მიზანს ისახავდა ჩერჩილი, როდესაც ვაშინგტონის კონფერენციის დასრულებისთანავე გაემგზავრა ალჟირში, ეიზენჰაუერის შტაბში, სადაც 29 მაისიდან 3 ივნისამდე რამდენიმეჯერ ესაუბრა მოკავშირეთა მთავარსარდალს. ბრიტანეთის პრემიერთან ერთად ალჟირს გაფრინდნენ ა. ბრუკი და ჯ. მარშალი. ჯორჯ მარშალის ალჟირში გაგზავნა რუზველტს თვითონ ჩერჩილმა სთხოვა. როგორც ჩანს, ის იმედოვნებდა, რომ მოახერხებდა ერთდროულად ორი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი სამხედრო პირის დარწმუნებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მისი გეგმების რეალიზებას.[4] აშშ-ს პრეზიდენტიც უმალ დაეთანხმა ამ წინადადებას, თუმცა, ეფიქრობ, მისი დასტური სრულიად საპირისპირო მოსაზრებით იყო განპირობებული. კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ რუზველტს ერთგვარი შიში ჰქონდა, რომ ჩერჩილი შესძლებდა, ასე ვთქვათ, ეიზენჰაუერის გადმობირებას და სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარების

---

[1] **Th. Parrish.** Roosevelt and Marshall, გვ. 350.

[2] ინგლისში 7 დივიზიის გადასროლის შემდეგაც კი ხმელთაშუაზღვისპირეთში 27 დივიზია დარჩებოდა, რომელთაგან 19 იქნებოდა ბრიტანული და მხოლოდ 4 – ამერიკული (**M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 433, 663; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 309, 430). უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილს კიდევ უფრო მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლები მოჰქონდა. მისი თქმით, 1943წ. 31 მაისისათვის ამ საბრძოლო თეატრზე იმყოფებოდა 40 დივიზია: 27 2/3 ბრიტანული, 9 ამერიკული და 3 1/3 ფრანგული (**W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 714).

[3] **И. П.Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 90.

[4] **М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 206.

აღკვეთის მიზნით დაამგზავრა ინგლისის პრემიერს ჯ. მარშალი. უნდა აღინიშნოს, რომ რუზველტის შიში ნამდვილად არ იყო საფუძველს მოკლებული. დ. ეიზენჰაუერს — მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალს, მართლაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ როგორ მოქცეულიყო: ერთი მხრივ, მას სურდა, შეენარჩუნებინა ძალები დასავლეთ ევროპაში ძირითადი ოპერაციის განსახორციელებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ეშინოდა, რომ საომარი მოქმედებების შეწყვეტა 1944 წლის მაისამდე გერმანელებს ხელფეხს გაუხსნიდა. ამასთან, მოკავშირეებს სჭირდებოდათ სამხრეთ იტალიაში განლაგებული აეროდრომები. გარდა ამისა, საჭირო იყო ზეწოლა იტალიაზე მისი ომიდან გამოთიშვის მიზნით, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვებოდა იტალიური ნაწილების გამოყვანა ბალკანეთიდან, რაც გერმანიას აიძულებდა, კიდევ უფრო დაეფანტა თავისი ძალები.[1]

ყოველივე აქედან გამომდინარე, ეიზენჰაუერი შესაძლოა მართლაც დასთანხმებოდა ჩერჩილის გეგმას, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთის პრემიერი საგანგებოდ ხაზს უსვამდა, რომ მას სულაც არ ჰქონდა სურვილი, ხელი შეეშალა „ოვერლორდის" მომზადებისათვის, მაგრამ ამას წინ აღუდგა მარშალი. აშშ-ს არმიისა და მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის უფროსი თვლიდა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება სიცილიის აღებამდე ნაადრევი იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ იტალიის ომიდან გამოთიშვა საჰაერო დაბომბვებითაც მოხერხდებოდა.[2] ამასობაში კი ინგლისელებმა ორი შეცდომა დაუშვეს: მოლაპარაკებების მსვლელობისას ჯერ ა. იდენს (ის ასევე იმყოფებოდა ალჟირში) წამოსცდა მისი მთავრობის ნამდვილი გეგმები, როდესაც ხაზი გაუსვა, რომ თურქეთთან ურთიერთობა უფრო მეგობრული გახდებოდა, როგორც კი მოკავშირეთა არმიები ბალკანეთს მიადგებოდნენ,[3] შემდეგ კი ბრუკმა ეიზენჰაუერთან საუბარში აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრს სურდა მოკავშირეთა სტრატეგიიდან საერთოდ ამოეღო ლა-მანშის ფორ-

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 167; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 213.

[2] **Н. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 88.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 718.

სირების იდეა.[1] ამის გამო ჩერჩილი იძულებული გახდა, უკან დაეხია და განეცხადებინა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას არც ახლა ჰქონდა განზრახული ბალკანეთში ჯარების გაგზავნა და არც ახლო მომავალში აპირებდა ამას.[2] საბოლოო ჯამში, თათბირი კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა და აპენინებზე შეჭრის საკითხი სიცილიის აღებამდე გადაიდო, როგორც ამას ითხოვდა მარშალი.

ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ რუზველტი და ჩერჩილი კიდევ ერთი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ უნდა ეცნობებინათ სტალინისათვის, რომ ლა-მანშის ფორსირება გადაიდო 1944წ. გაზაფხულამდე. საბჭოთა ლიდერისათვის ამ არასასიამოვნო ინფორმაციის მიწოდება თავის თავზე აიღო რუზველტმა. მისი წერილი სტალინმა 1943წ. 4 ივნისს მიიღო[3] და ამ დროიდან დაიწყო კრიზისი მოკავშირეთა ურთიერთობაში. საბჭოთა ლიდერმა 11 ივნისს პროტესტი განუცხადა აშშ-ს პრეზიდენტს და ბრიტანეთის პრემიერს, რომ მათ ცალმხრივად გადაწყვიტეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც დიდი გავლენა შეეძლო მოეხდინა ომის შემდგომ მსვლელობაზე.[4] სტალინის შედარებით თავშეკავებული პასუხი სულაც არ ნიშნავდა, რომ მისი რწმენა მოკავშირეებისადმი შერყეული არ იყო. სწორედ ამის შესახებ აცნობა 14 ივნისს ჩერჩილს არჩიბალდ კ. კერმა — დიდი ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში. მისი თქმით, საბჭოთა ლიდერი უკიდურესად აღშფოთებული იყო მოკავშირეთა მოქმედებით.[5] მაგრამ ბრიტანეთის პრემიერს, როგორც ჩანს, ოდნავადაც არ აწუხებდა ყოველივე ეს. განსხვავებით 1942 წლისაგან, როდესაც მან საჭიროდ ჩათვალა, თვითონ ჩასულიყო მოსკოვში, რათა აეცილებინა კრიზისი მოკავშირეთა ურთიერთობაში, ამჯერად ის სულაც არ აპირებდა უკან დახევას.[6] პირიქით, ჩერ-

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 167-168; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 214.

[2] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 718.

[3] **Переписка..,** т. II, გვ. 66-68.

[4] **Переписка..,** т. I, გვ. 131; т. II, გვ. 70.

[5] **L. Woodward.** British Foreign Policy in the Second World War, vol. II, L., 1971, გვ. 555.

[6] როგორც ჩანს, მას უკვე არ ეშინოდა ომის წაგების.

ჩილმა აცნობა ელჩს, არანაირი ბოდიშები არ მოეხადა და შესაფერის მომენტში ეთქვა სტალინისათვის, რომ არ ღირდა დასავლეთის სახელმწიფოების გაღიზიანება მაშინ, როდესაც მათი სამხედრო ძლიერება დღითიდღე იზრდებოდა და მათ შეეძლოთ მომავალში დიდი სარგებლობა მოეტანათ საბჭოთა კავშირისათვის. უფრო მეტიც, ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ მის მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილის ეს განცხადება უბრალოდ გაოცებას იწვევს. თუ ვინმეს მოთმინებას შეიძლება ეწოდოს უსაზღვრო, სწორედ რომ სტალინისას. მიუხედავად მრავალგზისი დაპირებისა, დასავლეთელმა მოკავშირეებმა 1943წ. არ გახსნეს მეორე ფრონტი საფრანგეთში და მათ სრულებითაც არ ამართლებს არანაირი ობიექტური მიზეზები. ჩერჩილს და რუზველტს თავისუფლად შეეძლოთ, არ მიეცათ პირობა საბჭოთა ლიდერისადმი მეორე ფრონტის საფრანგეთში გახსნის შესახებ. მათი პრეროგატივა იყო, დაეგეგმათ და ეწარმოებინათ საომარი ოპერაციები გერმანიის წინააღმდეგ იქ, სადაც მათ მოესურვებოდათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა და ბრიტანეთის პრემიერმა აღუთქვეს სტალინს, რომ მოახდენდნენ ლა-მანშის ფორსირებას 1943 წლის განმავლობაში, მათ ან უნდა შეესრულებინათ ეს პირობა, ანაც პირდაპირ ეთქვათ საბჭოთა ლიდერისათვის, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ისინი ვერ მოახერხებდნენ ოპერაციის დროულად ჩატარებას. და ეს უნდა მომხდარიყო არა 1943 წლის ივნისში, არამედ თებერვალში, კასაბლანკის კონფერენციის შემდეგ. ეს ბევრად უფრო პატიოსანი საქციელი იქნებოდა მათი მხრიდან. მაგრამ ჩერჩილი არც ამით დაკმაყოფილდა და 19 ივნისს სტალინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დემაგოგიურად აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირს არანაირ დახმარებას არ აღმოუჩენდა მოკავშირეთა შეტევა ლა-მანშზე ასი ათასი მეომრით, რომელსაც მოჰყვებოდა გარდაუვალი მარცხი.[2] მისი თქმით, დახმარების საუკეთესო გზა იყო ბრძოლების მოგება და არა მათი წაგება.[3] თავის მხრივ, რუზ-

---

[1] Ll. Woodward. British Foreign Policy.., vol II, გვ. 556.

[2] Переписка.., т. I, გვ. 132.

[3] იქვე.

ველტმაც აცნობა სტალინს, რომ საკუთარი იზიარებდა ჩერჩილის წერილში გამოთქმულ აზრებს.[1] ყოველივე ამან აღავსო სტალინის მოთმინების ფიალა და 24 ივნისს მან ბრიტანეთის პრემიერს გაუგზავნა კიდევ ერთი, ამჯერად უკვე ბევრად მკაცრი ტონით დაწერილი საპროტესტო ბარათი.[2] ამ წერილის ასლი რუზველტმაც მიიღო საბჭოთა ლიდერისაგან.[3]

სტალინმა გაახსენა მოკავშირეებს, რომ ისინი ჯერ კიდევ 1942წ. დაჰპირდნენ მას ლა-მანშის ფორსირებას 1943წ. არა ასი ათასი მეომრით, როგორც ამას ახლა აცხადებდა ჩერჩილი, არამედ 1 მილიონი ჯარისკაცის გამოყენებით. საბჭოთა ლიდერს არ დაავიწყდა ისიც, რომ 1943წ. თებერვალში მას აცნობეს საფრანგეთში აგვისტო-სექტემბერში საკარაუდო შეჭრის შესახებ. აქვე სტალინმა განაცხადა, რომ მთელი ეს ცრუ დაპირებები სერიოზულად არყევდა საბჭოთა კავშირის რწმენას მოკავშირეებისადმი და რომ საჭირო იყო ამ რწმენის შენარჩუნება.[4] მიუხედავად ასეთი მკაცრი პასუხისა, ჩერჩილმა მაინც არ დაიხია უკან და სტალინისადმი 27 ივნისის წერილში განაცხადა, რომ ის ყოველთვის გულწრფელი იყო საბჭოთა ლიდერთან ურთიერთობაში და რომ მოკავშირეთა მხრიდან პირობის შეუსრულებლობის მიზეზი იყო უბრალოდ მოვლენების განვითარება, რის გამოც შეიცვალა სამხედრო გეგმები.[5] როგორც ჩანს, სტალინს მობეზრდა ეს უსარგებლო კამათი და უპასუხოდ დატოვა ინგლისის პრემიერის ეს ბარათი. სამაგიეროდ, მან საკმაოდ მკაცრ დიპლომატიურ დემარშს მიმართა. კრემლმა ივლისის დასაწყისში „კონსულტაციისათვის" გაიწვია სსრკ-ს ელჩები ლონდონსა და ვაშინგტონიდან.[6] გარდა ამისა, სტალინმა თვენახევრით საერთოდ შეწყ-

---

[1] **Переписка..**, т. II, გვ. 71. რ. შერვუდი წერს, რომ წერილის ტექსტი ჩერჩილს რუზველტთან წინასწარ არ შეუთანხმებია (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 734; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 411.), მაგრამ, გაუგებარია, ასეთ შემთხვევაში რაში დასჭირდა რუზველტს სტალინისათვის ამ ბარათის გაგზავნა.

[2] **Переписка..**, т. I, გვ. 135-138.

[3] **Переписка..**, т. II, გვ. 72-75.

[4] **Переписка..**, т. I, გვ. 135; т. II, გვ. 75.

[5] **Переписка..**, т. I, გვ. 139-140.

[6] **В. М. Кулиш.** История второго фронта, М., 1971, გვ. 244.

ვიტა მიმოწერა ჩერჩილსა და რუზველტთან და მხოლოდ კურსკის ბრძოლის მოგების შემდეგ განაახლა ის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ინგლისელები და ამერიკელები აზუსტებდნენ გეგმას სიცილიაში შეჭრისათვის. ერთ-ერთი ბოლო ეტაპი ამ მომზადებაში იყო კ. პანტელერიის აღება. ამ კუნძულს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა თავისი ადგილმდებარეობისა და მასზე განლაგებული აეროდრომების გამო.[1] მოკავშირეებმა პრაქტიკულად უბრძოლველად აიღეს პანტელერია. ისინი 6 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ბომბავდნენ კუნძულს, ხოლო შემდეგ დაიწყეს დესანტის გადასხმა. მოკავშირეთა ძალები საიერიშო ნავებში სხდებოდნენ, როდესაც იტალიურმა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა.[2]

1943წ. 10 ივლისს მოკავშირეებმა მოახდინეს გადასხმა სიცილიაზე. გერმანელებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა მოვლენების ამგვარი განვითარება. მათ ეგონათ, რომ მოკავშირეთა მთავარი დარტყმა (ოპერაცია „ჰასკი") მიმართული იქნებოდა საბერძნეთის, ხოლო მეორე დარტყმა კი — სარდინიის წინააღმდეგ. სიცილიაზე შეტევა, მათი აზრით, მიტანილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ თვალის ასახვევად. ყოველივე ეს გახლდათ შედეგი ინგლისელთა მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული სადეზინფორმაციო ოპერაციისა. მათ მოახდინეს ესპანეთის ნაპირებთან თავისი კურიერის დაღუპვის ინსცენირება. გერმანელებმაც ე.წ. კურიერის გვამთან ერთად აღმოაჩინეს მოკავშირეთა გეგმები, რამაც ისინი შეცდომაში შეიყვანა. შედეგად, მათ გააძლიერეს პელოპონესის ნ-კ-ი და სარდინია,[3] მო-

---

[1] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 164-165; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 210-211.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 165; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 211. აღსანიშნავია, რომ პანტელერიაზე მოკავშირეთა მხრიდან ერთადერთი დაზარალებული აღმოჩნდა ამერიკელი ჯარისკაცი, რომელსაც უკბინა ვირმა. იტალიელთა მორალური დონის დაცემაზე ნათლად მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი: პატარა კუნძულ ლამპედუზას იტალიური გარნიზონი დანებდა მყრინავს, რომელიც იძულებით დაჯდა ამ კ-ზე საწვავის ნაკლებობის გამო (**П. Н. Яковлев.** США и Англия во второй мировой войне, გვ. 165).

[3] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **И. Монтегю.** Человек, которого не было, М., 1960.

კავშირეებმა კი სიცილიას შეუტიეს. მათ კუნძულზე გადასხეს გენერალ ჯ. პატონის მე-7 ამერიკული არმია და გენერალ ბ. მონტგომერის მე-8 ბრიტანული არმია. გარდა ამისა, მათ გამოიყენეს საჰაერო დესანტიც.[1] იტალიელებს არც აქ გაუწევიათ დიდი წინააღმდეგობა. მოკავშირეებმა 38 დღეში აიღეს კუნძული, მაშინ როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 3 თვე.[2] უფრო მეტიც, ნაწილი სამხედროებისა უმტკიცებდა ეიზენჰაუერს, რომ იტალიური გარნიზონის ბრძოლისუნარიანობის სწორად შეფასების შემთხვევაში ოპერაციის დასრულება 10-15 დღეშიც იყო შესაძლებელი, თანაც გერმანელთა ძირითადი ნაწილები ტყვედ ჩავარდებოდნენ. მთავარსარდალი ასეთ მოქმედებას სარისკოდ თვლიდა. ის თავის პოზიციას ამაგრებდა იმით, რომ მისი ოპონენტების გეგმა, რომელიც მოწინააღმდეგის ჯარების ალყაში მოქცევაზე იყო აგებული, გაამართლებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იტალიელები არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ მოკავშირეებს, რისი გარანტიაც არ იყო.[3]

მოკავშირეთა სიცილიაში გადასხმის შემდეგ მუსოლინი იძულებული გახდა, გერმანელებისათვის სასწრაფოდ ეთხოვა დახმარება, მაგრამ ამის ნაცვლად მიიღო ჰიტლერის დირექტივა, რაც შეიძლებოდა გაეჭიანურებინათ კუნძულის ჩაბარება.[4] ეს თითქოს გასაგებიცაა: აღმოსავლეთის ფრონტზე დაწყებული საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის გამო მას არ შეეძლო დამატებითი ნაწილების გამოგზავნა მოკავშირისათვის, თუმცა ჰიტლერმა იტალიის საზღვრებთან მაინც გადმოისროლა ესესელთა შენაერ-

---

[1] აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა გერმანელმა გენერალმა – კარლ შტუდენტმა მოკავშირეთა ოპერაციის სრული წარმატებით დასრულების მთავარ მიზეზად დაასახელა სწორედ საჰაერო-სადესანტო ძალები, რომლებმაც გზა გადაუღობეს სატანკო დივიზია „გერმან გერინგს". მისი თქმით, რომ არა ეს ფაქტი, გერმანელები გაანადგურებდნენ საზღვაო დესანტის პირველ ეშელონს (**М. Риджуэй.** Солдат, М., 1958, გვ. 89).

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 163-164; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 209.

[3] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 164; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 209-210.

[4] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 181.

თები, რამდენიმე საპარაშუტო დივიზია და ა.შ.[1] საკუთრივ სიცილიაში კი გაგზავნილ იქნა მხოლოდ 2 დივიზია.[2] ბერლინის პოზიცია იმით აიხსნება, რომ სიცილიაში თავდაცვის ორგანიზება უპერსპექტივო საქმე იყო, ხოლო აპენინებზე დაწყებულ პროცესებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა იტალიის ომიდან გამოსვლა. ამიტომ გერმანელებმა დაიწყეს ძალების თავმოყრა, რათა საჭიროების შემთხვევაში დაეკავებინათ იტალიის სასიცოცხლო ცენტრები.[3] გარდა ამისა, აქვე ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: ჰიტლერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, დაეცვა თუ არა აპენინის ნ-კ-ის სამხრეთი ნაწილი მოკავშირეთა შემოჭრის შემთხვევაში. ვერმახტის მთავარსარდლობაში ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობდა. მაგალითად, ფელდმარშალი ერვინ ფონ რომელი მოითხოვდა მხოლოდ ჩრდილოეთ იტალიის დაცვას, ხოლო ფელდმარშალი ალბერტ კესელრინგი მხარს უჭერდა თავდაცვითი ზღუდის მოწყობას რომის სამხრეთით. საბოლოო ჯამში, ჰიტლერმა კესელრინგის აზრი გაიზიარა და სწორედ ის დანიშნა იტალიაში გერმანული ნაწილების უმაღლეს მთავარსარდლად.[4]

ივლისის ბოლოსათვის იტალიურმა გარნიზონმა სიცილიაში მთლიანად დაყარა იარაღი, ხოლო გერმანელებმა დაიხიეს პორტ მესინას მიდამოებში, საიდანაც მოახდინეს თავისი ნაწილების ევაკუაცია. 16 აგვისტოს ამერიკელებმა დაიკავეს მესინა და ამით სიცილია მთლიანად გადავიდა მოკავშირეთა ხელში.[5]

---

[1] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 181.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 468; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 331.

[3] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 472.

[4] იხ.: **Ralph S. Mavrogordoto.** Hitler's Decision to Defend Italy, – წიგნში: ***Command Decisions,*** Wash., 1960, გვ. 303-322; **Р. Маврогордото.** Решение Гитлера оборонять Италию (1943-1944 годы), – წიგნში: ***Важнейшие решения,*** М., 1964, გვ. 150-168; **З. Вестфаль.** Между двумя решающими сражениями, – წიგნში: ***Роковые решения,*** М., 1958, გვ. 214.

[5] აღსანიშნავია, რომ მე-7 ამერიკული არმიის სარდალმა ჯ. პატონმა არც კი დაუცადა ინგლისური ნაწილების მოსვლას მესინაში (მე-8 ბრიტანული არმიის შენაერთები 17 აგვისტოს შეეიჭრნენ ქალაქში) და მარტომ მიიღო გერმანელთა კაპიტულაცია (**O. N. Brad-**

ამასობაში კი აპენინის ნ-კ-ზე მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა. მოკავშირეთა იმედები და გერმანელთა შიში გამართლდა. 24 ივლისს „დიდმა ფაშისტურმა საბჭომ" უნდობლობა გამოუცხადა მუსოლინის, ხოლო 25 ივლისს მეფე ვიქტორ-ემანუილ III-მ გადააყენა დუჩე, რომელიც ამ აუდიენციის შემდეგ დააპატიმრეს კიდეც. ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფელდმარშალი პიეტრო ბადოლიო.[1] ამ ფაქტმა ჰიტლერის გაცოფება გამოიწვია. მისი პირველი რეაქცია იყო, გაეგზავნა სპეციალური შენაერთი რომში, რათა დაეპატიმრებინა მეფე, ბადოლიო და ყველა ის პირი, ვინც კი მუსოლინის გადაყენებაში მიიღო მონაწილეობა.[2] რომში ეს კარგად ესმოდათ და ახალმა მთავრობამ სასწრაფოდ გააკეთა განცხადება გერმანიასთან თანამშრომლობისა და ომში მონაწილეობის გაგრძელების შესახებ.[3] ბადოლიოს მხრიდან ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგანაც მუსოლინის მმართველობის ბოლო პერიოდში გერმანელებს საკმაოდ მრავლად ჰყავდათ თავიანთი ხალხი სამთავრობო სტრუქტურებში და იქ საკვანძო ადგილები ეკავათ. ამიტომ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტის პირველივე მცდელობისთანავე ისინი თავის კონტროლს დაამყარებდნენ ქვეყანაში.[4]

6 აგვისტოს ტარვისში შედგა მოლაპარაკება, რომელზეც მესამე რაიხს წარმოადგენდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ი. რიბენტროპი და ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი ფელდმარშალი ვ. კაიტელი, იტალიას კი — საგარეო საქმეთა მინისტრი რ. გუარილია და შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი ამბროზიო.[5] მიუხედავად იტალიელთა მტკიცებისა, რომ ისინი თავისი მოკავშირის ერთგული დარჩე-

---

ley. A Soldier's Story, New York, 1951, გვ. 164; **О. Брэдли.** Записки солдата, М., 1957, გვ. 149.).

[1] **О. В. Серова.** Италия и антигитлеровская коалиция. 1943-1945, М., 1973, გვ. 73.

[2] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 185.

[3] **О. В. Серова.** Италия и антигитлеровская коалиция..., გვ. 75.

[4] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 183; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 229.

[5] **О. В. Серова.** Италия и антигитлеровская коалиция..., გვ. 81-82.

ბოდნენ, გერმანელები მაინც არ ენდობოდნენ მათ. ამან აიძულა ბადოლიო, ეძებნა გზები ინგლის-ამერიკასთან სეპარატული ხელშეკრულების დასადებად. 4 აგვისტოს ლისაბონში იტალიის დიპლომატიური მისიის მრჩეველი დ'აიეტა შეხვდა ბრიტანეთის ელჩს პორტუგალიაში რ. კემპბელს და ამცნო მას იტალიის მთავრობის სურვილი გერმანიასთან კავშირის გაწყვეტისა და ომიდან გამოსვლის შესახებ.[1] ამის შემდეგ მოლაპარაკება მადრიდში გაგრძელდა, სადაც ჩავიდა ბადოლიოს მთავრობის ახალი წარმომადგენელი გენ. კასტელანო. 18 აგვისტოს ის შეხვდა ეიზენჰაუერის შტაბის წევრებს, რომლებმაც განუცხადეს მას, რომ იტალიის კაპიტულაცია მოხდებოდა დაზავების ე.წ. „შემოკლებული" პირობების მიხედვით.[2] 31 აგვისტოს, ახალი შეხვედრისას, რომელიც სიცილიაში შედგა, კასტელანომ იტალიის მთავრობის სახელით თანხმობა მისცა მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლებს, მაგრამ ამასთან გადასცა მათ ბადოლიოს თხოვნა დაზავების გამოცხადების გადადების შესახებ, მანამ, სანამ ინგლის-ამერიკის ჯარები არ მიადგებოდნენ რომს, ან უფრო ჩრდილოეთით არ აღმოჩნდებოდნენ. მოკავშირეებმა იტალიის პრემიერის ეს წინადადება არ მიიღეს და მას მხოლოდ ის აღუთქვეს, რომ კაპიტულაციის გამოცხადებას იტალიაში ინგლისელებისა და ამერიკელების ძირითადი ძალების გადასხმამდე გადადებდნენ.[3] ამ დროისათვის უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება სამხრეთ იტალიაში სადესანტო ოპერაციის განხორციელების შესახებ. გაერთიანებულმა ინგლისურ-ამერიკულმა შტაბმა ჯერ კიდევ 1943წ. 20 ივლისს დართო ნება ეიზენჰაუერს სამხრეთ იტალიაში შეჭრაზე,[4] მაგრამ საბოლოოდ ეს ოპერაცია დამტკიცებულ იქნა კვებეკში, რუზველტისა და ჩერჩილის მორიგ შეხვედრაზე.

კვებეკის კონფერენციამ (კოდური სახელწოდება „კვადრანტი") მუშაობა დაიწყო 14 აგვისტოს.[5] აქაც, ისევე როგორც ვა-

---

[1] H. Feis. Churchill, Roosevelt, Stalin. The War They Waged and the Peace They Sought, Princeton, 1957, გვ. 160.

[2] О. В. Серова. Италия и антигитлеровская коалиция.., გვ. 92-93.

[1] იქვე. გვ. 98-99.

[4] М. Мэтлофф. От Касабланки до «Оверлорда», გვ. 213.

[5] რუზველტი კვებეკში მხოლოდ 17 აგვისტოს ჩავიდა (М. Мэтлофф.

შინგტონში, ძირითადი ადგილი ეკავა კამათს ევროპაში სრულფასოვანი მეორე ფრონტის გახსნის ადგილის განსაზღვრის საკითხზე. ჩერჩილმა, უკვე მუსოლინის გადაყენების შემდეგ, კიდევ ერთხელ სცადა, თავს მოეხვია რუზველტისათვის ბალკანური ვარიანტი, რომელსაც აშშ-ს სამხედრო წრეებშიც გამოუჩნდა მომხრეები.[1] 1943წ. ივნისში სტრატეგიული დაგეგმვის გაერთიანებულმა კომისიამ მთლიანად მოიწონა ინგლისური პროექტი ომის დასკვნით ეტაპზე მცირე ძალებით ლა-მანშის ფორსირებისა და ურჩია პრეზიდენტს, უარი ეთქვა ოპერაცია „ოვერლორდზე". კომისია წინ აღუდგა აგრეთვე ხმელთაშუა ზღვიდან ინგლისში 7 დივიზიის გადაყვანასაც.[2] სულ სხვა აზრზე იდგა აშშ-ს არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილება, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა, ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ იტალიის აღებით შემოეფარგლათ, ხოლო 1944წ. გაზაფხულზე ძირითადი ბრძოლები დასავლეთ ევროპაში გაემართათ.[3] აშშ-ს შტაბების უფროსების კომიტეტმა სწორედ ოპერატიული განყოფილების თვალსაზრისი გაიზიარა და პრეზიდენტთან ერთად განიხილა ეს გეგმები. რუზველტიც დაჰპირდა თავის სამხედრო მრჩევლებს, რომ მტკიცედ გაილაშქრებდა ბალკანური ვარიანტის წინააღმდეგ და დაიცავდა „ოვერლორდს",[4] რაც შეასრულა კიდეც.

კონფერენცია დაიწყო ჯ. მარშალის გამოსვლით. მან ხაზი გაუსვა, რომ ლა-მანშის ფორსირება უნდა ქცეულიყო ევროპაში მოკავშირეთა უმთავრეს ოპერაციად. ამისათვის უნდა მომხდარიყო მთელი ძალების მობილიზება. მარშალი თვლიდა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში ოპერაციები უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ იმ ჯარებით, რომლებიც საფრანგეთში შეჭრისათვის არ იყო საჭირო და ამიტომ აქ განლაგებული 7 დივიზია ინგლისში უნდა გადაესროლათ ძირითადი არმიის გასაძლიერებ-

---

От Касабланки до «Оверлорда», გვ. 282).

[1] **M. Matloff.** Strategic Planning for Coalition Warfare, 1943-1944, New York, 1959, გვ. 176-178.

[2] იქვე, გვ. 178.

[3] იქვე, გვ. 177-178.

[4] იქვე, გვ. 215.

ლად.[1] მიუხედავად ამერიკელთა ასეთი მტკიცე პოზიციისა, ინგლისელებმა მაინც სცადეს თავისი ვარიანტის გატანა. ა. ბრუკი, ერთი შეხედვით, თითქოს დაეთანხმა აზრს, რომ „ოვერლორდი" ყოფილიყო მოკავშირეთა მთავარი ოპერაცია ევროპაში, მაგრამ აქვე მან განაცხადა, რომ ლა-მანშის ფორსირება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დასავლეთ ევროპაში განლაგებული გერმანული ძალების მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ. ეს კი, ბრუკის თქმით, სავარაუდო იყო მხოლოდ სამხრეთ ევროპაში საბრძოლო მოქმედებების გააქტიურების შემთხვევაში. ამიტომ ის წინააღმდეგი იყო ბრიტანეთის კუნძულებზე 7 დივიზიის გადასროლისა, რადგანაც ეს, მისი აზრით, საფრთხის ქვეშ დააყენებდა იტალიაში შეჭრას.[2] ანალოგიური განცხადებები გააკეთა უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ჩერჩილმაც, მაგრამ რუზველტის პოზიცია უცვლელი დარჩა.[3] აშშ-ს პრეზიდენტი უპირველეს ამოცანად კვლავ საფრანგეთში შეჭრას მიიჩნევდა. რაც შეეხება იტალიას, იქ ოპერაციები ქვეყნის სამხრეთი ნაწილის ოკუპაციით უნდა დასრულებულიყო.[4] ერთ-ერთ სხდომაზე რუზველტმა პირდაპირ განაცხადა, რომ აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის არმიებს უნდა მიეღწიათ ბერლინამდე მანამ, სანამ საბჭოთა ჯარები აიღებდნენ გერმანიის დედაქალაქს.[5] ყოველივე ამან აიძულა ჩერჩილი, ეცნო „ოვერლორდი" მოკავშირეთა ძირითად ოპერაციად, მაგრამ, ამასთან, ინგლისის პრემიერმა მთელი რიგი პირობების გათვალისწინება მოითხოვა, კერძოდ: დესანტის გადასხმის მომენტში არ უნდა ყოფილიყო ქარი; მთვარე უნდა ყოფილიყო საჭირო ფაზაში; უნდა ყოფილიყო შესაფერისი მოქცევა; გერმანელთა თავდაცვა არ უნდა გაძლიერებულიყო; მოწინააღმდეგეს არ უნდა ჰყოლოდა რეზერვში 12 დივიზიაზე მეტი; მას არ უნდა შეძლებოდა პირველ 2 თვეში (დესანტის გადმოსხმის შემდეგ) აღმოსავლეთის

---

[1] **M. Matloff.** Strategic Planning.., გვ. 220.

[2] იქვე, გვ. 220-221.

[3] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 747; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 429.

[4] **И. И.Undasynov.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 97.

[5] **M. Matloff.** Strategic Planning.., გვ. 220.

ფრონტიდან 15 დივიზიაზე მეტის გადმოსროლა და ა.შ.[1] ამრიგად, ინგლისელებს სურდათ, დაეტოვებინათ უფლება, უარი ეთქვათ „ოვერლორდზე", თუ მისი განხორციელების დროისათვის ყველა ეს პირობა შესრულებული არ იქნებოდა.[2]

ჩერჩილის სტრატეგიამ კვებეკში კიდევ ერთი დარტყმა მიიღო: კონფერენციაზე დაადგინეს, რომ ძირითად ოპერაციას დახმარებოდნენ სამხრეთ საფრანგეთში, კერძოდ: ტულონსა და მარსელს შორის, — დესანტის გადასხმით (კოდური სახელწოდება ამ ოპერაციისა იყო „ენვილი", შემდგომში ის შეიცვალა „დრაგუნით").[3] ამ დესანტის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ხმელთაშუაზღვისპირეთში განლაგებული ნაწილები, რომელთა გამოყენებაც ჩერჩილს ჩრდილოეთ იტალიასა და ბალკანეთში სურდა. „ენვილის" წარმატების უზრუნველსაყოფად მოკავშირეებმა საჭიროდ ჩათვალეს სარდინიისა და კორსიკის დაკავება, რითაც ისინი მიიღებდნენ ხელსაყრელ პლაცდარმს სამხრეთ საფრანგეთში შესაჭრელად. ბრიტანეთის პრემიერი ამ ოპერაციის წინააღმდეგ მისი განხორციელების დღემდე იბრძოდა, რადგანაც თვლიდა, რომ ეს გამოიწვევდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში სამხედრო მოქმედებების შესუსტებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.[4] ერთი სიტყვით, კვებეკის კონფერენცია დასრულდა ტრანსლამანშური სტრატეგიის მომხრეთა გამარჯვებით. ერთადერთი, რასაც მიაღწია ჩერჩილმა კვებეკში, იყო ის, რომ კონფერენციის მონაწილეებმა დაადგინეს, გადაესხათ დესანტი სამხრეთ

---

[1] **Р. Ингерсолл.** Совершенно секретно, М., 1947, გვ. 43-44.

[2] **M. Matloff.** Strategic Planning.., გვ. 99.

[3] სახელწოდების შეცვლა ჩერჩილის ინიციატივით მოხდა. ამით ბრიტანეთის პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ ის აიძულეს, ჩაეტარებინა აღნიშნული ოპერაცია (სიტყვათა თამაში: **a dragoon** — დრაგუნი, **to dragoon** — იძულება). იხ.: **С. Э. Морисон.** Вторжение во Францию и Германию. 1944-1945, М., 1963, გვ. 244.

[4] ჩერჩილს აქტიურად უჭერდა მხარს ბ. მონტგომერიც, რომელიც თვლიდა, რომ "ენვილი" დაასუსტებდა იტალიურ ფრონტს, მაშინ, როდესაც იქ მიღწეული წარმატებები შესაძლებელს გახდიდა ხაბჭოთა ჯარებს ადრე ევროპის აღებას (**The Memoirs of Field-Marshal the Viscount Montgomery of Alamein**, L., 1958, გვ. 221).

იტალიაში, უზრუნველეყოთ იტალიის გამოსვლა ომიდან, დაეკავებინათ აპენინის ნ-კ-ი რომის ჩათვლით და მუდმივი ზეწოლა ეწარმოებინათ ჩრდილოეთ იტალიაში განლაგებულ გერმანელთა ჯარებზე.[1] და მაინც, სწორედ ეს გადაწყვეტილებები აძლევდა იმედს ბრიტანეთის პრემიერს, რომ მოგვიანებით ის მაინც შესძლებდა თავისი სურვილის განხორციელებას და მეორე ფრონტს საფრანგეთის ნაცვლად ბალკანეთში გახსნიდა. ასე რომ, ბრძოლა ამ საკითხის გარშემო ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

1943წ. 3 სექტემბერს ერთბაშად ორი დიდი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა: სიცილიაში ხელი მოეწერა იტალიასთან დაზავებას (იტალიის მხრიდან ეს გააკეთა გენ. კასტელანომ, ხოლო მოკავშირეთა სახელით — გენ. ბ. სმიტმა) და დაიწყო მოკავშირეთა ჯარების გადასხმა სამხრეთ იტალიაში — კალაბრიაში. დაზავება ძალაში უნდა შესულიყო 8 სექტემბერს, როდესაც ეიზენჰაუერსა და ბადოლიოს ერთდროულად უნდა გაეკეთებინათ განცხადება იტალიის კაპიტულაციის შესახებ, მაგრამ ბოლო მომენტში იტალიის მთავრობამ, გერმანელების მხრიდან მოსალოდნელი აქციის შიშით, სცადა, გადაევადებინა განცხადების გამოქვეყნება. ბადოლიომ აცნობა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალს, რომ დაზავების გამოცხადების შემთხვევაში გერმანელები დაიკავებდნენ რომს და მთავრობის მიმართ ძალისმიერ აქციას გაატარებდნენ. ამაზე ეიზენჰაუერმა უპასუხა, რომ ის ყველა ვარიანტში გააკეთებდა განცხადებას იტალიის კაპიტულაციის შესახებ 18 საათსა და 30 წუთზე და თუ ამას არ მოჰყვებოდა ანალოგიური აქცია იტალიის მთავრობის მხრიდან, მაშინ ამ უკანასკნელთ ომში მოკავშირე უკვე აღარ ეყოლებოდათ. მართლაც, მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა აღნიშნულ დროს რადიოთი გამოაცხადა იტალიის კაპიტულაციის შესახებ. შიშითა და ყოყმანით შეპყრობილმა ბადოლიომ საათნახევრის შემდეგ, როგორც იქნა, მიბაძა ეიზენჰაუერის მაგალითს.[2]

---

[1] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 684-685; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. 435.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 186; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 233.

გერმანელებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ, რისი წყალობითაც მათ სასწრაფოდ განახორციელეს საპასუხო ზომები: დაიკავეს ჩრდილოეთი და ცენტრალური იტალია, სამხრეთ იტალიის დიდი ნაწილი და განაიარაღეს იტალიური არმიის ძირითადი ძალები.[1] ბადოლიოს მთავრობამ და მეფემ გაქცევით უშველეს თავს და ბრინდიზიში დაიდეს ბინა.[2] გერმანელებმა გადაწყვიტეს, აღედგინათ ფაშისტების ძალაუფლება იტალიაში და გაათავისუფლებინეს მუსოლინი, რომელმაც გამოაცხადა ე.წ. „იტალიის სოციალური რესპუბლიკა" და სათავეში ჩაუდგა მის მთავრობას.[3] ამასობაში მოკავშირეებმა 8 სექტემბერს გადასხეს დესანტი სალერნოს ყურეში, რაც საჭირო იყო ნეაპოლზე შეტევის განხორციელებისათვის, ხოლო 9 სექტემბერს მათ დაიკავეს პორტი ტარანტო, საიდანაც დაიწყეს წინსვლა ფოჯასაკენ.[4] სწორედ ნეაპოლის პორტისა და ფოჯაში განლაგებული აეროდრომების აღება იყო მოკავშირეთა უმთავრესი ამოცანა ამ ეტაპზე.

8-14 სექტემბრის განმავლობაში სალერნოს ყურეში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. გერმანელები ცდილობდნენ, გაენადგურებინათ დესანტი, მაგრამ ვერ შეძლეს ეს. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა კალაბრიაში მყოფმა გენ. მონტგომერიმ და სწრაფად წაიწია წინ. 16 სექტემბერს მისი ძალები მარცხენა ფლანგზე შეუერთდნენ სალერნოსთან მებრძოლ ნაწილებს. მარჯვენა ფლანგზე მონტგომერი განაგრძობდა წინსვლას ფოჯასაკენ ბრძოლებით მიმავალ საჰაერო-სადესანტო დივიზიასთან შესაერთებლად. რამდენიმე დღის შემდეგ მოკავშირეებმა აიღეს კიდეც ფოჯა და მთელი ყურადღება ნეაპოლისაკენ გადაიტანეს. აქაც საკმაოდ სწრაფად მიაღწიეს მათ საწადელს და 1 ოქტომბერს გენ. მ. კლარკის ნაწილები შევიდნენ ქალაქში.[5] ამავე პე-

---

[1] **B. H. Liddell Hart.** History of the Second World War, გვ. 451-455.

[2] **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV, გვ. 533.

[3] **О. В. Серова.** Италия и антигитлеровская коалиция.., გვ. 106.

[4] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 187-189; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 233, 236.

[5] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 190; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 237.

რიოდში, კერძოდ 29 სექტემბერს, კ. მალტაზე ბადოლიომ ხელი მოაწერა კაპიტულაციის „გაშლილ“ ვარიანტს, ხოლო 13 ოქტომბერს კი მისმა მთავრობამ ომი გამოუცხადა გერმანიას, რის შემდეგაც მოკავშირეებმა — აშშ, დიდი ბრიტანეთი და სსრკ — იტალია თანამებრძოლ მხარედ სცნეს.[1] ამრიგად, ევროპაში ჰიტლერის მთავარი მოკავშირე — იტალია — უკვე მისი მტრების ბანაკში აღმოჩნდა. რასაკვირველია, იტალიის ფაშისტური ბლოკიდან გამოსვლას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ფაქტს დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ჰიტლერის დანარჩენ სატელიტებზე, რომლებიც უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ გერმანიის მარცხი ამ ომში გარდაუვალი იყო. გარდა ამისა, გერმანია იძულებული გახდა 20-მდე დივიზია განელაგებინა აპენინებზე, რათა შეეჩერებინა მოკავშირეთა წინსვლა ამ რეგიონში.[2] უნდა ითქვას, რომ გერმანელებმა აქ მართლაც მიაღწიეს თავის მიზანს და ინგლის-ამერიკის ჯარები რომიდან 120 კილომეტრზე შეაკავეს, მაგრამ ამან მნიშვნელოვნად დაასუსტა მათი პოზიციები სხვა რეგიონებში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩერჩილი ძალ-ღონეს არ იშურებდა მოკავშირეთა სტრატეგიის შესაცვლელად. ამჯერად ის პირდაპირ არ ითხოვდა „ოვერლორდის“ უარყოფას და ცდილობდა ბალკანეთში შესაჭრელად ხმელთაშუაზღვისპირეთში განლაგებული ძალების გამოყენებას. მას იმედი ჰქონდა, რომ ბალკანეთში განლაგებული 24 იტალიური დივიზიის მიერ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა აიძულებდა გერმანელებს, დაეტოვებინათ ნახევარკუნძული და შესაძლებელი გახდებოდა მცირე ძალებით მისი ოკუპაცია.[3]

სექტემბრის დასაწყისში ინგლისის პრემიერ-მინისტრი ვა-

---

[1] დოკუმენტი იხ.: **Внешняя политика..**, т. I, გვ. 406-407.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 187; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 233. სხვათა შორის, ინგლისელთა მტკიცება, რომ იტალიაში ოპერაციების წარმოება ხელს შეუწყობდა "ოვერლორდს", ნაწილობრივ გამართლდა, რადგანაც 1943წ. სექტემბერში გერმანელებმა საფრანგეთიდან იტალიაში გადაისროლეს 7 საუკეთესო დივიზია (**Дж. Долглейш.** Как мы планировали второй фронт, М., 1946, გვ. 91.).

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 111.

შინგტონში ჩავიდა და შესთავაზა რუზველტს იტალიის კაპიტულაციის გამოყენება აპენინისა და ბალკანეთის ნ-კ-ებზე ახალი ოპერაციების საწარმოებლად. ამავდროულად მან წამოაყენა დოდეკანესის კ-ბის (როდოსი, კოსი, ლეროსი, სამოსი და სხვ.) დაკავების ვარიანტი.[1] რუზველტი აშკარად მიიზიდა ბალკანეთის მცირე ძალებით აღების გეგმამ და ეს საკითხი შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის სხდომაზე დააყენა. მისი ზეწოლით კომიტეტმა ნაწილობრივ მიიღო ჩერჩილის პროექტი და დაამტკიცა დოდეკანესის არქიპელაგის დაკავების გეგმა.[2] ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოკავშირეები დაამყარებდნენ კონტროლს ეგეოსის ზღვაზე და მიიღებდნენ ბრწყინვალე საზღვაო და საჰაერო ბაზებს. ამასთან, ეს მოუხსნიდა თურქეთს გერმანიის მხრიდან საჰაერო თავდასხმის საფრთხეს, თუ ის ჩაებმებოდა ომში მესამე რაიხის წინააღმდეგ.[3] ამიტომ ჩერჩილი, რომლის გეგმებში თურქეთის პოზიციას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, აუცილებლად მიიჩნევდა ამ კ-ბის, განსაკუთრებით კი როდოსის ოკუპაციას. გარდა ამისა, ინგლისელი სამხედროები თვლიდნენ, რომ დოდეკანესის არქიპელაგის დაკარგვა აიძულებდა გერმანელებს, დაეტოვებინათ საბერძნეთი, რაც გახსნიდა გზას ბალკანეთში.[4] ასე რომ, ამ შედარებით მცირე მასშტაბის ოპერაციას, მათი აზრით, შეეძლო დიდი შედეგები მოეტანა და მოკავშირეთა სტრატეგიაც კი შეეცვალა.

დოდეკანესის კ-ბისათვის ბრძოლა დაიწყო 10 სექტემბერს, როდესაც ინგლისელებმა საჰაერო დესანტი გადასხეს როდოსზე, მაგრამ გერმანელებმა დაატოვებინეს მათ კუნძული.[5] 13-18 სექტემბერს კიდევ ერთი შეტევა იქნა მიტანილი არქიპელაგზე. მოკავშირეებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი კუნძულებისა: კოსი, ლეროსი, სამოსი და ა. შ., — მაგრამ როდოსის ასაღებად

---

[1] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 117.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] **M. Matloff.** Strategic Planning.., გვ. 256.

[4] იქვე.

[5] **J. Ehrman.** Grand Strategy, vol. V, გვ. 93; **Дж. Эрман.** Большая стратегия. Август 1943-сентябрь 1944, გვ. 123.

მათ ძალები არ ეყოთ. 25 სექტემბერს ჩერჩილმა ეიზენჰაუერს სთხოვა დამატებითი ძალების გამოყოფა ოპერაციის წარმატებით დასასრულებლად. ოქტომბრის დასაწყისში მან ანალოგიური სახის მიმართვა გაუგზავნა რუზველტს, მაგრამ იტალიაში მდგომარეობის გაუარესებამ აიძულა შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტი, რომის აღებამდე უარი ეთქვა როდოსის შტურმზე. ყოველივე ამის შედეგად, გერმანელებმა დოდეკანესის არქიპელაგის სხვა კუნძულებიც დაატოვებინეს მოკავშირეებს.[1] ამ მარცხმა სერიოზული დარტყმა მიაყენა ჩერჩილის გეგმებს. სწორედ ეგეოსის ზღვაში მოკავშირეთა დამარცხებით ახსნა ინგლისის პრემიერმა თურქეთის უარი 1943წ. შემოდგომაზე გერმანიასთან ომში ჩაბმაზე.[2] ჩერჩილს იმედები გაუცრუა იტალიის არმიამაც, რომელმაც არ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები გერმანელთა წინააღმდეგ, ამ უკანასკნელებმა კი ბალკანეთის ნ-კ-ი არ დაცალეს. ამის შემდეგ ინგლისის პრემიერს თითქოს ხელი უნდა ჩაექნია თავისი პროექტის განხორციელებაზე, მაგრამ ის მაინც ჯიუტად განაგრძობდა დინების წინააღმდეგ ცურვას და თავს არ ანებებდა ბალკანურ ვარიანტს. ჩერჩილის გეგმების საბოლოო უარყოფა მოხდა მხოლოდ სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების თეირანის კონფერენციაზე, რომლის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა 1943წ. 13-30 ოქტომბერს მოსკოვში გამართული ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა უწყებების ხელმძღვანელთა შეხვედრა.

მოსკოვის კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონი იდენი და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰალი, განხილულ იქნა საკითხების ფართო სპექტრი, რომელთა შორის ძირითადი ადგილი ეკავა გერმანიისა და მისი ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგ ომის უმოკლეს ვადაში დამთავრებისათვის საჭირო ღონისძიებების დაზუსტებას. კონფერენციის გახსნის

---

[1] **J. Ehrman.** Grand Strategy, vol. V, გვ. 102-103; **Дж. Эрман.** Большая стратегия. Август 1943-сентябрь 1944, გვ. 131.

[2] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, გვ. 622.

პირველსავე დღეს საბჭოთა დელეგაციამ მოსთხოვა ინგლისსა და აშშ-ს მხარეს, დაედასტურებინათ მათი განზრახვა 1944წ. გაზაფხულზე საფრანგეთში შეჭრის თაობაზე.[1] საპასუხოდ გენ. ჰ. ისმეიმ (დიდი ბრიტანეთი) და გენ. ჯ. დინმა (აშშ), რომლებიც სამხედრო მრჩევლების რანგით ესწრებოდნენ სხდომებს, გააცნეს საბჭოთა დელეგაციას კვებეკის კონფერენციის გადაწყვეტილება ამ საკითხის გარშემო.[2] ამ განცხადებამ საბჭოთა მხარე მაინც არ დააკმაყოფილა, რადგანაც მასში მოყვანილი იყო უამრავი პირობა, რომელთა შესრულების გარეშე ოპერაცია „ოვერლორდის" განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. უკმაყოფილებამ კიდევ უფრო იმატა მას შემდეგ, რაც იდენმა, ჩერჩილის ინსტრუქციით, აცნობა სტალინს, რომ დიდი ბრიტანეთი ვერ მისცემდა სსრკ-ს მტკიცე გარანტიებს მეორე ფრონტის 1944წ. მაისში გახსნის შესახებ.[3] ინგლისის პრემიერი სწერდა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ის ვერ გასწირავდა მარცხისათვის ოპერაციებს იტალიაში მხოლოდ იმიტომ, რომ დაეცვა „ოვერლორდის" დაწყების თარიღი.[4] გარდა ამისა, იდენმა სასწრაფოდ გადასცა სტალინს გენ. ჰ. ალექსანდერის ცნობა, რომ მოკავშირეთა წარუმატებლობა იტალიაში ალბათ შეაფერხებდა ლა-მანშის ფორსირებას.[5]

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა (ასევე ჩერჩილის დავალებით) მოსკოვში სცადა, აგრეთვე, გაეგო, თუ რას ფიქრობდა საბჭოთა მხარე ბალკანური ვარიანტის შესახებ და დაინტერესებდა თუ არა ეს გეგმა სტალინს,[6] მაგრამ უარყოფით რეაქციას წააწყდა. უფრო მეტიც, საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიციამ აიძულა იდენი და ჰალი, დაედასტურებინათ კვებეკის კონფერენციის გადაწყვეტილება 1944წ. ლა-მანშის ფორსირების შესახებ. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ ამ ოპერაციის მომზადე-

---

[1] **Московская конференция..**, გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 99-109.

[3] იქვე, გვ. 213-214.

[4] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 247-248.

[5] **Московская конференция..**, გვ. 221-222.

[6] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 245-246.

ბა მიმდინარეობდა იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.[1] საერთოდ ამ შეხვედრაზე ოპერაცია „ოვერლორდის" განხორციელებასთან დაკავშირებით ამერიკელებმა სრული მხარდაჭერა აღმოუჩინეს საბჭოთა მხარეს, რითაც სტალინი ძალიან კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მთლიანობაში ისინი მაინც პასიურობდნენ და ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ინგლისისა და საბჭოთა დელეგაციებს შორის მიმდინარეობდა, ჰალი კი შემდეგ ეცნობოდა მისი ორი კოლეგის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არსს.[2] უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბოლო შეხვედრა იყო, როდესაც სწორედ ინგლისელები, და არა ამერიკელები, ასრულებდნენ წამყვან როლს საბჭოთა მხარესთან მოლაპარაკებების დროს.

საბოლოო ჯამში, მოსკოვის კონფერენციის შედეგებით მასში მონაწილე სამივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა. აქ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო განამტკიცეს კავშირი სამივე ქვეყანას შორის და შექმნეს კარგი პირობები ამ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის ჩატარებისათვის. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი შეთანხმდნენ, რომ ასეთი კონფერენცია ჩატარებულიყო 1943წ. ნოემბერში თეირანში.

თეირანის კონფერენციის მომზადების პერიოდში კვლავ გააქტიურდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ერთხელ კიდევ სცადა თავს მოეხვია მოკავშირეებისათვის ბალკანური პროექტი. ამ მიზნით მან შესთავაზა რუზველტს, შეხვედროდნენ ერთმანეთს და შეემუშავებინათ საერთო სტრატეგია თეირანში განსახილველი საკითხების გარშემო.[3] აშშ-ს პრეზიდენტი ერთხანს უარზე იდგა, მაგრამ ჩერჩილის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დათმო და დათანხმდა თეირანში ჩასვლამდე გზად კაიროში შეჩერებულიყო და იქ შეხვედროდა ინგლისის პრემიერს.[4] რუზველტი კარგად ხვდებოდა ჩერჩილის განზრახვას და რადგა-

---

[1] **Московская конференция..**, გვ. 366.

[2] **V. Mastny.** Russia's Road to the Cold War: Diplomacy, Warfare and the Politics of Communism, New York, 1979, გვ. 112.

[1] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 265.

[4] იქვე, გვ. 270.

ნაც არ სურდა, მოსკოვში ჩაეთვალათ, რომ აშშ და ინგლისი სსრკ-ს ზურგს უკან რაიმე შეთანხმებაზე წავიდოდნენ, მიიწვია კაიროში მოლოტოვი და ჩან კაი-ში.[1] ჩერჩილი, რომელიც საგულდაგულოდ მოემზადა ამ შეხვედრისათვის და ჩამოიტანა საგანგებო გეგმა ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირეთა შესაძლო მოქმედებების შესახებ, ძალიან უკმაყოფილო დარჩა აშშ-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. ის თვლიდა, რომ ინგლისელებს და ამერიკელებს ჰქონდათ უფლება, თვითონ განეხილათ საკუთარი შეიარაღებული ძალების ოპერაციები. გარდა ამისა, მას ეშინოდა, რომ ჩინეთის საკითხი დიდ დროს წაიღებდა და ხელს შეუშლიდა ევროპული სტრატეგიის განხილვას. ჩერჩილი იმედოვნებდა, რომ უშუალო მოლაპარაკებების დროს ის, ისევე როგორც ადრე, დაიყოლიებდა რუზველტს თავის გეგმაზე.[2]

კაიროში ინგლისის პრემიერი საკმაოდ ფრთხილად აპირებდა მოქმედებას. ის „ოვერლორდის" პირდაპირ უარყოფას კი არ მოითხოვდა, არამედ უბრალოდ მისი დაწყების ზუსტი ვადის დადგენის წინააღმდეგი იყო. ჩერჩილი და ინგლისელი სამხედროები აცხადებდნენ, რომ საჭირო იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება. პრემიერ-მინისტრს სურდა, რომ მოკავშირეებს იტალიაში პიზა-რიმინის ხაზზე მოეხერხებინათ გასვლა; უფრო ინტენსიურად მოემარაგებინათ პარტიზანები იუგოსლავიაში, საბერძნეთში, რუმინეთსა და ალბანეთში; შეექმნათ პლაცდარმი დალმაციაში ან ალბანეთში; მიეღწიათ, რომ თურქეთი ჩაბმულიყო ომში, გაეხსნათ დარდანელის სრუტე და შეერყიათ გერმანელთა პოზიციები ბალკანეთში.[3] ჩერჩილს იმედი ჰქონდა, რომ ყოველივე ამას მოჰყვებოდა ბალკანეთში ფრონტის გახსნა. ინგლისის პრემიერს სწამდა, რომ ის მიაღწევდა საწადელს, რადგანაც შეხვედრამდე მცირე ხნით ადრე, კერძოდ 1943წ. 4 ნოემბერს, რუზველტი დათანხმდა, მოეხდინა ზეწოლა თურქეთზე ამ უკანასკნელის გერმანიის წინააღმდეგ ომ-

---

[1] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 213.

[2] **W. McNeill.** America, Britain and Russia. Their Co-operation and Conflict, L., 1953, გვ. 342.

[3] **W. McNeill.** America, Britain and Russia.., გვ. 342.

ში ჩაბმის მიზნით, რაც ფაქტობრივად ბალკანეთში ფრონტის გახსნას ნიშნავდა.[1] ყოველივე ამას ჩერჩილი თავისი გეგმების განხორციელებისათვის გამოიყენებდა, მაგრამ მისი პროგნოზები და რეალობა ერთმანეთისაგან ძალიან შორს აღმოჩნდა. კაიროში ჩასვლის დღიდანვე ჩერჩილი წააწყდა ამერიკელთა მტკიცე გადაწყვეტილებას, არ გადაედოთ ლა-მანშის ფორსირება. ის დიდხანს ესაუბრა ეიზენჰაუერს, გაუზიარა მას თავისი გეგმები და სცადა მისი მომხრობა, მაგრამ, ამერიკელი გენერლის თქმით, არაფერი გამოუვიდა.[2] ამერიკელი სამხედროები, პირველ რიგში, მარშალი კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ, განეხორციელებინათ ნებისმიერი ოპერაცია, რომელიც ხელს შეუშლიდა „ოვერლორდს".

1943წ. 22 ნოემბერს კაიროში გაიხსნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და ჩინეთის ლიდერი გენერალისიმუსი ჩან კაიში. ავადმყოფობის მიზეზებით კაიროში არ ჩავიდა ვ. მოლოტოვი, მაგრამ ეს უფრო „დიპლომატიური ავადმყოფობა" იყო. როგორც ცნობილია, სტალინმა რუზველტისადმი 10 ნოემბრის წერილში თანხმობა მისცა კაიროში მოლოტოვის ჩასვლაზე,[3] მაგრამ უკვე 12 ნოემბერს მან გადაიფიქრა და აცნობა აშშ-ს პრეზიდენტს, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი, ზოგიერთი მიზეზის გამო, რომელთაც სერიოზული ხასიათი ჰქონდა, ვერ მიიღებდა მონაწილეობას კონფერენციის მუშაობაში.[4] საბჭოთა მეთაურის პოზიციის შეცვლა განაპირობა 12 ნო-

---

[1] **W. McNeill.** America, Britain and Russia.., გვ. 342-343.

[2] **D. Eisenhower.** Crusade in Europe, გვ. 198; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу, გვ. 246. უნდა აღინიშნოს, რომ ეიზენჰაუერის ეს მტკიცება ეროგვარ ეჭვს იწვევს, რამეთუ კაიროში მან მხარი დაუჭირა ინგლისელთა წინადადებას, დაეტოვებინათ იტალიაში ლა-მანშის ფორსირებისათვის გამოყოფილი 7 დივიზია, რადგანაც, მისი აზრით, მოკავშირეები ყველაზე დიდ საფრთხეს გერმანელებს სწორედ აპენინებზე (და არა საფრანგეთში) შეუქმნიდნენ (**В. М. Кулиш.** История второго фронта, გვ. 300).

[3] **Переписка..**, т. II, გვ. 105.

[4] იქვე, გვ. 105-106.

ემბერს მიღებულმა ჩერჩილის წერილმა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კაიროში სავარაუდო იყო ჩან კაი-შის ჩამოსვლა და იაპონიის წინააღმდეგ ომის წარმობის გეგმების განხილვა.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩინეთის დელეგაციის მიწვევა ეგვიპტის დედაქალაქში რუზველტის სურვილით მოხდა. სავარაუდოა, რომ აშშ-ს პრეზიდენტს უნდოდა კაიროში გადაეწყვიტა ამერიკის მხარისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ერთი საკითხი, კერძოდ: მას სურდა მიეღო საბჭოთა კავშირისაგან თანხმობა იაპონიასთან ომში ჩაბმაზე. შესაძლოა, სწორედ ამიტომ არ აცნობა მან სტალინს კონფერენციაზე ჩან კაი-შის მოწვევის ამბავი, რადგანაც ეს დააფრთხობდა საბჭოთა ლიდერს, მაგრამ ჩერჩილის წერილის შემდეგ სტალინი მიხვდა რუზველტის ჩანაფიქრს და რადგანაც არ იყო დაინტერესებული იაპონიასთან ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებით, უარი თქვა კაიროში საბჭოთა დელეგაციის გაგზავნაზე.[2] მისი გადაწყვეტილება სავსებით სწორი აღმოჩნდა. კაიროში მართლაც მიიღეს კომუნიკე, რომელშიც აშშ-ს, ინგლისისა და ჩინეთის მეთაურები აცხადებდნენ, რომ ისინი აწარმოებდნენ ომს იაპონიის წინააღმდეგ, რათა შეეჩერებინათ და დაესაჯათ აგრესორი და რომ მათ მიზანს ამ ომში წარმოადგენდა იაპონიისათვის 1914 წლის შემდეგ წყნარ ოკეანეში დაპყრობილი ყველა კუნძულის წართმევა და ჩინეთის რესპუბლიკისათვის იაპონელთა მიერ დაკავებული ყველა ჩინური მიწის დაბრუნება. ეს კომუნიკე გამოქვეყნდა 1943წ. 1 დეკემბერს, თეირანის კონფერენციის დასრულების შემდეგ და მან "კაიროს დეკლარაციის" სახელწოდება მი-

---

[1] **Переписка..**, т. I, გვ. 175. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩერჩილს არ სურდა, რომ კაიროს კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობა მიეღო საბჭოთა დელეგაციას და, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც აცნობა სტალინს ჩან კაი-შის მოწვევის ამბავი.

[2] აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მკვლევარი ვ. ისრაელიანი ასევე თვლის, რომ მოლოტოვის არჩასვლა კაიროში მართლაც გამოწვეული იყო იაპონიასთან ურთიერთობების გაუარესების შიშით (**В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 214), მაგრამ ის არაფერს ამბობს კონკრეტულად რუზველტის დაინტერესებაზე, დაეკოლიებინა სტალინი იაპონიის წინააღმდეგ გამოსვლაზე.

იღო. რასაკვირველია, მოლოტოვი კაიროში რომ ჩასულიყო, მას მოუწევდა ამ კომუნიკეზე ხელის მოწერა, რაც, შესაძლოა, გახდებოდა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ომის დაწყების მიზეზი. სტალინისთვის კი ეს მიუღებელი იყო. მას ესმოდა, რომ ასეთ შემთხვევაში შორეულ აღმოსავლეთში ომის მთელი სიმძიმე ისევ საბჭოთა ჯარებს დააწვებოდა, გერმანიის დამარცხება კი გაცილებით უფრო ძნელი გახდებოდა. ასე რომ, მოლოტოვის კაიროში გამგზავრებაზე საბჭოთა ლიდერის მიერ უარის თქმა სავსებით გამართლებული იყო,[1] რაც, სხვათა შორის, ჩერჩილმაც აღნიშნა თავის მემუარებში.[2]

საკუთრივ კონფერენციას რაც შეეხება, მისი პირველი ნაწილი 26 ნოემბრამდე გაგრძელდა[3], მაგრამ ევროპული სტრატეგიის განხილვა მხოლოდ 24-ში დაიწყო, პირველი დღეები კი დაიკავა ჩინეთის საკითხმა. დარჩენილ სხდომებზე ჩერჩილი ძალიან ცდილობდა თავისი პროექტის გატანას, მაგრამ ამერიკელებმა თავი აარიდეს თეირანის შეხვედრის წინ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას. ისინი საჭიროდ თვლიდნენ საბჭოთა თვალსაზრისის გაგებას აღნიშნულ საკითხებზე.[4] ასე რომ, მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა და ინგლისისა და აშშ-ს დელეგაციები კაიროდან თეირანს გაემგზავრნენ.

---

[1] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 215. აღსანიშნავია, რომ კაიროში ამ დროს იმყოფებოდა ვ. მოლოტოვის მოადგილე ა. ვიშინსკი, მაგრამ მას არ მიუღია მონაწილეობა კონფერენციის იმ ნაწილში, რომელიც იაპონიასთან ომს ეხებოდა (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 771; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 461).

[2] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 272; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 3, გვ. 182.

[3] კაიროს კონფერენცია დროებით შეწყდა 26 ნოემბერს, როდესაც რუზველტი და ჩერჩილი გაემგზავრნენ თეირანს სტალინთან შესახვედრად, და განახლდა 2 დეკემბერს, მათი ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ.

[4] **М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 421.

თავი IV
თეირანის კონფერენცია. თანამშრომლობის დიპლომატიის ტრიუმფი

1943წ. 28 ნოემბერს დაიწყო „დიდი სამეულის“ – იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის პირველი შეხვედრა. სამი მოკავშირე ქვეყნის ლიდერთა კონფერენციის მოწყობის იდეა ჯერ კიდევ 1943 წლის გაზაფხულზე გაჩნდა, როდესაც (1943წ. მაისი) რუზველტმა შესთავაზა სტალინს, პირისპირ შეხვედროდნენ ერთმანეთს ბერინგის სრუტის სანაპიროზე[1], მაგრამ მაშინ სტალინმა რთული სამხედრო სიტუაციის გამო უარი თქვა ივლის-აგვისტომდე აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივის განხორციელებაზე[2]. 1943წ. ზაფხულში საკითხი სამმხრივი კონფერენციის ჩატარების შესახებ კვლავ დადგა დღის წესრიგში. ჩერჩილს და რუზველტს სურდათ შეხვედრის მოწყობა ფერბენქსში (ალასკა)[3]. სტალინს, რომელსაც კარგად ესმოდა ასეთი ფორუმის მნიშვნელობა, არც ამჯერად მისცა ფრონტებზე შექმნილმა მდგომარეობამ ასეთ შორეულ პუნქტში წასვლის საშუალება, თუმცა მოლაპარაკება ამ საკითხის გარშემო კვლავ გაგრძელდა. ძირითად პრობლემას ისევ ადგილის შერჩევა წარმოადგენდა. რუზველტმა ამჯერად წამოაყენა კონფერენციის კაიროში ან ბაღდადში მოწვევის იდეა[4]. უკიდურეს შემთხვევაში ის თანახმა იყო ასმერაზე ან ბასრაზე[5]. სტალინი წინააღმდეგი იყო ყველა ამ დასახელებული ქალაქისა. მას მხოლოდ თეირანი აწყობდა[6]. ჩერჩილმა თავდაპირველად კი შესთავაზა მათ სკაპა-ფლოუ, კვიპ-

---

[1] **Переписка..**, т. II, გვ. 62-63.

[2] იქვე, გვ. 65.

[3] იქვე, გვ. 82.

[4] იქვე, გვ. 98-99.

[5] იქვე.

[6] **Переписка..**, т. II, გვ. 100. მისი ასეთი არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ თეირანში იდგა საბჭოთა ჯარები და შეხვედრის მონაწილეთა უსაფრთხოებაც სწორედ მათ და საბჭოთა უშიშროების სამსახურს უნდა უზრუნველეყოთ (**В. М. Бережков.** Страницы дипломатической истории, გვ. 218-219).

როსი ან ხართუმი, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ სად და როდის შედგებოდა ეს შეხვედრა. ამიტომ ის დათანხმდა თეირანზე[1]. რაც შეეხება აშშ-ს პრეზიდენტს, მან მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში გადაწყვიტა თეირანში ჩასვლა[2]. მანამდე ის უარს აცხადებდა ამ ვარიანტზე. რუზველტმა თეირანი მიიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც სტალინმა აცნობა, რომ სხვა შემთხვევაში ის კონფერენციაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა და მას მოლოტოვი შეცვლიდა[3]. ამგვარად გადაწყდა, რომ სამი ქვეყნის მეთაურთა შეხვედრა შემდგარიყო თეირანში 1943 წლის ნოემბრის ბოლოს.

მოკავშირეთა დელეგაციები თეირანში 27 ნოემბერს ჩავიდნენ. ქალაქში ახალჩამოსულ რუზველტს და ჩერჩილს მოლოტოვმა აცნობა, რომ საბჭოთა დაზვერვამ გახსნა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა „კონფერენციის მონაწილე ერთი ან მეტი ლიდერის მოკვლას“.[4] ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩერჩილმა და სტალინმა შესთავაზეს რუზველტს, რომ დაბინავებულიყო დიდი ბრიტანეთის ან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში, რადგანაც ეს შენობები ერთიმეორის გვერდიგვერდ იდგა თეირანის ცენტრში, ხოლო ამერიკის მისია კი მათგან საკმაოდ დაშორებული იყო და ქალაქის ვიწრო ქუჩებში ყოველდღე აქეთ-იქით სიარული მართლაც ზედმეტ და არასასურველ რისკთან იყო დაკავშირებული. აშშ-ს პრეზიდენტმაც გაითვალისწინა ეს და საბჭოთა წარმომადგენლობაში დაიდო ბინა[5].

თეირანის კონფერენციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქ უნდა შემუშავებულიყო მოკავშირეთა შემდგომი სტრატეგია. 1943 წლის ბოლოსათვის ნათელი გახდა, რომ გერმანიის დამარცხება გარდაუვალი იყო და მის წინააღმდეგ მებრძოლ

---

[1] **Переписка..**, т. I, გვ. 161; შენიშვნა 42, გვ. 393.
[2] **Переписка..**, т. II, გვ. 104.
[3] იქვე, გვ. 103.
[4] დაწვრილებით ამ შეთქმულების (ოპერაცია „გრძელი ნახტომი“) შესახებ იხ.: **В. М. Бережков.** Страницы дипломатической истории, გვ. 226-230.
[5] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 293; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 3, გვ. 193.

ქვეყნებს უნდა გადაეწყვიტათ, თუ როგორ მიეღწიათ გამარჯვებისათვის უმოკლეს ვადებში. თეირანში უნდა გადაჭრილიყო ამასთან დაკავშირებული სამხედრო საკითხები, კერძოდ: საბოლოოდ დადგენილიყო ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ ევროპაში რეალური მეორე ფრონტის გახსნის დრო და ადგილი. სწორედ დასავლეთელ მოკავშირეთა სამხედრო-სტრატეგიული გეგმების განხილვას დაეთმო კონფერენციის უდიდესი ნაწილი.

28 ნოემბერს პირველსავე სხდომაზე რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკელები და ინგლისელები დიდი ხნის განმავლობაში ადგენდნენ არხის — ე. ი. ლა-მანშის სრუტის — ფორსირების გეგმას. მან აღნიშნა, რომ ოპერაციის ჩატარების ვადა დამოკიდებული იყო სადესანტო საშუალებების რაოდენობასა და ამინდის მდგომარეობაზე, რის გამოც „ოვერლორდის" განხორციელების თარიღად კვებეკში მიღებულ იქნა 1944წ. 1 მაისი[1]. რუზველტმა თქვა, რომ სადესანტო ოპერაციების ჩატარება შეიძლებოდა ხმელთაშუა ზღვაშიც, მაგრამ ეს გამოიწვევდა ლა-მანშის ფორსირების გადადებას 2-3 თვით, მაშინ როდესაც პირადად პრეზიდენტს ივნისს იქით ვადის გადაწევა არ სურდა. ამიტომ, რადგანაც ინგლის-ამერიკის ჯარების გამოყენება ბევრ ადგილას შეიძლებოდა, რუზველტმა რჩევა ჰკითხა სტალინს, თუ რომელი ვარიანტი უფრო შეამსუბუქებდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობას[2].

პრეზიდენტის სიტყვამ თვით ამერიკელი სამხედროების გაოცება გამოიწვია[3]. ჩერჩილთან ბოლო შეხვედრების დროს რუზველტის მოქმედებიდან გამომდინარე მოსალოდნელი იყო, რომ ის მტკიცედ დაიცავდა „ოვერლორდს", მაგრამ მან ლა-მანშის ფორსირების პარალელურად განსახილველად წამოაყენა ხმელთაშუა ზღვის აუზში ალტერნატიული ოპერაციების ჩატარების სა-

---

[1] **თეირანი, იალტა, პოტსდამი.** — დოკუმენტების კრებული, თბ., 1969, გვ. 7; Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945 гг. Т. II. Тегеранская конференция руководителей трех союзных держав — СССР, США и Великобритании (28 ноября — 1 декабря 1943 г.), М., 1978 (შემდგომში **Тегеранская конференция**), გვ. 94.

[2] **თეირანი..**, გვ. 7; **Тегеранская конференция..**, გვ. 94-95.

[3] **И. И. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 117.

კითხი[1]. და ეს მაშინ, როდესაც თეირანის კონფერენციის წინ გამართულ თათბირზე ჯორჯ მარშალმა პირდაპირ მოახსენა პრეზიდენტს, რომ ბალკანეთში შეჭრა გამოიწვევდა საომარი მოქმედებების გაჭიანურებას როგორც ევროპაში, ისე წყნარ ოკეანეში[2].

რამ განაპირობა რუზველტის მხრიდან ასეთი განცხადების გაკეთება? საბჭოთა მკვლევარი ი. უნდასინოვი ძირითად მიზეზად თვლის სსრკ-ში აშშ-ს საელჩოს მიერ პრეზიდენტისათვის მიწოდებულ არასწორ ინფორმაციას, თითქოს საბჭოთა მთავრობა უფრო დაინტერესებული იყო 1943წ. ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებით, ვიდრე 1944წ. საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნით[3]. გარდა ამისა, ის მიიჩნევს, რომ რუზველტი თავის დროზე დიდ დაინტერესებას იჩენდა ბალკანური პროექტების მიმართ და არც ახლა იტყოდა უარს მათ გამო „ოვერლორდის" გადადებაზე, თუ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგობა არ იქნებოდა. ის აგრეთვე არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პრეზიდენტს სურდა წინასწარ მიეღო საბჭოთა კავშირისაგან თანხმობა გერმანიის დამარცხების შემდეგ იაპონიასთან ომში ჩაბმაზე. საპასუხოდ ის მხარს დაუჭერდა „ოვერლორდს".[4] ჩვენი აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი იყო მისი ყოყმანის მთავარი მიზეზი. რუზველტი, პირველ

---

[1] სხვათა შორის, რუზველტმა აქ წამოაყენა ისტრია-ვენის მიმართულებით შეტევითი ოპერაციის განხორციელების იდეა (იხ.: **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 301; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 3, გვ. 199), რამაც ჰოპკინსის გაოცება და შეშფოთება გამოიწვია. მან ბარათიც კი გაუგზავნა ე. კინგს და ჰკითხა, თუ „ვინ იდგა ამ ადრიატიკული ბიზნესის უკან". კინგის პასუხმაც არ დააყოვნა: „რამდენადაც მე ვიცი, ეს მისი (ე. ი. პრეზიდენტის) საკუთარი იდეაა" (**R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 780; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 473; **В. Л. Мальков.** Франклин Рузвельт. Проблемы внутренней политики и дипломатии, М., 1988, გვ. 259). საინტერესოა, რომ მოგვიანებით ეს გეგმა ნერჩილმა აიტაცა და „დრაგუნს" დაუპირისპირა, მაგრამ მაშინ უკვე თვითონ რუზველტმა თქვა უარი ამ ოპერაციაზე.

[2] **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 219.

[3] **И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 118.

[4] **И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 118.

რიგში, თავისი ქვეყნის ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მას კარგად ესმოდა, რომ ომის შემდეგ სსრკ იქნებოდა ევროპაში უძლიერესი სახელმწიფო და სურდა, კარგი ურთიერთობა ჰქონოდა მასთან[1]. ამასთან არც წყნარ ოკეანეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში საბჭოთა ჯარების დახმარება იქნებოდა ამერიკელთათვის ზედმეტი. პრეზიდენტი უბრალოდ ცდილობდა სტალინისაგან გარანტიის მიღებას, რომ საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომში ჩაებმებოდა.

სტალინი, როგორც ჩანს, მიხვდა რუზველტის სურვილს და თავისი სიტყვის პირველი ნაწილი სწორედ წყნარ ოკეანეში მიმდინარე საომარ მოქმედებებს დაუთმო. მან სინანულით აღნიშნა, რომ სსრკ მოკავშირეებს ამ ფრონტზე ჯერჯერობით ვერ შეუერთდებოდა და აღუთქვა სამხედრო დახმარება გერმანიის დამარცხების შემდეგ[2]. სტალინის ეს დაპირება ჩერჩილის მიერ შეფასებული იქნა, როგორც კონფერენციაზე გაკეთებული ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება,[3] რუზველტმა კი ამის შემდეგ სრული მხარდაჭერა აღმოუჩინა საბჭოთა ლიდერს „ოვერლორდის" მოკავშირეთა ძირითად ოპერაციად დამტკიცებაში.

ამის შემდეგ სტალინმა მოკლედ მიმოიხილა მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე და გადავიდა მთავარ საკითხზე – მეორე ფრონტის გახსნის ადგილზე. მან განაცხადა, რომ კამპანია იტალიაში საჭირო იყო მხოლოდ ხმელთაშუა ზღვაში თავისუფალი ცურვისათვის, რადგან აპენინებიდან უშუალოდ გერმანიაზე შეტევას ხელს შეუშლიდა ალპები. ამიტომ ის საუკეთესო ვარიანტად სთავაზობდა მოკავშირეებს ჩრდილოეთ ან ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთს. სტალინმა თქვა, რომ ეს ძნელი ოპერაცია იქნებოდა და გერმანელები გააფთრებით დაიცავდნენ თავს საფრანგეთში, მაგრამ მას მაინც მოცემული პროექტი მიაჩნდა პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტად[4]. ამასთან, სტალინმა მიუთითა

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 748-749; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 431-432.

[2] **Тегеранская конференция..,** გვ. 95.

[3] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 346-347; **J. Ehrman.** Grand Strategy, vol. V, გვ. 173.

[4] **თეირანი..,** გვ. 9-10; **Тегеранская конференция..,** გვ. 97.

კიდევ ერთ მომენტზე, კერძოდ: მან აღნიშნა, რომ ბალკანეთიდან უფრო ახლოს იყო გერმანიის გული და აქ არც ალპები კეტავდა გზას და არც არხი, ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ თურქეთი გზას გაუხსნიდა მოკავშირეებს[1]. მიუხედავად ამისა, სტალინი ტრანსლამანშურ სტრატეგიას ანიჭებდა უპირატესობას, რადგანაც საფრანგეთს თვლიდა გერმანიის ყველაზე სუსტ ადგილად[2]. და მაინც, იყო თუ არა მისი ეს პოზიცია მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებით განპირობებული? ჩვენი აზრით, სავარაუდოა, რომ სტალინის მოქმედებებს პოლიტიკური სარჩულიც ედო საფუძვლად. ფაქტობრივად უკვე დაწყებული იყო ბრძოლა გავლენის სფეროების განაწილებისათვის. სტალინი დაინტერესებული იყო ცენტრალური ევროპის ქვეყნებით და, რასაკვირველია, სულაც არ სურდა, რომ ეს სახელმწიფოები ინგლისის ან აშშ-ს გავლენის ქვეშ აღმოჩენილიყვნენ. ასე რომ, არაა გამორიცხული, სტალინი უპირატესობას სწორედ პოლიტიკურ მომენტებს ანიჭებდა.

სტალინის გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო ჩერჩილმა. მან ისევ ის ტაქტიკა აირჩია, რომელსაც იყენებდა რუზველტთან ბოლო შეხვედრების დროს და პირდაპირ არ გაილაშქრა „ოვერლორდის“ წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ინგლისის პრემიერმა თავისი სიტყვა დაიწყო განცხადებით, რომ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს დიდი ხანია მიღწეული ჰქონდათ შეთანხმება, გერმანიაზე შეტევა მიეტანათ ჩრდილოეთი ან ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთიდან

---

[1] **თეირანი..**, გვ. 10; **Тегеранская конференция..**, გვ. 97; სტალინის ეს სიტყვები („*С Балкан все же ближе к сердцу Германии,*“ – **იხ.: Тегеранская конференция..**, გვ. 97) ეროგვარად უცნაურად ეღერს, რადგანაც ისინი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა იმ მიზნებს, რომელსაც ისახავდა საბჭოთა ლიდერი. ყოველივე ეს ჩვენში ერთგვარ ეჭვს ბადებს, ხომ არ იქნა დაშვებული შეცდომა საბჭოთა სტენოგრამის მომზადებისას. დაეჭვების საფუძველს იძლევა ისიც, რომ ჩერჩილს და რუზველტს აბსოლუტურად საპირისპიროდ უთარგმნეს ეს ფრაზა: „ბალკანეთიდან შორია გერმანიის გული“ („*It was a long way from the heart of Germany,*“ – **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 299; „*The Balkans were far from the heart of Germany*“, – **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 780).

[2] **თეირანი..**, გვ. 10; **Тегеранская конференция..**, გვ. 97.

და უკვე ფართო მზადებაც მიმდინარეობდა ამისათვის. ჩერჩილმა თქვა, რომ ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებდა 16 ბრიტანული და 19 ამერიკული დივიზია[1]. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ინგლისის პრემიერმა ძალიან ფრთხილად გადასვლა თავის იდეებზე და არგუმენტად მოიტანა ის გარემოება, რომ „ოვერლორდის" დაწყებამდე კიდევ 6 თვე იყო, ამ ხნის განმავლობაში კი მოკავშირეები უმოქმედოდ არ უნდა ყოფილიყვნენ. ჩერჩილს მიაჩნდა, რომ ინგლისსა და აშშ-ს უნდა გამოეყენებინათ თავისი ძალები ხმელთაშუა ზღვაში და ამით რაც შეიძლებოდა დახმარებოდნენ საბჭოთა კავშირს. ამ მიზნით მათ უნდა დაეწყოთ შეტევა იტალიაში, აეღოთ რომი და გასულიყვნენ პიზა-რიმინის ხაზზე. ეს, ინგლისის პრემიერის აზრით, ხელს შეუწყობდა სამხრეთ საფრანგეთში სადესანტო ოპერაციის განხორციელებას[2].

ჩერჩილი შემდეგ გადავიდა თურქეთის საკითხზე. მან განაცხადა, რომ აუცილებელი იყო თურქეთზე ზეწოლა ამ ქვეყნის გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად. ჩერჩილის თქმით, ეს საშუალებას მისცემდა მოკავშირეებს, მცირე ძალებით აეღოთ დოდეკანესის კ-ბი. გარდა ამისა, გაიხსნებოდა სამხრეთის გზა, რაც საშუალებას მისცემდა ინგლისსა და აშშ-ს, რეგულარულად მიეწოდებინათ დახმარება საბჭოთა კავშირისადმი შავი ზღვის გავლით[3]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი გარემოებისადმი სტალინს იოტისოდენა დაინტერესებაც კი არ გამოუჩენია. ვერც თურქეთის ომში ჩაბმის პერსპექტივას გამოუწვევია საბჭოთა ლიდერის აღფრთოვანება. მან სკეპტიკურად შენიშნა, რომ თურქეთი ომში არ ჩაებმებოდა, რა ზეწოლაც არ მოეხდინათ მასზე მოკავშირეებს[4]. ამან ჩერჩილის გაოცება გამოიწვია. მან განაცხადა, რომ ეგონა, საბჭოთა მთავრობა დაინტერესებული იყო თურქეთის ომში ჩაბმით[5]. სტალინი მიხვდა, რომ ერთგვარად შორს შეტოპა და დაეთანხმა ინგლისის პრემიერს თურქეთზე ზეგავლე-

---

[1] თეირანი.., გვ. 10; Тегеранская конференция.., გვ. 97.
[2] თეირანი.., გვ. 11; Тегеранская конференция.., გვ. 98.
[3] თეირანი.., გვ. 12; Тегеранская конференция.., გვ. 98.
[4] თეირანი.., გვ. 14; Тегеранская конференция.., გვ. 100.
[5] თეირანი.., გვ. 14-15; Тегеранская конференция.., გვ. 100.

ნის მოხდენის აუცილებლობაში.

რატომ მოიქცა სტალინი ასე უცნაურად? შესაძლოა, მას არ უნდოდა თურქეთის „ხსნა“ და ანკარის „ნეიტრალიტეტს“ თავის დროზე ისევე გამოიყენებდა მის წინააღმდეგ, როგორც ეს გაკეთდა იაპონიის მიმართ, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ის აპირებდა თურქეთს თვითონ, მოკავშირეების გარეშე გამკლავებოდა. არაა გამოსარიცხი, რომ ჩერჩილმა ეს ვარიანტი გათვალა და მომავალში ბოსფორსა და დარდანელზე საბჭოთა კავშირის შესაძლო დიქტატის დამყარების თავიდან აცილების მიზნით იმთავითვე გადაწყვიტა თურქეთის ჩართვა ანტიჰიტლერულ კოალიციაში. გარდა ამისა, თურქეთი შეასრულებდა საბჭოთა ჯარების ერთგვარი შემაკავებლის როლს ბალკანეთში. ყოველ შემთხვევაში, სტალინმა თავი აარიდა ამჯერად მისთვის არასასურველ პოლემიკას ამ საკითხზე და მხოლოდ იკითხა, თუ რისი გაკეთება იყო განზრახული თურქეთის ომში ჩაბმის შემთხვევაში[1]. ჩერჩილმაც უპასუხა, რომ თურქეთის დასახმარებლად გამოყოფილი იქნებოდა 20 ავიაესკადრილია, რომლებიც განლაგებული იყო ეგვიპტეში და, აგრეთვე, დოდეკანესის კ-ბის ასაღებად 3-4 დივიზია იტალიური ფრონტიდან. ამიტომ ეს, მისი თქმით, ხელს არ შეუშლიდა „ოვერლორდის“ მომზადებას[2].

სტალინი არ გამოსულა იტალიაში ოპერაციების პრინციპულად წინააღმდეგ, მაგრამ შესთავაზა ჩერჩილსა და რუზველტს, უარი ეთქვათ რომის აღებაზე და „ოვერლორდის“ დაწყებამდე 2-3 თვით ადრე განეხორციელებინათ სადესანტო ოპერაცია სამხრეთ საფრანგეთში[3]. ჩერჩილს არ მოეწონა იტალიაში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა. მან განაცხადა, რომ რომისათვის ბრძოლა უკვე მიდიოდა და სადღაც იანვარში ქალაქის აღებით დასრულდებოდა,[4] ხოლო პიზა-რიმინის ხაზზე გასვლის აუცილებლობა ახსნა გერმანიაზე საჰაერო შეტევების განხორცი-

---

[1] **თეირანი..**, გვ. 14; **Тегеранская конференция..**, გვ. 100.

[2] **თეირანი..**, გვ. 15, 49; **Тегеранская конференция..**, გვ. 101, 153.

[3] **თეირანი..**, გვ. 15; **Тегеранская конференция..**, გვ. 101.

[4] ჩერჩილის პროგნოზების საწინააღმდეგოდ, მოკავშირეებმა რიმი მხოლოდ 1944 წლის 4 ივნისს აიღეს.

ელების საჭიროებით[1]. რუზველტმა მხარი აუბა სტალინს და თქვა, რომ ოპერაციების ჩატარება ხმელთაშუა ზღვაში აუცილებლად გამოიწვევდა ლა-მანშის ფორსირების ვადის გადაწევას, ხოლო მას კი „ოვერლორდის" გადადება არ სურდა[2]. ჩერჩილმა ახლა უკვე გაილაშქრა საფრანგეთში შეჭრის ზუსტი თარიღის დადგენის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ არ შეეძლო გაეწირა ოპერაციები ხმელთაშუა ზღვაში მხოლოდ ვადის — 1 მაისის დაცვის გამო და შესთავაზა სტალინსა და რუზველტს, გადაეცათ ეს საკითხი განსახილველად სამხედრო სპეციალისტებისათვის. ისინიც დაეთანხმნენ პრემიერის წინადადებას[3]. შეთანხმდნენ აგრეთვე თურქეთის საკითხზე. გადაწყდა, რომ განეხილათ ის როგორც სამხედრო წარმომადგენლების თათბირზე, ისე მთავრობათა მეთაურების შემდეგ სხდომაზე[4]. ამის შემდეგ პირველი სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამხედრო წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც გაიმართა 29 ნოემბერს დილით, ბრიტანეთის იმპერიული შტაბის უფროსმა გენერალმა ა. ბრუკმა ყველა საშუალება იხმარა, რომ ძირითადი ყურადღება ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩასატარებელ სამხედრო ოპერაციებზე გადაეტანა. მან ძალიან მიმზიდველად დახატა პერსპექტივები, რომლებიც შეიქმნებოდა თურქეთის ომში ჩაბმის შედეგად და განავითარა ის იდეები, რომლებშიც ჩერჩილმა მოკლედ ჩამოაყალიბა მთავრობათა მეთაურების სხდომაზე. კერძოდ, ბრუკის მტკიცებით, თურქეთის ომში ჩაბმას მოჰყვებოდა დარდანელისა და შავი ზღვის გახსნა, რადგანაც მაშინ დოდეკანესის კ-ბის აღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამ ოპერაციების განხორციელებისათვის ის აპირებდა ხმელთაშუა ზღვაში მყოფი სადესანტო კარჭაპების გამოყენებას[5]. მართალია, ეს გამოიწვევდა „ოვერლორდის" გადადებას იმ ვადით, რომელიც საჭირო იქნებოდა ამ გემების ხმელთაშუა ზღვაში გამოსაყენებ-

---

[1] თეირანი.., გვ. 15-16; **Тегеранская конференция..**, გვ. 101.
[2] თეირანი.., გვ. 16; **Тегеранская конференция..**, გვ. 101.
[3] თეირანი.., გვ. 16; **Тегеранская конференция..**, გვ. 102.
[4] თეირანი.., გვ. 17; **Тегеранская конференция..**, გვ. 102.
[5] თეირანი.., გვ. 18-19; **Тегеранская конференция..**, გვ. 104-105.

ლად, მაგრამ ეს ბრუკს სულაც არ აღელვებდა. პირიქით, ყოველივე ეს, მისი აზრით, გამოიწვევდა გერმანიის ძალების დაფანტვას, რაც ხელს შეუწყობდა „ოვერლორდის" წარმატებით ჩატარებას. გარდა ამისა, ბრუკმა მოითხოვა აპენინის ნ-კ-ზე შეტევის დაწყება, რადგანაც, მისი თქმით, მოცემულ პოზიციებზე თავდაცვაზე გადასვლა აიძულებდა მოკავშირეებს აქ დიდი ძალები ჰყოლოდათ, რაც შეზღუდავდა სამხრეთ საფრანგეთში გადასასხმელი ნაწილების რაოდენობას. ამ უკანასკნელი ოპერაციის ჩატარება ბრუკმა აუცილებლად ჩათვალა, თუმცა აღნიშნა, რომ სტალინის წინადადება მისი „ოვერლორდამდე" 2-3 თვით ადრე დაწყების შესახებ მცდარი იყო. მან თქვა, რომ ორივე ოპერაცია ერთმანეთთან მაქსიმალურად ახლო დროში უნდა განხორციელებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ საფრანგეთში გადასხმულ დესანტს მარცხი ელოდა[1].

ა. ბრუკის შემდეგ სიტყვა აიღო აშშ-ს არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა ჯ. მარშალმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკელებს მოკავშირეთა ძირითად ოპერაციად მიაჩნდათ „ოვერლორდი" და რომ ერთადერთი დამაბრკოლებელი მიზეზი მისი დროზე განხორციელებისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სადესანტო საშუალებების არასაკმარისი რაოდენობა. რაც შეეხებოდა ოპერაცია „ენვილს", აქ ის დაეთანხმა ბრუკს და თქვა, რომ საუკეთესო ეფექტს მოიტანდა დესანტის გადასხმა სამხრეთ საფრანგეთში „ოვერლორდის" დაწყებამდე 2-3 კვირით ადრე[2].

საბჭოთა წარმომადგენელი მარშალი კ. ვოროშილოვი შედარებით კმაყოფილი დარჩა ჯ. მარშალის მოხსენებით, ბრუკს კი დაუსვა კითხვა, თელიდა თუ არა ის „ოვერლორდს" მოკავშირეთა მთავარ ოპერაციად და ხომ არ მიაჩნდა, რომ საჭირო იყო მისი შეცვლა რომელიმე სხვა ოპერაციით[3]. ბრიტანეთის იმპერიული შტაბების უფროსმა პირდაპირი პასუხი არ გასცა ამ კითხვას. ბრუკმა აღნიშნა, რომ ინგლისელები „ოვერლორდს" დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ, მისი აზრით, ზოგიერთ

---

[1] თეირანი.., გვ. 19-20; Тегеранская конференция.., გვ. 105-106.
[2] თეირანი.., გვ. 21; Тегеранская конференция.., გვ. 107.
[1] თეირანი.., გვ. 23; Тегеранская конференция.., გვ. 108.

შემთხვევაში ოპერაციები როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ საფრანგეთში განწირული იქნებოდა წარუმატებლობისათვის. მართალია, ბრუკმა აღიარა, რომ ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მათი ჩატარება მაინც მიზანშეწონილად მიაჩნდა თუნდაც ძირითადი ოპერაციისათვის დახმარების მიზნით[1].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრუკის მტკიცება, თითქოს ყველა ეს ოპერაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის წარმატებით განხორციელებასთან, რამდენადმე საეჭვოდ გვეჩვენება. „ოვერლორდს" ეგეოსის ზღვის კ-ბის დაპყრობა ხელის შეშლის მეტს არაფერს მოუტანდა[2]. ეს თვითონ ბრუკსაც კარგად ესმოდა, მაგრამ ბალკანური სტრატეგიის გასატანად ყველანაირ ხერხს ხმარობდა. რაც შეეხება აპენინების ცენტრალურ ნაწილში შეტევის დაწყებას, აქ ინგლისელები მართალნი იყვნენ. რომის აღებისა და პიზა-რიმინის ხაზზე დროულად გასვლის შემდეგ მოკავშირეთა მდგომარეობა იტალიაში გაცილებით უკეთესი იქნებოდა. გარდა ამისა, ეს მართლაც უფრო გააიოლებდა სამხრეთ საფრანგეთში დესანტის გადასხმას. სხვა საქმეა, თუ რა მიზნებისთვის სურდა ამის გამოყენება ჩერჩილს და როგორ ახდა მისი და იტალიურ ფრონტზე მოკავშირეთა მთავარსარდლის გენერალი ჰ. ალექსანდერის პროგნოზები. რაც შეეხება თათბირს, მისმა მონაწილეებმა გადაწყვიტეს, მეორე დღეს განეგრძოთ სამხედრო საკითხების განხილვა, მაგრამ მეტი სხდომა მათ არ გაუმართავთ. სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა სამხედრო წარმომადგენლების კიდევ ერთი თათბირის მოწყობა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს და თავის თავზე აიღეს გადაწყვეტილებების მიღება.

29 ნოემბერს დღის მეორე ნახევარში შედგა მთავრობის მეთაურთა მეორე სხდომა. თავდაპირველად მათ მოისმინეს სამხედრო წარმომადგენლების ანგარიში ჩატარებული თათბირის შესახებ, შემდეგ კი ისევ დაიწყო ლა-მანშის ფორსირების საკითხის განხილვა. სტალინმა იკითხა, თუ ვის ნიშნავდნენ „ოვერ-

---

[1] თეირანი.., გვ. 24-25; **Тегеранская конференция..**, გვ. 109-110.

[2] **И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 120.

ლორდის“ სარდლად. რუზველტმა უპასუხა, რომ ეს საკითხი გადაჭრილი არ იყო,[1] რამაც საბჭოთა ლიდერის გაოცება გამოიწვია[2]. სტალინი არც იმან დაამშვიდა, რომ დანიშნული იყო ოპერაციის მომზადებისათვის პასუხისმგებელი პირი – გენერალი მორგანი. მან გამოთქვა შიში, რომ გენერალ მორგანს კი შეიძლებოდა ჩაეთვალა ოპერაცია მომზადებულად, მაგრამ შემდეგ ახალ სარდალს არ გაეზიარებინა ეს აზრი. მან მოითხოვა, რომ ინგლისელებსა და ამერიკელებს რაც შეიძლებოდა მალე დაენიშნათ მთავარსარდალი, რომელსაც დაეკისრებოდა „ოვერლორდის“ როგორც მომზადება, ისე განხორციელება[3]. ჩერჩილიც დაჰპირდა სტალინს, რომ ის და პრეზიდენტი ორი კვირის განმავლობაში დანიშნავდნენ ამ პოსტზე ამერიკელ გენერალს.[4]

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსია ამ საკითხის გარშემო დიდი ხნის დაწყებული იყო. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ამ თანამდებობაზე ინგლისელი სამხედრო პირის დანიშვნა და ჩერჩილიც დაჰპირდა ალან ბრუკს მოკავშირეთა მთავარსარდლის პოსტს (W. S. Churchill. The Second World War, vol. V, გვ. 73). მაგრამ კვებეკის კონფერენციაზე გაირკვა, რომ ევროპაში მოკავშირეთა ძალების უდიდესი ნაწილი ამერიკული იქნებოდა და ბრიტანეთის პრემიერიც დათანხმდა, რომ „ოვერლორდის“ სარდალი ამერიკელი ყოფილიყო (W. S. Churchill. The Second World War, vol. V, გვ. 73). მას არც ეეჭვებოდა, რომ ამ პოსტს დაიკავებდა ჯ. მარშალი. რუზველტის თავდაპირველი გადაწყვეტილებაც სწორედ ასეთი იყო, მაგრამ ის წაადგა წამყვანი ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგობას. უ. ლეგი, ე. კინგი და ჰ. არნოლდი თვლიდნენ, რომ ჯ. მარშალს უბრალოდ ვერავინ შეცვლიდა აშშ-ს არმიის შტაბისა და მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის უფროსის პოსტებზე (R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 759; Р. Шервуд. Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 446-447). ისინი იმასაც კი თანახმანი იყვნენ, რომ „ოვერლორდის“ სარდალი ყოფილიყო ინგლისელი, ოღონდ იმ პირობით, თუ ამ თანამდებობაზე დაინიშნებოდა ფელდმარშალი ჯონ დილი (R. Sherwood. Roosevelt and Hopkins, გვ. 767; Р. Шервуд. Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 457). ყოველივე ამან გადააფიქრებინა რუზველტს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და მანაც მხოლოდ თეირანის კონფერენციის შემდეგ ჩათვალა საჭიროდ „ოვერლორდის“ სარდლის დანიშვნა. ეს პოსტი ერგო დუაიტ ეიზენჰაუერს.

[2] თეირანი.., გვ. 31-32; Тегеранская конференция.., გვ. 123.

[3] თეირანი.., გვ. 32-33; Тегеранская конференция.., გვ. 123.

[4] თეირანი.., გვ. 33; Тегеранская конференция.., გვ. 124.

„ოვერლორდის“ მთავარსარდლის დანიშვნის გარშემო გამართული დისკუსიის დასრულების შემდეგ ჩერჩილმა დაიწყო საუბარი, თუ როგორ შეიძლებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთში განლაგებული მოკავშირეთა ჯარების გამოყენება — მან აღნიშნა, რომ, რასაკვირველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სამხრეთ საფრანგეთში „ოვერლორდის“ მხარდამჭერი შემოვლითი ოპერაციის განხორციელებას. ჩერჩილს მხოლოდ ვადის ამბავი აფიქრებდა, რადგანაც თუ „ენვილი“ ლა-მანშის ფორსირებამდე დაიწყებოდა, ის განწირული იქნებოდა მარცხისათვის. ამიტომ ეს ოპერაციები ერთდროულად ან თითქმის ერთდროულად უნდა ჩატარებულიყო[1]. ჩერჩილმა, ხელზე დაიხვია რა ის ფაქტი, რომ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში განლაგებული ჯარების უმოქმედოდ ყოფნა სასურველი არ იყო, შესთავაზა სტალინს და რუზველტს დაეტოვებინათ ხმელთაშუა ზღვაში ორი დივიზიის გადასაყვანად საკმარისი სადესანტო საშუალებები და თუ საჭირო ძალები გამოთავისუფლდებოდა, გამოეყენებინათ ისინი ან აპენინის ნ-კ-ის გაყოლებით დესანტის განსახორციელებლად და გერმანელების ძალების გასანადგურებლად, ან, თურქეთის ომში ჩაბმის შემთხვევაში, როდოსის ასაღებად. ჩერჩილმა მიუთითა აგრეთვე, რომ მოგვიანებით შესაძლებელი იქნებოდა ამ ძალების (რასაკვირველია, დანაკლისის გამოკლებით) გამოიყენება „ენვილის“ ჩასატარებლად[2]. ინგლისის პრემიერ-მინისტრის მიერ წამოყენებულ წინადადებებს ჰქონდა ერთი ნაკლი, რომლის აღიარებაც მას მოუხდა: ყველა ზემოჩამოთვლილი ოპერაცია გამოიწვევდა „ოვერლორდის“ განხორციელების გადავადებას.

ამის შემდეგ ჩერჩილი შეეხო ბალკანეთის საკითხს. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ აქ მხოლოდ უმნიშვნელო ძალების გამოყოფას ითხოვდა,[3] თუმცა ის, რაც შემდეგ მოახსენა რუზველტს და სტალინს, წინააღმდეგობაში მოდიოდა მისივე ადრინდელ განცხადებასთან. ჩერჩილმა თქვა, რომ ბალკანეთში განლაგებული იყო მოწინააღმდეგის 42 დივიზია, აქედან 21 გერმანუ-

---

[1] თეირანი.., გვ. 34; Тегеранская конференция.., გვ. 125.
[2] თეირანი.., გვ. 34; Тегеранская конференция.., გვ. 125.
[3] თეირანი.., გვ. 35; Тегеранская конференция.., გვ. 126.

ლი და 12 ბულგარული. პრემიერს იმედი ჰქონდა, რომ თურქეთი ჩაებმებოდა ომში და ამის საპასუხოდ ბულგარეთი თავის ჯარებს გადაისროდა თრაკიაში, რასაც მოჰყვებოდა გერმანელების მდგომარეობის გაუარესება ბალკანეთში. ამით მოკავშირეებს მიეცემოდათ საშუალება მცირე ძალებით შეებოჭათ მოწინააღმდეგე და გაენადგურებინათ ის[1]. სწორედ ეს არის ბუნდოვანი და გაუგებარი პრემიერის სიტყვაში. საინტერესოა, როგორ აპირებდა ის 2-3 დივიზიის ძალებით შეებოჭა და მოესპო 21 დივიზია?! აშკარაა, რომ ჩერჩილი უბრალოდ ცდილობდა, მიეღო ბალკანეთში საომარი მოქმედებების დაწყების ნებართვა, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თუ თურქეთი არ ჩაებმებოდა ომში. სწორედ ამიტომ მოითხოვდა ჩერჩილი, მოეხდინათ ზეწოლა თურქეთზე, რომ მას შობამდე გამოეცხადებინა ომი გერმანიისათვის. ეს, მისი თქმით, გაანეიტრალებდა ბულგარეთს, ხელს შეუწყობდა რუმინეთისა და უნგრეთის კაპიტულაციას და, გარდა ამისა, უზრუნველყოფდა ოვერლორდის წარმატებას[2].

და მაინც, ჩვენი აზრით, მთელი ამ გეგმის უკან იდგა მხოლოდ ერთი რამ: ჩერჩილის სწრაფვა დაემყარებინა თავისი კონტროლი ბალკანეთზე. ამას ადასტურებს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც თურქეთის ომში ჩაბმა იყო საუკეთესო საშუალება, თუ ერთადერთი არა, თავიდან აეცილებინათ ამ რეგიონის საბჭოთა გავლენის სფეროში მოხვედრა. ამ საბუთის შემდგენელთა აზრით, თუ თურქეთი განაგრძობდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, მაშინ ბრიტანელები ვერ მოახერხებდნენ ბალკანეთში შეღწევას, სანამ იქიდან არ წავიდოდნენ გერმანელები, ან იქ არ დამკვიდრდებოდნენ რუსები[3].

ჩერჩილის ეს წინადადებები სტალინისათვის, რასაკვირველია, მიუღებელი იყო. მან ფაქტობრივად უპასუხოდ დატოვა ისინი. მართალია, სტალინს უარი არ უთქვამს ორი დივიზიის გამოყოფაზე, ოღონდ არა იმდენად თურქეთის, რამდენადაც იუ-

---

[1] თეირანი.., გვ. 35; Тегеранская конференция.., გვ. 126.

[2] თეირანი.., გვ. 36-37; Тегеранская конференция.., გვ. 127.

[3] L.L. Woodward. British Foreign Policy.., vol. IV, L., 1975, გვ. 147.

გოსლაველი პარტიზანების დასახმარებლად. სამაგიეროდ, მან ხაზი გაუსვა, რომ ძირითად და გადამწყვეტ სამხედრო საკითხს წარმოადგენდა „ოვერლორდის“ განხილვა[1]. საბჭოთა ლიდერმა შესთავაზა ჩერჩილს და რუზველტს, მიეცათ სამხედრო კომისიისათვის სამი დირექტივა. პირველში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, რომ „ოვერლორდის“ ვადა არ გადადებულიყო და ის 1944წ. მაისში განხორციელებულიყო. მეორე დირექტივაში სტალინმა მოითხოვა, რომ ჩაეწერათ მისი სურვილი „ოვერლორდისათვის“ მხარდაჭერის მიზნით სამხრეთ საფრანგეთში დესანტის გადასხმის შესახებ. აქ საბჭოთა ლიდერმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ თუკი „ოვერლორდამდე“ 2-3 თვით ადრე „ენვილის“ განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ დაეწყოთ იგი ლა-მანშის ფორსირებასთან ერთად ან უფრო გვიან. ამავე დროს, ის კვლავ თვლიდა, რომ რომის აღება მაცთუნებელი ოპერაცია იყო და მასზე უარის თქმა სჯობდა. მესამე დირექტივით კი სტალინი ითხოვდა სამხედრო კომისიისაგან „ოვერლორდის“ მთავარსარდლის დანიშვნის დაჩქარებას[2].

რუზველტმა, მიიჩნია რა ჩერჩილისა და სტალინის წინადადებები უაღრესად საინტერესოდ, თავის მხრივ, გამოთქვა მოსაზრება, შტაბებს „ოვერლორდისათვის“ ზიანის მიუყენებლად შეემუშავებინათ ბალკანეთში გერმანიის დივიზიების შებოჭვის გეგმები[3]. სტალინი დაეთანხმა ამ აზრს, ოღონდ სასურველად ჩათვალა ლა-მანშის ფორსირების განხორციელება 10-20 მაისის ფარგლებში,[4] მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდა ბრიტანეთის პრემიერი, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთ ვალდებულებას ვერ იკისრებდა[5]. ორივე მხარემ დაიწყო არგუმენტების მოყვანა თავისი პოზიციების გასამაგრებლად. სტალინმა აღნიშნა, რომ „ოვერლორდისათვის“ ყველაზე შესაფერისი თვეები იყო აპრილი და მაისი, ხოლო აგვისტოში არახელსაყრელი ამინდის გამო არაფე-

---

[1] თეირანი.., გვ. 37; Тегеранская конференция.., გვ. 127-128.
[2] თეირანი.., გვ. 37-38; Тегеранская конференция.., გვ. 128.
[3] თეირანი.., გვ. 39; Тегеранская конференция.., გვ. 129.
[4] თეირანი.., გვ. 39; Тегеранская конференция.., გვ. 129.
[5] თეირანი.., გვ. 39; Тегеранская конференция.., გვ. 129.

რი გამოვიდოდა[1]. ჩერჩილი კი მოითხოვდა ხმელთაშუა ზღვაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ლა-მანშის ფორსირებას 2-3 თვით გადადებდა. პასუხად სტალინმა ხმელთაშუა ზღვაში დაგეგმილ ოპერაციებს დივერსიები უწოდა.[2] მაშინ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ბრიტანული არმიები უმოქმედოდ არ უნდა დარჩენილიყვნენ, რადგანაც ეს არც საბჭოთა კავშირს დაეხმარებოდა და იტალიაშიც მთელ კამპანიას გააფუჭებდა. გარდა ამისა, აპენინის ნ-კ-ზე პასიურობა, მისი აზრით, გამოიწვევდა იმას, რომ გერმანელები კვლავ გადაიყვანდნენ თავის დივიზიებს საფრანგეთში, რაც „ოვერლორდისათვის" საზიანო იქნებოდა. ამიტომ ის მომხრე იყო იტალიაში აქტიური საომარი მოქმედებების წარმოებისა.[3]

ჩერჩილი ამის შემდეგ ისევ მიუბრუნდა თურქეთის ომში ჩაბმის საკითხს. მისი თქმით, თურქეთის უარი დიდად საზიანო იქნებოდა, რადგანაც გერმანია შეინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას ბალკანეთში. ის აცხადებდა, რომ ასეთ შემთხვევაში არ მოითხოვდა ჯარების გამოყოფას როდოსისა და ეგეოსის ზღვის სხვა კუნძულების ასაღებად. თურქეთის ომში ჩაბმა კი, მისი მტკიცებით, ძალიან დიდ პლიუსებს მოუტანდა მოკავშირეებს, რადგან მათ ხელში აღმოჩნდებოდა თურქული ავიაბაზები ანატოლიაში, როდოსის დასაკავებლად კი მაშინ ერთი მოიერიშე დივიზიაც იქნებოდა საკმარისი, დარდანელის სრუტეც გაიხსნებოდა და გერმანიის ბატონობასაც ამ რეგიონში ბოლო მოეღებოდა. გარდა ამისა, ეს გამოათავისუფლებდა ეგვიპტეში განლაგებულ ნაწილებსაც[4].

ყველაფერი ეს ალბათ სტალინისთვისაც მისაღები იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება, რომლის აღიარება თვით ჩერჩილსაც მოუხდა: ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა სადესანტო

---

[1] თეირანი.., გვ. 39; **Тегеранская конференция..**, გვ. 129. საინტერესოა, რატომ არ აქცევდა ყურადღებას ამ გარემოებას სტალინი 1941-1943 წლების შემოდგომაზე, როდესაც მოითხოვდა მეორე ფრონტის სასწრაფოდ გახსნას?!

[2] თეირანი.., გვ. 40; **Тегеранская конференция..**, გვ. 130.

[3] თეირანი.., გვ. 40-41; **Тегеранская конференция..**, გვ. 130.

[4] თეირანი.., გვ. 41; **Тегеранская конференция..**, გვ. 131.

საშუალებების დატოვება ხმელთაშუა ზღვაში, რაც ეჭვს ქვეშ დააყენებდა როგორც „ოვერლორდის", ისე „ენვილის" წარმატებით განხორციელებას[1]. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ჩერჩილს იმედი ჰქონდა, რომ თურქეთის ომში ჩაბმის შემთხვევაში ის მოახერხებდა რუზველტისაგან თანხმობის მიღებას ბალკანეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალების გადასროლაზე. შესაძლოა, ბრიტანეთის პრემიერს ამით „ოვერლორდის" გადადებისათვის ვერ მიეღწია, მაგრამ სამხრეთ საფრანგეთში დაგეგმილი ოპერაციის ჩატარება ნამდვილად საეჭვო გახდებოდა. ბოლოს ჩერჩილი დათანხმდა სამხედრო კომისიისათვის დირექტივების მიცემაზე,[2] ოღონდ ახლა უკვე სტალინი არ იყო დარწმუნებული ამის საჭიროებაში. მან განაცხადა, რომ არავითარი სამხედრო კომისია არ იყო საჭირო და მთავრობათა მეთაურებს თვითონ შეეძლოთ ყველა გადაწყვეტილების მიღება „ოვერლორდთან" დაკავშირებით: განესაზღვრათ ლა-მანშის ფორსირების ვადა, ოპერაციის მთავარსარდლის ვინაობა და, აგრეთვე, „ენვილის" საჭიროების საკითხი[3]. როგორც ჩანს, სტალინს შეეშინდა, რომ სამხედრო კომისიაში ამ პრობლემის განხილვა გაჭიანურდებოდა და კონფერენციაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული. რუზველტი კი პრინციპში არ იყო წინააღმდეგი, გაეცათ ეს საკითხები სამხედროებისათვის, რომელთაც, მისი აზრით, საფუძვლად უნდა მიეღოთ „ოვერლორდი" და წარმოედგინათ თავიანთი წინადადებები ხმელთაშუა ზღვის რაიონში დამხმარე ოპერაციების შესახებ, თუმცა აქვე გამოთქვამდა ერთგვარ შიშს, რომ ამ ოპერაციებს შეეძლოთ ლა-მანშის ფორსირებისათვის ხელის შეშლა[4].

ჩერჩილის წინააღმდეგობით გაღიზიანებულმა სტალინმა მოითხოვა „ოვერლორდის" განხორციელების ზუსტი ვადა[5]. რუზველტმა აღნიშნა, რომ თარიღი განსაზღვრული იყო კვებეკში და მხოლოდ ვითარების უაღრესად სერიოზულ ცვლილებას შეეძლო

---

[1] თეირანი.., გვ. 42; Тегеранская конференция.., გვ. 131.
[2] თეირანი.., გვ. 42; Тегеранская конференция.., გვ. 131.
[3] თეირანი.., გვ. 43; Тегеранская конференция.., გვ. 132.
[4] თეირანი.., გვ. 43; Тегеранская конференция.., გვ. 133.
[5] თეირანი.., გვ. 43; Тегеранская конференция.., გვ. 133.

მისი შეცვლა[1]. ჩერჩილმა კი რამდენადმე ორჭოფული პოზიცია დაიკავა და წინადადება შემოიტანა, სამხედრო კომისიას ამ საკითხზე სპეციალური მოკვლევა მოეწყო[2]. რუზველტიც დაეთანხმა მას, მაგრამ სტალინმა კატეგორიულად გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ სამხედრო კომისიაზე მეტი უფლებები მთავრობათა მეთაურებს ჰქონდათ, ამიტომ მათ თვითონ უნდა გადაეჭრათ ეს საკითხები[3]. უფრო მეტიც, სტალინმა პირდაპირ ჰკითხა ჩერჩილს, სჯეროდა თუ არა მას „ოვერლორდისა", თუ მხოლოდ საბჭოთა მხარის დასამშვიდებლად ლაპარაკობდა ამ თემაზე[4]. პრემიერმა არც ამ კითხვას გასცა პირდაპირი პასუხი. მან განაცხადა, რომ ინგლისელები ვალდებულნი იქნებოდნენ გადაესროლათ მთელი თავისი ძალები გერმანელების წინააღმდეგ, როგორც კი დაიწყებოდა „ოვერლორდი", მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ საკუთრივ ოპერაციის ჩატარება დამოკიდებული იყო პირობებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა მოსკოვის კონფერენციაზე[5].

რუზველტმა, იგრძნო რა, რომ ჩერჩილის ასეთ პასუხს შესაძლებელი იყო, მოჰყოლოდა სიტუაციის დაძაბვა, წინადადება შემოიტანა, სხდომა მეორე დღისათვის გადაედოთ, რასაც დანარჩენებიც დაეთანხმნენ. გადაწყდა აგრეთვე, რომ სამხედრო კომისიის შექმნა არ იყო საჭირო[6]. სამაგიეროდ, მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს შემდგარიყო მოლოტოვის, იდენისა და ჰოპკინსის თათბირი. ასევე მიიღეს ჩერჩილის წინადადება, რომ მას და რუზველტს შეეთანხმებინათ თავიანთი თვალსაზრისები და საერთო პოზიცია შეემუშავებინათ შემდეგი სხდომისათვის. ეს, სტალინის აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს კონფერენციის მუშაობის დაჩქარებას[7]. ამით მთავრობა-

---

[1] თეირანი.., გვ. 44; **Тегеранская конференция..**, გვ. 133.
[2] თეირანი.., გვ. 44; **Тегеранская конференция..**, გვ. 133.
[3] თეირანი.., გვ. 44; **Тегеранская конференция..**, გვ. 133.
[4] თეირანი.., გვ. 44; **Тегеранская конференция..**, გვ. 133.
[5] თეირანი.., გვ. 44; **Тегеранская конференция..**, გვ. 134.
[6] თეირანი.., გვ. 45; **Тегеранская конференция..**, გვ. 134.
[7] თეირანი.., გვ. 45; **Тегеранская конференция..**, გვ. 134.

თა მეთაურების მეორე სხდომა დასრულდა და, როგორც შემდგომში გაირკვა, ეს ფაქტობრივად აღმოჩნდა ჩერჩილის ბოლო გაბრძოლება „ოვერლორდის“ წინააღმდეგ.

30 ნოემბერს დილის შედგა შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის სხდომა. მისმა მონაწილეებმა ურჩიეს პრეზიდენტსა და პრემიერს, ეცნობებინათ სტალინისათვის, რომ „ოვერლორდის“ დაწყება მოხდებოდა 1944წ. მაისის განმავლობაში და ამის პარალელურად განხორციელდებოდა ოპერაცია სამხრეთ საფრანგეთში, რომლის მასშტაბი დამოკიდებული იქნებოდა იმ დროისათვის მოკავშირეთა ხელთ არსებულ სადესანტო გემების რაოდენობაზე[1]. რუზველტმა და ჩერჩილმა მიიღეს რეკომენდაცია. ეს გადაწყვეტილება ჯერ პრეზიდენტმა გააცნო სტალინს საუზმის დროს, ხოლო საღამოს, მთავრობათა მეთაურების მესამე სხდომაზე ა. ბრუკმა განავრცო იგი თავის გამოსვლაში[2]. სტალინი, რასაკვირველია, კმაყოფილი დარჩა მიღებული გადაწყვეტილებით და, თავის მხრივ, დაჰპირდა მოკავშირეებს, რომ მაისისათვის საბჭოთა ჯარები რამდენიმე ადგილას დიდ შეტევას წამოიწყებდნენ გერმანელთა წინააღმდეგ, რათა მათი დივიზიები მიჯაჭვული ყოფილიყო აღმოსავლეთის ფრონტზე და „ოვერლორდისათვის“ რაიმე სიძნელეების შექმნის საშუალება არ მისცემოდათ[3]. საბჭოთა მეთაურის ამ განცხადებით თავისი კმაყოფილება გამოთქვა რუზველტმა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ 3-4 დღეში, კაიროში დაბრუნებისთანავე, დანიშნავდა „ოვერლორდის“ მთავარსარდალს[4].

ამით პრაქტიკულად დასრულდა კონფერენციაზე ამ პრობლემის განხილვა. ბოლო ორ სხდომაზე საუბარი იყო ისევ თურქეთის ომში ჩაბმის შესახებ, პოლონეთის საკითხზე და გერმანიის ომისშემდგომ მოწყობაზე. თურქეთის პრობლემის განხილვისას სტალინი ერთგვარ დათმობაზე წავიდა. მიაღწია რა საწადელს საფრანგეთში შეჭრასთან დაკავშირებით, ის წინ არ აღუდგა

---

[1] **Тегеранская конференция..**, გვ. 140, 150.

[2] **თეირანი..**, გვ. 46; **Тегеранская конференция..**, გვ. 140, 150.

[3] **თეირანი..**, გვ. 46; **Тегеранская конференция..**, გვ. 150.

[4] **თეირანი..**, გვ. 47; **Тегеранская конференция..**, გვ. 150-151.

პრეზიდენტ ისმეთ ინენიუს კაიროში მიწვევას, თუმცა არც განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოუთქვამს ამის გამო.[1] სტალინს კარგად ესმოდა, რომ მოკავშირეთა ძირითად ოპერაციებად „ოვერლორდისა" და „ენვილის" დამტკიცების შემდეგ ინგლისელები უკვე ვერ გამოყოფდნენ მნიშვნელოვან ძალებს ბალკანეთში თავისი მიზნების განსახორციელებლად, ხოლო საკუთრივ თურქეთის არმია, რომელსაც არ ჰქონდა ავიაცია, ტანკები და ტანკსაწინააღმდეგო არტილერია, ამ რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენის დამყარებას ხელს ვერ შეუშლიდა. გარდა ამისა, მან იცოდა, რომ თურქეთს, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა გერმანიასთან, სულაც არ სურდა ომში ჩაბმა. სტალინის პროგნოზი ამ მხრივ გამართლდა. თურქეთის მთავრობამ მართლაც განაცხადა უარი გერმანიისათვის ომის გამოცხადებაზე. დანარჩენ ორ საკითხზე კი კონფერენციის მონაწილეებს გადაწყვეტილება არ მიუღიათ[2].

კონფერენციის ბოლო დღეს შედგა რუზველტისა და სტალინის შეხვედრა პირისპირ. აღნიშნული საუბარი ალბათ არც მიიქცევდა ჩვენს ყურადღებას, რამეთუ მასზე განხილულ იქნა მხოლოდ მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობისა და გერმანიის დაქუცმაცების საკითხები, რომ არა ერთი გარემოება: აშშ-ს პრეზიდენტმა რატომღაც განუცხადა საბჭოთა ლიდერს, რომ ის დაინტერესებული იყო პოლონეთის საკითხით იმდენად, რამდენადაც არ სურდა დაეკარგა პოლონური წარმოშობის 6-7 მილიონი ამომრჩევლის ხმები. ამიტომ ის ჯერჯერობით ვერ შეძლებდა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებას[3]. გარდა ამისა, მან ფაქტობრივად აღიარა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები საბჭოთა კავშირის ნაწილად. რუზველტმა მხო-

---

[1] **თეირანი..,** გვ. 51; **Тегеранская конференция..,** გვ. 154.

[2] აღსანიშნავია, რომ თეირანის კონფერენციაზე მოკავშირეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის „ოვერლორდის" განხორციელების ვადებიც, ხელში ჩაუყარდათ გერმანელებს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: **Л. Мойзиш. Э. Базна.** Операция «Цицерон». Я был Цицероном, М., 1965.), თუმცა, როგორც ჩანს, მათ ყოველივე ეს ინგლისელთა დეზინფორმაციად ჩათვალეს.

[3] **Тегеранская конференция..,** გვ. 168.

ლოდ პლებისციტის ჩატარება სთხოვა სტალინს და ისიც იმისათვის, რათა დაერწმუნებინა აშშ-ს საზოგადოებრიობა, რომ აღნიშნული სახელმწიფოები თავისი ნებით შეეიდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში[1]. ამით რუზველტმა ფაქტობრივად აგრძნობინა სტალინს, რომ პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების ომისშემდგომი ბედი მას სრულიადაც არ ანაღვლებდა, რაც, რასაკვირველია, უხეში პოლიტიკური შეცდომა იყო აშშ-ს პრეზიდენტის მხრიდან.

1943 წლის 1 დეკემბერს თეირანის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. სამივე ლიდერმა კმაყოფილება გამოთქვა მისი შედეგებით. რუზველტი კონფერენციას უაღრესად წარმატებულად თვლიდა და ისტორიულ მოვლენად მიიჩნევდა მას[2]. სტალინი კმაყოფილი დარჩა თეირანში მიღებული გადაწყვეტილებებით და განაცხადა, რომ დიდი სამეულის ლიდერთა ამ შეხვედრამ განამტკიცა ანტიჰიტლერული კოალიცია[3]. ჩერჩილმაც კმაყოფილება გამოთქვა კონფერენციის შედეგებით, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში,[4] თუმცა პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებით ის გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამდა. მისი აზრით, ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული ჯერ კიდევ მოსაგები დიდი ბრძოლების შედეგებზე და ყოველი მოკავშირის გუნება-განწყობილებაზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ[5]. მკვლევართა უმრავლესობაც მაღალ შეფასებას აძლევს თეირანის კონფერენციის მუშაობას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის დასრულდა გულითად ატმოსფეროში, თუმცა მისი შედეგების შესახებ სხვადასხვა აზრები

---

[1] **Тегеранская конференция..**, გვ. 168-169.

[2] **Переписка..**, т. II, გვ. 116.

[3] **Внешняя политика..**, т. II, გვ. 47.

[4] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 346. ჩვენი აზრით, ბრიტანეთის პრემიერი არცოუ გულწრფელი იყო ამ შემთხვევაში. ამის დასტურად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ნერჩილის ერთი გამოსათქვამი თეირანის კონფერენციის შესახებ: „მე ერთ მხარეს მეჯდა დიდი რუსი დათვი გაშლილი თათებით და მეორე მხარეს დიდი ამერიკელი ბიზონი, ხოლო შუაში კი იყო საწყალი ინგლისელი ვირი, ერთადერთი.., რომელმაც იცოდა სწორი გზა შინისაკენ" (**The Diaries of Sir Alexander Cadogan**, გვ. 582).

[5] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. V, გვ. 346-347.

არის გამოთქმული. მაგალითად: აშშ-ს ისტორიოგრაფიაში პრაქტიკულად გაბატონებული იყო შეხედულება, რომ თეირანის კონფერენცია იყო პირადად რუზველტის და საერთოდ ამერიკული დელეგაციის ტრიუმფი,[1] თუმცა აშშ-ს პრეზიდენტის თარჯიმანი თეირანში ჩ. ბოლენი აშკარად უკმაყოფილო იყო თავისი ქვეყნის მეთაურის მოქმედებით. მისი თქმით, რუზველტი ვერ ჩაწვდა საბჭოთა მხარის ჭეშმარიტ მიზნებს და შეცდომა დაუშვა, როდესაც მხარი არ დაუჭირა ჩერჩილს[2]. ამ ბოლო დროს კი სულ უფრო ხშირად გაისმის რუზველტის კრიტიკა, რომ მან თეირანში ფაქტობრივად ყველაფერი დაუთმო სტალინს[3].

ბრიტანელი ისტორიკოსები ასევე გამოთქვამენ ეჭვს, რომ ზედმეტი ფასი იქნა გადახდილი იმ გულითად ატმოსფეროში, რომელიც შეიქმნა კონფერენციის ბოლო დღეებში. კერძოდ, ლ. ვუდუორდი აცხადებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტი უფრო უსმენდა თავის სამხედრო მრჩევლებს და უგულებელყოფდა პოლიტიკურ მრჩევლებს, რომლებიც ისედაც ხშირად ვერ იდგნენ თავის დონეზე და ვერ საზღვრავდნენ, თუ რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა ამერიკელი სამხედროების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს[4]. თავის მხრივ, საბჭოური ისტორიოგრაფია სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ კონფერენცია დასრულდა საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებით,[5] თუმცა საბჭოთა მკვლევარები იფარგლებოდნენ მხოლოდ მეორე ფრონტის საფრანგეთში გახსნის საკითხით და სავსებით უგულებელყოფდნენ სტალინის დაინტერესებას ცენტრალური ევროპის ქვეყნებით.

და მაინც, როგორ შეიძლება შეფასდეს თეირანის კონფერენციის შედეგები? პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მასზე

---

[1] **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, გვ. 799; **Р. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс, кн. 2, გვ. 494; **М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 431.

[2] **Ch. E. Bohlen.** Witness to History. 1929-1969, New York, გვ. 138, 146.

[3] **Fr. Marks III.** Wind Over Sand, გვ. 169-173; **J. Flynn.** The Roosevel Myth, New York, 1956, book 3, Ch. 9.

[4] **Ll. Woodward.** British Foreign Policy.., vol II, გვ. 603.

[5] **В. М. Кулиш.** История второго фронта, გვ. 319-320; **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 246-247; **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 233 და სხვ.

საბოლოოდ გაირკვა მოკავშირეთა შემდგომი მოქმედების სტრატეგია. დიპლომატიური ბრძოლა, რომელიც ფაქტობრივად ჯერ კიდევ 1941 წელს დაიწყო, დასრულდა და დასრულდა ის ლამანშის ფორსირების მომხრეთა სრული გამარჯვებით. გადამწყვეტ მომენტში ჩერჩილმა ვერ შეძლო რუზველტის მომხრობა. არადა, სწორედ აშშ-ს პრეზიდენტის პოზიციას ჰქონდა ამ დიპლომატიური ბრძოლის მსვლელობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა. რუზველტის მხარდაჭერამ სტალინისადმი განაპირობა კიდეც კონფერენციაზე საფრანგეთში შეჭრის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. „ოვერლორდის" დამტკიცებას მოკავშირეთა ძირითად ოპერაციად ევროპაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გენერალი ჯ. მარშალის განცხადებით, ეს იყო საუკეთესო გეგმა გერმანიის უმოკლეს დროში დასამარცხებლად,[1] მაგრამ აქ არა მარტო სამხედრო ასპექტები იყო გასათვალისწინებელი. სტალინისათვის ეს დიდი დიპლომატიური გამარჯვება იყო, რადგანაც ახლა უკვე ვერავითარი ძალა ვერ შეუშლიდა მას ხელს ცენტრალური ევროპის ქვეყნების დაკავებასა და იქ მისთვის სასურველი რეჟიმის დამყარებაში. ჩერჩილი გრძნობდა, თუ რა მოჰყვებოდა რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და იუგოსლავიის საბჭოთა ჯარების მიერ განთავისუფლებას, მაგრამ რუზველტს ეს იმდენად არ აწუხებდა. ერთი მხრივ, აშშ-ს პრეზიდენტს არ სურდა ამ ქვეყნების ომისშემდგომი პოლიტიკური ორიენტაციის გამო სტალინთან ურთიერთობების გაფუჭება, მით უმეტეს, როცა ის დაინტერესებული იყო იაპონიასთან ომში სსრ კავშირის ჩაბმით, ხოლო, მეორე მხრივ, მას ეშინოდა, რომ საბჭოთა ჯარები დასავლეთელ მოკავშირეებზე ადრე აიღებდნენ გერმანიის სამრეწველო ცენტრებს — რურისა და საარის ოლქებს, რომელთა დაკავებაც ამერიკელთა სტრატეგიულ მიზნებში შედიოდა, მაშინ როდესაც ბალკანეთის რეგიონი ბრიტანული პოლიტიკის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. ამიტომ რუზველტს მაინცდამაინც არ აშფოთებდა ცენტრალური ევროპის ქვეყნების მოსალოდნელი „გაწითლება" და ამიტომ არ ამოუდგა მხარში ჩერჩილს ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ბრიტანეთის პრემი-

---

[1] Ю. Л. Кузнец. От Перл-Харбора до Потсдама, М., 1970, გვ. 146.

ერის შიში ომის შემდგომ გამართლდა კიდეც და მნიშვნელოვანი როლი ამაში სწორედ თეირანის კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ითამაშეს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი დამტკიცების დროს – 1943 წლის მიწურულს, უმთავრესი მაინც გერმანიის სწრაფად დამარცხება იყო. საუკეთესო საშუალებას ამისათვის კი წარმოადგენდა „ოვერლორდი", რომელიც წარმატებით იქნა განხორციელებული 1944წ. 6 ივნისს.

და ბოლოს, იყო თუ არა შესაძლებელი მოკავშირეთა შეჭრა საფრანგეთში 1944 წლის გაზაფხულამდე? უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის მეორე მსოფლიო ომის ყველაზე საკამათო პოლიტიკური თუ სამხედრო პრობლემა. ისტორიკოსთა სულ ახალი და ახალი თაობები უბრუნდება ამ საკითხს, რომელიც, ინგლისელი მეცნიერის ჯ. ბრიუსის მოსწრებული თქმით, „უსასრულო თემას" წარმოადგენს[1]. მოცემული პრობლემის ირგვლივ იმთავითვე გაჩნდა რამდენიმე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აღნიშნული საკითხის განხილვამ მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც თავის დროზე შენიშნა მ. სტოლერმა, აშშ-ს დიპლომატია მეორე მსოფლიო ომში ამერიკული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ველად იქცა[2]. დღეისათვის მეორე ფრონტის გახსნის პრობლემასთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითადი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა: 1) ე.წ. „ტრადიციული", რომელიც მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებას ხსნის ობიექტური მიზეზებით (სადესანტო საშუალებების ნაკლებობა, მოკავშირეთა ძალების დაფანტვა სხვადასხვა საბრძოლო თეატრებზე და ა. შ) და რომელსაც ჰყავს თავისი მიმდევრები როგორც აშშ-ში, ისე დიდ ბრიტანეთში (უ. ჩერჩილი; დ. ეიზენჰაუერი; ჰ. არნოლდი; უ. ლეგი; მ. კლარკი; ბ. ლიდელ ჰარტი; ა. ნორმანი; რ. შერვუდი; უ. მაკნეილი; მ. მეტლოფი; ჰ. ფეისი; კ. გრინფილდი; მ. ჰოუარდი; ჯ. ბომონი; კ. რობინსი; ა. ბრაიანტი;

---

[1] **G. Bruce.** Second Front Now: The Road to D-Day, L., 1979, გვ. 13.

[2] **M. Stoler.** World War II Diplomacy in Historical Writing: Prelude to Cold War. – წიგნში: ***American Foreign Relations: A Historiographical Review*** / Ed. **G. Haines, J. Walker**, Westport, Conn., 1981, გვ. 187.

ს. მორისონი და ა. შ)[1]; 2) ე.წ. „ოპტიმალური" — მკვლევართა ეს ნაწილი (ძირითადად ამერიკელები) თვლის, რომ მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურება, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა ამას საფუძვლად, იყო გამართლებული როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით (მ. სტოლერი; ჯ. ფინდლინგი; რ. დალეკი; ჯ. გედისი და ა. შ.)[2]; 3) ე.წ. „ინგლისური ოპოზიციის" — საკმაოდ მრავალრიცხოვანი დაჯგუფება, რომელიც ყველაფერს ბრიტანელებს აბრალებს (რასაკვირველია, ამ მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ამერიკელია)[3]; 4) ე.წ. „რე-

---

[1] **W. S. Churchill.** The Second World War; **У. Черчилль.** Вторая Мировая война; **D. Eisenhower.** Crusade in Europe; **Д. Эйзенхауэр.** Крестовый поход в Европу; **H. H. Arnold.** Global Mission; **W. D. Leahy.** I Was Here; **M. Clark.** Calculated Risk; **B. H. Liddell Hart.** The Other Side of the Hill, L., 1956; **A. Normann.** Operation «Overlord». Design and Reality, Harrisburg, Penn., 1952; **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins; **P. Шервуд.** Рузвельт и Гопкинс; **W. McNeill.** America, Britain and Russia. Their Co-operation and Conflict; **M. Matloff.** Strategic Planning for Coaliation Warfare; **M. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда»; **H. Feis.** Churcill, Roosevelt and Stalin. The War They Waged and the Peace They Sought; **K. Greenfield.** American Strategy in World War II: A Reconsideration, Baltimore, 1963; **M. Howard.** Grand Strategy, vol. IV; **M. Говард.** Большая стратегия; **A. Bryant.** The Turn of the Tide; მისივე, Triumph in the West. 1943-1946, L., 1959; **J. Beaumont.** Comrades in Arms: British Aid to Russia, 1941-1945, L., 1980; **K. Robbins.** The Eclipse of a Great Power: Modern Britain, 1870-1975, L., 1983; **S. E. Morison.** American Contributions to the Strategy of World War II, L., 1958 და ა.შ.

[2] **M. Stoler.** The Politics of the Second Front, Westport, Conn., 1977; **J. Findling.** Dictionary of American Diplomatic History. — Westport, Conn., 1980; **R. Dallek.** Franklin Roosevelt and World War II, New York,1978; **J. Gaddis.** Russia, the Soviet Union and the United States. An Interpretive History, New York, 1978; მისივე, The United States and the Origins of Cold War, 1941-1947, New York, 1972 და ა.შ.

[3] **Р. Ингерсолл.** Совершенно секретно, М., 1947; **Ч. Макдоналд.** Тяжелое испытание; **Ф. Погью.** Верховное командование, М., 1959; **R. Coackley, R. Leighton.** Global Logistics and Strategy. 1943-1945, Wash., 1955; **T. Higgins.** Winston Churchill and the Second Front. 1940-1943; **K. Greenfield.** American Strategy in World War II; **R. Levering.** American Opinion and Russian alliance, 1939-1945, Chapel Hill, 1976; **R. Current, H. T. Williams.** The Essentials of American History, New York, 1976; **J. Nathan, J. Oliver.** United States Foreign Policy and World Order, Boston, 1976 და ა.შ.

ეიზიონისტები" – დაჯგუფება, რომლის ძირითად კრედოს წარმოადგენს რუზველტის კრიტიკა, მისი დადანაშაულება სტრატეგიული აზროვნების არქონაში (ჰ. ბოლდუინი; ჰ. ბარნსი; რ. ჰობსი; ფ. მარქსი; ჯ. ფლინი და ა. შ.)[1]; 5) ე.წ. „ნეგატივისტები" – ანუ ისტორიკოსები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მეორე მსოფლიო ომის შედეგებით, რადგანაც ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები აღმოჩნდნენ საბჭოთა გავლენის ქვეშ. მკვლევართა ამ ჯგუფში შედიან როგორც ამერიკელები[2], ისე ბრიტანელები[3]. მათი აზრით, ეს იყო „წახდენილი გამარჯვება"[4]; 6) „კრიტიკული" – მკვლევარნი, რომლებიც ადანაშაულებენ აშშ-ს და ინგლისის ლიდერებს მეორე ფრონტის შეგნებულ გაჭიანურებაში და მოკავშირული ვალის დარღვევაში (ძირითადად საბჭოური ისტორიოგრაფია)[5].

---

[1] **H. Baldwin.** The Great Mistakes of War, New York, 1949; ***Perpetual War for Perpetual Peace*** / Ed. **H. Barnes**; **R. Hobbs.** The Myth of Victory: What is Victory in War? Boulder, Colorado; **Fr. W. Marks III.** Wind Over Sand. The Diplomacy of Franklin Roosevelt; **J. Flynn.** The Roosevelt Myth და ა.შ.

[2] **Th. Halper.** Power Politics and American Democracy, Santa Monica, Cal., 1981; **S. Ambrose.** Rise to Globalism. American Foreign Policy since 1938, New York, 1983; **R. Leckie.** The Wars of America, Revised and Update, New York, 1981; **W. Taubman.** Stalin's American Policy: From Entente to Detente to Cold War, New York, 1982; **R. Current, J. Goodwin.** A History of The United States, New York, 1980 და ა.შ.

[3] **J. Grigg.** 1943. The Victory that Never Was; **D. Reynolds.** The Creation of Anglo-American Alliance, 1937-1941: A Study in Competetive Cooperation, L., 1981; **V. Rothwell.** Britain and the Cold War, 1941-1947, L., 1982; **Ch. Wilmot.** The Struggle For Europe, L., 1974 და ა.შ.

[4] **J. Gilbert.** Another Chance: Postwar America, 1945-1968, Philadelphia, 1981, გვ. 33.

[5] **Г. А. Деборин.** Вторая мировая война, М., 1958; **И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, М., 1965; **Н. Н. Яковлев.** США и Англия во второй мировой войне, М., 1961; **Н. Иноземцев.** Внешняя политика США в эпоху империализма, М., 1960; **Л. В. Поздеева.** Англо-Американские отношения в годы второй мировой войны. 1941-1945 гг., М.. 1969; **Ю. Л. Кузнец.** От Перл-Харбора до Потсдама, М., 1970; **В. М. Кулиш.** История второго фронта, М., 1971; **А. Н. Мерцалов.** Западногерманская буржуазная историография второй мировой войны, М., 1978; **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта, М., 1982; **О. А. Ржешевский.** Война и история: Буржуазная историография США о второй мировой войне, М.,

ამ დისკუსიას სათავე დაუდო ომის პერიოდში ევროპაში მოკავშირეთა ჯარების შტაბის ოფიცერმა ამერიკელმა რალფ ინგერსოლმა, რომელმაც ომის დამთავრებისთანავე გამოცემულ წიგნში „სრულიად საიდუმლოდ" ბრალი დასდო ინგლისელებს მეორე ფრონტის საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებაში[1]. აღნიშნულმა თეზისმა მოკლე ხანში აღიარება ჰპოვა მორის მეტლოფისა და ედვინ სნელის ნაშრომში „სტრატეგიული დაგეგმვა კოალიციურ ომში", რომელიც წარმოადგენს ოფიციალური ამერიკული გამოცემის ერთ-ერთ ტომს[2]. რ. კოუკლიმ და რ. ლეიტონმა თავის წიგნში „გლობალური ზურგი და სტრატეგია. 1943-1945" (პირველი ნაწილი ამ შრომისა მოიცავს 1940-1943 წლებს) ასევე ჩერჩილი დაადანაშაულეს მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებაში და განაცხადეს, რომ რუზველტი მხოლოდ პაიკი იყო ბრიტანეთის პრემიერის ხელში[3]. რასაკვირველია, ბრიტანელები ვალში არ დარჩნენ და მაიკლ ჰოუარდმა ოფიციალური ინგლისური გამოცემის „დიდი სტრატეგია"[4] მის მიერ დაწერილ ტომში გაამართლა ინგლისელი პოლიტიკოსების მოქმედება და სცადა პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილება ორივე მოკავშირეს შორის[5].

1988; *Буржуазная историография второй мировой войны.* Анализ современных тенденции, под ред. **О. А. Ржешевского,** М., 1985; **Е. Н. Кульков, О. А. Ржешевский, И. А. Челышев.** Правда и ложь о второй мировой войне, М., 1988; **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, М., 1985; **В. Г. Трухановский.** Антони Иден, М., 1983.

[1] **Р. Ингерсолл.** Совершенно секретно, გვ. 463.

[2] **М. Мэтлофф.** Э. Снелл. Стратегическое планирование.., გვ.114-124.

[3] **R. Coackley, R. Leighton.** Global Logistics and Strategy, გვ. 272.

[4] ეს გამოცემა (შედგება 6 ტომისაგან, რედაქტორი **ჯ. ბატლერი**) საგანგებო აღნიშვნის ღირსია. ეს არის პრაქტიკულად საუკეთესო გამოკვლევა, რომელიც კი შექმნილია მეორე მსოფლიო ომზე. ის ეყრდნობა უამრავ დოკუმენტურ მასალას და მასში ძალზე დაწერილებით არის აღწერილი დიპლომატიური ისტორია თუ საომარი მოქმედებები მეორე მსოფლიო ომის დროს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ავტორები ძალ-ღონეს არ ი'შურებენ, რათა რაც შეიძლება მეტად წარმოაჩინონ ბრიტანული სტრატეგიის სისწორე ამერიკელთან შედარებით.

[5] **M. Howard.** Grand Strategy, გვ. XXV; **М. Говард.** Большая стратегия, გვ. XVIII.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელებს გაუჭირდათ ამერიკელებისათვის მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურების დაბრალება და ისინი იძულებულნი შეიქნენ, ტაქტიკა შეეცვალათ. მათ დაიწყეს ამერიკული სტრატეგიული აზროვნების კრიტიკა. ყველაზე ადრე ეს გააკეთა ბერნარდ მონტგომერიმ თავისი ომისშემდგომი გამონათქვამებითა და წიგნით „არმიათა 21-ე ჯგუფი. ნორმანდიიდან ბალტიისპირა გერმანიამდე".[1] შემდეგ ეს გაკეთდა ჯორჯ ფულერის წიგნში „მეორე მსოფლიო ომი 1939-1945"[2] და ბოლოს თავის აპოგეას ამ პროცესმა მიაღწია ავსტრალიელი ავტორის ჩესტერ უილმოტის წიგნში „ბრძოლა ევროპისათვის". ამ უკანასკნელმა პირდაპირ დასდო ბრალი ამერიკელებს, რომ ომის მოგების მიუხედავად, „დასავლეთმა... წააგო მშვიდობა".[3]

ბრიტანელთა ამ შემოტევის მოგერიება ითავა მორის მეტლოფმა, რომელმაც მათი კრიტიკის გამომწვევ მიზეზად მიიჩნია ჩერჩილის პერიფერიული სტრატეგიის სისწორის ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამართლების სურვილი[4]. მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურება კი მან ახსნა მოკავშირეთა ძალების სხვადასხვა ფრონტებზე დაფანტვითა და სადესანტო საშუალებების არქონით[5]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს მეტლოფამდეც აქცევდნენ ყურადღებას. კერძოდ, ეს გააკეთა ჩერჩილმა თავის მემუარებში[6]. იგივე განაცხადა ბ. ლიდელ ჰარტმაც წიგნში „მაღლობის იქითა მხარეს".[7] საბოლოო ჯამში ამ თეზისმა მცირე ხნით გაბატონებული მდგომარეობაც კი მოიპოვა, თუმცა რუზველტის პოზიციას საკუთრივ ამერიკელთა შორისაც გამოუჩნდნენ კრიტიკოსები. აშშ-ს პრეზიდენტს სტრატეგიული აზროვნების დეფიციტში პირველმა ბრალი დასდო ჰ. ბოლდუინმა[8]. მას მხარი

---

[1] **B. Montgomery.** 21-st Army Group. Normandy to the Baltic Germany, L., 1946.
[2] **Дж. Фуллер.** Вторая мировая война. 1939-1945, М., 1956.
[3] **Ch. Wilmot.** The Struggle for Europe, გვ. 146.
[4] ***Command Decisions,*** გვ. 522; ***Важнейшие решения,*** გვ. 227.
[5] **М. Мэтлофф.** От Касабланки до «Оверлорда», გვ. 42.
[6] **W. S. Churchill.** The Second World War, vol. IV, The Hinge of Fate; **У. Черчилль.** Вторая мировая война, кн. 2.
[7] **B. H. Liddell Hart.** The Other Side of the Hill, L., 1956, გვ. 279.
[8] **H. Baldwin.** Great Mistakes of the War, New York, 1949.

აუბეს ე.წ. „რევიზიონისტული“ სკოლის წარმომადგენლებმა[1]: ჯ. ბარნსმა, ჩ. ტენზილმა, ფ. სენბორნმა და სხვ.,[2] რომლებმაც რუზველტს ბრალი დასდეს პროკომუნისტური პოლიტიკის გატარებაში. მოგვიანებით, XX ს. 70-იან წლებში რუზველტი პირდაპირ ჯვარს აცვეს „ნეორევიზიონისტებმა“ — კ. ჰოუვმა, ჩ. შელდონმა და რ. ჰობსმა, რადგანაც, მათი აზრით, მისი პოლიტიკის შედეგად შეიქმნა კიდევ ერთი ზესახელმწიფო — საბჭოთა კავშირი[3]. უკანასკნელ ხანებში მათ შეუერთდნენ ფ. მარქსი და ჯ. ფლინი, რომლებმაც რუზველტი დიპლომატიურ უნარს საერთოდ მოკლებულად გამოაცხადეს[4].

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლურ ისტორიოგრაფიაში კიდევ ერთი ტენდენცია გაჩნდა, კერძოდ: მკვლევართა ერთმა ნაწილმა ტექნიკურად შესაძლოდ ჩათვალა მეორე ფრონტის 1943 წელს გახსნა იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა მიღებული სათანადო გადაწყვეტილება პოლიტიკური ლიდერების მხრიდან. მაგალითად, რ. ბეიტცელმა წიგნში: „უჩვეულო ალიანსი: ამერიკა, ბრიტანეთი და რუსეთი. 1941-1943“ — აღნიშნა, რომ

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ „რევიზიონისტებს“ რატომღაც ათელიან „ნეგატივისტებს“ (იხ.: **Б. Н. Новоселов, А. С. Орлов.** Проблема второго фронта в современной буржуазной историографии США и Великобритании (Эволюция оценок), — წიგნში: ***Буржуазная историография второй мировой войны.*** Анализ современных тенденций, М., 1985, გვ. 193), რაც ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამ დაჯგუფებას ერთნაირი ინტერესები ამოძრავებთ, კერძოდ: ისინი თელიან, რომ აშშ და დიდი ბრიტანეთი წინ უნდა აღსდგომოდნენ საბჭოთა ექსპანსიას ევროპაში, მათ ამის მიღწევა სრულიად სხვადასხვანაირი მეთოდებით მიაჩნიათ შესაძლებლად. მაგალითად: „რევიზიონისტები“ აკრიტიკებენ რუზველტს, რომ მან მხარი არ დაუჭირა ჩერჩილის ბალკანურ სტრატეგიას, მაშინ როდესაც „ნეგატივისტები“ ბრალს სდებენ მოკავშირეთა ორივე ლიდერს მეორე ფრონტის საფრანგეთში გახსნის გაჭიანურებაში.

[2] ***Perpetual War for Perpetual Peace*** / Ed. **H. Barnes**, Caldwell, 1953.

[3] **Q. Howe.** Ashes of Victory: World War II and Its Aftermath, New York, 1972, გვ. 294; **Ch. Sheldon.** The Bolshevisation of the USA, New York, 1978; **R. Hobbs.** The Myth of Victory: What is Victory in War? Boulder, Colorado, 1979, გვ. 231, 239.

[4] **Fr. Marks III.** Wind Over Sand; J.Flynn. The Roosevel Myth.

ლა-მანშის ფორსირების გადადება განაპირობა პოლიტიკაში ინგლისურ-ამერიკული წინააღმდეგობების არსებობამ[1]. ლ. როუზმა კი განაცხადა, რომ გაჭიანურება მოხდა, რადგანაც ჯეროვნად არ იქნა დაცული თავდაპირველად გერმანიის, ხოლო შემდეგ იაპონიის დამარცხების პრინციპი[2]. ჯ. გრიგმა საერთოდ დასდო ბრალი რუზველტს, ჩერჩილს და ბრუკს იმაში, რომ მეორე ფრონტი 1943 წელს არ იქნა გახსნილი. ამაზე ნათლად მეტყველებს თვით წიგნის სათაური: „1943. გამარჯვება, რომელიც არასოდეს არ ყოფილა".[3] ჯ. გრიგის აზრით, ხელიდან იქნა გაშვებული შესაძლებლობა, შეეჩერებინათ რუსები არა ელბაზე, არამედ ვისლაზე ან კიდევ უფრო აღმოსავლეთით[4]. არც მ. სტოლერი თვლის შეუძლებლად ევროპაში 1943 წელს შეჭრას, მაგრამ ისიც იმ აზრზე დგას, რომ ინგლის-ამერიკის ხელმძღვანელობა მეორე ფრონტს იხილავდა, როგორც ომისშემდგომ ევროპაში სსრკ-ს გავლენის ასარიდებელ საშუალებას და ამართლებს მათ პოზიციას[5].

საინტერესოა, რომ მ. სტოლერისა და ჯ. გრიგის განცხადებები საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ძალზე კარგად გამოიყენა. მაგალითად, ო. რჟეშევსკიმ კატეგორიულად განაცხადა, რომ მათ მთლიანად გააბათილეს ძალებისა და ტექნიკური საშუალებების ნაკლებობის გამო მეორე ფრონტის 1944 წლამდე გახსნის შეუძლებლობის თეორია[6]. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ისტორიკოსებმა ამ მტკიცებების დასასაბუთებლად კარგად გამოიყენეს ინგლისელი ისტორიკოსის ლ. ელისის მონაცემებიც ომის პერიოდში გამოშვებული სადესანტო გემების რაოდენობის შესახებ,[7] რომლებიც თითქოს ცხადყოფენ, რომ მოკავშირეებს ამ მხრივ არავითარი სირთულე არ უნდა ჰქონოდათ. და მაინც, როგორც

---

[1] R. Beitzell. The Uneasy Alliance: America, Britain and Russia, გვ. 369.
[2] L. Rose. After Yalta, New York, 1973, გვ. 11-12.
[3] J. Grigg. 1943. The Victory that Never Was.
[4] იქვე, გვ. 180.
[5] M. Stoler. The Politics of the Second Front, გვ. 121.
[6] О. А. Ржешевский. Война и история..., გვ. 145.
[7] L. F. Ellis with G. R. G. Allen, A. E. Warhurst, J. Robb. Victory in the West, vol. I, 1962. გვ. 514.

ჩანს, მოკავშირეებს ჰქონდათ გარკვეული პრობლემები ამ თვალსაზრისით, ვინაიდან 1944 წლის ივნისში მოკავშირეებმა ვერ შეძლეს „ოვერლორდისა“ და „ენვილის“ ერთდროულად განხორციელება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ გააჩნდათ ხმელთაშუა ზღვაში სადესანტო ხომალდების საკმარისი რაოდენობა. ისმის კითხვა: თუ ინგლისელებს 1944 წელს ასე უჭირდათ სადესანტო გემები, როგორ უნდა განეხორციელებინათ მათ ლა-მანშის ფორსირება 1943 წელს? ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: ამისათვის მათ უარი უნდა ეთქვათ მთელი ამ წლის განმავლობაში წყნარ ოკეანეში რაიმე შეტევითი ოპერაციის წარმოებაზე, რაც, რასაკვირველია, აშშ-ს ინტერესებში სულაც არ შედიოდა.

რაც შეეხება საბჭოურ ისტორიოგრაფიას, აქ ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივადაა გადაწყვეტილი. ფაქტობრივად ყველა საბჭოთა მკვლევარს აქვს ერთი გამოკვეთილი აზრი, რომ მეორე ფრონტის გახსნა თავისუფლად შეიძლებოდა ჯერ კიდევ 1942-1943 წლებში. უფრო მეტიც, ზოგიერთი ავტორი შენიღბულად იმ აზრის გატარებასაც კი ცდილობს, რომ ლა-მანშის ფორსირება ინგლისელებს 1941 წელსაც კი შეეძლოთ. მართალია, ეს მკვლევარები ძირითადად პირდაპირი განცხადებების გაკეთებას ამის თაობაზე თავს არიდებენ, მაგრამ მათ მოჰყავთ დამახინჯებული ციფრები დაპირისპირებულ ძალთა (ე. ი. ინგლისისა და გერმანიის) რაოდენობის შესახებ და სათანადო დასკვნების გაკეთებას მკითხველს ანდობენ[1]. უკანასკნელ ხანებამდე გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ვ. კულიში, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინგლისს შეეძლო 1941წ. შემოდგომაზე საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნა და რომ ძირითადი მიზეზი ამ იდეის უარყოფისა იყო დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა და სტრატეგია[2].

საერთოდ საბჭოური ისტორიოგრაფია მეორე ფრონტის სა-

---

[1] **И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт, გვ. 26; **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны, გვ. 24-25 და სხვ.

[2] **В. М. Кулиш.** История второго фронта, გვ. 67. XX ს. 80-იან წლებში ეს თვალსაზრისი გაიზიარეს ი. ზემსკოვმა და ა. სამსონოვმა (**И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта.., გვ. 36-37; **А. С. Самсонов.** Вторая мировая война. М., 1985, გვ. 158).

კითხში, დაწყებული პირველი გამოკვლევიდან[1] და უახლესი ნაშრომებით დამთავრებული,[2] როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გამოირჩევა დიდი ორიგინალურობით. ერთადერთი ევოლუცია, რომელიც განიცადა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ 40 წლის განმავლობაში, იყო ის, რომ თუ თავდაპირველად მეორე ფრონტის გაჭიანურებაში ბრალი ედებოდა მხოლოდ ჩერჩილს,[3] შემდგომში უკვე საბჭოთა მკვლევარები არც აშშ-ს მთავრობას ინდობდნენ,[4] თუმცა ამ პრობლემის განხილვისას ისინი მაინც ხაზს უსვამენ, რომ ამერიკელები პრინციპში ტრანლამანშური სტრატეგიის მომხრენი იყვნენ, ხოლო ინგლისელები კი — ბალკანურისა, რითაც უხსნიან რუზველტს პასუხისმგებლობის ნაწილს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ისტორიოგრაფიაში დღემდე არ არსებობს ერთი აზრი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ადგილი მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებას და თუ ჰქონდა, ვინ იყო ამაში დამნაშავე. ჩვენი აზრით, ყველაზე ადრეული ვადა ასეთი ოპერაციისათვის იყო 1943 წლის პირველი ნახევარი, მაგრამ აფრიკაში საომარი მოქმედებების გაჭიანურების შემდეგ ნათელი გახდა, რომ მისი განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა 1943 წლის მიწურულამდე, ეს კი ძალზე არახელსაყრელი დრო იყო ლა-მანშის ფორსირებისათვის მეტეოროლოგიური პირობების გამო. ასე რომ, მეორე ფრონტის გახსნის გადავადებას მართლაც ჰქონდა ობიექტური მიზეზები და ეს იყო არა მხოლოდ სადესანტო საშუალებების ნაკლებობა, რასაც ასე ხაზს

---

[1] **М. П. Толчёнов.** За кулисами подготовки второго фронта, М., 1947.

[2] **О. А. Ржешевский.** История второго фронта, М., 1988; **В. А. Секистов.** Война и политика, М., 1989.

[3] **И. М. Майский.** Воспоминания советского посла, გვ. 146-147.

[4] **Н. Иноземцев.** Внешняя политика США в эпоху империализма, М., 1960; **Н. Н. Яковлев.** США и Англия во второй мировой войне; **И. Н. Ундасынов.** Рузвельт, Черчилль и второй фронт; **Л. В. Поздеева.** Англо-Американские отношения в годы второй мировой войны. 1941-1945 гг., М.. 1969; **Ю. Л. Кузнец.** От Перл-Харбора до Потсдама, М., 1970; **В. М. Кулиш.** История второго фронта; **И. Земсков.** Дипломатическая история второго фронта; **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны; **А. Секистов.** Война и политика; **О. А. Ржешевский.** Война и история; **Б. Н. Новоселов, А. С. Орлов.** Проблема второго фронта... და ა.შ.

უსვამენ დასავლეთელი ისტორიკოსები. ჩვენი აზრით, უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ 1941-1943 წლებში დიდი ბრიტანეთისა და განსაკუთრებით აშშ-ს არმიები თავისი მომზადების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ვერმახტის ძალებს. ამის გამო იყო სწორედ, რომ მოკავშირეებმა ბევრად მეტი დრო დაახარჯეს ჩრდილოეთ აფრიკისა და იტალიის გერმანელებისაგან გაწმენდას. ერთი სიტყვით, ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ სრულფასოვანი მეორე ფრონტის გახსნა დასავლეთ ევროპაში უფრო აშშ-ინგლისის შეიარაღებულ ძალებში არსებულმა პრობლემებმა დააგვიანეს და არა ვაშინგტონისა და ლონდონის წინასწარგამიზნული შეგნებული ლოდინის ტაქტიკამ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა: მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის საკითხი აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. შესაბამისი დოკუმენტური მასალების, აგრეთვე მემუარული ლიტერატურისა და პრობლემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო გამოკვლევების კრიტიკული გააზრების შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგ დასკვნების გაკეთება:

1) 1941 წლის 22 ივნისს სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმისა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისთანავე დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ხელმძღვანელობის მიერ დაკავებულმა ცალსახა პოზიციამ — ყოველმხრივ დახმარებოდნენ მრისხანე მტრის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოთა კავშირს, შექმნა უაღრესად ხელსაყრელი პირობები მომავალი თანამშრომლობისა და მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დიდი ბრიტანეთის მთავრობის საქმიანობა 1941 წლის ზაფხულში. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონს ყველა საფუძველი ჰქონდა, განაწყენებული ყოფილიყო კრემლის ხელმძღვანელობაზე 1939წ. 23 აგვისტოს ჰიტლერთან დადებული პაქტისა და მომდევნო პერიოდში მის მიერ გატარებული ანტიბრიტანული პოლიტიკის გამო, ინგლისის მთავრობა არ აჰყვა ემოციებს და თვითონ გამოვიდა მოსკოვთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების ინიციატივით.

2) ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო „ატლანტიკური ქარტია", რომელიც მიღებულ იქნა არჯენტიაში რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრაზე. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ უსაფუძვლოდ არის მიჩნეული საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მტკიცება, თითქოს ამ დოკუმენტის მე-3 მუხლი „ბუნდოვან" ხასიათს ატარებდეს. ჩვენი აზრით, საბჭოთა მკვლევარები ამ

პუნქტს „ბუნდოვნად“ იმიტომ თვლიდნენ, რომ მისი ერთ-ერთი უდიდესი დამრღვევი იყო სსრ კავშირი. გარდა ამისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ატლანტიკურ კონფერენციაზე“ იაპონიის საკითხში ჩერჩილის მიერ დაკავებულმა ორაზროვანმა პოზიციამ. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ბრიტანეთის პრემიერს სურდა, რაც შეიძლება მალე ჩაება ომში აშშ და ამიტომ ის უბიძგებდა რუზველტს, მიეღო მტკიცე ზომები იაპონიის ექსპანსიის შესაჩერებლად.

3) 1942 წლის ნოემბერში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ წამოწყებული ფართო მასშტაბის სამხედრო კამპანია იყო ახალი ეტაპის დასაწყისი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, რომელმაც საგრძნობლად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ერთ ასპექტს, რომლის გამოც ამ ოპერაციის ჩატარება სამხედრო თვალსაზრისით მიზანშეწონილი იყო. „ტორჩის“ წარმატებით დასრულების შემთხვევაში დასავლეთელ მოკავშირეებს მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ ბრძოლის გასაგრძელებლად საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაშიც. ჩვენი აზრით, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მმართველი წრეები ითვალისწინებდნენ ამ გარემოებასაც, თუმცა საჯაროდ ამ თემაზე საუბარს თავს არიდებდნენ.

4) ღერძის ქვეყნებზე გამარჯვების მოპოვების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კასაბლანკის კონფერენციამ, რომელსაც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რუზველტისა და ჩერჩილის მიერ ამ შეხვედრაზე „უპირობო კაპიტულაციის“ პრინციპის გამოცხადება. ამასთან დაკავშირებით, გაკრიტიკებულია დასავლურ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოსდა ამ პრინციპის სააშკარაოზე გამოტანა იყო შეცდომა, რადგანაც ამან გამოიწვია ომის ვადების გაჭიანურება. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ შეხედულებას და მიგვაჩნია,

რომ ჰიტლერი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა არანაირ კაპიტულაციაზე, ხოლო იტალიისა და იაპონიის პოზიციაზე „უპირობო კაპიტულაციის“ პრინციპის გამოცხადებას ფაქტობრივად არავითარი გავლენა არ მოუხდენია. მათ თავი დამარცხებულად ცნეს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანას ჯერ კიდევ შეეძლო ომის გაგრძელება.

5) უსაფუძვლოდ მიგვაჩნია საბჭოთა მკვლევართა მტკიცებები იმის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს შეეძლოთ და ვალდებულნიც იყვნენ, გაეხსნათ სრულფასოვანი მეორე ფრონტი ევროპაში 1941-1942 წლებში. სათანადო მასალების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ 1943წ. ბოლომდე დასავლეთელი მოკავშირეები ვერ მოახდენდნენ ლა-მანშის დიდი ძალებით წარმატებულ ფორსირებას. ამის უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, იყო არა სადესანტო საშუალებების ნაკლებობა და მოკავშირეთა ძალების სხვადასხვა ფრონტზე დაფანტვა, როგორც ამას თვლის დასავლეთელ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, არამედ ის, რომ 1941-1943 წლებში დიდი ბრიტანეთისა და განსაკუთრებით აშშ-ს არმიები სამხედრო მომზადების დონით აშკარად ჩამოუვარდებოდნენ ვერმახტს. ამიტომ ჩვენ იმ დასკვნისაკენ ვიხრებით, რომ სრულფასოვანი მეორე ფრონტის გახსნა უფრო აშშ-ინგლისის შეიარაღებულ ძალებში არსებულმა პრობლემებმა დააგვიანეს და არა ვაშინგტონისა და ლონდონის წინასწარგამიზნული შეგნებული ლოდინის ტაქტიკამ.

6) 1943 წლის განმავლობაში აშშ-ინგლისის მთავრობები ეწეოდნენ აქტიურ დიპლომატიურ სამზადისს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისათვის. ამ თვალსაზრისით პრინციპული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ვაშინგტონის (1943წ. მაისი) და კვებეკის (1943წ. აგვისტო) კონფერენციებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების გარეშე ჩატარდა. სსრ კავშირის ოფიციალური დელეგაცია არ ჩავიდა არც კაიროში რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრაზე, რომელიც წინ უძღოდა თეირანის კონფერენციას. ეს, ჩვენი აზრით, კონკრეტული მიზე-

ზებით იყო გამოწვეული, კერძოდ: სტალინის სურვილით, არ გაემწვავებინა ურთიერთობები იაპონიასთან, რაც აუცილებლად მოყვებოდა კაირო'ში ვ. მოლოტოვის ჩასვლას, რადგანაც აქ მიწვეული იყო ჩინეთის ლიდერი ჩან კაი-ში და ძირითადი ყურადღებაც სწორედ იაპონიასთან ომის საკითხების განხილვას დაეთმო.

7) ევროპა'ში მეორე ფრონტის დიპლომატიური მომზადების გზაზე საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო თეირანის კონფერენცია, რომელიც დასრულდა ტრანსლამანშური სტრატეგიის მომხრეთა სრული გამარჯვებით. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყველაზე მეტი დივიდენდი თეირანში მიღებული გადაწყვეტილებებიდან სტალინმა მიიღო. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ლიდერის ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა რუზველტის პოზიციამ, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო აშშ-ს სტრატეგიული ინტერესებით, კერძოდ იმით, რომ თეთრი სახლი დიდ როლს ანიჭებდა ევროპაში საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩაბმას იაპონიასთან ომში. გარდა ამისა, აშშ-ს ინტერესებში შედიოდა რურისა და საარის ოლქების აღება და არა ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ქვეყნების დაკავება.

თეირანის კონფერენციაზე წამოჭრილი სხვა პრობლემებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო გერმანიის წინააღმდეგ ომში თურქეთის ჩაბმის საკითხთან დაკავშირებით გამართულმა დებატებმა. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე არ არის გამოკვეთილი პოზიცია, კერძოდ: არ არის ახსნილი, თუ რატომ მოეკიდა ასე გულგრილად სტალინი თურქეთის საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის პერსპექტივებს. ვფიქრობთ, ეს გამოწვეული იყო სტალინის სურვილით, გერმანიასთან ომის დასრულების შემდეგ თურქეთის ნეიტრალიტეტი გამოეყენებინა საბაბად მომავალში ანკარის მიმართ მკაცრი ზომების გასატარებლად.

ПАПАСКИРИ Теймураз Зурабович

Проблема подготовки и открытия второго фронта в англо-американской дипломатии. 1941-1943.*

Резюме

Вторая мировая война по своим политическим и военным масштабам явилась беспрецедентным событием в истории человечества. Военные действия одновременно протекали в Европе, Африке, Азии и бассейне Тихого Океана. Безусловно, основные события Второй мировой войны развивались на советско-германском фронте, но значительный вклад в разгром Третьего Рейха внесли и западные державы – США и Великобритания, которые в 1942-1945гг. подготовили и осуществили достаточно крупные военные операции как в Северной Африке, так и Западной Европе.

Участие западных стран во Второй мировой войне широко освещено в историографии. Достаточно сказать, что официальное американское издание – "Армия США во Второй мировой войне" насчитывает 96 томов, а официальная британская историография Второй мировой войны состоит из 80 томов. Несмотря на это, разработка проблем истории Второй мировой войны далеко не завершена. Все еще немало вопросов, которые вызывают полемику среди ученых и их дальнейшее исследование-уточнение является одной из неотложных задач историографии Второй мировой войны. Особенный интерес в этом плане представляют вопросы, связанные с открытием второго фронта, в частности: дипломатическая история его подготовки. Представленная работа посвящена именно

* Настоящая работа, резюме которой мы представляем, является кандидатской диссертацией, которая была защищена автором в Тбилисском государственном университете им. Ивана Джавахишвили в 1998г.

изучению этой проблемы. В нем проанализирована дипломатическая деятельность правительств США и Англии в 1941-1943гг.: с июня 1941г., когда начались активные дипломатические консультации между США и Великобританией с одной стороны, и Советским Союзом с другой – по декабрь 1943г., включая Тегеранскую конференцию глав государств "Большой Тройки", на которой окончательно был решен вопрос об открытии второго фронта.

Данная проблема, наряду с другими вопросами военно-политической истории Второй мировой войны, всегда находилась в центре внимания историков. Несмотря на это, вопрос об открытии второго фронта все еще остается одним из наиболее спорных, вокруг которого, вот уже полвека, не прекращается научная полемика.

Изучение проблемы дипломатической подготовки и осуществления второго фронта началось сразу же после окончания Второй мировой войны. Первыми, кто тщательно проанализировали отдельные вопросы, связанные с открытием второго фронта и дали свои оценки, были политические и военные деятели, непосредственно участвовавшие в подготовке и осуществлении второго фронта: У. Черчилль, Д. Эйзенхауэр, Р. Шервуд, А. Иден, Г. Стимсон, У. Леги и др.

Вопросу подготовки и осуществления второго фронта особое внимание, естественно, уделено в обобщающих трудах западных авторов, посвященных истории Второй мировой войны в целом. Среди них особенно следует выделить фундаментальные исследования М. Мэтлоффа и Э. Снелла; Дж. Фуллера; Б. Лиддел Гарта; Дж. Батлера, Дж. Гуайера, М. Говарда, Дж. Эрмана; А. Тейлора и др. Определенный интерес к изучению данной проблемы проявили и советские историки – авторы обобщающих трудов по истории Второй мировой войны.

Параллельно на Западе велось углубленное изучение непосредственно вопросов дипломатической и военной подготовки второго фронта. С этой точки зрения особенно следует выделить труды Г. Харрисона, У. Макнейл, Г. Фейса, Р. Бейтцелла и др.

В свою очередь, над проблемой подготовки и открытия второго фронта работали и советские исследователи, хотя, нужно отметить, что они с самого начала находились под жестким идеологическим прессом, что, естественно, не позволяло им объективно осветить данный вопрос. Ярким подтверждением этому является изданная еще в 1947г. книга М.П. Толчёнова: "За кулисами подготовки второго фронта". Впоследствии проблемой участия во Второй мировой войне Великобритании и США специально занимались Н.Н. Яковлев, И.Н. Ундасынов, Л.В. Поздеева, В.М. Кулиш, В.Л. Исраэлян, И. Земсков, О.А. Ржешевский, В.А. Секистов и др. Следует отметить, что ни один из этих авторов не отличается особой оригинальностью, так как исследователи вынуждены были опираться на изданный советским информбюро еще в 1948г. Справочник: "Фальсификаторы истории". Несмотря на то, что постепенно в этом труде было "обнаружено" огромное количество фактических ошибок, освещение дипломатической стороны данной проблемы было признано почти совершенным.

Что же касается грузинских историков, то они практически были лишены возможности работать над глобальными проблемами Второй мировой войны и были вынуждены, в основном ограничиться разработкой вопросов участия Грузии (а также народов Закавказья) в Великой Отечественной войне. ***Основная новизна*** предлагаемой работы заключается как раз в том, что **она является первой попыткой монографического изучения одной из важнейших проблем Второй мировой войны – дипломатической подготовки второго фронта западными союзниками – в Грузии.** Вместе с тем, в ней высказаны некоторые соображения по отдельным вопросам разрабатываемой темы. Например, обращено внимание на двусмысленную позицию У. Черчилля по вопросу Японии на Атлантической конференции. Подвергнуты критике утверждения советской историографии о "туманности" формулировки 3-го пункта "Атлантической Хартии" и высказано предположение, почему советские исследователи пришли к такому выводу. Акцентировано внимание на изменении позиции президента

США относительно места открытия второго фронта. Подчеркнута целесообразность, в военном отношении, проведения операции в Северной Африке и развита мысль о том, что после успешного завершения операции, "Торч" англичане и американцы, с бо́льшим успехом смогли бы продолжить борьбу в случае поражения Советского Союза. Сравнительно подробно освещена встреча лидеров двух держав – США и Великобритании – в Касабланке, которой советские исследователи не уделяли особого внимания. Признано безосновательным достаточно распространенное в западной историографии утверждение о том, что согласованный Ф. Рузвельтом и У. Черчиллем в Касабланке принцип "безоговорочной капитуляции" являлся чуть ли не стратегической ошибкой, вызвавшей продление войны. По новому освещена позиция Сталина относительно вопроса о включении в войну Турции на Тегеранской конференции и объяснены мотивы, побудившие его проявить определенную осторожность по этому поводу. Затягивание открытия второго фронта в Европе объяснено более низкой по сравнению с Вермахтом боевой подготовкой англо-американских вооруженных сил.

Источниковедческую базу нашего исследования составили документальные материалы. В первую очередь, это переписка между лидерами СССР, США и Великобритании, другие документы, освещающие отношения этих стран во время Второй мировой войны, материалы конференций периода Второй мировой войны. В качестве исторического источника широко привлечена мемуарная литература.

Монография состоит из введения, четырех глав и заключения.

Во введении дано обоснование темы и на основании достаточно обстоятельного историографического обзора показана актуальность ее научной разработки, акцентировано также внимание на новизну, которую вносит автор в толковании тех или иных вопросов разрабатываемой проблемы.

В первой главе работы – ***"Нападение Германии на Советский Союз и первые дипломатические шаги США и Ан-***

глии по подготовке второго фронта" – освещено возникновение в англо-американской дипломатии проблемы открытия второго фронта и показано, как создавалась антигитлеровская коалиция.

Во второй главе – " *Противостояние в англо-американской дипломатии по вопросу определения места и времени открытия второго фронта. Конференция в Касабланке* " – рассмотрены военные действия в Северной Африке (ноябрь 1942г. – май 1943г.) и довольно подробно освещена конференция в Касабланке (14-24 января 1943г.).

В третьей главе – *"От Вашингтона до Тегерана. Шаги на пути выработки единого стратегического курса в англо-американской дипломатии"* – рассмотрена дипломатическая деятельность правительств США и Англии в вопросе подготовки и открытия второго фронта в Европе. Освещены третья Вашингтонская (12-25 мая 1943г.) и первая Квебекская (14-24 августа) конференции, Московская конференция министров иностранных дел трех союзных держав (19-30 октября 1943г.).

В четвертой заключительной главе работы – *"Тегеранская конференция. Триумф дипломатии сотрудничества"* – подробно освещена первая встреча лидеров "Большой Тройки" и проанализированы принятые ими решения.

В заключении подведены итоги проделанной работы и изложены основные результаты:

1. Занятая сразу же после нападения Германии на СССР и начала советско-германской войны руководством США и Великобритании конструктивная позиция, всецело помочь воюющему с грозным врагом Советскому Союзу, создала весьма благоприятные предпосылки для будущего сотрудничества и формирования мощной антигитлеровской коалиции. С этой точки зрения, в монографии особенно обращено внимание на позитивную роль Великобритании. Несмотря на то, что Лондон имел все основания быть раздраженным по отношению к Кремлю из-за заключения пакта с Гитлером 23 августа 1939г., а также проводимой в последующий период ярко выраженной

антибританской политикой, английское правительство не поддалось эмоциям и само выступило с инициативой создания с Москвой военно-политического союза.

2. Важнейшим этапом на пути создания антигитлеровской коалиции было принятие т.н. "Атлантической Хартии" в августе 1941г. на встрече Ф. Рузвельта и У. Черчилля в Арджентии. В связи с этим в работе признано беспочвенным господствовавшее в советской историографии утверждение, будто бы 3-й пункт данного документа носит "туманный" характер и констатировано, что советские исследователи считали "туманной" формулировку этого положения хартии потому, как одним из самых больших нарушителей данного пункта являлся Советский Союз. Кроме этого, обращено внимание на двусмысленную позицию Черчилля при обсуждении вопроса о Японии на "Атлантической" конференции. Не исключено, что двойственность в поступках британского премьера была обусловлена его желанием добиться скорейшего вступления США в войну.

3. Начатые в ноябре 1942г. США и Великобританией крупномасштабные военные действия против стран "Оси" в Северной Африке, означали наступление нового этапа во Второй мировой войне, значительно изменившего соотношение сил в пользу стран антигитлеровской коалиции. В связи с этим обращено внимание на еще один аспект, из-за которого было целесообразным провести данную операцию. Успешное завершение операции "Торч" явилось бы своеобразной гарантией того, что западные союзники смогли бы более успешно продолжить войну против стран "Оси" даже в случае поражения Советского Союза. Правящие круги Великобритании и США, разумеется, учитывали такую вероятность, хотя воздерживались от публичного обсуждения этой темы.

4. Весомый вклад в победу над странами "Оси" внесла конференция в Касабланке, которой в советской историогра-

фии не уделялось должного внимания. Особенно следует отметить принятие Рузвельтом и Черчиллем на этой встрече принципа "безоговорочной капитуляции". В связи с этим, в работе признано безосновательным весьма распространенное среди западных историков мнение о том, что объявление данного принципа было ошибочным, так как это вызвало затягивание войны и развита мысль, что Гитлер никогда не пошел бы на капитуляцию. Что же касается Италии и Японии, то на них объявленный в Касабланке принцип "безоговорочной капитуляции" не оказал никакого влияния, так как эти государства капитулировали тогда, когда, по общему признанию, еще могли продолжить борьбу.

5. В монографии подвергнуто критике также утверждение советской историографии о том, что западные страны могли и должны были открыть полноценный второй фронт в Западной Европе еще в 1941-1942гг. В результате анализа соответствующих материалов, высказано мнение, что западные союзники не смогли бы успешно форсировать Ла-Манш до конца 1943г. и что основной причиной затягивания начала полномасштабных военных операций в Западной Европе была не нехватка десантных средств и разбросанность сил на разных фронтах, как считает большая часть западных исследователей, а то, что в 1941-1943гг. британские и, особенно, американские вооруженные силы по уровню своей боевой подготовки были гораздо слабее Вермахта. Именно этим была обусловлена задержка в открытии полноценного второго фронта в Европе, а не тактикой умышленного затягивания, якобы проводимой Лондоном и Вашингтоном.

6. На протяжении 1943г. правительство США и Англии вели активную дипломатическую подготовку для открытия второго фронта в Европе. Принципиальные решения в этом направлении были приняты на Вашингтонской (май 1943г.) и Квебекской (август 1943г.) конференциях, на которых не присутствовали советские представители. Официальная советская

делегация не принимала участия и в работе Каирской конференции (ноябрь 1943г.), что было вызвано нежеланием Кремля, еще больше обострить отношения с Японией. А это, безусловно, имело бы место, если бы В.Молотов поехал в Каир, так как туда был приглашен Чан Кайши и основное внимание было как раз уделено вопросам ведения войны против Японии.

7. Решающей вехой на пути дипломатической подготовки второго фронта в Европе явилась Тегеранская конференция глав государств "Большой Тройки", которая завершилась победой сторонников "трансламаншской стратегии". Больше всех дивидендов от принятых в Тегеране решений получил Сталин. При этом нужно отметить, что этот успех советского лидера во многом был обеспечен благодаря конструктивной позиции Ф. Рузвельта, что, в первую очередь, было вызвано стратегическими интересами США. В частности, Белый Дом придавал огромное значение вступлению Советского Союза в войну против Японии после окончания военных действий в Европе. Кроме этого, США были заинтересованы в усилении своего влияния в Рурской и Саарской областях, а не в странах Центральной и Южной Европы.

Из других проблем, рассмотренных на Тегеранской конференции, в работе особое внимание уделено колебаниям Сталина при обсуждении вопроса об оказании давления на Турцию, с целью втянуть ее в войну против Германии. В историографии не существует четкого объяснения, почему советский руководитель отнесся столь равнодушно к перспективам вступления Турции в войну на стороне антигитлеровской коалиции. В этой связи, высказано предположение о том, что "равнодушие" Сталина было вызвано его желанием, использовать нейтралитет Анкары в будущем, после окончания войны с Германией, в качестве предлога для проведения жесткой политики по отношению к Турции.

TEIMURAZ Z. PAPASKIRI

The Problems of Preparing and Opening the Second Front in the US-British Diplomacy. 1941-1943

Summary

World War II by its political and military scales has no precedents in the history of mankind. It was a global war. The hostilities took place in Europe, Africa, Asia and in the Pacific Ocean at the same time. The main events were developing on the Soviet-German front, but the Western Powers – the USA and Great Britain, which prepared and carried out rather big military operations both in Northern Africa and Europe – contributed considerably in the defeat of the Third Reich. In our book we have examined participation of the USA and Great Britain in the war against Germany in 1942-1943 and the importance of the Second Front in Hitler's defeating.

The participation of the Western countries is broadly studied in historiography. Suffice it to say that the official American edition – "The US Army in the Second World War" – contains 96 volumes, while the official British historiography of World War II consists of 80 volumes. Despite this, there are many questions that cause controversy among the scholars and their further research is an urgent task of the Second World War historiography. The special interest in this case present the questions connected with the diplomatic preparation of the Second Front. This work is dedicated to this problem. We have analysed the diplomatic activities of the US and British governments in 1941-1943 – from June, 1941, when there began the diplomatic consultations between Great Britain and the USA on the one side and the Soviet Union on the other side, till December, 1943, including the conference at Tehran, where it was finally decided to open the Second Front in France.

This problem always interested historians but even nowadays it remains one of the most disputable questions in historiography. The investigation of this problem began shortly after the end of the Second World War. The political and military leaders: W. S. Churchill, D. D. Eisenhower, A. Eden, H. Stimson, W. Leahy, etc – thoroughly analysed certain questions and gave us their appraisals.

The Western authors, who wrote general works about the Second World War, of course, gave particular attention to the problem of preparing and opening the Second Front. We can mark out the fundamental researches by M. Matloff and E. Snell; B. H. Liddell Hart; J. Butler, J. Gwyer, M. Howard, J. Ehrman; A. Taylor, etc. The Soviet historians, who were studying the Second World War, also showed a definite interest in this problem.

At the same time many of the Western historians (H. Harrison, W. McNeill, H. Feis, R. Beitzell, etc.) were working directly at the problems of the diplomatic and military preparation of the Second Front. Some of the Soviet researchers also were interested in this question, but they were under the ideological pressure which quite naturally didn't allow them to give a really unbiased assessment. The obvious confirmation of this is a book by M. Tolchonov: "Behind the Scenes of Preparing the Second Front". After Tolchonov N. Yakovlev, I. Undasinov, L. Pozdeeva, V. Kulish, V. Israelyan, O. Rzheshevsky, V. Sekistov, I. Zemskov, were interested with this problem, but it should be mentioned that their works are mostly based on the reference book: "The Falsifiers of History", which was published in 1948 by the Soviet Inform bureau. In spite of the fact, that the Soviet historians gradually had "found" many mistakes in their guide, the review of the diplomatic side was declared as nearly perfect.

The Georgian historians were practically deprived of an opportunity to work at this problem and had to limit their research to the elaboration of questions connected with the participation of Georgians (and other peoples of Transcaucasus) in the Great Patriotic War. The basic novelty of our work is that it is the first attempt in Georgia to study one of the most important problems of the Second World War. At the same time we made some observa-

tions on some issues. We pointed out Churchill's ambiguous position about Japan at the Atlantic conference. We criticised the statement of the Soviet historians that the 3-rd paragraph of the "Atlantic Charter" has a hazy meaning and gave analysis why they had arrived to such a conclusion. We emphasised the expediency of "Torch" in the military respect and mentioned that the successful end of "Torch" would guarantee the Western Allies the possibility to continue hostilities against the "Axis" countries even after the defeat of the Soviet Union. We made a detailed account of the conference at Casablanca, to which the Soviet researchers didn't give proper attention. We think that the Western historians' statement that the principle of "Unconditional Surrender" was erroneous is groundless. We observed Stalin's position about the Turkey question at Tehran Conference and explained the reasons that made the Soviet leader be a little bit careful in this case. We also drew a conclusion that the basic reason why the opening of the Second Front was delayed until 1944, was that German forces were much better trained than the British and, especially, the American armies in 1942-1943.

As a source base for our work we used the correspondence among the leaders of the "Big Three", the materials of the wartime conferences and other documents concerning the relations between the Soviet Union, the USA and Great Britain during the Second World War. As a historical source we broadly used memoirs.

Our work consists of a preface, 4 chapters and a conclusion.

In the **preface** there is shown the actuality of the problem and the novelties of our work are accentuated.

In the first chapter – **"The German Assault on the Soviet Union and the First Diplomatic Steps of Great Britain and the USA on the Way of Preparing the Second Front"** – we examined the origins of the problem of opening the Second Front in British-American diplomacy and the foundation of Anti-Hitler coalition.

In the second chapter – **"The Opposition in British-American Diplomacy about the Place and Time of opening of the Second Front. The Conference at Casablanca"** - we investi-

gated the hostilities in Northern Africa (November 1942 - May 1943) and the summit conference of Churchill and Roosevelt at Casablanca (14-24 January, 1943).

In the 3-rd chapter – **"From Washington to Tehran. The Steps on the Way of Elaboration of Common Strategic Course on British-American Diplomacy"** – we examined the diplomatic activities of the British and the American governments in the question of preparing and opening the Second Front. We examined the Third Washington Conference (15-25 May, 1943), the First Quebec Conference (14-24 August, 1943), the Moscow Conference of the ministers of Foreign Affairs (19-30 October, 1943) and the conference at Cairo (22-26 November, 1943).

In the 4-th chapter – **"The Conference at Tehran. The Triumph of Diplomacy of Co-operation"** – we have given a detailed account of the first summit conference of "Big Three" and have analysed the decisions adopted at Tehran.

In **Conclusion** we sum up the results of our work:

1) The firm position of the US and British troops – to help the Soviet Union in fighting against the dangerous enemy after the German offensive on June 22, 1941 and the beginning of the Soviet-German war – had created a good condition for the future co-operation among these three countries. Especially we must mention the activity of the British Government in the summer of 1941. Despite London had all reasons to be angry with the Kremlin Tops for their August 23, 1939 Pact with Hitler and Stalin's Anti-British policy, Churchill didn't give way to emotions and proposed the Soviet-British political and military alliance.

2) The adoption of the "Atlantic Charter" at the meeting of Churchill and Roosevelt at Placentia Bay became an important step on the way of organising the Anti-Hitler coalition. According to the Soviet historians the 3-rd paragraph of the "Atlantic Charter" has a hazy meaning. We think that their statement is groundless. To our mind, the main reason why the Soviet historians considered this item vague is that the Soviet Union was among the violators of

this point of Charter. Besides, we have given attention to the British Prime Minister's ambiguous position about Japan at the conference. It is possible that such duality was caused by his aim to hasten the US enter in the Second World War.

3) The opening of hostilities of a large scale by the US and British troops against the Axis countries in Northern Africa (November of 1942) meant the beginning of a new stage in the course of World War II. It had considerably changed the balance of the forces in favour of Anti-Hitler coalition. In connection with this we mentioned another reason that made this operation more advisable. The successful finish of "Torch" would have guaranteed the Western Allies the possibility to continue hostilities against the "Axis" countries even after the defeat of the Soviet Union. The ruling circles of the USA and Great Britain, of course, thought about that but abstained from the public discussion of this subject.

4) An important stage of the diplomatic relations during the Second World War was a conference at Casablanca, which was nearly ignored by the Soviet historians. Especially there should be mentioned the adoption of the principle of "Unconditional Surrender" at this conference. Some Western historians think that when announcing this principle Roosevelt and Churchill made a mistake because it delayed the end of war. To our mind, this statement is not correct, as Hitler would have never signed any surrender. As regards Italy and Japan, this principle didn't make any influence on them, because these states surrendered when they, especially Japan, could continue fighting against the Allies.

5) We think that the Soviet historians' statement, that the western countries could open the full-value Second Front in Europe in 1941-1942 and they had to do it by no means, isn't well-grounded. The Analysis of the corresponding materials has confirmed us, that it was impossible for the USA and Great Britain to begin offensive operations on a large scale in Western Europe till the end of 1943, and not only because of the lack of landing crafts

and dissipation of forces at different fronts. We think that the main reason of the delay with the landing in Europe was that the German armies were prepared much better than the British and especially the American ones.

6) An intensive diplomatic preparations to open the Second Front in Western Europe took place in 1943. The principal decisions were adopted at the Washington (May 1943) and Quebec (August 1943) Conferences, which were held without Soviet representatives. Soviet government also ignored the meeting of Churchill and Roosevelt in Cairo. That meeting preceded the Tehran conference and Stalin's forbiddance of Molotov's voyage to Cairo had definite reasons. We think that Stalin didn't want to strain relations with Japan, which would be inevitable after Molotov's arrival in Cairo, because the Chinese leader Chiang Kai-Shek had been invited there and the operations against Japan would become the main item of the meeting.

7) The Conference at Tehran had the most diplomatic importance in the course of opening the Second Front in Europe. Stalin achieved a real diplomatic triumph at that meeting. It should be noted that the Soviet leader's success considerably depended on Roosevelt's position. We think that the US president's support of Stalin's plan was caused by the US strategic interests. Washington wanted to involve the Soviet Union into the war against Japan after the end of the military operations in Europe. Besides that the US government wanted to take under its control the Ruhr and Saar regions and not the Central and South-European countries.

Among other problems, which were observed at the Tehran conference, a special importance is attached to the discussions of the question on the entry of Turkey into the war on the Allies' side. There is no distinct explanation of this question in historiography. No explanation is given to Stalin's indifference to such an opportunity. We think that the Soviet leader wanted to use Turkey's neutrality as a pretence to carry tough policy against Ankara after the end of the war against Germany.

დ ა ნ ა რ თ ი

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ე ბ ი პ ე რ ი ო დ უ ლ გ ა მ ო ც ე მ ე ბ ში

საინტერესო წიგნი ამერიკული პოლიტიკის ორ ტიტანზე*

XXს. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში არის სახელები, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დააჩნიეს არა მხოლოდ საკუთრივ ამერიკის, არამედ მთლიანად მსოფლიო პოლიტიკას. მათ რიცხვში, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი და გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი ჯორჯ კეტლეტ მარშალი. ამ ორი დიდი მოღვაწის ბედი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც მომავალ სახელმწიფო მდივანს ჯ. მარშალს ეკავა უმაღლესი სამხედრო თანამდებობა — აშშ-ს არმიის შტაბის უფროსი — და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მეორე მსოფლიო ომი და მასში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა ამერიკელ თუ არაამერიკელ ისტორიკოსთა საგანგებო დაინტერესების საგანს. ამ პრობლემის ირგვლივ არსებობს უამრავი სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლიტერატურა. აღნიშნულ პრობლემას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ მრავლადაა საკითხები, რომლებიც არცთუ სრულყოფილად, ან ნაკლებადაა შესწავლილი. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უკანასკნელ პერიოდამდე

---

* ნაშრომი დაიბეჭდა ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალში „საქართველო, ევროპა-ამერიკა" (№2, 1997).

მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა, იყო ურთიერთობა ფრანკლინ რუზველტსა და ჯორჯ მარშალს შორის. სწორედ ამ ხარვეზის შევსება ითავა ამერიკელმა ისტორიკოსმა თომას პერიშმა, რომელმაც საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ორი გიგანტის ურთიერთობას. საკითხის მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის ის ფაქტი, რომელიც განსაზღვრავდა აშშ-ს ადმინისტრაციის კურსს დიპლომატიურ თუ სამხედრო ფრონტებზე მეორე მსოფლიო ომის წლებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. პერიშის წიგნი წარმოადგენს პირველ ცდას ამ ორი დიდი მოღვაწის ურთიერთობის შესასწავლად. ნაშრომის მრავალ ღირსებათაგან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მისი ფართო წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა. ნაშრომში უხვადაა გამოყენებული მრავალფეროვანი საარქივო მასალა, რომელიც ავტორს მოპოვებული აქვს ფრანკლინ დ. რუზველტისა და ჯორჯ კ. მარშალის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე, აშშ-ს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტში. ამას ემატება აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში დაცული დისერტაციები. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მან მოახერხა ამ ორი გამოჩენილი, თითქმის ლეგენდად ქცეული მოღვაწის ურთიერთდამოკიდებულება განეხილა ზოგადად ამერიკის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობათა კონტექსტში, რაც პრინციპულად განასხვავებს ამ წიგნს ცალკე ფრ. რუზველტისა და ცალკე ჯ. მარშალის შესახებ დაწერილი ყველა სხვა ნაშრომისაგან. ამ თვალსაზრისით, ავტორმა გამოჰყო რამდენიმე საკითხი (გადაეცემოდა თუ არა არმიის შტაბის ახალ უფროსს წინამორბედის უფლებები ავტომატურად; იყო თუ არა უფლებები, რომლებიც გააჩნდა მარშალს, კონსტიტუციური; რას ნიშნავს პრეზიდენტისთვის უმაღლესი მთავარსარდლის წოდების მინიჭება და ა.შ.), რომელთა ირგვლივ ყურადღების გამახვილებამ მისცა მას საშუალება, უფრო სრულად წარმოეჩინა ურთიერთობა აშშ-ს უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო ეშელონებს შორის.

თ. პერიშის წიგნი შედგება პროლოგის, 22 თავისა და ეპილოგისაგან. პირველი ოთხი თავი დათმობილია რუზველტისა და მარშალის ბიოგრაფიებისათვის 1939 წლის გაზაფხულამდე, როდესაც პრეზიდენტმა აშშ-ს არმიების შტაბის უფროსის უფ-

როსის პოსტზე დანიშნა ფართო საზოგადოებრიობისათვის და საკუთრივ მისთვისაც მანამდე პრაქტიკულად უცნობი გენერალი ჯ. მარშალი. სწორედ აქედან იწყება ურთიერთობა ამ ორი ადამიანისა, რომელთაც ბედმა არგუნა აშშ-ს პოლიტიკური და სამხედრო ლიდერობა მეორე მსოფლიო ომში. შემდეგი 4 თავი თ. პერიშს მიძღვნილი აქვს აშშ-ს არმიის რეორგანიზაციის პრობლემების განხილვისათვის, რომლის ინიციატორიც მარშალი იყო. აქვე ის მიმოიხილავს აშშ-ს საგარეო პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად ნეიტრალიტეტს იცავდნენ. დანარჩენი 14 თავი კი მოიცავს პერიოდს აშშ-ს ომში ჩაბმიდან პრეზიდენტ რუზველტის გარდაცვალებამდე (1941წ. 7 დეკემბერი – 1945წ. 12 აპრილი). სწორედ ეს ნაწილი იქცევს განსაკუთრებულ ინტერესს, რამეთუ თ. პერიშს ძალზე ვრცლად და დაწვრილებით აქვს გადმოცემული ზოგიერთი კონფერენციის (ვაშინგტონის I, კასაბლანკის, იალტის) და მეორე ფრონტის საკითხზე 1942წ. გამართული დისკუსიების მიმდინარეობა. მეცნიერული თვალსაზრისით, სწორედ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი თავები არის ყველაზე ფასეული წინამდებარე წიგნში.

მიუხედავად მრავალი ღირსებისა, თ. პერიშის წიგნს გააჩნია ცალკეული ნაკლოვანებებიც. პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ ის ფაქტი, რომ ავტორს არა აქვს შეფასებული თეირანის კონფერენციის შედეგები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მას უნდა აღენიშნა, თუ ვისთვის იყო ხელსაყრელი აქ მიღებული გადაწყვეტილებები და რატომ. ასევე გაუგებარია, თუ რატომ არ აძლევს თ. პერიში საფუძვლიან დასაბუთებას მტკიცებას, რომ 1942წ. ივლისში ლონდონში გამართულ მოლაპარაკებებზე მიღებული გადაწყვეტილება აფრიკაში (და არა ევროპაში) შეჭრის შესახებ, იყო არასწორი და უკეთესი იქნებოდა, თუ მოკავშირეები დაამტკიცებდნენ ამერიკელთა გეგმას. ეს ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხია მეორე მსოფლიო ომის ისტორიოგრაფიაში და მიგვაჩნია, რომ ასეთი მტკიცების დასასაბუთებლად მხოლოდ ჯ. მარშალის აზრის მოტანა, თითქოს 1942წ. შემოდგომაზე აფრიკაში შეჭრა შეუძლებელს გახდიდა 1943წ. ლა-მანშის გადალახვას, სრულებითაც არ არის საკმარისი.

ვერ გავიზიარებთ, აგრეთვე, ავტორის მიერ იალტის კონფერენციის შედეგებისადმი მიცემულ შეფასებებს. კერძოდ, არ მიგვაჩნია სწორად მოსაზრება, რომ სტალინმა რაიმე დაუთმო რუზველტს იაპონიასთან ომში სსრკ-ს ჩაბმის საკითხში. რასაკვირველია, ამერიკელთათვის სულაც არ იქნებოდა ზედმეტი საბჭოთა ჯარების დახმარება იაპონელების წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში, მაგრამ, ვფიქრობთ, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ეს სტალინის წისქვილზეც ასხამდა წყალს. ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს იყო არა რუზველტის დიპლომატიური გამარჯვება, არამედ, პირიქით, საბჭოთა ლიდერმა მიიღო ყველაფერი იმის სანაცვლოდ, რისი გაკეთებაც მას მოკავშირეების გარეშე გადაწყვეტილი ჰქონდა (ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **თ. პაპასქირი. სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945**, თბ., 1996, გვ. 117-118.).

ჩვენი აზრით, ასევე მცდარია თ. პერიშის შეფასება ჩერჩილის 1945წ. 6 იანვრის წერილისა სტალინისადმი. მკვლევარი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ წერილს მხოლოდ დახმარების თხოვნად. მისი აზრით, ბრიტანეთის პრემიერი არაკეთილგონივრულად მოიქცა. პერიში თვლის, რომ ჩერჩილს არ უნდა დაეწერა ასეთი წერილი. როდესაც მდგომარეობა ფრონტზე სულაც არ იყო საგანგაშო. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნო, რომ ბრიტანეთის პრემიერის მოქმედება სულაც არ იყო იმდენად არაკეთილგონივრული, როგორც ეს ამერიკელ ისტორიკოსს ჰგონია. ჩვენი აზრით, ჩერჩილს სურდა, დაეჩქარებინა საბჭოთა ჯარების შეტევა პოლონეთში, რადგანაც ეს აიძულებდა გერმანელებს, გადაესროლათ მნიშვნელოვანი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე. როგორც ჩანს, ბრიტანეთის პრემიერი ფიქრობდა, რომ გერმანელები არ მისცემდნენ საბჭოთა არმიებს მნიშვნელოვნად წინ წაწევის საშუალებას და ამ მიზნით სერიოზულად შეასუსტებდნენ დასავლეთის ფრონტს, რაც ინგლისელებს და ამერიკელებს გზას გაუხსნიდა ბერლინისაკენ. ვფიქრობთ, სწორედ ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად ზემოაღნიშნულ წერილს, რადგანაც ჩერჩილის მთავარი საზრუნავი ამ პერიოდში საბჭოთა ჯარებისათვის ბერლინის აღების დასწრება იყო (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **თ. პაპასქირი.** დასახ. ნაშრ., გვ. 106-109.).

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ე.წ. „ბერნის ინციდენტის“ პერიშისეულ შეფასებებს. კერძოდ, მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, ვ. მოლოტოვის 1945წ. 12 მარტის წერილის მიზანი იყო ბერნში მიმდინარე წინასწარი მოლაპარაკებების ჩაშლა აპენინებზე განლაგებული გერმანული ნაწილების კაპიტულაციის შესახებ და იტალიაში საომარი მოქმედებების დასრულების გადავადება.

და ბოლოს, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ თ. პერიშის სტილი და წერის მანერა. ავტორი ახერხებს საკმაოდ რთული მეცნიერული პრობლემების გადმოცემას თავისუფლად, თითქმის ჟურნალისტურ სტილში, ამერიკელთათვის დამახასიათებელი იუმორით. ყოველივე ამის წყალობით წიგნი საინტერესო და იოლად საკითხავია, რისი მიღწევაც არცთუ ისე ადვილია სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებში.

ამრიგად, **თ. პერიშის** გამოკვლევა: **„რუზველტი და მარშალი. პარტნიორები პოლიტიკასა და ომში. პერსონალური ისტორია“** უდავოდ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მეორე მსოფლიო ომის სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში, რომელიც დიდად წაადგება ამ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებს.

TEIMURAZ Z. PAPASKIRI

An Interesting Book about the Two Titans of the US Politics:

"Roosevelt And Marshall. Partners In Politics And War. The Personal Story" – By Thomas D. Parrish (New York, 1989)

Summary

In this paper there is given a critical analysis of the American scientist's book about the two titans of the USA. The author shows that Th. D. Parrish's statement about the concessions made by Stalin at the Yalta Conference is not correct. It is also said, that Churchill's letter to Stalin written on January 6, 1945 was motivated by the British Prime Minister's desire to capture Berlin before it would be seized by the Soviet troops, and it wasn't "ill-wise" as thinks Th. D. Parrish.

რამდენიმე შენიშვნა ამერიკელი ისტორიკოსის ფრედერიკ უ. მარკს III-ის წიგნზე: „ქარი ქვიშაზე. ფრანკლინ რუზველტის დიპლომატია“*

ფრანკლინ დელანო რუზველტი გამორჩეული ფიგურაა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. ინტერესი მისი პიროვნებისადმი დღემდე არ კლებულობს. ეს არც არის გასაკვირი. ფ. რუზველტი ხომ ოთხჯერ იქნა არჩეული აშშ-ს პრეზიდენტად, რაც დღემდე უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს ამ ქვეყნის ისტორიაში. მას წილად ხვდა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერობა უმძიმეს პერიოდში, როდესაც საჭირო იყო ურთულესი ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა. განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც აშშ-ში, ისე მის გარეთ, იწვევს ფ. რუზველტის საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ისტორიკოსთა ახალი და ახალი თაობები უბრუნდება ამ თემას. მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს აშშ-ს პრეზიდენტის ომისდროინდელ მოღვაწეობას, თუმცა არის მთელი რიგი მკვლევარებისა, რომლებიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ფ. რუზველტს დაშვებული შეცდომების გამო. განსაკუთრებულ აქტიურობას ამ თვალსაზრისით იჩენენ ე.წ. „რევიზიონისტები“, რომელთა ახალი ტალღის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ ფრედერიკ უ. მარკს III, ფრანკლინ რუზველტის დიპლომატიაზე საკმაოდ სქელტანიანი მონოგრაფიის — „ქარი ქვიშაზე“ — ავტორი (გამოიცა 1988წ. ჯორჯიის შტატის ქალაქ ათენში).

წიგნის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს მისი ფართო წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა. ნაშრომში უხვადაა გამოყენებული მრავალფეროვანი საარქივო, მათ

---

* ნაშრომი დაიბეჭდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალში „საქართველო“ (№1, 1998).

შორის დღემდე გამოუქვეყნებელი მასალა, რომელიც ავტორს მოპოვებული აქვს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, კანადისა და ტაივანის ბიბლიოთეკებში. ამას ემატება აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში დაცული დისერტაციები. უაღრესად ვრცელია გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია.

ფ. მარკსის წიგნი შედგება წინასიტყვაობის, 7 თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავი ეთმობა „ასი დღის" პერიოდის რუზველტის დიპლომატიური საქმიანობის მიმოხილვას. მე-2 და მე-3 თავებში გაშუქებულია აშშ-იაპონიის ურთიერთობები 1933-1941 წლებში. მე-4 თავში ავტორი იხილავს ამავე პერიოდში ევროპაში მიმდინარე მოვლენებს, ფ. რუზველტის საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობას. მე-5 თავი მოიცავს მეორე მსოფლიო ომის პერიოდს აშშ-ს ომში ჩართვიდან იალტის კონფერენციამდე. მე-6 თავში შესწავლილია აშშ-ს პოლიტიკა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, დასკვნითი მე-7 თავი კი წარმოადგენს ფ. რუზველტის საგარეო-პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრედერიკ მარკსი „რევიზიონისტ" ისტორიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება. ამრიგად, მისი კრიტიკული დამოკიდებულება ფ. რუზველტის დიპლომატიური საქმიანობისადმი სულაც არ არის მოულოდნელი. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ ის ანტიპათია, რომელსაც ავტორი ამჟღავნებს აშშ-ს 32-ე პრეზიდენტისადმი. ავტორი ყოველმხრივ ცდილობს, დაგვიხატოს ისეთი სურათი, რომ ფ. რუზველტს არაფერი ესმოდა საგარეო პოლიტიკაში. უფრო მეტიც, ის აცხადებს, რომ ომის შემდგომ აშშ-ს ავტორიტეტი მსოფლიოში ძალიან დაბალი იყო, რაც, მისი აზრით, განაპირობა რუზველტის დიპლომატიურმა სიბეცემ. ფ. მარკსს ამის დასასაბუთებლად მოჰყავს თანამედროვეთა მიერ აშშ-ს პრეზიდენტისათვის მიცემული შეფასებები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში ის ეყრდნობა განსაკუთრებულ ავტორიტეტებს. არა გვგონია, რომ ჰიტლერის, ნ. ჩემბერლენისა და ლორდ ჰალიფაქსის მიერ რუზველტის დიპლომატიური საქმიანობის ნეგატიურად შეფასება დიდად ფასეული იყოს. რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკოსებს (უ. ჩერჩილი,

შ. დე გოლი, ა. იდენი და ა.შ.), ისინი შეიძლება აკრიტიკებდნენ აშშ-ს პრეზიდენტს ამა თუ იმ საკითხისადმი მისეული მიდგომის გამო, მაგრამ არასდროს არ შეუტანიათ ეჭვი რუზველტის დიპლომატიურ კომპეტენტურობაში.

ფ. მარკსი იმდენადაა გატაცებული ფ. რუზველტის დიპლომატიური მოღვაწეობის კრიტიკით, რომ ცალკეულ შემთხვევებში ვერც კი ამჩნევს, თუ როგორ ვარდება წინააღმდეგობაში. კერძოდ, თავისი ნაშრომის პირველ თავში ის ადანაშაულებს რუზველტს ჯერ კიდევ 1933წ. ოთხი ქვეყნის პაქტის შესახებ მუსოლინის წინადადების უარყოფაში. ეს იდეა ითვალისწინებდა გერმანიისთვის დათმობებს დანციგის, პოლონური დერეფნისა და კოლონიების საკითხში და მასზე უარის თქმას ავტორი რატომღაც უწოდებს „კონსტრუქციული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესაძლებლობის დაკარგვას". ამავე დროს, თავისი ნაშრომის სხვა ადგილას (მეოთხე თავი), იგი აკრიტიკებს პრეზიდენტს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი პრაქტიკულად დაეთანხმა მიუნხენის კურსს. გაუგებარია, თუ რა პრინციპულ განსხვავებას ხედავს ფ. მარკსი მუსოლინის წინადადებასა და მიუნხენის გადაწყვეტილებებს შორის. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ავტორის უცნაური პოზიცია პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ყოველნაირად ცდილობს გერმანიის აგრესიის გამართლებას ამ მიმართულებით, რადგან ამით, მისი აზრით, მოხდა სამართლიანობის ერთგვარი აღდგენა, რამეთუ ეს ტერიტორიები ძირითადად გერმანელებით იყო დასახლებული. ყველაზე საოცარი კი გახლავთ ის, რომ სლოვაკებისათვის გერმანია ლამის სამშობლოდ არის გამოცხადებული, რაც თურმე იმით ყოფილა გამოწვეული, რომ სლოვაკები საუკუნეების განმავლობაში შედიოდნენ რომის საღვთო იმპერიის, 1815-1866 წლებში – გერმანიის კონფედერაციის (ტერმინი ავტორისეულია – თ.ჰ.), და ბოლოს – 1918 წლამდე – ავსტრიის შემადგენლობაში (როგორც ჩანს, ფ. მარკსისთვის უცნობია, რომ 1867-1918წწ. ამ სახელმწიფოს ეწოდებოდა ავსტრია-უნგრეთი, და არა უბრალოდ ავსტრია, და რომ ამასთან სლოვაკეთი შედიოდა ტრანსლაიტანიაში, ანუ დუალისტური იმპერიის უნ-

გრულ ნაწილში და არანაირი კავშირი ავსტრიასთან არ ჰქონდა).

არანაკლებ უცნაურია ავტორის პოზიცია იაპონია-ჩინეთის კონფლიქტისადმი. მისი თქმით, ერთადერთი მისწრაფება, რომლითაც ხელმძღვანელობდა იაპონიის მთავრობა მანჯურიის დაპყრობისას, იყო ის, რომ არ დაეშვა ჩინეთზე საბჭოთა გავლენის დამყარება. ამავდროულად ის აცხადებს, რომ მიუხედავად ეთნიკური ერთგვაროვნებისა, „მანჯურია და ჩინეთი არასდროს არ იყვნენ იმაზე უფრო ახლოს, ვიდრე ინგლისი და ირლანდია, იმ განსხვავებით, რომ არანაირ ირლანდიელ დამპყრობლებს არასოდეს უმართავთ ინგლისი“, ხოლო მანჯურიული დინასტია 300 წელი მართავდა ჩინეთს. რაც შეეხება იაპონიის ინტერვენციას მანჯურიაში, რის შედეგადაც იქ შეიქმნა მარიონეტული სახელმწიფო, ავტორი ამ ფაქტს ადარებს საფრანგეთის დახმარებას ამერიკელი კოლონისტებისადმი დამოუკიდებლობისათვის ომის პერიოდში. უნდა ითქვას, რომ აქ მოყვანილი ფ. მარკსისეული შედარებები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რამეთუ არსებობს ცნობილი „ტანაკას მემორანდუმი“, რომელშიც ცალსახადაა ჩამოყალიბებული იაპონიის საბოლოო მიზანი — მსოფლიო ბატონობა და რომლის პირველი პუნქტიც მანჯურიის დაპყრობა გახლავთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას განსახილველ ნაშრომში იპყრობს აშშ-იაპონიის ომამდელი ურთიერთობების ავტორისეული ანალიზი. პირველ რიგში, ეს ეხება ბრიუსელის კონფერენციისა (1937წ. 3-24 ნოემბერი) და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კორდელ ჰალისა და აშშ-ში იაპონიის ელჩის კიჩისაბურო ნომურას ოთხრაუნდიანი მოლაპარაკების (1940-1941წწ.) ამსახველ ეპიზოდებს. ჩვენ შემთხვევით არ გამოგვიყვია ეს საკითხები. საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნული საკითხები ისტორიკოსთა თვალთახედვის არეში არ ხვდებოდა და პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო. ასე რომ, ფ. მარკსი ამ შემთხვევაში გვევლინება პიონერის როლში, რაც, უდავოდ, მისასალმებელია, მაგრამ ისევ და ისევ ხაზი უნდა გაესვას მის უცნაურ პოზიციას. ის ყოველნაირად ცდილობს დახატოს ისეთი სურათი, თითქოს ფ. რუზველტმა აიძულა იაპონია, თავს დასხმოდა აშშ-ს. სწორედ რუზველტს ადანაშაულებს ფ. მარკსი ბრიუსელის კონფერენციის

ჩაშლაში. აღნიშნული სამიტი მოეწყო მას შემდეგ, რაც იაპონია თავს დაესხა კონტინენტურ ჩინეთს და დაიწყო „ტანაკას მემორანდუმის" მეორე პუნქტის — „ჩინეთის დაპყრობა" — სისრულეში მოყვანა. კონფერენციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სწორედ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობების მოწესრიგება, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ამის მიზეზი კი, ფ. მარკსის აზრით, იყო რუზველტის მიერ გაკეთებული არასწორი განცხადება: „ტოკიო არ უნდა ელოდოს, რომ ვაშინგტონი ლეგიტიმურად ცნობს იაპონელთა აგრესიას". საინტერესოა, მაშ როგორ უნდა მოქცეულიყო აშშ-ს პრეზიდენტი? როგორც ავტორის მსჯელობიდან ჩანს, სასურველი იყო, რუზველტს გაეთანაბრებინა აგრესორიცა და მსხვერპლიც და ორივე ერთნაირად დამნაშავედ გამოეცხადებინა.

ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით ჰალ-ნომურას მოლაპარაკებების ანალიზისას. ავტორი იაპონიასთან ურთიერთობების გამწვავებაში ამჯერადაც რუზველტს ადანაშაულებს. მისი თქმით, 1941წ. შემოდგომაზე იაპონია მზად იყო, დაედო აშშ-სთან შეთანხმება, რომლის ძალითაც ის გამოიყვანდა ჩინეთიდან თავისი ჯარების 90%-ს ორ წელიწადში, დანარჩენ 10%-ს კი — განსაზღვრული ვადის განმავლობაში და დაუშვებდა ჩრდ. ჩინეთში ჩინური პოლიციის შექმნას იაპონელი ოფიცრების ხელმძღვანელობის ქვეშ. ყოველივე ეს, ავტორის აზრით, მისაღები იყო, მაგრამ რუზველტმა და ჰალმა ყველაფერს ხაზი გადაუსვეს და მოსთხოვეს იაპონელებს ერთი წლის განმავლობაში ჩინეთიდან ყველა ჯარისკაცის გამოყვანა. ფ. მარკსი რუზველტის შეცდომად თვლის, აგრეთვე, იაპონიისათვის ნავთობის მიწოდების აკრძალვას და იაპონიის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევას. ყოველივე ამან, ავტორის აზრით, იაპონიას დაუტოვა მხოლოდ ერთი გამოსავალი: თავს დასხმოდა აშშ-ს. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით იგი სვამს ერთ მეტად საგულისხმო კითხვას: რაზომ მიდიოდა იაპონია ასეთ დათმობებზე, როდესაც სიტუაცია მსოფლიოში მისთვის ესოდენ ხელსაყრელი იყო (იგულისხმება, რომ იაპონიის მოკავშირე გერმანიას ამ დროისათვის დაპყრობილი ჰქონდა პრაქტიკულად მთელი ევროპა, სსრ კავშირის დიდი ნაწილი, იტალიის დახმარებით — მთელი ჩრდ. აფრიკა ეგვიპტი-

სა და ტობრუკის (ციხე-სიმაგრე ლიბიაში) გარდა) და რატომ-ღაც უპასუხოდ ტოვებს ამ კითხვას. არადა, იაპონიის მოქმედება ადვილად აიხსნება სწორედ იმ დროისათვის შექმნილი საერთა-შორისო სიტუაციით. აშშ-სთან ხელშეკრულების დადება იაპონი-ას საშუალებას მისცემდა, თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს. პრაქტიკულად აშშ-იაპონიის ხელშეკრულება იქნებოდა ანალოგი-ური სსრ კავშირ-გერმანიის 1939წ. 23 აგვისტოს პაქტისა, რის შემდეგაც ჰიტლერმა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ასე რომ, მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ იაპონელებმა შეცვალეს მათი დარტყმის მიზანი და არა გადაწყვეტილება, ჩაბმულიყვნენ მეორე მსოფლიო ომში. ეს გადაწყვეტილება იაპონიის უმაღლეს სამ-ხედრო ხელმძღვანელობას უკვე მიღებული ჰქონდა და უბრა-ლოდ უცდიდა ხელსაყრელ მომენტს მის განსახორციელებლად.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ერთი კანონზომიერება, რომე-ლიც სისტემატურად გვხვდება ფ. მარკსის მსჯელობებში: ის ცდილობს, გამართლება მოუძებნოს აგრესორის მოქმედებებს. ამის კიდევ ერთ დამადასტურებელ საბუთად ჩვენ შეგვიძლია მო-ვიტანოთ იტალია-ეთიოპიის კონფლიქტის ავტორისეული აღქმა. ფ. მარკსის თქმით, „მონათმფლობელური", „მონათვაჭრული" ეთი-ოპია სისტემატურად არღვევდა ყველანაირ შეთანხმებას და თავს ესხმოდა იტალიურ ერითრეასა და სომალის. ავტორის მსჯელო-ბის მიხედვით გამოდის, რომ იტალია უბრალოდ თავს იცავდა და სწორედ თავდაცვის მიზნით დაიპყრო ეთიოპიის ტერიტორიის ნახევარზე მეტი. უფრო მეტიც, ფ. მარკსი ბრალს სდებს რუზ-ველტს, რომ ეს უკანასკნელი არც არასდროს ცდილა, ჩასწვდო-მოდა გერმანიისა თუ იტალიის მამოძრავებელ მიზნებს, ე. ი. გა-მოდის, რომ ფ. რუზველტმა, და მასთან ერთად მთელმა დემოკრა-ტიულმა მსოფლიომ, უბრალოდ ვერ გაუგო გერმანიას, იტალიას, იაპონიას და მეორე მსოფლიო ომიც სწორედ ამ ფატალურ გაუ-გებრობას მოჰყვა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ფ. მარკსის ნაშრომის მე-5 თავი ეთმობა ფ. რუზველტის საქმიანობას მეორე მსოფლიო ომში აშშ-ს ჩაბმიდან ყირიმის კონფერენციამდე, თუმცა ავტორი ყუ-რადღებას ძირითადად ამახვილებს მხოლოდ ორ საკითხზე: აშშ-ს

პრეზიდენტის ურთიერთობებზე სტალინთან და ჩან კაიშისთან. აანალიზებს რა რუზველტის ურთიერთობას სტალინთან, ფ. მარკსი ასკვნის, რომ აშშ-ს პრეზიდენტი მთელი ომის განმავლობაში ზედმეტ დათმობებზე მიდიოდა საბჭოთა ლიდერის მიმართ. ამ თვალსაზრისით, ის განსაკუთრებით გამოყოფს თეირანისა და იალტის კონფერენციებს. ავტორი აცხადებს, რომ თეირანში რუზველტს მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინა ჩერჩილის ბალკანური სტრატეგისათვის თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღო მეტი დათმობა სტალინისაგან. არადა, თეირანის კონფერენციის ამსახველი დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა თავიდან საკმაოდ ფრთხილი და დიპლომატიური განცხადება გააკეთა მეორე ფრონტის გახსნის სავარაუდო ადგილის თაობაზე და მხოლოდ მას შემდეგ გამოკვეთა თავისი პოზიცია საფრანგეთის ვარიანტის სასარგებლოდ, როცა სტალინისაგან მიიღო დაპირება გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ. აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებასაც: ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა საბჭოთა ლიდერს ისეთ უპირატესობას აძლევდა მოლაპარაკებების დროს, რომ ძნელი წარმოსადგენია, ის წასულიყო რაიმე მნიშვნელოვან დათმობაზე დასავლეთელი მოკავშირეების მიმართ. უფრო მეტიც, წააწყდა რა ჩერჩილის წინააღმდეგობას საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნის საკითხში, მან ლამის საერთოდ დატოვა კონფერენცია და სიტუაციის განმუხტვა მხოლოდ რუზველტის დროული ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი, რაც თავისთავად, უდავოდ, მეტყველებს აშშ-ს პრეზიდენტის დიპლომატიურ ალღოზე.

რასაკვირველია, ავტორი მართალია, როდესაც აცხადებს, რომ სტალინმა პრაქტიკულად ყველაფერი მიიღო ამ კონფერენციაზე, რაც სურდა, მაგრამ ეს ეხებოდა სამხედრო, და არა პოლიტიკურ, საკითხებს. თეირანში პრაქტიკულად არცერთ პოლიტიკურ პრობლემაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა. რაც შეეხება სამხედრო საკითხებს, თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებები, პირველ რიგში, ნაკარნახევი იყო სამხედრო ლოგიკით და ემსახურებოდა უმთავრეს მიზანს: გერმანიის დამარცხებას

უმოკლეს ვადაში. ასე რომ, რუზველტის დადანაშაულება, რომ ის თეირანში გაუმართლებელ დათმობებზე წავიდა, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია. სამაგიეროდ, ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ფ. მარკსის შეხედულებას, რომ რუზველტს არ ჰქონდა უფლება, ეთქვა სტალინისათვის, რომ მას პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები აინტერესებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეთნიკურად პოლონელ, ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ აშშ-ს მოქალაქეებს შეეძლოთ დიდი გავლენა მოეხდინათ 1944წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე. ეს, რა თქმა უნდა, უხეში პოლიტიკური შეცდომა იყო, რადგანაც რუზველტმა ამით აგრძნობინა სტალინს, რომ პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ომისშემდგომი ბედი მას სრულიადაც არ ანაღვლებდა.

იალტის კონფერენციას რაც შეეხება, ის ყოველთვის წარმოადგენდა „რევიზიონისტების" კრიტიკის მთავარ ობიექტს. ასე რომ, ფ. მარკსის კრიტიკული დამოკიდებულება აქ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი იოლად პროგნოზირებადი იყო. ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით ავტორისეულ მტკიცებას, რომ რუზველტს უნდა გაეთვალისწინებინა საბჭოთა ლიდერის უდავო დაინტერესება იაპონიასთან ომში სსრკ-ს ჩაბმით და ბევრად უფრო მცირე კომპენსაცია შეეთავაზებინა ამის სანაცვლოდ. ესეც, რასაკვირველია, შეცდომა იყო რუზველტის მხრიდან, მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა გვაძლევდეს საფუძველს, ვილაპარაკოთ რუზველტის დიპლომატიურ არაკომპეტენტურობაზე, როგორც ამას აკეთებს ავტორი.

ასევე გადაჭარბებულად მიგვაჩნია ავტორის კრიტიკა რუზველტის მიდგომისა პოლონეთის საკითხის მიმართ. აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დროისათვის (1945წ. თებერვალი) პოლონეთის პრაქტიკულად მთელი ტერიტორია საბჭოთა არმიის ხელთ იყო. ასე რომ, რუზველტის თანხმობა სსრკ-პოლონეთის საზღვრად „კერზონის ხაზის" დაკანონებაზე, გარკვეულწილად, იძულებით ხასიათს ატარებდა.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაშიც, რომ აშშ-ს პრეზიდენტის მხრიდან შედომა იყო თანხმობის მიცემა ბერლინისა და პრაღის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მოხვედრაზე. ყირიმის

კონფერენციის მსვლელობის მომენტისათვის (1945წ. 4-11 თებერვალი), ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ამერიკელებსა და ინგლისელებს ბერლინისა და პრაღის აღების შესაძლებლობა მიეცემოდათ. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებული იყო სამხედრო თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ ის სულაც არ უკრძალავდა რომელიმე მხარეს ოპერაციების ჩატარებას პარტნიორი ქვეყნის საოკუპაციო ზონის ტერიტორიაზე. დასავლეთელ მოკავშირეებს თავისუფლად შეეძლოთ აეღოთ გერმანიის დედაქალაქი, თუ ისინი საბჭოთა ჯარებზე ადრე მიადგებოდნენ მას.

და ბოლოს, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ფ. მარკსის მტკიცებას, რომ რუზველტი საგარეო პოლიტიკაში მოქმედებდა ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ თავისი სუბიექტური შეხედულების მიხედვით. მაგალითად, ის აცხადებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ნეგატიური დამოკიდებულება გერმანიისადმი განაპირობა იმ არასასიამოვნო თავგადასავლებმა, რომლებიც მას გადახდა თავს ახალგაზრდობაში ამ ქვეყანაში მოგზაურობის დროს. კერძოდ, ფ. მარკსი იხსენებს იმ ფაქტს, რომ რუზველტი ერთი დღის განმავლობაში ოთხჯერ დაუპატიმრებია გერმანიის პოლიციას სრულიად უმნიშვნელო დარღვევების გამო (მან უნებართვოდ დაკრიფა და შეჭამა ალუბალი, რკინიგზის სადგურის მოსაცდელში შეიყვანა ველოსიპედი, გაიტანა ბატი და მზის ჩასვლის შემდეგ ველოსიპედით გაისეირნა სტრაბურგში.). რასაკვირველია, ყოველივე ამან მართლაც შეიძლება დიდი სიმპათიით არ განგაწყოს იმ ქვეყნისადმი, სადაც ასეთი წესრიგია გამეფებული, მაგრამ არასერიოზულად მიგვაჩნია ფ. რუზველტის ანტიგერმანული კურსის ამ მიზეზებით ახსნა. თუ აშშ-ს პრეზიდენტს ჰქონდა რაიმე წინასწარ აკვიატებული უარყოფითი აზრი ვინმეს მიმართ, პირველ რიგში, ეს იყო შარლ დე გოლი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის, 1944 წლიდან მაინც, აქტიურად თანამშრომლობდა „თავისუფალი საფრანგეთის" ლიდერთან.

ასეთია ზოგადი შთაბეჭდილებები, რომელსაც ტოვებს ფ. მარკსის „ქარი ქვიშაზე". ნაშრომის გაცნობისას ჩნდება ცალკე-

ულ პრობლემებზე კიდევ ერთხელ ჩაფიქრებისა და მათი კრიტიკული გააზრების სურვილი, რაც აუცილებელი პირობაა მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენისათვის. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გვიბიძგა, გამოოვხმაურებოდით ფ. მარკსის წიგნში აღძრულ ზოგიერთ, ჩვენი აზრით, სადავო საკითხს და გამოგვეხატა მათდამი ჩვენი დამოკიდებულება.

TEIMURAZ Z. PAPASKIRI

Few Remarks on the Book: "Wind Over Sand. Diplomacy of Franklin Roosevelt" – By Frederick W. Marks III – the American Historian

Summary

In this article there is given a critical analysis of the American scientist's statement that Fr. D. Roosevelt had no diplomatic talent. The author shows that Fr. W. Marks' incriminations to Roosevelt are mostly groundless. In the time of his presidency and especially during the whole Second World War the diplomacy of Franklin Roosevelt was wise and there were only few unimportant mistakes in his foreign policy.

მნიშვნელოვანი გამოკვლევა სპარსეთის ყურის ომზე*

სპარსეთის ყურის ომის მსოფლიოს უახლესი ისტორიის ;ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ერაყის მიერ ქუვეითის ·ოკუპაციამ იმთავითვე მიიპყრო მთელი მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღება და აიძულა გაერო, მიეღო გადაწყვეტილება აგრესორის მკაცრად დასჯის შესახებ. პრაქტიკულად ყველა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა სამხედრო ოპერაციების ჩატარებამ ქუვეითის გასათავისუფლებლად. ამგვარმა ძალისხმევამ საჭირო შედეგიც გამოიღო. ძირითადად აშშ-ს სამხედრო შენაერთებისაგან დაკომპლექტებულმა კოლექტიურმა ძალებმა წარმატებით შეასრულეს დასახული ამოცანა და მოკლე ხანში აიძულეს ერაყის არმია, დაეტოვებინა ქუვეითის ტერიტორია. ბუნებრივია, ასეთი მასშტაბის მოვლენა არ დარჩა მიმომხილველთა თუ მეცნიერ-ისტორიკოსთა სათანადო ანალიზის გარეშე. სპარსეთის ყურის ომის დამთავრებისთანავე იწყო გამოსვლა მრავალრიცხოვანმა მემუარებმა, ხოლო მოკლე ხანში გამოჩნდა ამ თემისათვის მიძღვნილი პირველი მეცნიერული გამოკვლევებიც. მათ შორისაა გაზეთ „The New York Times"-ის სამხედრო კორესპონდენტის **მაიკლ რ. გორდონისა** და სამხედრო ექპერტის, გენერალ **ბერნარდ ე. ტრეინორის** წიგნი: **„ტენერლების ომი. სპარსეთის ყურის კონფლიქტის შინაგანი ისტორია"**, – რომელიც 1995 წელს გამოიცა და რომელმაც უაღრესად მაღალი შეფასება მიიღო აშშ-ში.

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს მისი ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა. წიგნის ავტორებმა მრავალ-

---

* აღნიშნული ნაშრომი პირველად დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აყვავებული რეგიონალური ორგანიზაციის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში „საისტორიო ძიებანი" (I, 1999).

რიცხოვან დოკუმენტურ მასალებთან ერთად გამოიყენეს სპარსეთის ყურის ომის მონაწილეთა ინტერვიუები, ჩანაწერები, უკვე გამოცემული თუ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მემუარები. წიგნის ღირებულებას უდავოდ ზრდის ისიც, რომ მას დართული აქვს რუკები.

„გენერლების ომი" შედგება შესავლის, 20 თავის (რომლებიც დაყოფილია 2 ნაწილად) და ეპილოგისაგან. პირველი ნაწილი — „ომისათვის მზადება" (შედგება 9 თავისაგან) — მოიცავს პერიოდს ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის წინა დღეებიდან უშუალოდ საომარი მოქმედებების დაწყებამდე, ხოლო მეორე ნაწილში — „ომი" (10-20-ე თავები) — განხილულია საკუთრივ ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობა და შედეგები.

მ. გორდონისა და ბ. ტრეინორის ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა ის, რომ ავტორებმა პირველად სცადეს, შეესწავლათ სპარსეთის ყურის ომის შინაგანი ისტორია. ისინი ხაზს უსვამენ, რომ სურდათ დაენახათ კონფლიქტი ყველა იმ სამსახურის თვალით, ვინც დაგეგმა და განახორციელა ქუვეითის განთავისუფლების ოპერაცია. უფრო მეტიც, ავტორები არ დასჯერდნენ ერთი ცალკე აღებული კონფლიქტის შინაგანი მხარის — მისი წარმოშობის მიზეზების, საომარი მოქმედებების, ცალკეულ სამხედრო მოღვაწეთა საქმიანობისა და ა.შ. — გაშუქებას და მოგვცეს 90-იან წლებში ომის წარმოების ამერიკული წესის ზოგადი ანალიზი.

„გენერლების ომის" პირველი ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთმობა ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს მხრიდან საპასუხო ზომების მომზადების ისტორიას. ავტორებმა საგანგებოდ მიუთითეს იმ შეცდომაზე, რომელიც, მათი აზრით, დაუშვა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ქუვეითზე თავდასხმის წინა დღეებში. მ. გორდონი და ბ. ტრეინორი თვლიან, რომ აშშ-ს პრეზიდენტს უფრო მკვეთრად უნდა ეგრძნობინებინა სადამ ჰუსეინისათვის ქუვეითის დაპყრობის მოსალოდნელი შედეგები, რათა ერაყის დიქტატორს თავი შეეკავები-

ნა მსგავსი აქციისაგან. გარდა ამისა, ავტორები აღნიშნავენ, რომ ჯ. ბუშის პოზიცია, თავის მხრივ, განპირობებული იყო არასწორი ინფორმაციით, რომელიც მას მიაწოდეს ცსს-დან (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) და რომლის თანახმადაც ერაყის სამხედრო მზადება სრული ბლეფი იყო. ამასთან დაკავშირებით, მ. გორდონი და ბ. ტრეინორი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აშშ-ს სხვადასხვა სადაზვერვო სამსახურები (კერძოდ, ცსს და თსს — თავდაცვის სადაზვერვო სააგენტო) ერთმანეთისგან განსხვავებულ ცნობებს იძლეოდნენ ერაყის შესაძლო მოქმედებების შესახებ. მათი აზრით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია თსს-ს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას რომ დაყრდნობოდა, მაშინ ის ალბათ სხვა პოზიციას დაიკავებდა, რასაც, შესაძლოა, 1979 წლის მსგავსად, მოჰყოლოდა ერაყის მხრიდან ქუვეითზე ზეწოლის შესუსტება. მიუხედავად ამისა, ავტორებმა სულაც არ მიიჩნიეს ფატალურად აშშ-ს პრეზიდენტის ამგვარი შეცდომა, რადგან ოფიციალურმა ბაღდადმაც, თავის მხრივ, არასწორად გათვალა აშშ-ს საპასუხო რეაქცია და მიიღო საბედისწერო გადაწყვეტილება, თავს დასხმოდა ქუვეითს. მ. გორდონი და ბ. ტრეინორი თვლიან, რომ მიუხედავად თეთრი სახლის მიერ გატარებული მეტად არაეფექტური პოლიტიკისა, მოვლენები მაინც აშშ-ს ინტერესების შესაბამისად განვითარდა, ვინაიდან სამხედრო დაპირისპირება მოხდა იმ მომენტში, როდესაც ერაყს ჯერ კიდევ არ გააჩნდა ბირთვული იარაღი (ავტორების თქმით, რომ არა ომი, ერაყი საკმაოდ სწრაფად დაასრულებდა თავის ბირთვულ პროგრამას და, შესაძლოა, დღეს უკვე ატომური ბომბიც ჰქონოდა), ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს კი ხელ-ფეხი ჰქონდა გახსნილი ცივი ომის დამთავრების გამო.

ამასთან დაკავშირებით, გვინდა შევნიშნოთ, რომ ამერიკელი ავტორების ამგვარი დასკვნა ჩვენ მაინცდამაინც მთლად დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ სადამ ჰუსეინს არ გაეთვალა აშშ-ს მოსალოდნელი რეაქცია ქუვეითზე თავდასხმის შემთხვევაში. შესაძლოა, მას იმის იმედი ჰქონდა, რომ ნებისმიერი აქცია ერაყის წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციით. აქ

კი ერაყის ლიდერს უთუოდ ექნებოდა თავისი ძველი მოკავშირისა და მფარველის — საბჭოთა კავშირის იმედი. ერაყში ალბათ ვერც წარმოედგინათ, რომ მოსკოვი არ გამოიყენებდა ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ასე ერთბაშად გასწირავდა თავის მეგობარ სახელმწიფოს. მაგრამ კრემლის ხელმძღვანელობამ ამჯერად, ბაღდადისათვის სრულიად მოულოდნელად, სამართლიანი პოზიცია დაიკავა და არ გაუწია წინააღმდეგობა ერაყის აგრესიის სამხედრო გზით აღკვეთას. ასე გახდა შესაძლებელი ერაყის წინააღმდეგ დამსჯელი სამხედრო ოპერაციების — „უდაბნოს ფარი" და „ქარიშხალი უდაბნოში" — განხორციელება.

მ. გორდონი და ბ. ტრეინორი ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე სადამ ჰუსეინის ხასიათის იმპულსურობაზე, რაც აძნელებს მისი შესაძლო ქმედებების წინასწარ განჭვრეტას. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძნელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რას მოიმოქმედებდა ერაყის დიქტატორი აშშ-ს მხრიდან სამხედრო მუქარის შემთხვევაში, თუმცა ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1990 წლის ივლისში სადამ ჰუსეინმა პირდაპირ უთხრა აშშ-ს ელჩს ერაყში ეიპრილ გლასპის, არ აეძულებინათ ის, რომ ღირსების დაცვის ერთადერთ საშუალებად მხოლოდ ომის დაწყება მიეჩნია.

სარეცენზიო ნაშრომის პირველ ნაწილში საინტერესოდაა გაშუქებული სპარსეთის ყურის რეგიონში ჩასატარებელი ოპერაციების მომზადება. აღნიშნულია, რომ ამერიკელ სამხედროებში, კერძოდ, სამი სხვადასხვა უწყების — სამხედრო-საჰაერო ძალების, სახმელეთო ჯარებისა და ფლოტის — ხელმძღვანელობას შორის არ იყო ერთსულოვნება იმის თაობაზე, თუ როგორი ტიპის ოპერაცია უნდა განეხორციელებინათ ერაყის წინააღმდეგ. აშშ-ს სამხედრო წრეები კარგა ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ ისინი მხოლოდ საუდის არაბეთის დაცვით უნდა შემოფარგლულიყვნენ, შემდეგ გადაწყდა ერაყისათვის საჰაერო დარტყმების მიყენება, ბოლოს კი დაიგეგმა ფართომასშტაბიანი ოპერაცია ქუვეითის გასათავისუფლებლად, რომელშიც სახმელეთო ჯარებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ საზღვაო ფეხოსანთა

ნაწილებსაც. არც ამის შემდეგ შემწყდარა კამათი ამერიკელ გენერლებს შორის და სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები კიდევ დიდხანს არწმუნებდნენ თავიანთ ოპონენტებს სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელობიდან, რომ ერაყის დამარცხებისათვის მხოლოდ საავიაციო დარტყმებიც იქნებოდა საკმარისი.

არანაკლებ საინტერესოა წიგნის მეორე ნაწილი – „ომი", რომელშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განხილულია უშუალოდ სპარსეთის ყურის ომის მსვლელობა და შედეგები. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ავტორებმა მოგვცეს საომარი მოქმედებების უაღრესად დაწვრილებითი, დეტალური აღწერა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, ხაფჯის (საუდის არაბეთი) ბრძოლა (1991წ. 29-31 იანვარი), რომელსაც მ. გორდონმა და ბ. ტრეინორმა წიგნის მე-13 თავი დაუთმეს. მათი თქმით, ეს იყო უმნიშვნელოვანესი ბრძოლა, რომელმაც ნათლად აჩვენა ერაყის არმიის საბრძოლო მზადყოფნის დაბალი დონე და სამწუხაროდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ გენერალმა ნორმან შვარცკოპფმა – აშშ-ს ძალების მთავარსარდალმა ერაყის წინააღმდეგ ომში, არ გაითვალისწინა მისი შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, ავტორები გადაჭარბებულ შეფასებას აძლევენ ამ ბრძოლას. ჯერ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც აჩვენა ამ ბრძოლამ, იყო ის, რომ მოკავშირეთა, პირველ რიგში, ამერიკელთა, დაზვერვა პრაქტიკულად არაფერს აკეთებდა. ერაყის არმიის არცთუ მრავალრიცხოვანმა შენაერთებმა – დაახლოებით 800 კაცამდე – ფაქტობრივად უბრძოლველად დაიკავა ქუვეითის საზღვრის მახლობლად მდებარე საუდის არაბეთის საპორტო ქალაქი ხაფჯი. ამავე დროს, ქალაქის მახლობლად და საკუთრივ ქალაქში განლაგებულმა ძალებმა კი არც იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგემ გადმოლახა საზღვარი და მხოლოდ მაშინ შეიტყვეს ამის შესახებ, როდესაც ერაყელთა მოწინავე ძალები ხაფჯიში შევიდნენ. ქალაქის განთავისუფლება დაევალათ საუდის არაბეთის ჯარებს, რომლებიც გააძლიერეს ყატარის არმიის სატანკო ნაწილით. ორდღიანი ბრძოლების შემდეგ ერაყელები ხაფჯიდან განდევნეს. მსხვერპლი ორივე მხარეს უმნიშვნელო იყო: მოკავშირეებს დაეღუპათ 10 და დაეჭრათ 45

მეომარი, ხოლო ერაყელთა მხრიდან მოკლული იქნა 100-მდე ჯარისკაცი და კიდევ 100 ტყვედ ჩავარდა. მართალია, ავტორების გამოთვლით, ერაყელებმა თითქმის 2000 კაცი დაკარგეს დაღუპულების, დაჭრილებისა და ტყვეების სახით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ლომის წილი ამ მსხვერპლიდან მოდის ერაყის არმიის შენაერთზე, რომელიც უკანდახევისას შეცდომით საკუთარ ნაღმების ველზე მოხვდა და თითქმის მთლიანად განადგურდა. ასე რომ, ამ ბრძოლას არც ისე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ამას ავტორები ამტკიცებენ. ამასთან, წიგნიდან გაუგებარია, თუ რას ისახავდნენ მიზნად ერაყელები ამ შეტევის ორგანიზებისას.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც ჩვენ გვსურს ყურადღების გამახვილება. ხაფჯის ბრძოლის აღწერისას ავტორები ყოველმხრივ ცდილობენ დააკნინონ არაბების წვლილი ქალაქის დაბრუნებაში და მთელი დამსახურება ამერიკულ ავიაციას მიაწერონ. ისინი ხაზს უსვამენ, რომ პირველი დღის წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ საუდელები ძალიან დაბნეულნი იყვნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. მათი თქმით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშშ-ს თვითმფრინავებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ერაყელთა პოზიციებს და სრული დემორალიზება გამოიწვიეს ამ შენაერთებში, შეძლეს საუდელებმა ქალაქის დაბრუნება. ამავე დროს, ისინი არავითარ კომენტარს არ უკეთებენ პანიკას, რომელიც შეიქმნა საკუთრივ ამერიკულ ნაწილებში ხაფჯიდან გაქცევის პერიოდში. არადა, ამერიკელებმა ადგილზე დატოვეს ყველა შიფრი თუ რადიოკოდი და მხოლოდ ერაყელ ჯარისკაცთა უყურადღებობით არ ჩაუვარდა ეს მონაცემები ბაღდადის რეჟიმს.

მ. გორდონი და ბ. ტრეინორი უკომენტაროდ ტოვებენ კიდევ ერთ ფაქტს, რომელიც მათ მოჰყავთ თავის წიგნში. საქმე ეხება ამერიკელების მიერ მოწინააღმდეგის განადგურებული ჯავშანტექნიკის რაოდენობას, რომელიც მოახსენეს აშშ-ს პრეზიდენტს 1991 წლის 23 თებერვალს — სახმელეთო შეტევის დაწყების წინადღით. არადა, პირდაპირ გაოცებას იწვევს ის განსხვავება რიცხვებში, რომელიც გვხვდება ამ პატაკში. მაგალითად, სარდლობის წარმომადგენლის მონაცემებით, აშშ-ს საჰაერო

ძალების მიერ მოწყობილი ავიარეიდების შედეგად განადგურებულ იქნა 1688 ტანკი, 929 ჯავშანმანქანა და 1452 საარტილერიო ქვემეხი, მაშინ როდესაც ცსს-ს მოჰყავდა შესაბამისად 524, 245 და 255 ერთეული, ხოლო თსს-ს მაჩვენებლები იყო – 685, 373 და 622. რაც მთავარია, ავტორები არც აკონკრეტებენ, თუ რომელი მონაცემები არის სწორი და როგორი იყო ერაყელთა რეალური დანაკარგები.

ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება სპარსეთის ყურის ომის დასკვნით ეტაპს მიაქციეს. მათ უარყვეს გავრცელებული შეხედულება, რომ „ქარიშხალი უდაბნოში" დასრულდა სრული ტრიუმფით. მ. გორდონისა და ბ. ტრეინორის თქმით, ეს იყო „არასრული გამარჯვება". მათ ხაზი გაუსვეს, რომ მიღწეული იქნა მხოლოდ ერთი მიზანი: ქუვეითი მთლიანად გაიწმინდა დამპყრობლებისაგან. რაც შეეხება სხვა დასახულ ამოცანებს – ერაყის არმიის სატანკო ნაწილებისა და სადამ ჰუსეინის რესპუბლიკური გვარდიის სრული განადგურება მომავალში ერაყის მხრიდან მეზობლების თავდასხმის განმეორების თავიდან ასაცილებლად, მათი შესრულება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა. ამის მთავარ მიზეზად ავტორებს მიაჩნიათ ჯ. ბუშის ადმინისტრაციის მიერ მიღებული მცდარი გადაწყვეტილება, რაც შეიძლება სწრაფად დაესრულებინათ ომი. მ. გორდონსა და ბ. ტრეინორს მოჰყავთ მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ აშშ-ს უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური წრეები მოხიბლა სახმელეთო ოპერაციის 100 საათში დამთავრების პერსპექტივამ და ამიტომ გაიცა ბრძანება, შეწყვიტათ ცეცხლი 1991წ. 28 თებერვალს დილის 8 საათზე. აღნიშნულმა განკარგულებამ, ავტორების აზრით, შეუძლებელი გახადა სრული წარმატების მიღწევა, რადგან ერთერთმა ამერიკულმა შენაერთმა 10 საათით დააგვიანა დაგეგმილ მიჯნებზე გასვლა და სადამ ჰუსეინის რესპუბლიკურმა გვარდიამ, თავისი ტანკების უმეტესი ნაწილით, მოასწრო თავის დაღწევა ხაფანგიდან. მართალია, უკანდახევისას მაინ განადგურება ძნელი არ იყო, მაგრამ ბრძანებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ეს გამორიცხა. გარდა ამისა, მ. გორდონი და ბ. ტრეინორი ასკვნიან, რომ სწორედ ამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების შედეგად შეძლო

სადამ ჰუსეინმა არამარტო ერაყში ძალაუფლების შენარჩუნება, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის, და შესაძლოა, მთელი მსოფლიოსათვის, ახალი ომის კერად დარჩენა.

ასეთია, ძირითადად, მ. გორდონისა და ბ. ტრეინორის წიგნი „**გენერლების ომი. სპარსეთის ყურის კონფლიქტის შინაგანი ისტორია**". მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, რომლებზედაც ზემოთ ნაწილობრივ გავამახვილეთ კიდეც ყურადღება, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამოკვლევა იძლევა სპარსეთის ყურეში განვითარებული მოვლენების საკმაოდ სრულ და ობიექტურ სურათს, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით, და ის აუცილებლად წაადგება ამ პრობლემებზე მომუშავე მკვლევარებს.

TEIMURAZ Z. PAPASKIRI

A Significant Research about the Gulf War:
"The Generals' War.
The Inside Story of the Conflict in the Gulf" –
By Michael R. Gordon and Gen. Bernard E. Trainor
(Boston, Little, Brown and Company, 1995)

Summary

In this paper there is given a critical analysis of an interesting research about the Gulf War. The author shows that this book gives full and just picture of the war. There are also some remarks about the dubious situation caused by the different numbers of destroyed Iraqi tanks and artillery given to the president of the USA by the representatives of the different special services.

„კოსოვოს გეგმის“ საქართველოში გამოყენების შესაძლებლობები*

უკვე ხუთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთში დაიწყო „სამშვიდობო“ ოპერაცია. აღნიშნულ ოპერაციას, რომელიც ხორციელდება რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებით გაერო-ს ეგიდის ქვეშ, დღემდე არავითარი დადებითი შედეგი არ მოუტანია და ძნელი დასაჯერებელია, რომ მსგავსი ტიპის ოპერაციამ უზრუნველყოს ყველა დევნილისა და იძულებით გადაადგილებული პირის საკუთარ სახლებში უსაფრთხო დაბრუნება. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ახალი ომი, არის სამშვიდობო ოპერაციის ხასიათის შეცვლა. სამოქმედო პრინციპად ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნა ე.წ. „კოსოვოს სამშვიდობო გეგმა“.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, ამ ორ კონფლიქტს (აფხაზეთი და კოსოვო) ასევე საკმაოდ ბევრი დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია: 1) ისევე როგორც კოსოვოში, აფხაზეთშიც ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას; 2) ორივე კონფლიქტის შედეგად გაჩნდნენ ძალზე დიდი რაოდენობით დევნილი პირები (800 000 კოსოვოდან და 300 000 აფხაზეთიდან); 3) სლობოდან მილოშევიჩის მსგავსად, ვლადისლავ არძინბაც გამოდის დევნილების სახლებში დაბრუნების წინააღმდეგ (არძინბას განცხადება, რომ ნებისმიერ დევნილს, რომელიც იარაღით ხელში არ იბრძოდა მის წინააღმდეგ, შეუძლია დაბრუნდეს — სრული ფიქციაა, ისევე როგორც მილოშევიჩის განცხადება, რომ კოსოვოში ადგილი არ ჰქონია რეპრესიებს ეთნიკური ალბანელების მიმართ) და ა.შ.

---

* ნაშრომი დაიბეჭდა კრებულში „PONTICA-MEDITERRANEA“ (№1, თბ., 1999)

აღნიშნული დეტალების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, კოსოვოს სამშვიდობო გეგმა შეიძლება გამოყენებული იქნას აფხაზეთისთვისაც. გეგმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს არის მართლაც მძლავრი მექანიზმი რეგიონში ნამდვილი მშვიდობის დასამყარებლად. დოკუმენტის პირველ პუნქტში ჩვენ ვკითხულობთ, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ძალადობა და რეპრესიები კოსოვოში. ალბათ, აფხაზეთთან მიმართებაში არავინ გამოვა ამის წინააღმდეგ.

მეორე მუხლს, რომელიც ეხება კოსოვოდან ყველა იუგოსლავური შენაერთის: შეიარაღებული, საპოლიციო თუ გასამხედროებული ძალების — გაყვანას, აფხაზეთთან მიმართებაში თავისი აქტუალობა დაკარგული აქვს, რადგანაც საქართველოს ამ მხარეში ქართული ნაწილები არ დგას.

სამშვიდობო გეგმის მე-3 მუხლში განცხადებულია: „განლაგდეს კოსოვოში, გაერო-ს ეგიდით, ეფექტური საერთაშორისო სამოქალაქო და უსაფრთხოების ძალები, რომლებიც იმოქმედებენ გაერო-ს წესდების VII თავის თანახმად და შეძლებენ საერთო მიზნების მიღწევას.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება უკვე 1994 წლიდან იყო თანახმა სამშვიდობო ოპერაციისათვის ფორმის შეცვლაზე, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა მაშინ მზად არ იყო მსგავსი ნაბიჯების გადასადგმელად. ამჯერად, კოსოვოს პრეცედენტის შემდეგ, ვფიქრობთ, რომ დადგა ასეთი გადაწყვეტილების მიღების დრო.

პუნქტი მე-4: „უსაფრთხოების საერთაშორისო ძალები, NATO-ს გადამწყვეტი მონაწილეობით, უნდა განლაგდეს ერთიანი ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ, დაევალოს მათ კოსოვოს ყველა ხალხებისათვის ცხოვრების უსაფრთხო პირობების შექმნა და ყველა დევნილისა თუ იძულებით გადაადგილებული პირისათვის საკუთარ სახლებში დაბრუნების გაადვილება“.

მე-5 ადგილი ეხება კოსოვოში დროებითი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას, რომლის მმართველობის ქვეშაც კოსოვომ უნდა მიიღოს ავტონომია იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის აცხადებდა, რომ აფხაზეთს ექნება ფართო

ავტონომია საქართველოს ფარგლებში. ასე რომ, ამ მუხლის მიმართ ქართულ მხარეს არაფერი ექნება საწინააღმდეგო.

გეგმის მე-6 პუნქტი, რომელიც ეხება კოსოვოში იუგოსლავური სამხედრო პერსონალის გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნებას და მათი ფუნქციების განსაზღვრას, ასევე სავსებით მისაღებია საქართველოს ხელისუფლებისათვის.

მუხლი მე-7: „გაერო-ს წარმომადგენელთა მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს ყველა დევნილისა თუ იძულებით გადაადგილებული პირის დაბრუნება და კოსოვოში ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციებს შეექმნათ თავისუფალი ფუნქციონირების პირობები".

მე-8 პუნქტი აცხადებს კოსოვოში თვითმმართველობის დასამყარებლად პოლიტიკური შეთანხმების აუცილებლობას, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება რამბუიეს მოლაპარაკებების შედეგებსა და იუგოსლავიისა თუ რეგიონის სხვა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებთან. აქვე აუცილებლად არის მიჩნეული კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის განიარაღება. ყოველივე ეს სავსებით შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებსაც.

გეგმის მე-9 და მე-10 მუხლები ზოგადი ხასიათისაა. მე-9 პუნქტი ეხება რეგიონის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, მე-10 მუხლი კი განსაზღვრავს ბაზისს, რომლის საფუძველზეც დადებული იქნება სამხედრო-ტექნიკური შეთანხმება უკან დაბრუნებული იუგოსლავური სამხედრო შენაერთების ფუნქციების შესახებ.

აი, ასეთია კოსოვოს სამშვიდობო გეგმის ძირითადი არსი. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი მთლიანად შეიძლება გამოყენებული იქნას (მე-2 პუნქტის გამოკლებით), როგორც საფუძველი აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებისათვის. შესაძლოა, რომ ჩვენს რეგიონში მისი განხორციელება უფრო გაიოლდეს კიდეც, რადგანაც საქართველოს ხელისუფლება სრულად ეთანხმება ამ დოკუმენტის ყველა მუხლს. ვ. არძინბას, ბუნებრივია, გაუჭირდება ამ დოკუმენტის მიღება, მაგრამ მაინც სავარაუდოა, რომ ის იძულებული გახდეს, დაეთანხმოს აღნიშნულ გეგმას მოსალოდნე-

ლი დაბომბვის შიშით. ჩვენი აზრით, სამხედრო ოპერაცია (მსგავსი იმისა, რომელიც განხორციელდა იუგოსლავიის მიმართ) სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ალბათ, საჭირო არც იქნება. ერთადერთი მხარე, რომლისთვისაც ნამდვილად მიუღებელი იქნება ეს გეგმა, არის რუსეთი, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეს თავისი ინტერესების სფეროდ თვლის. მაგრამ სავარაუდოა, რომ რუსეთს ძალიან გაუჭირდება მსგავსი გეგმის გაერო-ს უშიშროების საბჭოში ბლოკირება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რუსული შენაერთები მონაწილეობას მიიღებენ ოპერაციაში, და ექნებათ საკუთარი პასუხისმგებლობის ზონა. თუ მოვლენები ამგვარად განვითარდება, მაშინ წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული, რომ რუსულ ზონაში არ შევიდეს გაგრის რაიონი, რომელზეც გადის საქართველო-რუსეთის საზღვარი.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სავსებით რეალურია, რომ კოსოვოს სამშვიდობო გეგმამ იმუშავოს აფხაზეთის პირობებშიც.

THE POSSIBILITIES OF USING THE "KOSOVO PLAN" IN GEORGIA*

More than 5 years have elapsed since the "peace-keeping" operation began in Abkhazeti. The operation conducted by the Russian troops under UN auspices, has had no positive results so far and it is hardly believed that the operation of the scale can guarantee safe return of all displaced persons and refugees to their homes. The only way out that will avoid us a new war is to change the form of peace-keeping operation. Kosovo Peace Agreement can serve as a guiding document in this respect.

Despite some distinctions, these two conflicts (that of Abkhazeti and Kosovo) have many common characteristics:

1) There was an ethnic cleansing in Abkhazeti too;

2) As a result of both conflicts we have a huge amount of refugees (800 000 in Kosovo and 300 000 in Abkhazeti);

3) Like S. Milošević, V. Ardzinba is against return of all displaced persons to their homes (Ardzinba's statement that any refugee not fighting against him can return is a fiction, like Milošević's statement that there was no repression against ethnic Albanians in Kosovo, etc.).

In accordance with these details, we think that the peace document for Kosovo can well be used for Abkhazeti too. The Analysis into the plan shows that it can really be a strong instrument to establish real peace in the region. The first paragraph of the document has it that the violence in Kosovo must be done away with immediately. It seems that nobody will have objections to such a statement with regard to Abkhazeti.

The second item, which concerns the withdrawal of all Yugoslavian military, police and paramilitary forces, is not trou-

---

* The Paper was published in journal "PONTICA-MEDITERRANEA" (№1, Tbilisi, 1999).

blesome for Abkhazeti, because there are no Georgian forces in this region of Georgia.

P. 3 of the peace plan states: "Deployment in Kosovo under UN auspices of effective international civil and security presences, acting as may be decided under Chapter VII of the Charter, capable of guaranteeing the achievement of common objectives [is indispensable]". It has to be noted that since 1994 Georgian government has repeatedly declared of its willingness to transform the peace-keeping operation pursuant to this very sample, but international community was not ready to take such steps at the time. Now, after Kosovo, we think that the time has come to make the decision.

P. 4 states: "The international security presence, with substantial NATO participation, must be deployed under unified command and control, and authorised to establish a safe environment for all people in Kosovo and to facilitate the safe return to their homes of all displaced persons and refugees".

P. 5 concerns the establishment of an interim administration for Kosovo, under which the peoples of Kosovo can enjoy a substantial autonomy within the Federal Republic of Yugoslavia. It has to be noted that Georgian government has repeatedly declared that Abkhazeti will have an extensive autonomy within Georgia, so there are no objections to this item on the part of the Georgian side.

P. 6 which concerns the presence of an agreed number of Yugoslav personnel in Kosovo is also acceptable for the Georgian government.

P. 7 – "Safe and free return of all refugees and displaced persons under supervision of the UNHCR and unimpeded access to Kosovo by humanitarian aid organisations".

P. 8 declares the necessity to achieve political agreement on substantial self-governance in Kosovo, which will completely comply with Rambouillet accord and the principles of sovereignty and territorial integrity of the Federal Republic of Yugoslavia and other countries of the region. The necessity of the demilitarisation of the KLA is also dealt with in the item. All these statements absolutely correspond with the state interests of Georgia.

P. 9 and P. 10 are general tenets. P. 9 concerns the possibilities of economic development in the region and P. 10 identifies the basis which the military-technical agreement about the functions of Yugoslavian personnel should draw on.

We attempted an analysis into the peace document for Kosovo. We think this document can well be used (except for P. 2) as a basis for the peace-making operation in Abkhazeti. It would probably be even easier to use such a plan in Georgia as Georgian government will fully except he provisions of the document. Supposedly, Ardzinba will not agree to this document, but it is most likely that he will accept the plan amidst the fears of bombing. We think that there will be no need to conduct military operations against him, the way it was done against Milošević. The only side which will really have objections to the plan, will be Russia, still regarding the post-soviet space to be within the area of its interests. But it would be very difficult for Russia to block such a plan in the UN Security Council, especially if the Russian troops take part in the operation and have their own zone of responsibility, If so, then their zone should not include frontier district of Gagra between Georgia and Russia.

Thus, in accordance with the principles set above the peace document for Kosovo can well be viable for Abkhazeti too.

შინაარსი

რედაქტორისაგან 3

Editor's Foreword 5

წინათქმა 7

მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943

შესავალი 9

თავი I. გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და აშშ-ინგლისის პირველი დიპლომატიური ნაბიჯები მეორე ფრონტის მომზადების გზაზე 18

თავი II. წინააღმდეგობანი აშშ-ინგლისის დიპლომატიაში მეორე ფრონტის გახსნის დროისა და ადგილის შესახებ. კასაბლანკის კონფერენცია 63

თავი III. ვაშინგტონიდან თეირანამდე. ერთიანი სტრატეგიული კურსის შემუშავების ცდები აშშ-ინგლისის დიპლომატიაში 96

თავი IV. თეირანის კონფერენცია. თანამშრომლობის დიპლომატიის ტრიუმფი 126

დასკვნა 159

Проблема подготовки и открытия второго фронта в англо-американской дипломатии. 1941-1943. (*Резюме*) 163

The Problems of Preparing and Opening the Second Front in the US-British Diplomacy. 1941-1943. (*Summary*) 171

დ ა ნ ა რ თ ი

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ე ბ ი პ ე რ ი ო დ უ ლ გ ა მ ო ც ე მ ე ბ შ ი

საინტერესო წიგნი ამერიკული პოლიტიკის ორ ტიტანზე 177

რამდენიმე შენიშვნა ამერიკელი ისტორიკოსის ფრედერიკ უ. მარკს III-ის წიგნზე: „ქარი ქვიშაზე. ფრანკლინ რუზველტის დიპლომატია“ 183

მნიშვნელოვანი გამოკვლევა სპარსეთის ყურის ომზე 193

„კოსოვოს გეგმის“ საქართველოში გამოყენების შესაძლებლობები 201

The Possibilities of Using the “Kosovo Plan” in Georgia 205

CONTENTS

Editor's Foreword *(In Georgian)* 3

Editor's Foreword 5

Introduction 7

The Problems of Preparing and Opening of the Second Front in the US-British Diplomacy. 1941-1943

Preface 9

Chapter I. The German Assault on the Soviet Union and the First Diplomatic Steps of Great Britain and the USA on the Way of Preparing the Second Front 18

Chapter II. The Opposition in British-American Diplomacy about the Place and Time of opening of the Second Front. The Conference at Casablanca 63

Chapter III. From Washington to Tehran. The Steps on the Way of Elaboration of Common Strategic Course on British-American Diplomacy 96

Chapter IV. The Conference at Tehran. The Triumph of Diplomacy of Co-operation 126

Conclusion 159

The Problems of Preparing and Opening the Second Front in the US-British Diplomacy. 1941-1943. (*Summary in Russian*) 163

The Problems of Preparing and Opening the Second Front in the US-British Diplomacy. 1941-1943. (*Summary*) 171

APPENDIX

Publications in Periodical Editions

An Interesting Book about the Two Titans of the US Politics: *"Roosevelt And Marshall. Partners In Politics And War. The Personal Story" – By Thomas D. Parrish* 177

Few Remarks on the Book: *"Wind Over Sand. Diplomacy of Franklin Roosevelt" – By Frederick W. Marks III – the American Historian* 183

A Significant Research about the Gulf War. *"The Generals' War. The Inside Story of the Conflict in the Gulf" – Michael R. Gordon and Gen. Bernard E. Trainor* 193

The Possibilities of Using the "Kosovo Plan" in Georgia *(In Georgian)* 201

The Possibilities of Using the "Kosovo Plan" in Georgia 205

თეიმურაზ პაპასქირი

მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში. 1941-1943

TEIMURAZ Z. PAPASKIRI

The Problems of Preparing and Opening of the Second Front in the US-British Diplomacy. 1941-1943

ПАПАСКИРИ Теймураз Зурабович

Проблема подготовки и открытия второго фронта в англо-американской дипломатии. 1941-1943

საბეჭდი ქაღალდი 60×84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,25
სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 8,8
ფასი სახელშეკრულებო

სტამბა „ანი-XXI“
თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7